

სახელმწიფო სამართალი

კრებულში გამოქვეყნებულია ერთგვაროვანი სასამართლო პრაქტიკის ჩამოყალიბებისა და სამართლის განვითარებისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები. ამ და სხვა საქმეთა მოძებნა შესაძლებელია საქართველოს უზენაესი სასამართლოს ვებ-გვერდზე: <http://www.supremecourt.ge/court-decisions/>

საქართველოს უზენაესი სასამართლოს გადაწყვეტილებანი
სამოქალაქო საქმეებზე

2020, №3

Decisions of the Supreme Court of Georgia
on Civil Cases
(in Georgian)

2020, №3

Entscheidungen des Obersten Gerichts von Georgien
in Zivilsachen
(in der georgischen Sprache)

2020, №3

Решения Верховного Суда Грузии
по гражданским делам
(на грузинском языке)

2020, №3

გადაწყვეტილებების შერჩევასა და დამუშავებაზე პასუხისმგებელი

ბიორგი ჭყონია

ტექნიკური რედაქტორი

მარიკა მაღალაშვილი

რედაქციის მისამართი:

0110, თბილისი, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6, ტელ: 299 04 18;
www.supremecourt.ge

ჟურნალი გამოდის საქართველოს უზენაესი სასამართლოსა და საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს საერთო სასამართლოების დეპარტამენტის მხარდაჭერით

საკიეზელი

1. ნასყიდობა	
ნასყიდობის საფასურის გადახდა	4
ფასის შემცირების მოთხოვნა	25
უარის უფლება საქონლის მიღებაზე	43
ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ	53
2. ქირავნობა	
გამქირავებლის თანხმობა ქვექირავნობაზე	71
3. ნარდობა	
ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი ბუნება	90
შემკვეთის მიერ საზღაურის გადახდა	111
4. საბანკო მომსახურება	
ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონერა	127
5. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)	
ხელმძღვანელი პირის უფლება-მოვალეობები	139

1. ნასყიდობა

ნასყიდობის საფასურის გადახდა

განჩინება საქართველოს სასჯელით

№ას-1344-2018

5 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ზ. ძლიერიშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
ბ. ალავეცი

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. 2010 წლის 14 მაისს ბ. ფ-იასა (შემდეგში: გამყიდველი ან მოსარჩელე ან მოწინააღმდეგე მხარე) და მ. გ-ს (შემდეგში: მყიდველი ან მოპასუხე ან კასატორი) შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე, მდებარე: თბილისი, დ. დ-ი, ი. პ-ის ქუჩა №2ა, ბინა №13 (შემდეგში: ნასყიდობის საგანი). ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 33000 აშშ დოლარით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამ თვეში მოსარჩელეს უფლება ექნებოდა გამოეყენებინა თავისი კუთვნილი ბინა. აღნიშნული ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ნასყიდობის ფასი სრულად გადაეხადა და ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ, ხოლო მოსარჩელე ვალდებული იყო მიეღო ნასყიდობის ფასი და სამი თვე ეცხოვრა ოჯახთან ერთად აღნიშნულ ბინაში (შემდეგში: ნასყიდობის ხელშეკრულება).

2. 2009 წლის 5 თებერვალს მოსარჩელეს, მ. ც-სა და მ. პ-ს შორის გაფორმდა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება (შემდეგში: სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულება).

3. მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის მიმართ 25000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების მოთხოვნით.

4. მოპასუხემ წარმოადგინა მოთხოვნის გამომრიცხველი (ვალდებულების შეწყვეტა შესრულებით) და განხორციელების მუდმივად შემაფერხებელი შესაგებელი (ხანდაზმულობა).

5. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 18 მაისის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმა-

ყოფილდა: დაეკისრა მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 25000 აშშ დოლარის გადახდა.

6. გადაწყვეტილება სააპელაციო საჩივრით გასაჩივრდა მოპასუხის მიერ, რომელმაც თანხის დაკისრების შესახებ გადაწყვეტილების გაუქმება და სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

7. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მაისის განჩინებით სააპელაციო საჩივარი უარყოფილი იქნა.

8. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია ამ განჩინების პპ:1,2-ში მითითებული ფაქტობრივი გარემოება.

9. იმავდროულად, სააპელაციო სასამართლომ დადგენილად ცნო, რომ ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ნასყიდობის ფასი სრულად გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ, ხოლო მოსარჩელე ვალდებული იყო მიეღო ნასყიდობის ფასი.

10. უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით.

11. მოსარჩელეს/გამყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლებით არ უსარგებლია.

12. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მოსარჩელის მოთხოვნას სახელშეკრულებო ვალდებულების სრულად შესრულება, კერძოდ, ნასყიდობის ფასის დარჩენილი ნაწილის – 25 000 აშშ დოლარის გადახდა წარმოადგენდა. მოსარჩელის განმარტებით, მოპასუხეს მოსარჩელისათვის გადახდილი ჰქონდა მხოლოდ 8000 აშშ დოლარი, ხოლო – 25 000 აშშ დოლარი ანაზღაურებული არ ჰქონდა.

13. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად კი, მყიდველი ვალდებული იყო გამყიდველისათვის ნასყიდობის ფასი სრულად გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ, ხოლო მოსარჩელე ვალდებული იყო მიეღო ნასყიდობის ფასი.

14. ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის ფაქტის მტკიცების ტვირთი სააპელაციო სასამართლომ დააკისრა მყიდველს. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდგომი: სსკ-ის) 429-ე მუხლის შესაბამისად აღნიშნა, რომ კრედიტორმა მოვალის მოთხოვნით შესრულების მთლიანად ან ნაწილობრივ მიღების შესახებ უნდა გასცეს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი და განმარტა, რომ მითითებული დოკუმენტის ფლობა აუცილებლობას წარმოადგენს მოვალისათვის, რადგან მან მხოლოდ ამ დოკუმენტით შეიძლება დაადასტუროს ვალდებულების შესრულება, რასაც ვერ ვიტყვით კრედიტორზე. მას არანაირი საჭიროება არ აქვს, ფლობდეს ამ დოკუმენტს არც სამართლებრივი და არც ფაქტობრივი თვალსაზრისით. კანონი მოვალეს ალჭურავს მთელი რიგი

უფლებებით, რათა შესძლოს ვალდებულების შესრულების და კრედიტორის მიერ ამ შესრულების მიღების ფაქტის დადასტურება. ამ უფლების გამოუყენებლობა კი, წარმოადგენს მის რისკს და შეუძლებელს ხდის ზემოთ მითითებული გარემოების დადასტურებას.

15. სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოპასუხეს მის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი დოკუმენტი არ წარმოუდგენია, ამგვარ დოკუმენტად პალატამ არ მიიჩნია ის გარემოება, რომ 2010 წლის 14 მაისს გაუქმდა 2009 წლის 5 თებერვალს მოსარჩელეს, მ. ც-სა და მ. პ-ს შორის გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკა მოვალის მიერ ვალდებულების შესრულების გამო, სააპელაციო სასამართლოს მოსაზრებით, არ წარმოადგენდა იმ გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებას, რომ მოპასუხის მიერ სრულად იყო გადახდილი ნასყიდობის საფასური.

16. სააპელაციო სასამართლომ ვალდებულების შესრულების დამადასტურებელ მტკიცებულებად არ მიიჩნია აგრეთვე სასამართლოს გადანყვეტილება, რომლითაც დაკმაყოფილდა მ. გ-ის სარჩელი მოპასუხე ბ. ფ-იას უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის გამოთხოვის თაობაზე. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ არ დასტურდებოდა მ. გ-ის მიერ 14.05.2010წ. ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნასყიდობის ფასის სრულად გადახდის ფაქტი, კერძოდ, მყიდველის მიერ გადახდილი არ იყო ნასყიდობის საგნის ღირებულებიდან 25 000 აშშ დოლარი.

17. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი ნაწილით და აღნიშნა, რომ მოსარჩელემ შეასრულა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, გადასცა უძრავი ქონება, რომელიც საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა მყიდველის სახელზე, ხოლო მყიდველის მიერ ნასყიდობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება – ნასყიდობის ფასის სრულად გადახდა – არ შესრულებულა. შესაბამისად, საფუძვლიანად იქნა მიჩნეული სარჩელი მოპასუხისთვის ნასყიდობის საგნის ღირებულების გადაუხდელი ნაწილის 25 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

18. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილების გაუქმებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით საკასაციო საჩივარი წარმოადგინა მოპასუხემ.

19. კასატორი მიუთითებს მოსარჩელეს, მ. ც-სა და მ. პ-ს შორის გაფორმებულ „სესხისა და იპოთეკის“ ხელშეკრულებაზე და აღნიშნავს, რომ ამ ხელშეკრულების გაუქმება და შესაბამისად ხელ-

შეკრულებით განსაზღვრულ საგანზე „იპოთეკის შეწყვეტა“ განხორციელდა იმავე უძრავ ნივთზე მოპასუხესა და მოსარჩელეს შორის „ნასყიდობის ხელშეკრულების“ გაფორმების დღესვე (ანუ 14.05.2010წ., რამდენიმე წუთის ინტერვალით და ერთი და იგივე ნოტარიუსის მიერ), მხოლოდ მას შემდეგ, რაც მოპასუხემ ნასყიდობის ხელშეკრულების შესაბამისად მოსარჩელეს სრულად გადაუხადა ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხა. 14.05.2010წ.-ს მხარეებს შორის იმავე უძრავ ნივთზე ნასყიდობის ხელშეკრულების საფუძველზე მოპასუხის მიერ მოსარჩელისათვის გადახდილი თანხით განხორციელდა იპოთეკარების მ. ც-სა და მ. პ-ის „სასესხო ვალდებულებათა დაფარვა“ და შესაბამისად უძრავ ნივთზე რეგისტრირებული „იპოთეკის“ გაუქმებაც (თანხის გადახდისა და აღნიშნული თანხით იპოთეკართა მოთხოვნათა დაკმაყოფილების ფაქტს ადასტურებენ თავად „იპოთეკარებიც“ – მ. ც. და მ. პ-ი, რომელთა დაკითხვაც „მონმის“ სახით იქნა მოთხოვნილი საქალაქო სასამართლოსა და სააპელაციო სასამართლოში, თუმცა, მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა. შესაბამისად, კასატორს მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანი გარემოება სასამართლომ არ გამოიკვლია და არ შეაფასა, რის გამოც, გასაჩივრებული გადაწყვეტილება/განჩინება არის იურიდიულად დაუსაბუთებელი და მისი დასაბუთება იმდენად არასრულია, რომ შეუძლებელია შესაბამისი სამართლებრივი საფუძვლების შემოწმება, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების/განჩინების გაუქმების აბსოლუტური და უპირობო საფუძველია.

20. კასატორის მოსაზრებით, ნასყიდობის ხელშეკრულების მიხედვით თანხის გადახდის ფაქტი და შესაბამისად სარჩელში მითითებული მოთხოვნების უსაფუძვლობა დასტურდება შემდეგი გარემოებებით:

21. 14.05.2010წ.-ს მოსარჩელეს, მ. ც-სა და მ. პ-ს შორის გაფორმებული 05/02/2009წ. „სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ“ შეთანხმებისა და განსახილველი დავის მონაწილე მხარეებს (მოსარჩელე/მოპასუხე) შორის იმავე დღესვე (14.05.2010წ.), რამდენიმე წუთის ინტერვალით გაფორმებული „უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულების“ „სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ“, იმავე ნოტარიუსის მიერ მხარეთა მოთხოვნათა საფუძველზე საჯარო რეესტრის სააგენტოში სარეგისტრაციოდ წარდგენილი იქნა განაცხადები: ა) უძრავი ქონებაზე (ს/კ №01.10.0...009.0...01.0...) 2009 წლის 5 თებერვალს ბ. ფ-იასა და მ. ც-სა და მ. პ-ს შორის გაფორმებული „სესხისა და იპოთეკის“ ხელშეკრულების საფუძველზე წარმოშობილი „იპოთეკის შეწყვეტის“ თაობაზე (ამონაწერი მომზადდა: 20/05/2010წ. 10:25:24სთ); ბ) უძრავი

ქონების (ს/კ №01.10.0...009.0...01.0...) მ. გ-ის სახელზე „საკუთრების უფლებით“ აღრიცხვის თაობაზე (ამონაწერი მომზადდა: 20/05/2010წ. 17:48:19 სთ). „ამავე რეგისტრაციით“ აღნიშნულ უძრავ ნივთზე საჯარო რეესტრში „დარეგისტრირდა შეზღუდვა“ – „გამოსყიდვის უფლება“, რომლის ფარგლებშიც მოპასუხეს 3 თვის განმავლობაში „აეკრძალა ნივთის გასხვისება“, ხოლო მოსარჩელეს მიეცა უფლება 3 თვის ვადაში „გამოესყიდა“ მის მიერ მოპასუხეზე „გაყიდული ნასყიდობის საგანი“. კასატორის მოსაზრებით, სასამართლომ ყურადღება არ გაამახვილა, არ გამოიკვლია და არ შეაფასა მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

22. კასატორი აღნიშნავს, რომ სასამართლო გადაწყვეტილებაში/განჩინებაში ერთი მხრივ, მიუთითებს, რომ „მყიდველს ნასყიდობის საფასური უნდა გადაეხადა ხელშეკრულების ნოტარიულად დადასტურების შემდგომ“, თუმცა, საერთოდ არ მიუთითებს „საფასურის გადახდის კონკრეტულ ვადაზე“, რადგან ცნება „ნოტარიულად დადასტურების შემდგომ“ არ მოიცავს კონკრეტულ ვადას და შესაბამისად „ვალდებულების შესრულების კონკრეტული ვადის განსაზღვრის გარეშე“ გაუგებარია და იურიდიულად დაუსაბუთებელია, ვალდებულების მოპასუხის მხრიდან არაჯეროვან შესრულებაზე მსჯელობა და შესაბამისი დასკვნის გამოტანა.

23. კასატორი აღნიშნავს, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 0-.0-.20-წ. (საქმე №2/3875-13) მიღებული და „კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებით“ და ამ გადაწყვეტილებით დადგენილი „უტყუარი უდაო გარემოებებით“ (საქმეში იხილეთ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 0-.0-.20-წ. საქმე №2/3875-13-ზე მიღებული და „კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილება“) დაკმაყოფილდა მ. გ-ის სარჩელი მ. გ-ის „საკუთრებაში“ არსებული ქონებიდან (ს/კ №01.10.0...009.0...01.0...) – ბ. ფ-იას „უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის“ თაობაზე. მოსარჩელე და მისი წარმომადგენელი, როგორც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიაში, ასევე შემდგომში თბილისის სააპელაციო სასამართლოში წარმოებული აღნიშნული სამოქალაქო „საქმის განხილვის ყველა ეტაპზე“ (შესაგებელში, სააპელაციო საჩივარში, სხდომათა მიმდინარეობისას) აღნიშნავდნენ, რომ „მხარეებს შორის არსებობდა „ზეპირი შეთანხმება“ მ. გ-ზე გასხვისებული ნივთის „გამოსყიდვის 3-თვიანი ვადის გაგრძელებასთან დაკავშირებით“ და შესაბამისად, მოსარჩელეს „ამიტომაც დღემდე მ. გ-ისაგან არ გამოუსყიდა ნასყიდობის საგანი“ (საქმეში იხილეთ: თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 0-.0-.20-წ. საქმე №2/3875-13-ზე მიღებული და „კანონი-

ერ ძალაში შესული გადაწყვეტილება, აღნიშნულ საქმეზე ბ. ფ-იას მიერ წარდგენილი შესაგებელი და სააპელაციო საჩივარი).

24. კასატორი აგრეთვე მიუთითებს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 0-0-20-ნ. №2/3875-13 საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე და მიაჩნია, რომ აღნიშნულ გარემოებებს სსსკ-ის 106-ე მუხლის (ფაქტები, რომლებიც არ საჭიროებენ მტკიცებას) „ბ“ პუნქტის თანახმად პრეიუდიციული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს

25. ამასთან, კასატორი აღნიშნავს, რომ მოსარჩელეს არც თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ №2/3875-13 სამოქალაქო („უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის“) საქმის განხილვისას არ გაუხდია სადაოდ (მისთვის თანხის არ გადახდის მოტივით), მხარეებს შორის 14/05/2010წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულება და არც კანონით დადგენილ ვადაში არ აღუძრავს დამოუკიდებელი სარჩელი ნასყიდობის ხელშეკრულების ბათილად ცნობის მოთხოვნით, ისევე როგორც მოპასუხის სახელზე „ქონების საკუთრების უფლების აღრიცხვასთან, ქონებაზე „გამოსყიდვის უფლების“ რეგისტრაციის შესახებ და „გამოსყიდვის უფლების შეწყვეტის“ შესახებ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს გადანყვევტილებები.

26. გარდა აღნიშნულისა, კასატორი მიუთითებს, რომ მოსარჩელე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 06.06.2013წ. №2/3875-13 სამოქალაქო („უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის“) საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული „გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში“ ითხოვდა „აღსრულების პროცესის გარკვეული ვადით გადადებას“ მოსარჩელის მიერ მხარეებს შორის 14/05/2010წ. გაფორმებული ნასყიდობის ხელშეკრულებით განსაზღვრული „ქონების ნასყიდობის თანხის – მოპასუხისათვის გადახდის მიზნით“ (საქმეში იხილეთ: 20/08/2015წ., 30/09/2018წ. 12/09/2015წ. აღმასრულებლის მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი „გასაუბრების შესახებ“ ოქმები), ასევე იგი აღსრულების პროცესში მიმართავდა სხვადასხვა ორგანიზაცია/ დაწესებულებებს/ თანამდებობის პირებს სადაც იგი აღნიშნავდა, რომ „მას ასახელებენ იძულების წესით ბინიდან, იმის გამო, რომ ნ-მა წაართვეს ბიზნესი“ (ავტოსამრეცხაო, ავტოზეთების მაღაზია, პურის საცხობი, მცირე სასადილო), რის გამოც „მინ ვერ“ შესძლო „ქონების გამოსასყიდი თანხის მ. გ-ისათვის დროულად დაბრუნება“ და მას თანხის მოპასუხისათვის დროულად გადაუხდელობის გამო დაეკისრა ბინის დათმობა“ (იხილეთ საქმეში არსებული: საქართველოს პარლამენტის წევრი-

სადმი ბატონი ბ. გ-ისადმი ბ. ფ-იას 24/05/2016წ. განცხადება).

27. იმავდროულად, კასატორი მიუთითებს სარჩელის ხანდაზმულობაზე.

28. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი აგრეთვე შუამდგომლობს, რომ მოწინააღმდეგე მხარეს (მოსარჩელე) დაევალოს მისი შუამდგომლობის საფუძველზე სასამართლოს მიერ გამოყენებული უზრუნველყოფის ღონისძიების გამო, ზარალის, რომლის ღირებულება 2010 წლის 14 მაისს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებიდან გამომდინარე შეადგენს 33 000 აშშ დოლარს, ანაზღაურების უზრუნველყოფის გარანტიის წარმოდგენა.

29. ამასთან, კასატორი შუამდგომლობს, რომ მოწმის სახით დაიკითხოს მ. ც. (პ/ნ 01002..., მის.: თბილისი, გ-ის მე-7 მ/რ, 1 კორპ. 1, ბ. N83 და მ. პ-ი (პ/ნ 3...00103...0...0, მის.: რ-ი, ქ-ის ქ., 8 კორპ., ბ. N12).

სამოტივაციო ნაწილი:

30. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 17 ოქტომბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში – სსსკ-ის) სსსკ-ის 396-ე მუხლით და 391-ე მუხლის შესაბამისად, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო 2018 წლის 21 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მეხუთე ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საპროცესო სამართლებრივი საფუძვლით.

31. საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების სამართლებრივი დასაბუთება, საკასაციო საჩივრის საფუძვლები და მიიჩნევს, რომ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს შემდეგი გარემოებების გამო:

32. საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს გამოსყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ნასყიდობის საფასურის გადახდის თაობაზე კრედიტორის პირველადი მოთხოვნის საფუძვლიანობა [სსსკ-ის 477-ე და 509-ე მუხლები] წარმოდგენს.

33. სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების ძირითადი მოტივაცია სარჩელის დაკმაყოფილების და მყიდველისათვის ნასყიდობის დარჩენილი საფასურის 25 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრების თაობაზე, ეყრდნობა ძირითადად მყიდველის მიერ ნასყიდობის საფასურის გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების წარუდგენლობას [სსსკ-ის მე-4, 102-ე და 429-ე მუხლები].

ბი; იხ., ამ განჩინების პპ: 12-15]. გასაჩივრებული განჩინებით უარყოფილია მოპასუხის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებების რევეანტურობა თანხის დარჩენილი ნაწილის (25000 აშშ დოლარი) გადახდის დასადასტურებლად, სახელდობრ, უარყოფილია (ა) მოსარჩელეს, მ. ც-სა და მ. პ-ს შორის 2010 წლის 14 მაისს გაფორმებული სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულების საფუძველზე უძრავ ქონებაზე რეგისტრირებული იპოთეკის შეწყვეტას და ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების შესრულებულად მიჩნევას შორის იურიდიული კავშირი; აგრეთვე, უარყოფილია (ბ) თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 0-0-20-წ-ის (საქმე №2/3875-13) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივ გარემოებების პრეიუდიციული მნიშვნელობა განსახილველ საქმეში სადავოდ ქცეული ფაქტობრივი გარემოებების მიმართ (იხ., ამ განჩინების პპ: 15, 16).

34. განსახილველი საკასაციო პრეტენზიაც სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ წინამდებარე საქმის განხილვისას სააპელაციო სასამართლომ ერთიანობასა და მთლიანობაში არ შეაფასა მოპასუხის მიერ ვალდებულების შესრულების დასადასტურებლად წარმოდგენილი მტკიცებულებები და დაეყრდნო მხოლოდ სსსკ-ის 102-ე და სსკ-ის 429-ე მუხლის იმგვარ განმარტებას, რომ აუცილებელია მოვალეს გააჩნდეს სსკ-ის 477-ე მუხლიდან წარმოშობილი ნასყიდობის საფასურის სრულად გადახდის დასადასტურებლად „პირდაპირი“ მტკიცებულებები.

35. ამდენად, საკასაციო პალატის მოსაზრებით, განსახილველი საკასაციო პრეტენზია წარმოდგენილია საქმეში არსებულ მტკიცებულებათა ერთობლიობაში შეუფასებლობის საპროცესო სამართლებრივი საფუძველით [სსსკ-ის 105-ე, 407.1 და 393-ე მუხლის მე-3 ნაწილი და 396-ე მუხლის „ვ“ ქვეპუნქტი].

36. წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიის დასაშვებობის (დასაბუთებულობის) შემოწმების უწინარესად, საკასაციო პალატა მიუთითებს მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომლებსაც განსახილველი საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში მნიშვნელობა აქვს და რომელთა მიმართ კასატორს შედავება არ წარმოუდგენია [407-ე მუხლის მე-2 ნაწილი].

დადგენილია, რომ 2010 წლის 14 მაისს მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის დაიდო ნასყიდობის ხელშეკრულება უძრავ ქონებაზე. ნასყიდობის ფასი განისაზღვრა 33000 აშშ დოლარით. მხარეები შეთანხმდნენ, რომ სამ თვეში მოსარჩელეს უფლება ექნებოდა გამოესყიდა თავისი კუთვნილი ბინა. აღნიშნული ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ნასყიდობის ფასი

სრულად გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ, ხოლო მოსარჩელე ვალდებული იყო მიეღო ნასყიდობის ფასი და სამი თვე ეცხოვრა ოჯახთან ერთად აღნიშნულ ბინაში. უძრავი ქონება საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში აღირიცხა მოპასუხის სახელზე საკუთრების უფლებით. მოსარჩელეს/გამყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების გამოსყიდვის უფლებით არ უსარგებლია. აღსანიშნავია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე 8000 აშშ დოლარის გადახდის ნაწილში მხარეები არ დავობენ. მათ შორის სადავოა მხოლოდ ნასყიდობის საფასურის დარჩენილი ნაწილის – 25 000 აშშ დოლარის გადახდის ფაქტობრივი გარემოება, რაზედაც ეყრდნობა სარჩელი, რომელიც დაკმაყოფილებულია პირველ ინსტანციის სასამართლოში და უცვლელადაა დატოვებული სააპელაციო სასამართლოს მიერ.

37. საკასაციო სასამართლოს მსჯელობაც, სწორედ სარჩელის წარმატებულობის მართლზომიერების შემომწმებას დაეთმობა, წარმოდგენილი საკასაციო პრეტენზიის ფარგლებში და ყურადღება გამახვილდება ვალდებულების შესრულებულად მიჩნევის მიზნით მოპასუხის/კასატორის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებზე და შემომდებება მათი მტკიცებულებითი მნიშვნელობა სადავო ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით.

38. დადგენილადაა მიჩნეული, რომ მოსარჩელეს კიდევ ერთი ვალდებულებითსამართლებრივი ურთიერთობა გააჩნდა მ. ც-სა და მ. პ-თან, კერძოდ, მათ შორის გაფორმებული იყო „სესხისა და იპოთეკის“ ხელშეკრულება (იხ., ამ განჩინების პ-2). ამ ხელშეკრულების გაუქმება და შესაბამისად ხელშეკრულებით განსაზღვრულ საგანზე „იპოთეკის შეწყვეტა“ განხორციელდა იმავე დღეს, როდესაც გამყიდველსა და მყიდველს შორის გაფორმდა სადავოდ ქცეული ნასყიდობა-გამოსყიდვის გარიგება უძრავ ნივთზე (იხ., ამ განჩინების პ-1).

39. კასატორის მოსაზრებით, გარკვეული კავშირი არსებობს ამ ორ სახელშეკრულებო ურთიერთობიდან წარმოშობილ იურიდიულ შედეგებს შორის, რაც იმათაა გამყარებული, რომ ერთსა და იმავე დღეს, ერთი და იმავე ნოტარიუსთან, ერთსა და იმავე უძრავ ნივთზე ერთ შემთხვევაში, განხორციელდა ნასყიდობა-გამოსყიდვის ხელშეკრულების დადება, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – იპოთეკის შეწყვეტა. აღნიშნულს კი, კასატორი იმით ახსნის, რომ მოსარჩელესა და მესამე პირებს შორის თავდაპირველად გაფორმებული იყო იპოთეკით უზრუნველყოფილი სესხის ხელშეკრულება (იხ., ამ განჩინების პ-2), რომლიდან წარმოშობილი ვალდებულების შესასარულებლად დასჭირდა მოსარჩელეს იპოთეკის საგანზე გამოს-

ყიდვის უფლებით ნასყიდობის ხელშეკრულების გაფორმება. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.19)

40. კასატორის უთითებს აგრეთვე თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.06.2013წ-ის (საქმე №2/3875-13) გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივ გარემოებებზე, სახელდობრ, კასატორი აღნიშნავს, რომ ამ დავაში მოპასუხე წარმოადგენდა მოსარჩელეს, რომელიც მოითხოვდა ბ. ფ-იას უკანონო მფლობელობიდან უძრავი ნივთის (ნასყიდობის საგანი – იხ., ამ განჩინების პ-1) გამოთხოვას იმ საფუძვლით, რომ გამოსყიდვა-ნასყიდობის გარიგების საფუძველზე, თავად წარმოადგენდა სადავო ნივთის მესაკუთრეს, რეგისტრირებული იყო მესაკუთრედ საჯარო რეესტრში, ხოლო გამყიდველს გამოსყიდვისათვის დადგენილ 3 თვიან ვადაში რეალიზებული არ ჰქონდა გამოსყიდვის უფლება. კასატორი აღნიშნავს, რომ ამ გარემოებებს პრეიუდიციული მნიშვნელობა უნდა მიენიჭოს განსახილველ საქმეში სადავო ფაქტობრივი გარემოებების მიმართ [სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ პუნქტი], ვინაიდან დასახელებულ დავაში მოპასუხემ (განსახილველი დავის მოსარჩელემ), მის წინააღმდეგ აღძრული სავინდიკაციო სარჩელისაგან თავადასაცავად კვალიფიციური შედავება არ წარადგინა, სახელდობრ, მას სრული საპროცესო შესაძლობლობა ჰქონდა მიეთითებინა მყიდველის/მესაკუთრის მიერ სსკ-ის 477-ე მუხლიდან გამომდინარე ნასყიდობის საფასურის სრულად გადაუხდელობაზე და ამგვარად სადავო გაეხდა ვალდებულების შესრულება, აღნიშნულის სანაცვლოდ იგი თავისი პოზიციის დასაცავად უთითებდა მხოლოდ ნასყიდობის საგნის გამოსყიდვის 3-თვიანი ვადის ზეპირი ფორმით გაგრძელებაზე, რაც ფორმალურ-ველობის სამართლებრივი საფუძვლით იქნა უარყოფილი დასახელებული დავის ფარგლებში [იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.06.2013წ-ის (საქმე №2/3875-13) გადაწყვეტილების სადავო ფაქტობრივი გარემოებები 3.2.1].

41. ამასთან, კასატორი მიუთითებს საქმეში წარმოადგენილ სხვა მტკიცებულებებზეც, კერძოდ, აღმასრულებელსა და ბ. ფ-იას გასაუბრების ოქმებსა და ბ. ფ-იას განცხადებაზე, რომლის მიხედვით, უკანონო მფლობელობიდან ნივთის გამოთხოვის საქმეზე მიღებული და კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების აღსრულების პროცესში ბ. ფ-ია ითხოვდა აღსრულების პროცესის გარკვეული ვადით გადადებას. იგი, როგორც მოვალე აღნიშნავდა, რომ მასსა და კრდიტორს შორის მიმდინარეობდა მოლაპარაკების პროცესი უძრავი ნივთის გამოსყიდვის ვადის გაგრძელების თაობაზე (იხ., აღმასრულებლის მიერ შედგენილი და მხარეთა მიერ ხელმოწერილი „გასაუბრების შესახებ“ 20/08/2015წ.-ის, 30/09/2018წ.-ის,

12/09/2015წ.-ის ოქმები); აგრეთვე, კასატორი მიუთითებს, რომ აღსრულების პროცესში ბ. ფ-ია მიმართავდა სხვა თანამდებობის პირს განცხადებით, სადაც აღნიშნავდა, რომ „მას ასახლებენ იძულების წესით ბინიდან, იმის გამო, რომ ნ-მა წაართვეს ბიზნესი“ (ავტოსამრეცხაო, ავტოზეთების მაღაზია, პურის საცხობი, მცირე სასადილო), რის გამოც „მან ვერ“ შესძლო „ქონების გამოსასყიდი თანხის მ. გ-ისათვის დროულად დაბრუნება“ და მას თანხის მოპასუხისათვის დროულად გადაუხდელობის გამო დაეკისრა ბინის დათმობა“.

42. ზემოაღნიშნული საკასაციო პრეტენზიების შესწავლის შედეგად, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ ყურადღება უნდა გაამახვილოს მტკიცებულებათა შეფასების მნიშვნელობაზე და ამ თვალსაზრისით განმარტოს სამოქალაქო პროცესში პრეზუმფციების მნიშვნელობა და ფაქტების პრეიუდიციულობა.

43. სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, წინასწარ დადგენილი ძალის მქონე ფაქტებად კანონმდებელი განიხილავს კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებით დადგენილ ფაქტებს და მხარეს მათ დასადასტურებლად მტკიცებულებათა წარდგენის ვალდებულებისაგან ათავისუფლებს იმ შემთხვევაში, თუ სხვა სამოქალაქო საქმის განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ, ანუ პრეიუდიციული ძალის მქონედ ფაქტობრივი გარემოების მიჩნევისათვის, სავალდებულოა, არსებობდეს სამოქალაქო საქმეზე მიღებული, კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილება და ამ გადაწყვეტილების სუბიექტები სხვა სამოქალაქო საქმის მხარეებად უნდა გვევლინებოდნენ. თავად პრეიუდიციულ ფაქტებში იგულისხმება ისეთი იურიდიულად მნიშვნელოვანი ფაქტობრივი გარემოებები, რომლებითაც განსაზღვრულია მხარეთა მატერიალურ-სამართლებრივი ურთიერთობით გათვალისწინებული უფლებები და ვალდებულებები, რაც საფუძვლად დაედო გადაწყვეტილების გამოტანას. პრეიუდიციულობის შემონგების დროს მნიშვნელობა ენიჭება როგორც იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები, ასევე ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს. მოქმედი კანონმდებლობით დადგენილია ასევე სასამართლო გადაწყვეტილების მატერიალური კანონიერი ძალა, რომელიც უზრუნველყოფს გადაწყვეტილების საბოლოო ხასიათსა და სავალდებულობას არა მარტო კონკრეტული პროცესისათვის, არამედ მის ფარგლებს გარეთაც, კერძოდ, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 266-ე მუხლის შესაბამისად, გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლის შემდეგ მხარეებს, აგრეთვე, მათ უფლებამონაცვლებებს არ შეუძლიათ ხელახლა განაცხადონ სასა-

მართლოში იგივე სასარჩელო მოთხოვნები იმავე საფუძველზე, აგრეთვე, სადავო გახადონ სხვა პროცესში გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტები და სამართლებრივი ურთიერთობანი (სსსკ-ის 106-ე მუხლის განმარტების თაობაზე იხ., სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015; სუსგ №ას-58-56-2016, 26.02.2016წ.).

44. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ პრეიუდიციული ძალის მქონე არ არის გადაწყვეტილების/განჩინების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ყველა გარემოება, ასევე, პრეიუდიციული ძალა არ ვრცელდება ამ ფაქტების სამართლებრივ შეფასებაზე. ეს საკითხი უნდა განისაზღვროს იმის მიხედვით, თუ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში მითითებული, სასამართლოს მიერ დადგენილი რომელი ფაქტები ამართლებს სარეზოლუციო ნაწილში ჩამოყალიბებულ დასკვნებს. „გადაწყვეტილების კანონიერ ძალას გააჩნია კანონით განსაზღვრული სუბიექტური და ობიექტური ფარგლები, რომელიც აზუსტებს გადაწყვეტილების მოქმედების საზღვრებს. გადაწყვეტილების კანონიერი ძალა ვრცელდება საქმის განხილვაში მონაწილე პირთა წრეზე (სუბიექტური ფარგლები) და გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილზე (ობიექტური ფარგლები). შესაბამისად, გასაჩივრებას ექვემდებარება გადაწყვეტილება, თუ სადავოა მისი სარეზოლუციო ნაწილით და არა აღწერილობითი ან სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტი“ (შდრ. სუსგ №ას-710-2011-09, 07.09.2009წ.). ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მარტო იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოება თუ სხვა სამოქალაქო საქმეების განხილვისას იგივე მხარეები მონაწილეობენ), არამედ ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოების შინაარსს (რომელი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება) [იხ. სუსგ №ას-827-791-2014, 13.11.2015წ.].

45. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონიერ ძალაში შედის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი მხოლოდ ის ფაქტობრივი გარემოებები, რომლებიც, კანონის თანახმად, ასაბუთებენ, ამართლებენ სარეზოლუციო ნაწილს. ფაქტების პრეიუდიციულობის შემოწმების დროს მნიშვნელობა ენიჭება არა მხოლოდ იმ პროცესუალურ-სამართლებრივ კრიტერიუმებს, რომლითაც განისაზღვრება კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების ფორმალური მოთხოვნები (სამოქალაქო საქმეზე კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება (განჩინება), გამოტანილი იმავე მხარეების მიმართ, რომლებიც მონაწილეობენ სხვა სამოქალაქო საქ-

მის განხილვაში), არამედ მატერიალურ-სამართლებრივ კრიტიკრიუმებსაც (გადანყვეტილებით დადგენილი იმ ფაქტობრივი გარემოებების შინაარსს, რომელი გარემოებების საფუძველზეც იქნა მიღებული გადაწყვეტილება).

46. ამდენად, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტის თანახმად, დავაში მონაწილე მხარეების მიმართ სხვა სამოქალაქო საქმეზე მიღებულ, კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილით დადგენილი ფაქტისათვის პრეიუდიციული ძალის მინიჭების საკითხის გადაწყვეტისას სასამართლო უნდა დარწმუნდეს, რომ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი ეფუძნება იმ ფაქტს, რომელიც იურიდიულად ამართლებს მას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ეს ფაქტი არ შეიძლება მიჩნეულ იქნას პრეიუდიციულად და ის უნდა იქნას შეყვანილი მტკიცების საგანში (იხ. სუსგ №ას-455-769-09, 03 დეკემბერი, 2009 წელი; სუსგ №ას-146-140-2012, 12 ივლისი, 2012 წელი; სუსგ №ას-74-68-2015, 27 თებერვალი, 2015წ.).

47. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ კასატორის მიერ მითითებული კანონიერ შესული გადაწყვეტილებით [იხ., თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის მიერ 06.06.2013წ.-ს მიღებული გადაწყვეტილება საქმე №2/3875-13-ზე] სადავო იყო მოპასუხის – გამყიდველის მფლობელობა უძრავი ნივთის (ნასყიდობის საგანი – იხ., ამ განჩინების პ-1) მიმართ და დადგენილი იქნა, რომ მოსარჩელე იყო ნივთის მესაკუთრე და მოპასუხეს (გამყიდველს) არ გააჩნდა ნივთის ფლობის უფლება, რადგან გამოსყიდვის ვადაში არ ჰქონდა გამოსყიდვის უფლება რეალიზებული და გამოსყიდვის ვადა გასული იყო [სსკ-ის 170-ე, 172-ე მუხლები]. წინამდებარე დავაში ამავე უძრავი ნივთის საფასურის სრულად გადახდა სადავოდ ქცეული (იხ., ამ განჩინების პ-3) და უძრავი ნივთის საფასურის დარჩენილი ნაწილის გადახდის მოთხოვნით აღძრული სარჩელის წარმატებულობა განაპირობებულობა უმეტესად გადახდის დამადასტურებელი მტკიცებულების (სსკ-ის 429-ე მუხლი) მყიდველის მიერ წარუდგენლობით. მაშასადამე, განსახილველი დავის საგანსა და კასატორის მიერ მითითებულ კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით დამდგარ იურიდიულ შედეგს შორის არსებობს იმგვარი კავშირი, რაც არ უარყოფს მოცემულ საქმეზე სადავო ფაქტობრივი გარემოებების მიმართ პრეიუდიციის გავრცელების შესაძლებლობას.

48. ამასთანავე, სადავო ფაქტობრივი გარემოებებისათვის პრეიუდიციული მნიშვნელობის მინიჭების საკითხის კვლევისას, აგრეთვე, ყურადღება უნდა მიექცეს პრეზუმფციის დანიშნულებასაც. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ მტკიცების საგანში შე-

მავალი გარემოებებიდან ერთი ნაწილი უნდა დაამტკიცოს მოპასუხემ, მეორე ნაწილი კი – მოპასუხემ. ამასთან ერთად, დამტკიცების ტვირთის განაწილების საფუძველზე, მოსარჩელე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოპასუხემ უნდა დაამტკიცოს და პირიქით, მოპასუხე თავისუფლდება იმ ფაქტების დადგენისაგან, რომელიც მოსარჩელემ უნდა დაამტკიცოს. მტკიცების ტვირთის მხარეთა შორის განაწილების ინსტიტუტი მიუთითებს რა მარტო იმაზე, თუ რომელმა მხარემ რა ფაქტები უნდა დაადგინოს, არამედ იმაზეც, თუ რომელი ფაქტების დადგენის მოვალეობისაგან თავისუფლდება ესა თუ ის მხარე. შესაბამისად, მოსარჩელემ, როგორც წესი, უნდა დაამტკიცოს ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის წარმოშობის საფუძველს, ხოლო მოპასუხემ კი – ყველა გარემოება, რომელიც წარმოადგენს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს (ჰაინ ბიოლინგი, ლადო ჭანტურია, სამოქალაქო საქმეებზე გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდთა, თბ., 2003, გვ. 64). აღსანიშნავია, რომ სამართალწარმოებაში პრეზუმციების არსებობა იმითაა განპირობებული, რომ ფაქტების გარკვეული ნაწილი მტკიცებას არ საჭიროებს. სამოქალაქო პროცესში მონაწილეობს ორი ერთმანეთისადმი დაპირისპირებული მხარე – მოსარჩელე და მოპასუხე. შესაბამისად, ერთი ნაწილი მტკიცების საგანში შემავალი ფაქტებისა ივარაუდება მოსარჩელის სასარგებლოდ, ხოლო დანარჩენი ნაწილი – მოპასუხის სასარგებლოდ. ის, რაც მოსარჩელის სასარგებლოდ ივარაუდება უნდა გააქარწყლოს მოპასუხემ, ხოლო ის, რაც მოპასუხის სასარგებლოდ ივარაუდება პირიქით, უნდა გააქარწყლოს მოსარჩელემ. ეს იმას ნიშნავს, რომ პრეზუმფციები სასამართლოში მტკიცების მოვალეობისაგან კი არ ათავისუფლებს მხარეს, არამედ წარმოადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების წესს. მოსარჩელე ვალდებულია დაამტკიცოს მტკიცების საგანში შემავალი გარკვეული ფაქტების ნაწილი, ხოლო ამ ფაქტების მეორე ნაწილი ვალდებულია დაამტკიცოს მოპასუხემ. ნორმები, რომლებიც შეიცავს პრეზუმფციებს, წარმოადგენენ კანონის პირდაპირ მითითებას იმის შესახებ, რომელმა მხარემ კონკრეტულად რა ფაქტები უნდა დაამტკიცოს სამოქალაქო პროცესში. ამა თუ იმ ფაქტის დამტკიცების ტვირთისაგან გათავისუფლება წარმოადგენს არა მიზეზს, არამედ ამ ტვირთის განაწილების შედეგს, ანუ პრეზუმფციების მეშვეობით კანონმდებელი აწინააღმდეგებს დამტკიცების ტვირთს მხარეთა შორის და მტკიცების ტვირთის გამოხატვის სხვა ფორმებს შორის, რომელსაც იცნობს მატერიალური სამართალი, პრეზუმფციები ყველაზე სრულყოფილი და პრაქტიკულად ხელმისაწვდომი ფორმას (თ. ლილუაშვილი, სამოქალაქო საპროცესო სა-

მართალი, თბ., 2005, გვ. 230). თუ რომელი მხარისათვის უფრო ადვილია დამტკიცოს ესა თუ ის ფაქტი, აგრეთვე რომელი ფაქტების დამტკიცების საფუძველზე წარმოიშობა ვარაუდი (პრეზუმფცია) გადანყვეტილებისათვის მნიშვნელობის მქონე სხვა ფაქტების არსებობის შესახებ, განსაზღვრულია კანონით, ხოლო ზოგიერთ შემთხვევებში კი, სასამართლო პრაქტიკით.

49. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმის ხელახლა განხილვისას სააპელაციო სასამართლომ საკასაციო სასამართლოს განმარტებების გათვალისწინებით, სწორად უნდა გაანალიზოს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთი, ყურადღება გაამახვილოს სადავო ფაქტების მიმართ სსსკ-ის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული პრეიუდიციის გავრცელების იურიდიულ შედეგზე და მხოლოდ ამის შემდეგ დაადგინოს მტკიცების საგანში შემავალი ფაქტები ისე, რომ არ დაირღვეს მხარეთა შეჯიბრებითობის პრინციპი.

50. სსსკ-ის 393-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების თანახმად, საკასაციო საჩივარი შეიძლება ეფუძნებოდეს მხოლოდ იმას, რომ გადანყვეტილება კანონის დარღვევითაა გამოტანილი. საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადანყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადანყვეტილება იქნა გამოტანილი. განსახილველი ნორმა ადგენს საკასაციო პრეტენზიის დასაშვებობა-დასაბუთებულობის სტანდარტს და საკასაციო სასამართლოსთვის წარმოშობს ვალდებულებას, საკასაციო საჩივრის ფარგლებში შეამოწმოს კასატორის საკასაციო პრეტენზიათა საფუძვლიანობა (სსსკ-ის 404.1 მუხლი).

51. საკასაციო განაცხადის საფუძვლიანობის შემოწმების მიზნით, პალატა აღნიშნავს, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, ნასყიდობის დარჩენილი საფასურის (25000 აშშ დოლარი) დაბრუნების მოთხოვნა – სსკ-ის 477-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილი [ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება], თანმიმდევრობით განხორციელებული უნდა იყოს მოთხოვნის საფუძვლის განმაპირობებელი შემდეგი წინაპირობები: მყიდველს გადაცემული უნდა ჰქონდეს განსაზღვრული (სადავო) ნივთი საკუთრებაში და უნდა ჰქონდეს ხელშეკრულებით განსაზღვრულ ვადაში გადახდილი გადაცემული ნივთის საფასური. სადავო არაა, რომ გამოსყიდვისათვის დადგენილ ვადაში, ნივთის გამყიდველს ნასყიდობის სა-

განი არ გამოუსყიდია, უფრო მეტიც, თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 06.06.2013წ-ის (საქმე №2/3875-13) კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით, მყიდველის მოთხოვნით, გამყიდველი, როგორც უკანონო მფლობელი, გამოსახლებული იქნა სადავო ბინიდან. აგრეთვე გასათვალისწინებელია, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებით მყიდველი ვალდებული იყო მოსარჩელისათვის ნასყიდობის ფასი სრულად გადაეხადა ხელშეკრულების სანოტარო წესით დადასტურების შემდეგ, ხოლო მოსარჩელე ვალდებული იყო მიეღო ნასყიდობის ფასი და სამი თვე ეცხოვრა ოჯახთან ერთად აღნიშნულ ბინაში. (იხ. წინამდებარე განჩინების პ.1).

52. ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ დაარღვია სსსკ-ის 105-ე მუხლის მე-2 ნაწილის მოთხოვნები, რომლის თანახმადაც, სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს სასამართლო სხდომაზე მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისთვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ. საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ საქმეზე შეკრებილ მტკიცებულებებს არ მიეცა ობიექტური შეფასება, შესაბამისად, საპელაციო სასამართლოს დასკვნები დაუსაბუთებელია, როგორც ფაქტობრივი, ისე სამართლებრივი თვალსაზრისით.

53. სსსკ-ის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა. წინამდებარე განჩინებაში ჩამოყალიბებული დასაბუთების გათვალისწინებით, სააპელაციო პალატამ მტკიცებულებათა ყოველმხრივი, სრული და ობიექტური განხილვის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებები და მხოლოდ ამის შემდეგ განსაზღვროს მოსარჩელის უფლების არსებობის საკითხი.

54. დანარჩენი საკასაციო პრეტენზიები კი, რომლებიც მითითებულია ამ განჩინების პპ: 27-29-ში, საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია შემდეგ გარემოებათა გამო:

55. კასატორის ერთ-ერთი პრეტენზია სარჩელის ხანდაზმულობას შეეხება, რომელიც საკასაციო პალატის მოსაზრებით, დაუსაბუთებელია. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ხელშეკრულებით

ბათა ცალმხრივად და ორმხრივად კლასიფიცირება ხდება იმის მიხედვით, ხელშეკრულების საფუძველზე ვალდებულება ეკისრება ორივე მხარეს, თუ იგი მხოლოდ ერთ-ერთ მათგანს წარმოეშობა. პირველ შემთხვევაში სახეზეა ორმხრივმავალდებულებელი, ხოლო მეორე შემთხვევაში კი – ცალმხრივად მავალდებულებელი ხელშეკრულება. (იხ., დამატებით: ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბ., 1997, 319.) ორმხრივ ხელშეკრულებში თითოეულ მხარეს გააჩნია უფლებებიც და მოვალეობებიც, ე.ი. თითოეული მხარე კრედიტორიცაა და მობალეც.

56. საკასაციო პალატა მიუთითებს, რომ ორმხრივ ხელშეკრულებებში შესასრულებელი ვალდებულებების ობიექტები ერთმანეთთან გარკვეულ ურთიერთკავშირში იმყოფებიან, რამეთუ ასეთი ხელშეკრულებების ეკონომიკური არსი მდგომარეობს მატერიალური სიკეთეების გაცვლაში. სამოქალაქო სამართალში განასხვავებენ ურთიერთკავშირს გამყიდველის შესრულების ნაწილსა (საქონლის გადაცემა) და მყიდველის შესრულების ნაწილს (ფასის გადახდა) შორის, რომელიც შემდეგნაირი შეიძლება იყოს: ა) საქონლის (ქონების) გადაცემა წინ უსწრებს ფასის გადახდას; ბ) ფასის მთლიანად ან ნაწილობრივ (ბე, ავანსი) გადახდა წინ უსწრებს საქონლის (ქონების) გადაცემას. კონტრაჰენტებიდან რომელმა უნდა შეასრულოს პირველმა ვალდებულება, თუ ხელშეკრულებით თანმიმდევრობა გათვალისწინებული არ არის? მიჩნევა, რომ ნასყიდობის ხელშეკრულებაში ჯერ გამყიდველმა უნდა შეასრულოს თავისი ვალდებულება (გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი) და შემდეგ კი მყიდველმა უნდა გადაიხადოს ფასი ქონების გადაცემისთანავე. ასეთი მიდგომა განპირობებული იმით, თუ რა ინტერესია ჩადებული ქონების სამოქალაქო და სავაჭრო ბრუნვაში. ქონება, ფართო გაგებით, ფულისაგან განსხვავებით არ წარმოადგენს გაცვლის საყოველთაო საშუალებას. ქონების რეალიზაციისათვის საჭიროა მყიდველის მოქმენა. გამყიდველი კონკურენციის კანონების ძალით დაინტერესებულია იმით, რომ გაყიდოს თავისი საქონელი, ამიტომაც გამართლებულია, რომ მას დაეკისროს ორმხრივი ვალდებულების შესასრულებლად პირველი ნაბიჯის გადადგმა, ანუ მყიდველისათვის ქონების (საქონლის) გადაცემა.

57. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსკ-ის 369-ე მუხლის თანახმად, იმ პირს, რომელსაც ვალდებულება აკისრია ორმხრივი ხელშეკრულებიდან გამომდინარე, შეუძლია უარი თქვას ვალდებულების შესრულებაზე საპასუხო მოქმედების განხორციელებამდე, გარდა იმ შემთხვევებისა, როცა ვალდებული იყო, თავისი ვალ-

დებულება წინასწარ შეესრულებინა. ეს მუხლი ადგენს შემხვედრი ვალდებულების შესრულების ზოგად წესს. ევროპის სახელშეკრულებო სამართლის პრინციპების 9:201 მუხლი განსაზღვრავს, რომ მხარეს, რომელმაც უნდა შეასრულოს ვალდებულება მეორე მხარესთან ერთდროულად ან მის მიერ ვალდებულების შესრულების შემდეგ, უფლება აქვს შესრულება შეაჩეროს მანამ, სანამ მეორე მხარე არ შეასრულებს თავის ვალდებულებას ან არ შესთავაზებს შესრულებას. საერთაშორისო კომერციული ხელშეკრულებების პრინციპების („უნიდროას“ პრინციპები) 6.1.4 მუხლის პირველი პუნქტი ითვალისწინებს, რომ ორმხრივ ვალდებულებით ურთიერთობებში, იმდენად, რამდენადაც შესაძლებელია მხარეების მიერ ერთდროული შესრულება, მხარეებმა ვალდებულებები უნდა შეასრულონ ერთდროულად, თუკი გარემოებებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს.

58. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ნასყიდობის ხელშეკრულება არის ორმხრივმა ვალდებულებული ხელშეკრულება, რადგან ხელშეკრულების თითოეულ მხარეს (როგორც გამყიდველს, ისე მყიდველს) გააჩნიათ უფლება-მოვალეობები, ანუ ნასყიდობაში ადგილი აქვს მხარეთა შემხვედრი ვალდებულებების არსებობას: გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთისა და ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა და მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდა. ეს ორი ვალდებულება ერთმანეთს განაპირობებს.

59. შესაბამისად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ უძრავ ქონებასთან დაკავშირებული ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე მხარეთა მოთხოვნებთან დაკავშირებით (მყიდველისათვის ნაყიდი ნივთისა და ამ ნივთზე საკუთრების უფლების გადაცემა, ხოლო მყიდველის მიერ შეთანხმებული ფასის გადახდა) ვრცელდება სსკ-ის 129-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე 6 წლიანი ხანდაზმულობის ვადა, რომლის დაწყებისათვის დაცული უნდა იქნეს სსკ-ის 130-ე მუხლით გათვალისწინებული დანაწესები.

60. სარჩელის უზრუნველყოფით გამონვეული ზიანის უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენებასთან დაკავშირებით (იხ. წინამდებარე განჩინების 3-28), საკასაციო პალატა განმარტავს, რომ ზოგადად, სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებამ, მით უმეტეს, თუ ასეთი ღონისძიებით იზღუდება მოპასუხის უფლებამოსილება განკარგოს თავისი ქონება ან ფულადი სახსრები (ყადაღა), შეიძლება მოპასუხეს გარკვეული ზიანი მიაყენოს. სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებით მიყენებული ზარალის (ზიანის) ანაზღაურების უზრუნველყოფა, ემსახურება მოპასუხის ინტერესს და წამოადგენს იმის გარანტიას, რომ იმ შემთხვევაში, თუ

სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება გაუმართლებელი გამოდგა, მოხდება მოპასუხის უფლების შეზღუდვით გამოწვეული ზარალის (ზიანის) ანაზღაურება (ბოელინგი ჰ./ ჭანტურია ლ., სამოქალაქო საქმეებზე სასამართლო გადაწყვეტილებათა მიღების მეთოდის კა, თბ., 2004, 142.).

61. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველის თანახმად, თუ სასამართლო მიიჩნევს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებით მოპასუხეს შეიძლება მიაღვეს ზარალი, მას შეუძლია გამოიყენოს სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება და იმავდროულად მოსთხოვოს პირს, რომელმაც მიმართა სასამართლოს სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ, მეორე მხარისათვის მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფა. უზრუნველყოფის გარანტია სასამართლომ შეიძლება ასევე გამოიყენოს მოწინააღმდეგე მხარის განცხადების საფუძველზე (იხ., სუს 2015 წლის 6 თებერვლის განჩინება №ას-114-107-2015). მაშასადამე, სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულია, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზიანის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა.

62. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლი ითვალისწინებს მოპასუხის ინტერესების დაცვის ორ ერთმანეთთან დაკავშირებულ სამართლებრივ საშუალებას: ა) მოსარჩელის მიერ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მიაღდა მოპასუხეს სარჩელის უზრუნველყოფით. აღნიშნული მოთხოვნის უფლება მოპასუხეს გააჩნია ისეთი ფაქტობრივი გარემოებების არსებობისას, როგორცაა, სასამართლოს მიერ სარჩელის არდაკმაყოფილება (ან ჯერარაღძრული სარჩელის უზრუნველყოფისას, სარჩელის შეუტანლობა სასამართლოს მიერ განსაზღვრულ ვადაში, რის გამოც, უზრუნველყოფის ღონისძიება გაუქმდა) და სარჩელის უზრუნველყოფით მოპასუხისათვის ზიანის მიყენება (რომლის არსებობაც და ოდენობაც უნდა ამტკიცოს მოპასუხემ). (ანალოგიურ დებულებას ითვალისწინებს გერმანიის საპროცესო კოდექსის 945-ე პარაგრაფი(ც). ბ) მოპასუხისათვის მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფა, რაც იმაში გამოიხატება, რომ თუ მოსარჩელე მოითხოვს სარჩელის უზრუნველყოფას, მოპასუხეს შეუძლია მოითხოვოს სარჩელის უზრუნველყოფით მისთვის მოსალოდნელი ზიანის არა ანაზღაურება, არამედ ანაზღაურების უზრუნველყოფა. ასეთ ვითარებას შეიძლება ვუწოდოთ საპასუხო უზრუნველყოფა, რომელიც უნდა განხორციელდეს სსსკ-ის 57-ე მუხლით დადგენილი წესით (ლილუაშვილი თ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი

(მეორე გამოცემა), თბ., 2005, 304). მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენება ემსახურება მოპასუხის უფლებების დაცვას (იხ., საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2017 წლის 1 დეკემბრის გადაწყვეტილება საქმეზე: №2/6/746).

63. საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ სარჩელის უზრუნველყოფის ინსტიტუტით უზრუნველყოფილია მოსარჩელის ინტერესების დაცვა, ხოლო უზრუნველყოფის ღონისძიებების განხორციელებით მიყენებული ზიანის ანაზღაურებით კი – მოპასუხის ინტერესების დაცვა. მართალია, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 199-ე მუხლი ითვალისწინებს სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის ანაზღაურებას, თუმცა ამისათვის სასამართლო უნდა დარწმუნდეს ასეთი ზარალის წარმოშობის რეალურობაში.

64. მოსალოდნელი ზარალის ანაზღაურების უზრუნველყოფის მომთხოვნმა მოპასუხემ უნდა დაასაბუთოს უზრუნველყოფის გარანტიის გამოყენების აუცილებლობა. ამასთან, დასაბუთება უნდა იყოს საფუძვლიანი, დასაბუთებული ვარაუდი გულისხმობს გადაწყვეტილების მიღებას არა მარტოდენ ეჭვის, ან ფორმალური ანალიზის საფუძველზე, არამედ მტკიცებულებებზე დაყრდნობით და ლოგიკურ დასკვნას მოთხოვნის საფუძვლიანობის შესახებ (საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 6 ნოემბრის განჩინება საქმეზე: №ას-929-879-2015). აღსანიშნავია, რომ ანალოგიური მიდგომებია დამკვიდრებული უცხოური კანონმდებლობით და სასამართლო პრაქტიკით (http://www.Justice.gov.uk/courts/procedure-rules/civil/rules/part25/pd_part25q#5.1; *Energy Venture Partners Ltd v Malabu Oil and Gas Ltd* (2014) EWCA Civ 1295 (09 October 2014); <https://www.gesetze-im-internet.de/zpo/>, სექცია 537, 709, 945).

65. მხედველობაშია მისაღები ის გარემოებაც, რომ უზრუნველყოფის გარანტია არ ნიშნავს მოპასუხისათვის სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ავტომატურად ანაზღაურებას, არამედ გულისხმობს მხოლოდ ზიანის ანაზღაურების უზრუნველყოფას. სარჩელის უზრუნველყოფით მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე, მოპასუხემ უნდა მიმართოს სასამართლოს სარჩელით და დაამტკიცოს, როგორც ამგვარი ზიანის მიყენების ფაქტი, ასევე მიყენებული ზიანის ოდენობა (ლილუაშვილი თ.,/ხრუსტალი ვ., საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის კომენტარი, მეორე გამოცემა, თბ., 2007, 355).

66. საკასაციო პალატა დასკვნის სახით მიუთითებს, რომ სსსკ-ის 199-ე მუხლის პირველი ნაწილის დებულება წარმოადგენს მოპასუხის ინტერესების დაცვის მექანიზმს და მიმართულია იმის-

კენ, რომ სარჩელის უზრუნველყოფის უმართებულობის შემთხვევაში, სათანადოდ იყოს უზრუნველყოფილი მოპასუხის უფლებები, რათა მას დაუსაბუთებლად არ მიადგეს სარჩელის უზრუნველყოფის გამოყენებული ღონისძიების შედეგად ზიანი. მოპასუხე კი სსსკ-ის 102-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, ვალდებულია, სათანადოდ დაასაბუთოს მოსალოდნელი ზიანის ანაზღაურების გარანტიის გამოყენების საჭიროება, რაც მოცემულ შემთხვევაში კასატორმა (მოპასუხე) ვერ უზრუნველყო, შესაბამისად, არ უნდა დაკმაყოფილდეს მისი შუამდგომლობა მოსარჩელისათვის (მონინალმდეგე მხარე) სარჩელის უზრუნველყოფით გამოწვეული ზარალის (ზიანის) უზრუნველყოფის შესახებ.

67. მონმის დაკითხვის შუამდგომლობა კი, კასაციის სამართლებრივი ბუნების გათვალისწინებით, სსსკ-ის 404-ე მუხლის საფუძველზე ასევე არ უნდა დაკმაყოფილდეს (იხ. წინამდებარე განჩინების პ.29).

68. სსსკ-ის 53-ე მუხლის მეოთხე ნაწილის თანახმად, თუ საკასაციო სასამართლო დააბრუნებს საქმეს ხელახლა განსახილველად, მთელი სასამართლო ხარჯები, რაც განეულია ამ საქმის განხილვასთან დაკავშირებით, სარჩელის აღძვრიდან დანყებული, უნდა შეჯამდეს და შემდეგ განაწილდეს მხარეთა შორის ამ მუხლის მიხედვით. აღნიშნული ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ მოცემულ საქმეზე გადაწყვეტილების მიღებისას უნდა გადანყვიტოს სასამართლო ხარჯების მხარეთა შორის განაწილების საკითხიც.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 408-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 412-ე მუხლით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. მ. გ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 მაისის განჩინება და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს;
3. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

ფასის შემცირების მოთხოვნა

გადაწყვეტილება საქართველოს სასჯელით

№ას-521-487-2017

10 ნოემბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ა. გ-სა“ (შემდეგში: მოსარჩელე ან შემკვეთი) და შპს „თ. ს-ს“ (შემდეგში: შემსრულებელი, მოპასუხე, აპელანტი ან კასატორი) შორის, 2011 წლის 14 აპრილს, „ადმინისტრაციულ კორპუსში ცენტრალური გათბობისა და კონდიციონერების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების შესახებ“ №AG-33 ხელშეკრულება (შემდეგში: ხელშეკრულება) გაფორმდა, რომლის თანახმად მოპასუხემ მოსარჩელეს იტალიური კომპანია „ფ-ის“ წარმოების გათბობის და კონდიციონერების სისტემა მიანოდა და დაუმონტაჟა. ხელშეკრულების თანახმად, „შემსრულებელი ადასტურებს და იძლევა შემდეგ გარანტიას, რომ მას აქვს სათანადო კვალიფიკაცია, გამოცდილება და შესაძლებლობა, რომ შეასრულოს მის მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები“.

2. შემსრულებელი საქართველოში იტალიური კომპანია „ფ-ის“ ოფიციალური წარმომადგენელია (იხ. ამონარიდი ოფიციალური ვებგვერდიდან).

3. ხელშეკრულების 6.1. ქვეპუნქტის თანახმად (მხარეთა პასუხისმგებლობა), ცენტრალური გათბობის სისტემის დანადგარებზე ვრცელდება „შემსრულებლისა“ და მწარმოებელი კომპანიის 3 (სამი) წლიანი საგარანტიო ვადა. აქედან, პირველი წლის განმავლობაში საგარანტიო მომსახურება უფასოა, ხოლო შემდეგი ორი წლის განმავლობაში საგარანტიო მომსახურების ღირებულება წელიწადში 500 (ხუთასი) ლარია. ხელშეკრულების 6.3. ქვეპუნქტის თანახმად, „შემსრულებელი“ „დამკვეთის“ წინაშე პასუხისმგებელია მის მიერ მიწოდებული ცენტრალური გათბობის სისტემის დანადგარებისა და მასალების ხარისხზე და ხელშეკრულებით გათვალისწინე-

ბულ ვადებში შესრულებაზე. „დამკვეთის“ მიერ დანადგარების, მასალის ან სამუშაოების ნაკლის/დეფექტის აღმოჩენის შემთხვევაში, „შემსრულებელი“ ვალდებულია დაუყოვნებლივ გამოასწოროს ნაკლი/დეფექტი და აანაზღაუროს ამით მიყენებული ზიანი.

4. მოსარჩელის წარმომადგენელმა 2013 წლის 14 მაისს კონდიციონერების სისტემა 12-საათიან მომზადების რეჟიმზე ჩართო, ხოლო 15 მაისის დილას, „ჩილერის“ გაშვების წინ კონტროლერის პანელზე ავარიული სიგნალი აინთო; აღნიშნულის გამო შემკვეთი დაუკავშირდა შემსრულებელს, საიდანაც გაგზავნილნი იქნენ სპეციალისტები.

5. შემკვეთმა 2013 წლის 5 ივნისის №06/319 წერილით ხელშეკრულების საგარანტიო პირობების შესაბამისად, შემსრულებლისაგან მწყობრიდან გამოსული FEROLI S.P.A-ს წარმოების ჩილერის შეკეთება და გათბობისა და კონდიციონერების სისტემის სრულფასოვანი ფუნქციონირების აღდგენა მოითხოვა.

6. მოპასუხემ 2013 წლის 6 ივნისის წერილით დაზიანებული დეტალების საგარანტიო ვადაში შეცვლაზე უარი განაცხადა და განმარტა: „ჩილერის დაზიანება გამოიწვია პულტში წყლის მოხვედრამ. პულტი არის ამ ტიპის ჩილერისათვის მონიტორინგის საშუალება და ასევე მთავარი მაპროცედურებელი დეტალი, ანუ კონტროლერი, ხოლო შიგნით წყლის მოხვედრამ გამოიწვია ჩილერის კომპრესორების შეცდომით გაშვება, რის გამოც მაღალ წნევაზე დაიწნება ფრეონი და გაარღვია თბომცველის გარსი. ამის გამო აორთქლდა ფრეონი და დაიღვარა ზეთი, ხოლო ზეთის დაღვრამ გამოიწვია კომპრესორებში არსებული ელექტრული ველის შემქმნელი ხვიების აალება და ორივე კომპრესორის დაწვა. ჩილერის პულტს წყლისაგან და გარეგანი დაზიანებისაგან იცავს თავსახური. ჩვენ სპეციალისტებს იქ მისვლისას დახვდათ შემდეგი სურათი: რატომღაც თავსახური იყო მოხსნილი და პულტიც არ იყო თავის ადგილას“. ამავე წერილში მითითებულია, რომ რეალურად ჩილერის დაზიანება გამოიწვია, აგრეგატის მუშაობაზე პასუხისმგებელი პირის დაუდევრობამ, კერძოდ, იმ გარემოებამ, რომ მან არამიზნობრივად მოხსნა დამცავი ხუფი.

7. სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს 25.06.2013წ. ექსპერტიზის დასკვნის თანახმად, შემკვეთის ადმინისტრაციული შენობის სახურავზე დამონტაჟებული იტალიური კომპანია „FEROLI“-ის მიერ (მოდელი RGA VBM 50-200) წარმოებული ე.წ. ჩილერის დაზიანების ზუსტი მიზეზის განსაზღვრა არსებული მდგომარეობით შეუძლებელია.

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. მოსარჩელემ 2013 წლის 26 აგვისტოს სარჩელი აღძრა მოპა-

სუხის წინააღმდეგ გათბობისა და კონდიციონერების სისტემის აღდგენისათვის საჭირო ხარჯების 10 373,36 ევროსა (ნაწილების შექენისთვის) და 6 268,16 ლარის (სარემონტო სამუშაოებისათვის) ანაზღაურების მოთხოვნით.

8.2. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნა ამ გადაწყვეტილების 1-5 პუნქტებში დასახელებულ გარემოებებს დააფუძნა და დამატებით განმარტა, რომ მოპასუხე კომპანიის სპეციალისტებმა მოსარჩელე კომპანიაში ვიზიტის დროს „ჩილერი“ დაშალეს, მისი პირვანდელი სახე დაარღვიეს, რის გამოც კომპეტენტური საექსპერტო დანესებულების მიერაც შეუძლებელია დადგინდეს აგრეგატის დაზიანების ზუსტი მიზეზი.

9. მოპასუხის შესაგებელი

9.1. მოპასუხემ მის მიერ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო, მიუთითა ხელშეკრულებაზე და აღნიშნა, რომ დამკვეთის მიერ (სამწლიანი გარანტიის პერიოდში) დაცული უნდა ყოფილიყო საგარანტიო პირობები. ასევე საგარანტიო მომსახურების თანხის გადახდის ვალდებულება, მოპასუხის მტკიცებით, მოსარჩელემ სარჩელის შეტანის წინ შეასრულა.

9.2. მოპასუხის განმარტებით, მისთვის უცნობია რეალურად აინთო თუ არა საავარიო სიგნალი, რადგან დანადგარის კარები მათი ადგილზე მისვლისას უკვე ღია და მექანიკური ჩარევის შედეგად დაზიანებული იყო. კომპანია „ფ-ის“ დანადგარის მოხმარების ინსტრუქციის/სახელმძღვანელოს, რომელიც თან ახლავს დანადგარს, თანახმად დანადგარის „არარეგულარული“ ექსპლუატაცია დაიშვება მხოლოდ კვალიფიციური პერსონალის (რომელიც მხოლოდ მოპასუხე კომპანიას ჰყავს) მიერ, ყოველგვარი პრობლემის აღმოჩენისთანავე გამოძახებულ უნდა იქნას კვალიფიციური პერსონალი. მოპასუხის მითითებით არასანქცირებული ჩარევა აუქმებს გარანტიას.

9.3. მოპასუხე იმ ფაქტზეც უთითებს, რომ გარდა მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის არარსებობისა, მოსარჩელეს ხარჯები ფაქტობრივად ვერ არ გაუნევია და, შესაბამისად, ვერც მოითხოვს მათ ანაზღაურებას. მოსარჩელე ზიანის მიყენების ფაქტს ვერ ადასტურებს. ამასთან, ვერც ზიანსა და მოპასუხის ქმედებებს შორის მიზეზობრივ კავშირს ადასტურებს.

10. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება და დასკვნები

10.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილებით მოსარჩელეს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარი ეთქვა, სხდომაზე მისი გამოუცხადებლობის გამო.

10.2. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ნოემბრის საოქმო განჩინებით, მოსარჩელის მიერ შემოტანილი საჩივრის საფუძველზე, გაუქმდა 2014 წლის 22 სექტემბრის დაუსწრებელი გადაწყვეტილება და საქმის წარმოება განახლდა.

10.3. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი დაკმაყოფილდა და მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ 10 373,36 ევროს ეკვივალენტი ლარისა და 6 268,16 ლარის გადახდა დაეკისრა.

10.4. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 316-ე, 317-ე, 361-ე, 394-ე, 477-ე, 487-ე-488-ე, 629-ე, 639-ე, 641-ე და 653-ე მუხლებით იხელმძღვანელა.

11. მოპასუხის სააპელაციო საჩივრის საფუძველები

11.1. თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 12 ნოემბრის საოქმო განჩინება და 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, აღნიშნული საოქმო განჩინებისა და გადაწყვეტილების გაუქმება, ახალი გადაწყვეტილების მიღებით კი სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინებით, მოპასუხის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ ამ გადაწყვეტილების 1-7 პუნქტებში ასახული გარემოებები დადგენილად მიიჩნია და განმარტა, რომ აპელანტის მითითება საგარანტიო მომსახურების თანხის გადაუხდელობის შესახებ, არ წარმოადგენს მხარეთა შორის შეთანხმებულ გარანტიაზე უარის თქმის საფუძველს, ვინაიდან, როგორც ხელშეკრულების შინაარსი ცხადყოფს, საგარანტიო მომსახურების საფასურის გადახდის ზუსტი თარიღი მხარეებს ხელშეკრულებით არ განუსაზღვრავთ; ამდენად, აპელანტის პრეტენზია იმის შესახებ, რომ საგარანტიო მომსახურების ღირებულების ანაზღაურება, მხოლოდ სარჩელის შეტანის მომენტში განხორციელდა, არ წარმოადგენს სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის საფუძველს და შესაბამისად, მოკლებულია დასაბუთებას. აღნიშნულის გათვალისწინებით, სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს ის დასკვნა, რომ მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის მიერ გადახდილია საგარანტიო

მომსახურების ღირებულება, ხოლო თუ როდის გადაიხადა აღნიშნული თანხა, მნიშვნელობის მქონე არ არის, ვინაიდან, როგორც აღინიშნა, მხარეთა მიერ მომსახურების საფასურის გადახდის ზუსტი თარიღი განსაზღვრული არ ყოფილა.

12.3. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ საქმის მასალებში არ არსებობს დოკუმენტი, რომელშიც ასახული იქნებოდა სპეციალური ცოდნის მქონე პირის შეფასება იმის შესახებ, თუ რამ გამოიწვია ხელშეკრულებით გათვალისწინებული დანადგარის (კომპანია „FEROLI“-ის მიერ წარმოებული ე.წ. „ჩილერის“) დაზიანება; რაც შეეხება, თავად აპელანტი კომპანიის სპეციალისტების შეფასებას, რომელსაც მხარე ეყრდნობა, სააპელაციო სასამართლომ მიუთითა, რომ აღნიშნული მოსაზრება მოპასუხე მხარის წარმომადგენლებს ეკუთვნით და, შესაბამისად, ის არ შეიძლება შეფასებული და განხილულ იქნას დავის მიმართ ნეიტრალური და საბოლოო შედეგით დაუინტერესებელი პირის პოზიციად (უფრო მეტად, ვიდრე თავად მხარის ახსნა-განმარტება) და, აქედან გამომდინარე, მხოლოდ მასზე დაყრდნობით დავა ვერ გადამწყდება.

12.4. სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდეგში: სსსკ) 105-ე მუხლზე მითითებით პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებებზე გაამახვილა ყურადღება:

12.4.1. მოწმე თ. დ-მა (მოსარჩელე კომპანიის მთავარი ენერგეტიკოსი) აღნიშნა, რომ როცა მოხდა დანადგარების გაშვება—გადაბარება, ხშირად უწევდათ მოპასუხე კომპანიის სპეციალისტების დაბარება, რადგან თავად ტექ. დოკუმენტაცია არ ჰქონდათ. მისივე განცხადებით, მოპასუხის წარმომადგენლებისაგან იღებდნენ მითითებებს მონეობილობის მუშაობასთან დაკავშირებით, თუ შესაძლებელი იყო სატელეფონო კომუნიკაციით აგვარებდნენ საკითხებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სანარმოს წარმომადგენლები მიდიოდნენ ადგილზე. 2013 წელს დანადგარი მომზადდა ზეპირი ინსტრუქციით, აღმოჩნდა, რომ მართვის პულტზე იყო ავარიული სიტუაცია, რის გამოც დაუკავშირდნენ მოპასუხის წარმომადგენლებს. შეცდომის კოდის საფუძველზე შემოწმდა სხვადასხვა პარამეტრები, შემდეგ თავად მივიდნენ მოპასუხე კომპანიის წარმომადგენლები და შეამოწმეს მცველები, მოხსნეს თბოიზოლაცია და განაცხადეს, რომ კომპრესორი იყო დაზიანებული; დაახლოებით ანალოგიურად აღწერს მოწმე 2012 წლის ავარიულ სიტუაციასაც; სადავო შემთხვევის თაობაზე მოწმე განმარტავს, რომ მას წყლის კვალი არ უნახავს და მოქმედებდნენ იმგვარად, როგორ კონსულტაციასაც მოპასუხე კომპანიის მომსახურე პერსონალი უწევ-

დათ (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2014წ. სხდომის ოქმი 14.24.30-14.46.00).

12.4.2. მოწმე ვ. შ-მა მიუთითა, რომ ტექნიკური დოკუმენტაცია არ ჰქონდათ და შემსრულებლის თანამშრომლების კონსულტაციით მუშაობდნენ; მისი განცხადებით, მომსახურებას უწევდათ მოპასუხის თანამშრომელი – ი. ჩ-ი (საქმის განხილვის დროისათვის იგი გარდაცვლილია); ამ უკანასკნელმა 2013 წლის 14 მაისს ტექ. სამსახურს მისცა დავალება სისტემის მომზადების შესახებ, „ჩილერი“ გადავიდა მომზადების რეჟიმში, თუმცა 15 მაისს აღმოჩნდა რომ ავარიული რეაქცია გამოვლინდა. მოწმის განმარტებით, ი. ჩ-ისაგან მიიღეს რჩევა, შესრულდა გარკვეული მოქმედებები და აღმოჩნდა, რომ დამწვარი იყო მცველები. მეორე დღეს მოვიდნენ შემსრულებლის წარმომადგენლები, ასევე – ი. ჩ-ი და შეამოწმეს „ჩილერი“; მათ თქვეს, რომ მართვის პულტი დასველებული იყო და კომპრესორი მწყობრიდან გამოვიდა (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2014წ. სხდომის ოქმი 14.47.43-14:59.57სთ).

12.4.3. სასამართლოს იგივე შინაარსის ჩვენება მისცა მოწმე ლ. ს-მა (შემკვეთის მთავარი ინჟინერი) (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2014წ. სხდომის ოქმი 15.02.43-15.08.20სთ).

12.4.4. რაც შეეხება მოპასუხე მხარის მოწმეთა ჩვენებებს,

12.4.5. ზ. ა-ის ჩვენებით, მას დაურეკა თანამშრომელმა – ი. ჩ-მა და უთხრა, რომ უნდა წასულიყო „ს-ში“, სადაც დაზიანებული იყო „ჩილერი“ და უნდა დაედგინა დაზიანების მიზეზი; ასევე უთხრა, რომ მისვლისას მას ადგილზე არ დახვდა პულტი; მოწმე მიუთითებს, რომ ი. ჩ-ის განმარტებით (რომელიც, როგორც აღინიშნა, ჩვენების მიცემის დროისათვის გარდაცვლილია) დამცავი ხუფი მოხსნილი იყო, დაზიანებული იყო „ჩილერი“, ასევე კარი დახვდა ღია. მოწმის მითითებით, ასეთივე მდგომარეობა დახვდა მას თავად, როდესაც გამოცხადდა ადგილზე, დანადგარის შესამოწმებლად. ზ. ა-ის განმარტებით, ამ აგრეგატში წყალი ვერ მოხვდებოდა, თუკი ღია არ იქნებოდა კარი, ამის გარეშე კი, დაზიანება არ მოხდებოდა. იგი მიუთითებს, რომ როდესაც გამოცხადდა ადგილზე, დანადგარს მოხსნა გვერდითა ხუფი და ნახა რამდენიმე დეტალი, რომელიც იყო დაზიანებული. დანადგარში ჩასული იყო წყალი; ეს კი მხოლოდ წვიმის დროს შეიძლება მომხდარიყო დანადგარში, რაზედაც მოწმემ გამოთქვა ვარაუდი, რომ ამის შესახებ გაფრთხილებული იქნებოდნენ მოსარჩელე კომპანიის შესაბამისი პირები (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2014წ. სხდომის ოქმი 15.11.00-15.31.20სთ).

12.4.6. მოწმე თ. ლ-ზემ (საქმეთა მწარმოებელი მოპასუხე კომპანიაში) მიუთითა, რომ როცა მივიდა ადგილზე, სადაც „ჩილერი“ დგას, კარები არ იყო და მართვის პულტი ადგილზე არ იყო, იგი ჩავარდნილი იყო უკანა მხარეს (თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 19.03.2014წ. სხდომის ოქმი 15.36.03-15.42.00 სთ).

12.5. სააპელაციო სასამართლომ სსსკ-ის მე-4, 102-ე მუხლებზე მითითებით დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტმა ვერ დაადასტურა სადავო გარემოება იმის შესახებ, რომ დანადგარის დაზიანება გამოიწვია მის მუშაობაში მოსარჩელის წარმომადგენლების ჩარევამ. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში დაკითხული მოწმეების ჩვენებების ერთობლივად შეფასებით, ცალსახად არ დასტურდებოდა მოპასუხის სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოება იმის შესახებ, რომ შემკვეთის (მოსარჩელის) წარმომადგენლები დანადგარის მუშაობაში თვითნებურად ჩაერივნენ, რამაც შედეგად მისი დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა გამოიწვია.

12.6. სააპელაციო სასამართლომ, საქალაქო სასამართლოში გამოტანილი დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების თაობაზე აპელანტის პრეტენზიასთან დაკავშირებით, გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს შეფასება და მიიჩნია, რომ არ არსებობდა მოცემულ შემთხვევაში პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ საქმეზე დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღების წინაპირობები; შესაბამისად, სააპელაციო სასამართლომ, გასაჩივრებული განჩინების სსსკ-ის 377-ე მუხლის ფარგლებში შემომწმების შედეგად დაასკვნა, რომ არ არსებობდა გადაწყვეტილების წინმსწრები, პირველი ინსტანციის სასამართლოს 12.11.2014წ. საოქმო განჩინების გაუქმების საფუძველი, რამდენადაც პირველი ინსტანციის სასამართლოს ზემოხსენებული განჩინება, ფაქტობრივ-სამართლებრივი თვალსაზრისით, დასაბუთებულია, კანონიერია და სააპელაციო საჩივარში მითითებული გარემოებები არ ქმნის სსსკ-ის 393-ე და 394-ე მუხლებით გათვალისწინებულ განჩინებების გაუქმების პროცესუალურ-სამართლებრივ საფუძველებს.

12.7. სააპელაციო სასამართლომ, სსკ-ის 316.1, 317-ე, 327-ე, 477-ე, 487-ე, 488-ე, 629-ე, 653-ე, 641-ე, 361.1, 394-ე, 643-ე მუხლებზე დაყრდნობით დადგენილად მიიჩნია, რომ განსახილველ შემთხვევაში, პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორად მიიჩნია, რომ მხარეებს შორის 2011 წლის 14 აპრილს გაფორმებული ხელშეკრულება შერეული ხელშეკრულებაა და იგი როგორც ნასყიდობის, ისე ნარდობის ხელშეკრულების ელემენტებს მოიცავს. დადგენილია, რომ ნიეთი დაზიანდა საგარანტიო ვადის განმავლო-

ბაში და მისი გამოყენება ჩვეულებრივი სარგებლობისათვის შეუძლებელი გახდა, ხოლო მოპასუხემ ვერ დაადასტურა, რომ სისტემის დაზიანება მოსარჩელის ბრალით იყო გამოწვეული.

13. საკასაციო საჩივრის საფუძვლები

13.1. აპელანტმა საკასაციო წესით გაასაჩივრა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება მისი გაუქმებისა და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

13.2. კასატორმა აღნიშნა, თუკი სასამართლომ ვერ დაადგინა ვისი ბრალით იყო გამოწვეული დაზიანება და მიზეზობრივი კავშირი მოპასუხის ქმედებასა და ზიანს შორის, მაშინ, გაუგებარი იყო, რა პრინციპით, რომელ სამართლებრივ ნორმაზე დაყრდნობით დააკმაყოფილა სარჩელი. კასატორის მტკიცებით, მოსამართლემ დაარღვია შეჯიბრებითობის, კანონიერების, მხარეთა თანასწორობის პრინციპები და სსსკ-ის 105-ე მუხლით მასზე დაკისრებული ვალდებულებები, არც ერთი მტკიცებულება არ შეაფასა, არ დაასაბუთა, თუ რატომ გაიზიარა ან არ გაიზიარა თითოეული მათგანი, შესაბამისად, აბსოლუტურად დაუსაბუთებელი გადაწყვეტილება მიიღო.

13.3. კასატორმა საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 19 მარტს დაკითხულ მოწმეთა ჩვენებებზე გაამახვილა ყურადღება:

13.3.1. მოწმე თ. დ. – მოსარჩელე კომპანიის მთავარი ინჟინერ/ენერგეტიკოსი განმარტავს, რომ სხდომის თარიღისათვის გარდაცვლილი ი. ჩ. (მოპასუხე კომპანიის სპეციალისტი) მას და მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს ყველა დანადგარზე და მათ შორის „ჩილერზე“ ზეპირ ინსტრუქციებს აძლევდა, ჩაუტარა არაერთი ინსტრუქცია და ასევე ტელეფონით უწევდა ხოლმე კონსულტაციებს, ხოლო მოწმე და მის დაქვემდებარებაში მყოფი პირები ამ ინსტრუქციებს წერილობით ინიშნავდნენ (14:20-15:53 წთ.). სეზონის ცვლილებასთან დაკავშირებით მოსარჩელე კომპანიამ ჩართო დანადგარი და მეორე დღისათვის მოამზადა, მეორე დღეს მოპასუხის თანამშრომელმა „ტაბლოზე“ ნახა ავარიული სიგნალი, 2012 წელსაც ანალოგიური ფაქტი მოხდა ზამთარ-ზაფხულის სეზონის ცვლილებებისას და მაშინაც შემსრულებლის წარმომადგენლები მეორე დღეს მივიდნენ კომპანიაში, გააკეთეს დანადგარი და სისტემა გაეშვა (16:02-17:44 წთ.). ანალოგიური სიტუაცია იყო 2013 წელსაც, ი. ჩ.-ს დაურეკეს, რომელმაც მოპასუხე კომპანიის თანამშრომლებს უთხრა, რომ ეკარნახათ შეცდომის კოდი (18:25-18:37 წთ.); მოწმის განმარტებით, მოპასუხის თანამშრომლებმა იცოდნენ, რომ ი. მალე მივიდოდა, ამიტომ აღარ დაუხურავთ „ჩილერის“ პანელის

დამცავი კარი, მოსარჩელის თანამშრომლებმა თვითონვე ნახეს, რომ კომპრესორი შიგნით დამწვარი იყო. მოსარჩელე კომპანიის თანამშრომლებმა თავად მოხსნეს დამცავი კარი (18:47-19:11; 20:00-20:19 წთ.); კასატორს მიაჩნია, რომ აღნიშნული მოწმისა და თავად მოსარჩელის მიერ წარდგენილი სხვა მოწმეების ჩვენებები ცალსახად მოწმობს, რომ მოსარჩელის თანამშრომლები თვითნებურად ჩაერივნენ დანადგარის მუშაობაში, რადგან დარწმუნებულნი იყვნენ, რომ 2013 წელსაც 2012 წლის დაზიანების ანალოგიური პრობლემა იყო; ამასვე ადასტურებს მოსარჩელის თანამშრომლის განმარტება, რომ თუ არ გახსნიდა კარს, ისე ვერ ნახავდა, რა სახის დაზიანება იყო (25:24 წთ.) და ადვოკატის კითხვაზე, თუ ვინ უთხრა, გაეხსნა კარი – მოსარჩელის თანამშრომელი კვლავ პასუხობს, რომ ისე ვერ ნახავდა, რა დაზიანება იყო (26:03 წთ.). მოსარჩელის თანამშრომელთა ჩვენებებიდან ჩანს, რომ მათ თვითონვე ჩათვალეს თავი კომპეტენტურად, დაედგინათ და აღმოეფხვრათ დაზიანება, რაც ნასყიდობის საგნის საგარანტიო პირობებს პირდაპირ ეწინააღმდეგება. მოწმე თ. დ-ის განცხადებით, მისმა თანამშრომლებმაც შეამჩნიეს სისველე დანადგარის შიგნით (23:13 წთ.); როდესაც ი. ჩ. მივიდა მოსარჩელე კომპანიაში, მაშინვე აღნიშნა, რომ თვითგაშვების გამო კომპრესორი დასველდა (23:45 წთ.). მოწმე თ. დ-მა დაადასტურა, რომ ი. ჩ-ს გაფრთხილებული ჰყავდა მოსარჩელე, რომ პრობლემის წარმოშობის შემთხვევაში, დაკავშირებოდა მოპასუხეს და თვითნებურად არ ემოქმედა (27:40 წთ.) და ის დაფა, რომელზეც შეცდომის კოდი ჩანს, კარების მოუხსნელადაც ჩანს (29:15 წთ.);

13.3.2. „ფ-ის“ (დანადგარის მწარმოებლის) მიერ სერტიფიცირებულიმა სპეციალისტმა – მოწმე ზ. ა-მა სასამართლოს თავის ჩვენებაში განუმარტა, რომ იმ კითხვებზე პასუხის გასაცემად, რომელიც, თითქოსდა, ი. ჩ-მა თ. დ-ს დაუსვა (და დაუსვა თუ არა მართლა ეს კითხვები ამაზე ი. ჩ-ის განმარტების მიღება ამჯერად უკვე შეუძლებელია), დანადგარის დამცავი შიდა კარების გახსნა და მითუმეტეს ე.წ პანელისა და „დედა პლატის“ გამოღება არ იყო საჭირო, რაც მოსარჩელის თანამშრომლებმა თვითნებურად გააკეთეს;

13.3.3. მოწმე ვ. შ., რომელიც ასევე მოსარჩელე კომპანიის თანამშრომელია, ადასტურებს, რომ 2013 წლის 14 მაისს მისი დავალებით „ჩილერი“ შეივსო წყლით და გაეშვა, 15-ში კი პრობლემა ნახეს (37:46 წთ.), მეორე დღეს კიდევ ერთ კაცთან ერთად ჩავიდა (39:14 წთ.). მოწმე აქვე ადასტურებს, რომ კარი თუ დაკეტილია გარედან წყალი და ქარი დანადგარს ვერ დააზიანებს (40:00 წთ.); შემდეგ კი განაგრძობს, „ჩილერის“ კარი იყო გახსნილი და ასე დავეტოვეთ, რადგან ამისი დაშლა-ანყოფა არ არის ორწუთიანი საქმე (44:58

ნთ.). მოპასუხის კითხვაზე – როდესაც აცხადებთ, თითქოს ი. ჩ-მა გითხრა, კარი მოხსენითო, თქვენ თვითონ ესაუბრეთ მას თუ სხვა? მონმე პასუხობს, რომ პირადად არ უსაუბრია ი-თან და ამ უკანასკნელს თ. დ. ესაუბრა (44:58 ნთ.) თავის მხრივ, თ. დ. არ ამბობს, რომ ი-მ კარის გაღება მოსთხოვა; მონმე ლ. ს. კი ადასტურებს, რომ ი-მ მათ უთხრა, დანადგარს ხელი არ ახლოთო (სხდომის ოქმი ჩანაწერის ვერსია – 019). მონმე ლ. ს-ც, სხვა მონმეთა მსგავსად, ადასტურებს, რომ მათ შემსრულებელი კომპანიის წარმომადგენლები ყოველთვის უწევდნენ კონსულტაციებს (01:39 ნთ.). მონმე ასევე, ადასტურებს, რომ მათ გახსნეს ორივე დამცავი კარი და ნახეს მცველები;

13.3.4. მონმე ი. ჩ., სასამართლოში მონმეთა გამოძახების მომენტში გარდაცვლილი იყო, თუმცა საქმეში არსებობს მისი წერილობითი ახსნა-განმარტება. მოპასუხის წარმომადგენელმა ზ. ა-მა დაადასტურა, რომ ი. ჩ-მა მას უთხრა, ქარხანაში მისვლისას დამცავი კარი ღია დახვდა, პულტი დასველებული იყო და თავის ადგილზე არ იყო დამაგრებული (10:16 ნთ.). ზ. ა-მა სასამართლოს ასევე განუმარტა, რომ სეზონის ცვლილებისას ძრავები უნდა შემოწმდეს და ჩართვისას, როგორც წესი, დანადგარი აგდებს სიგნალს. მონმემ ასევე განმარტა, რომ იმისთვის, რომ ყოველთვის მოპასუხის გამოძახება აღარ იყოს საჭირო, მომხმარებელმა თავის პერსონალს უნდა ჩაუტაროს სასწავლო კურსი და მხოლოდ სერტიფიცირებულ პერსონალს შეეძლება, უზრუნველყოს დანადგარის ექსპლუატაცია (11:43 ნთ.). მოსამართლის კითხვაზე ა-სადმი – იყო თუ არა საჭირო კარის მოხსნა, რათა შემოწმებულიყო ის პარამეტრები, რომელზეც პასუხის გაცემა, თითქოსდა, ი. ჩ-მა ადგილზე მისვლამდე სთხოვა მოსარჩელის წარმომადგენლებს – ზ. ა-მა უპასუხა, რომ არ იყო საჭირო კარის მოხსნა, მით უმეტეს, – პულტის მოცემულ შემთხვევაში მოპასუხის წარმომადგენლებს პულტი მოხსნილი დახვდათ (14:03 ნთ.), ე.წ. „დედა პლატა“ სველი, ხოლო კარი ღია იყო (15:03 ნთ.). ზ. ა., რომელიც კარის გახსნიდან და პულტის ადგილიდან გამოღებიდან (რაც ასევე მოსარჩელის თანამშრომლებმაც დაადასტურეს) მეორე დღეს ჩავიდა კომპანიაში და დაადასტურა, რომ ამ დღეს ნაწვიმარი იყო, სველი იყო ყველაფერი (16-ში არ წვიმდა, მაგრამ სველი იყო) (17:23 ნთ.), ე.ი. ლოგიკურია, რომ წინა დღეს წვიმდა. მონმე ა-ლი ადასტურებს, რომ დამცავი კარის მოხსნა გამოიწვევდა წყლის შესვლას, მცველების ნახვა პულტის მოხსნის გარეშეც შესაძლებელია, პულტი მოხსნილი იყო, „დედა პლატას“ თბილისში სულ სამი კაცი თუ შეამოწმებს, შესაბამისად, ი. ჩ. არც ერთ შემთხვევაში არ დაავალბდა მოსარჩელის თანამშრომლებს მის შემოწმებას (19:47-21:31 ნთ.). მონმე ზ. ა-მა ასე-

ვე განმარტა, რომ ყველა „ჩილერის“ კარში დევს მოხმარების ინსტრუქცია. როგორც წერილობით დასკვნაში, ისე მოწმედ დაკითხვისას ზ. ა., რომელიც არის სპეციალისტი, სასამართლოს დეტალურად განუმარტავს დაზიანების წარმოქმნის მექანიზმს. საქმეში არსებული ექსპერტიზის დასკვნაც სწორედ იმ დაზიანების არსებობაზე მიუთითებს, რაც სპეციალისტებმა განმარტეს. შესაბამისად მტკიცებულებათა ერთობლიობით დგინდება დაზიანების არსიც, მისი წარმოქმნის მექანიზმიცა და ბრალეული მხარეც – მოსარჩელე კომპანიის თანამშრომლები, რომლებმაც თვითნებურად გადაწყვიტეს პრობლემაში გარკვევა, რადგან უსაფუძვლოდ იმედოვნებდნენ, რომ თავად ჰქონდათ საამისოდ საკმარისი კომპეტენცია და, რადგანაც სეზონის ცვლილებისას, „ჩილერის“ გაშვების დროს, სიგნალის ამოვარდნა 2012 წელსაც მოხდა. მოსარჩელის თანამშრომლები თავის თავში ზედმეტად იყვნენ დარწმუნებულნი. სავარაუდოდ, პრობლემის დროულად გადაჭრის სურვილის გამო, არასწორად და საგარანტიო პირობების საპირისპიროდ იმოქმედეს;

13.3.5. მოწმე თ. დ-ის განმეორებით დაკითხვისას, მან დაადასტურა ე.წ. „დედა პლათის“ მის მიერვე გამოღების ფაქტი: „გამოვიღეთ ისა და შევამოწმეთ წყალი ხომ არ იყო“ (30:58 წთ);

13.3.6. პულმიტი გამოღებული და კარი რომ ღია დახვდათ ამას მოპასუხის კიდევ ერთი წარმომადგენელი – თ. ლ-ზეც ადასტურებს.

13.4. კასატორის განმარტებით, სასამართლო თავისი გადაწყვეტილებით მტკიცების ტვირთის გადანაწილებას კი არ ახდენს, არამედ მტკიცების მთელ ტვირთს მოპასუხე მხარეს აკისრებს და არსებულ მტკიცებულებებს სუბიექტურად აფასებს. მიუხედავად მტკიცებულებების არარსებობისა, და პირიქით, საპირისპირო მტკიცებულებებისა, მოსამართლემ არ გამოიყენა სსსკ-ის 102-ე მუხლი და დააკმაყოფილა მოსარჩელის მოთხოვნა.

13.5. რაც შეეხება საქალაქო და სააპელაციო სასამართლოების მიერ ნასყიდობისა და ნარდობის ხელშეკრულებების მარეგულირებელი ნორმების გამოყენებას, კასატორის მოსაზრებით, სამუშაოების უნაკლოდ შესრულებასა და უნაკლო ნივთების მიწოდებას ადასტურებს მხარეთა შორის გაფორმებული მიღება-ჩაბარების აქტები. არც ერთი მხარე არ ამბობს, რომ შემკვეთს გადაეცა ან ნაკლიანი მომსახურება (ნარდობის ნაწილი) ან ნაკლიანი ნივთი (ნასყიდობის ნაწილი), პირიქით, საქმეში დევს მტკიცებულებები, რომლებიც ადასტურებენ, რომ მოპასუხემ ორივე კომპონენტში ვალდებულებები პირნათლად შეასრულა. მხარეთა შორის სადავოა კონკრეტული საკითხი – ვვალდებული ვართ არა გარკვეული გარემოებების არსებობისას მოპასუხეს საგარანტიო მომსახურება.

13.6. კასატორი მიიჩნევს, რომ არც ერთი მტკიცებულებით არ დგინდება მიზეზობრივი კავშირი ზიანსა და მოპასუხის ქმედებებს შორის, რაც ზიანის მოთხოვნის თუ დაკისრებისას, როგორც კანონით, ისე სასამართლო პრაქტიკით, აუცილებელი წინაპირობაა.

13.7. კასატორი სადავოდ ხდის საქალაქო სასამართლოს მიერ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის განხილვის განახლების შესახებ განჩინების კანონიერებას. დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად განჩინებაში მითითებული სსსკ-ის 233-ე მუხლით გათვალისწინებული გარემოებები არ არსებობდა წინამდებარე საქმეში. ფაქტობრივი გარემოებები მოწმობენ და არც მხარეს გაუხდია სადავოდ, რომ უწყება კომპანიისათვის და მისი უფლებამოსილი წარმომადგენლისათვის ჩაბარებული იყო კანონის დაცვით. ის გარემოება, რომ კომპანიამ წარმომადგენელი გაათავისუფლა (რისი მტკიცებულებაც არ ყოფილა წარდგენილი), საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, სხდომის გადადების საპატიო მიზეზადაც კი არ ითვლება, არათუ დაუსწრებელი გადაწყვეტილების გაუქმების საფუძვლად და სხდომაზე მხარის გამოუცხადებლობის საპატიო მიზეზად.

14. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

14.1. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 10 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი წარმოებაში მიიღო სსსკ-ის 391-ე მუხლის მიხედვით დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

14.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 14 ივლისის განჩინებით მოპასუხის საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

15. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს

მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

16. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობდა მხარეთა შორის და რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა. მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია სსკ-ის 492-ე მუხლი /თუ მყიდველი არ ითხოვს ნივთის ნაკლის გამოსწორებას ან ახლით მის შეცვლას გამყიდველისათვის საამისოდ მიცემული ვადის გასვლის შემდეგ და არც ხელშეკრულების მოშლას, მას შეუძლია მოითხოვოს ფასის შემცირება იმ ოდენობით, რაც საჭიროა ნაკლის გამოსასწორებლად. მხედველობაში მიიღება ხელშეკრულების დადების მომენტისათვის არსებული ფასი/, რაც შესაბამისი წინაპირობების არსებობის შემთხვევაში მოითხოვს. მხარეთა შორის სადავო არ არის, რომ შემკვეთს ხელშეკრულებით შეთანხმებული ნივთი გადაეცა და შესაბამისი მომსახურება გაენია. მხარეთა შეთანხმებით დადგენილ სამწლიან, საგარანტიო ვადაში „ჩილერი“ მწყობრიდან გამოვიდა, რასაც კასატორი სადავოდ არ ხდის. კასატორი აკრიტიკებს ქვემდგომი სასამართლოების შეფასებებსა და დასკვნებს მოპასუხის მხრიდან საგარანტიო პირობების დარღვევასთან დაკავშირებით.

17. საკასაციო სასამართლო სრულად იზიარებს კასატორის, ამ გადაწყვეტილების 13.2-13.7 ქეპუნქტებში ასახულ, პრეტენზიებს და მიიჩნევს, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა მოპასუხეს იმაზე მეტი მტკიცების ტვირთი დააკისრეს, ვიდრე მას ევალებოდა. კასატორის ძირითადი პრეტენზია შეეხება იმას, რომ სააპელაციო სასამართლომ არასრულად და არასწორად შეაფასა საქმეზე დაკითხულ მოწმეთა ჩვენებები. თითოეული მხარის პოზიცია მოწმეთა ჩვენებებს ეფუძნებოდა, მოსარჩელეს არ წარუდგენია იმის დამადასტურებელი მტკიცებულება, რომ შემსრულებელმა საგარანტიო პირობები დაარღვია. საქმეში წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნით ვერ დგინდება დაზიანებაზე პასუხისმგებელი პირის ვინაობა. სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილება, მხარეთა განმარტებებთან ერთად, მოწმეთა ჩვენებების ერთობლივად გაანალიზებისა და შეჯერების საფუძველზე მიიღო.

18. საკასაციო სასამართლო საქალაქო სასამართლოში 2014 წლის 19 მარტის სხდომაზე დაკითხული მოწმეების ჩვენებების საფუძველზე დადგენილად მიიჩნევს, რომ როგორც მოპასუხის, ასევე მოსარჩელის მიერ წარდგენილმა მოწმეებმა დაადასტურეს, რომ მოპასუხის წარმომადგენლების ადგილზე გამოცხადებამდე მოსარჩელის თანამშრომლებმა გარკვეული მოქმედებები განახორციელეს.

18.1. მოწმე თ. დ., რომელიც შემკვეთი კომპანიის მთავარი ინჟინერ/მექანიკოსია, თავის ჩვენებაში განმარტავს, რომ მოსარჩელე კომპანიაში ხშირად იბარებდნენ ხოლმე შემსრულებელს (მენარდეს), რადგან შემკვეთს ტექნიკური დოკუმენტაცია არ ჰქონდა და დღემდე არ აქვს; შემსრულებლის თანამშრომლები დანადგარის მუშაობასთან დაკავშირებით ზეპირ განმარტებებს აძლევდნენ ხოლმე მოსარჩელე კომპანიას; ან გარდაცვლილი ი. ჩ-ის ზეპირი განმარტებებით ხელმძღვანელობდნენ, არა მარტო ე.წ. „ჩილერზე“, ყველა სხვა საკითხზეც ან ტელეფონით ან მოპასუხის თანამშრომლების ადგილზე მისვლით წყვეტდნენ პრობლემას, შემსრულებელმა კომპანიამ ე.წ. „ჩილერთან“ დაკავშირებით განუმარტა მოსარჩელეს, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ზამთარში დანადგარის კონსერვაცია, წყალი უნდა გამოეშვათ, მერე ზაფხულის სეზონზე როგორ წნევაზე უნდა დაეყენებინათ დანადგარი, ჯერ ჰაერი უნდა გამოეშვათ, რასაც დრო სჭირდება და ღილაკზე დაჭერით გადის დანადგარი ექსპლუატაციაში. მოცემულ შემთხვევაში პულტზე დაფიქსირდა ავარიული სიტუაცია. ანალოგიური ვითარების დროს, რომელიც ერთი წლის წინაც მოხდა, მოსარჩელე მოპასუხე კომპანიას დაუკავშირდა, თუმცა, მხოლოდ ტელეფონით ვერ გადაწყდა საკითხი და მოპასუხის სპეციალისტები ადგილზე მივიდნენ, გამოცვალეს ერთ-ერთი დეტალი. ამჟამადაც – 2013 წელს, როგორც კი დანადგარის პულტზე შეცდომის კოდი დაინერა, მოსარჩელე დაუკავშირდა მოპასუხე კომპანიას. ამ უკანასკნელის თანამშრომლებმა იკითხეს, თუ ირთვებოდა ნასოსი, მოსარჩელემ პულტს მოხსნა გარეთა საფარი და აღარ დაუხურავს, რადგან იცოდა, რომ მოპასუხის სპეციალისტები მალე მივიდოდნენ და მივიდნენ კიდევ. სპეციალისტებმა პულტს შემოხსნეს თბოიზოლაცია და თქვეს, რომ კომპრესორი დაზიანებული, სულ დანახშირებული იყო. ძირითადი ფარი რკინის პულტზე მოხსნილი იყო, გახსნილ მდგომარეობაში დაახვედრა მოსარჩელე კომპანიამ, რადგან ელოდნენ, რომ სპეციალისტები მალე მივიდოდნენ, მოსარჩელე განმარტავს, რომ დახურულ მდგომარეობაში ვერ შეამონებდა დანადგარს, მოსარჩელის თანამშრომლებმა ნახეს, რომ მართვის პულტი დასველდა, რაც პანელზე ნახეს და თქვეს, რალაც კვალი არისო... პულტის ჩართვა

ხდება ტუმლერით (საქალაქო სასამართლოს 19.03.2014 წლის სხდომის ოქმი, 14:25:27-14:36:55 წთ).

18.2. მოსარჩელემ განმარტა, რომ თუ არ გაიხსნა დანადგარის კარი, ტუმლერს ვერ ნახავდნენ. მხარეთა შორის მიღებული და დამკვიდრებული იყო სატელეფონო კავშირი, თუ არ მოგვარდებოდა პრობლემური საკითხი, მოპასუხის სპეციალისტები ადგილზე მივიდოდნენ. მონმემ დაადასტურა, რომ მოპასუხეს არ უთქვამს, რომ პულტი არ უნდა გაეხსნა. მონმემ განმარტა, რომ დამწვარი იყო თუ არა კომპრესორის ტყვიები, მცველები, ამას პულტის გახსნის გარეშე მოსარჩელის თანამშრომლები ვერ შეამოწმებდნენ (საქალაქო სასამართლოს 19.03.2014 წლის სხდომის ოქმი, 14:38-14:47:41 წთ).

18.3. მონმე ვ. შ-ის, რომელიც მოსარჩელე კომპანიის თანამშრომელია, ჩვენების თანახმად, მოსარჩელეს დანადგარების დოკუმენტაცია არ ჰქონდა და მოპასუხე კომპანიის სპეციალისტთა მითითებებით უნდა ემუშავათ. 2012 წელს, როდესაც დაზიანება მოხდა, მეორე დღეს მოპასუხე კომპანიიდან ი. ჩ. მივიდა შემკვეთთან და გამოცვალა „ჩილერი“ დეტალი. 2013 წლის 15 მაისს „ჩილერზე“ ავარიის სიგნალი დაფიქსირდა. ი. ჩ-ისგან მითითებები მიიღო მონმემ, შეამოწმეს და აღმოაჩინეს, რომ კომპრესორის მცველი იყო დამწვარი. მოპასუხის სპეციალისტები, მალევე მივიდნენ, კომპრესორებს თბოიზოლაცია შემოხსნეს და გამოთქვეს ვარაუდი, რომ დაზიანებული იყო „ჩილერი“. მონმემ განმარტა, რომ თუ არ მოიხსნებოდა პულტზე დაფა, არ გამოჩნდებოდა კოდი. ი. ჩ. რამდენჯერმე იყო მისული მოსარჩელე კომპანიაში, „ჩილერი“ იყო გახსნილი. მოპასუხემ თვითონვე მიუთითა მოსარჩელის თანამშრომლებს, რომ „ჩილერი“ გაეხსენათ (საქალაქო სასამართლოს 19.03.2014 წლის სხდომის ოქმი, 14:47:41 წთ-დან).

18.4. მონმე ლ. ს-ის, რომელიც შემკვეთი კომპანიის მთავარი ინჟინერია, ჩვენების თანახმად: „ჩილერის“ მართვის დოკუმენტაცია არ აქვს მოპასუხეს და მოსარჩელეს ზეპირად ემსახურებოდნენ, შემკვეთის მთავარი ენერგეტიკოსი – დ-ი მენარდეს ტელეფონით უკავშირდებოდა ხოლმე ან მისი სპეციალისტები მოდიოდნენ. მონმემ 2012 წლის შემთხვევაზე გაიხსენა (საქალაქო სასამართლოს 19.03.2014 წლის სხდომის ოქმი, 15:02:40 წთ-დან).

18.5. მოსამართლის შეკითხვაზე, თუ რაში დასჭირდათ „დედა პლატის“ მოხსნა, მონმე დ-მა უპასუხა, რომ მისი პირვანდელი სახე არ დაუკარგავთ პლატის გახსნის დროს, გამოიღეს პლატა და ჩახედეს, რათა დარწმუნებულიყვნენ მართლაც თუ იყო წყლის ლაქები. მოქნილი კაბელით არის დამაგრებული დაფა, უნდა მოხსნა და ნახო, შალითა არ მოუხსნიათ (საქალაქო სასამართლოს 19.03.2014

წლის სხდომის ოქმი, 15:33:59 წთ-დან).

19. საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მიუხედავად იმისა, რომ მოსარჩელის მოთხოვნა მოპასუხისათვის თანხის დაკისრების თაობაზე მის მიერ წარდგენილ მოწმეთა ჩვენებებს ეფუძნება, სარჩელს არც ფაქტობრივი და არც სამართლებრივი საფუძველი არ აქვს, რადგან მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობების დარღვევის ფაქტს, აღნიშნული მოწმეები თავადვე ადასტურებენ (იხ. ამ გადაწყვეტილების 18.1-18.4 ქვეპუნქტები). მოსარჩელისა და მოპასუხის მიერ წარდგენილ მოწმეთა ჩვენებები, იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხე მოსარჩელის მიერ ხელშეკრულებით გათვალისწინებული საგარანტიო პირობების დარღვევაზე მიუთითებს, ერთმანეთს ემთხვევა. სწორედ ამიტომ მიიჩნევს საკასაციო სასამართლო სარჩელს უსაფუძვლოდ.

20. მოსარჩელის მიერ წარდგენილი მოწმეები თავად ადასტურებენ, რომ მოპასუხე კომპანიის სპეციალისტების მისვლამდე მათ გახსნეს დანადგარი და სპეციალისტების მისვლამდე აღარ დაუხურავთ. ვერც მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებებით და ვერც ექსპერტიზის დასკვნით ვერ სახელდება კონკრეტული მიზეზი, თუ რამ გამოიწვია დანადგარის დაზიანება. ასეთ პირობებში საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ორივე მხარის მოწმეთა ჩვენებებს ეფუძნება და სასამართლოს შეფასებით, ხელშეკრულებით დადგენილი პირობების საწინააღმდეგოდ, მოსარჩელე კომპანიის თანამშრომლებმა მოპასუხე კომპანიის სპეციალისტების მისვლამდე დანადგარი გახსნეს, პულტს ადგილი შეუცვალეს, რაც დანადგარის დაზიანებაში მოპასუხის ბრალეულობას არ ადასტურებს.

21. სამოქალაქო სამართალში მტკიცების ტვირთის გადანაწილების სამართლიანი და ობიექტური სტანდარტი არსებობს. სსსკ-ის მე-4 და 102-ე მუხლების თანახმად, სამართალწარმოება შეჯიბრებითობის საფუძველზე მიმდინარეობს. მხარეები სარგებლობენ თანაბარი უფლებებითა და შესაძლებლობებით, დაასაბუთონ თავიანთი მოთხოვნები, უარყონ ან გააქარწყლონ მეორე მხარის მიერ წამოყენებული მოთხოვნები, მოსაზრებები თუ მტკიცებულებები. მხარეები თვითონ განსაზღვრავენ თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან ეს ფაქტები, რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული.

22. დასახელებული ნორმების თანახმად, სამოქალაქო პროცესში მხარეები ვალდებული არიან, სათანადო მტკიცებულებების წარდგენის გზით დაადასტურონ მათი პოზიციის გასამყარებლად მითითებული გარემოებების არსებობა. კანონით გათვალისწინებუ-

ლი შემთხვევების გარდა, რომელიც ადგენს მხარეთა შორის მტკიცების ტვირთის განაწილების სპეციფიკურ წესს, მოსარჩელეს ევალება სასარჩელო განცხადებაში ასახული ფაქტების მტკიცება, ხოლო მოპასუხე მოვალეა, სარჩელისაგან თავდაცვის მიზნით, ქმედითად უარყოს მოსარჩელის არგუმენტები, წარადგინოს იმგვარი მტკიცებულებები, რომლებიც გააქარწყლებს მოსარჩელის მიერ დასახელებულ ფაქტებს. წინააღმდეგ შემთხვევაში მხოლოდ მოპასუხის ზეპირი განმარტება მოსარჩელის პოზიციას ვერ გადაწონის და მხარისათვის არახელსაყრელ მატერიალურ-სამართლებრივ შედეგს გამოიწვევს.

23. ამდენად, სამოქალაქო პროცესში სასამართლო შებოჭილია არა მარტო მხარეთა სასარჩელო მოთხოვნებისა თუ შესაგებლის ფარგლებით, არამედ მხარეთა მითითებებით, თუ რომელი ფაქტები უნდა დაედოს საფუძვლად მათ მოთხოვნებს ან რომელი მტკიცებულებებით უნდა იქნეს დადასტურებული. თითოეულმა მხარემ უნდა დაამტკიცოს გარემოებანი, რომლებზედაც იგი თავის მოთხოვნებსა და შესაგებელს ამყარებს. ამ გარემოებათა დაამტკიცება თვით მხარეთა (მესამე პირთა) ახსნა განმარტებით, მოწმეთა ჩვენებით, წერილობითი თუ ნივთიერი მტკიცებულებებით და ექსპერტთა დასკვნებით შეიძლება. საქმის გარემოებები, რომლებიც კანონის თანახმად უნდა დადასტურდეს გარკვეული სახის მტკიცებულებებით, არ შეიძლება დადასტურდეს სხვა სახის მტკიცებულებებით. მხარეებს მითითებული ფაქტობრივი გარემოებების მტკიცების ტვირთი თანაბრად ეკისრებათ.

24. იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ ქვემდგომმა სასამართლოებმა დავა არსებითი განხილვის შედეგად გადაწყვიტეს, ხოლო საკასაციო სასამართლომ საკასაციო პრეტენზიის არსებითი განხილვის შედეგად კასატორის მოთხოვნა სრულად დააკმაყოფილა, საკასაციო სასამართლო პირველი ინსტანციის სასამართლოში დაუსწრებელი გადაწყვეტილების მართლზომიერებას ვერ შეაფასებს, რადგან საკასაციო საჩივარი დავის არსებითი განხილვის შედეგად დაკმაყოფილდა, რითაც სარჩელი უარყოფილია.

25. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

26. ზემოხსენებული მოტივაციით, შემსრულებლის საკასაციო

საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული განჩინება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, უარი უნდა ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

27. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. მოხმობილი ნორმის საფუძველზე მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებისათვის გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება უნდა დაეკისროს.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ლ ა ნ ე ს ი ა:

1. შპს „თ. ს-ის“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 27 დეკემბრის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
3. შპს „ა. გ-ს“ სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. შპს „ა. გ-ს“ (ს/კ ...) შპს „თ. ს-ის“ (ს/კ ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო და საკასაციო საჩივრებზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2 930.42 (ორი ათას ცხრაასოცდაათი ლარი და ორმოცდაორი თეთრი) ლარის ანაზღაურება;
5. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

უარის უფლება საქონლის მიღებაზე

განჩინება საქართველოს სახელმწიფო

№ას-1164-1084-2017

22 თებერვალი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: მატერიალური და მორალური ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძვლები:

1.1. გ. შ-მა (შემდგომში – მოსარჩელე, აპელანტი, კასატორი ან აბონენტი) სარჩელი აღძრა სასამართლოში სს „თ-ის“ (შემდგომში – მოპასუხე, მოწინააღმდეგე მხარე) მიმართ და მოითხოვა მატერიალური ზიანის – 4 785 ლარისა და მორალური ზიანის – 15 000 ლარის მოპასუხისათვის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: მოსარჩელე მოპასუხის აბონენტია, რომელსაც, მოპასუხემ დაუმონტაჟა მრიცხველი 2001 წელს, მისამართზე – თბილისი, ქ-ის შესახვევი, კორპ. №3, ბ№42. იმის გამო, რომ სისტემატურად ხდებოდა მაღალი თანხის დარიცხვა, აბონენტს გაუჩნდა ეჭვი მრიცხველის ტექნიკურ გამართულობასთან დაკავშირებით, თუმცა 2001 წლიდან 2013 წლამდე არ მომხდარა მისი გეგმიური შემოწმება. აღნიშნული თხოვნით მიმართა მოპასუხეს არაერთხელ, თუმცა, მიიღო უარი, მოგვიანებით, 2013 წლის 3 დეკემბერს, შპს „ს-მა“ დაასკვნა, რომ მრიცხველი აფიქსირებდა გაცილებით მეტ ბრუნვას, ვიდრე დასაშვებია. ამ დასკვნის საფუძველზე, აბონენტმა მოითხოვა 2001 წლიდან 2013 წლამდე დარიცხული ჩვენების დაკორექტირება, რაზეც მიიღო უარი იმ საფუძველით, რომ მათ შეეძლოთ მხოლოდ ბოლო სამი თვის თანხის განსხვავებული კომპენსაციის ანაზღაურება, ან მოხმარებული ელ. ენერჯის ვალში გაქვითვა. საქართველოს ენერჯეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის აპარატის მიერ 2015 წლის 22 მაისს მოსარჩელისათვის გაგზავნილი წერილით აღიარებულია ის გარემოება, რომ მათი

მიზეზით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, თუმცა, არ არის აღიარებული ზიანის სრული ოდენობა. 12 წლის მანძილზე მოსარჩელისათვის მიყენებულმა ზიანმა შეადგინა 4 785 ლარი. გარდა მატერიალური ზიანისა, მოსარჩელეს მიადგა მორალური ზიანიც, რომლის ოდენობაც შეადგენს 15 000 ლარს. მორალური ზიანის წარმოშობა მოსარჩელემ დაუკავშირა მეუღლის გარდაცვალებით გამოწვეულ ფინანსურ და მორალურ დანაკლისს, მოპასუხის მიმართ არსებული დავალიანების გასტუმრების მიზნით, ლომბარდში ძვირფასეულობის დაგირავებასა და სხვა მძიმე საყოფაცხოვრებო პირობების გამო განცდილ სიდუხჭირეს.

2. მოპასუხის პოზიცია:

მოთხოვნის განხორციელების შემაფერხებელი შესაგებლით მოპასუხემ არ ცნო სარჩელი და განმარტა, რომ აბონენტს ელ. ენერჯის მრიცხველი დაუმონტაჟდა 2001 წლის 10 მაისს, რომელიც შემონმდა 2013 წლის 29 ოქტომბერს, „პროდუქტების უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-80 მუხლის მეორე ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული 12-წლიანი პერიოდის დაცვით. ლაბორატორიული შემონმებისას, მექანიკური დაზიანების გამო, იგი აღმოჩნდა გაუმართავი (დასაშვები ნორმის ფარგლებში) და აბონენტს იმავე დღეს დაუმონტაჟდა ახალი ციფრული მრიცხველი. მოსარჩელე თავად განმარტავს, რომ არცერთ საექსპერტო დანესებულებას არ შეუძლია, ზუსტად განსაზღვროს, თუ როდის დაზიანდა მრიცხველი, ყველა მრიცხველს გააჩნია გადაცდომის დასაშვები ფარგლები და იმ შემთხვევაში, თუ მონაცემები ამ ცდომილებას გადააჭარბებს, აღრიცხული კილოვატები გადაანგარიშდება სემეკის მიერ ელექტროენერგეტიკულ სფეროში მოქმედი სპეციალური ნორმატიული აქტის – 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების საფუძველზე, რომელთა შესრულებაც სავალდებულოა, როგორც მომხმარებლისთვის, ასევე ლიცენზიანტისთვის. აღნიშნული დადგენილების მე-11 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტებით გათვალისწინებულ ვითარებას მოპასუხე ვერ გადაუხვევდა და ვერ მიაკუთვნებდა აბონენტს იმაზე მეტს, ვიდრე აღნიშნული ნორმების ფარგლებშია დაშვებული, რის გამოც, 12 წლის მანძილზე ზიანის არსებობის ფაქტი არ შეიძლება, დადასტურებულად იქნას მიჩნეული. მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნა ასევე გაუმართლებელია, ვინაიდან ის არ წარმოადგენს მოპასუხის ქმედების შედეგს.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 27 სექტემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ

დაკმაყოფილდა.

4. აპელანტის მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ, მოითხოვა მისი გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული განჩინების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივლისის განჩინებით, სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, ხოლო გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს განჩინება საკასაციო წესით გაასაჩივრა აპელანტმა და მოითხოვა მისი გაუქმება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული განჩინების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრის საფუძვლიანობა და მიიჩნევს, რომ იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული განჩინების ნაწილობრივ გაუქმებისა და საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

1.1. საკასაციო განაცხადის მოცულობა და საკასაციო განხილვის ფარგლები (კასატორის პრეტენზიები):

საკასაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენს სახელშეკრულებო ურთიერთობიდან გამომდინარე, მოპასუხემ დაარღვია თუ არა ვალდებულება, იყო თუ არა მისი ქმედება მართლსაწინააღმდეგო, ამ დარღვევას შედეგად მოყვა თუ არა ზიანი, ასევე, არსებობს თუ არა არაქონებრივი ზიანის ანაზღაურების წინაპირობები. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამოწმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამოწმოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), გასაჩივრებული განჩინების კანონიერებას პალატა კასატორის პრეტენზიის ფარგლებში შეამოწმებს, რომელიც, ძირითადად, სასამართლოს მხრიდან საპროცესო წესების დარღვევას შეეხება.

1.2. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

საკასაციო სასამართლოს წინამდებარე განჩინების მიმართ სა- მოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით გან- საზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და და- საბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩ- ნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემო- ებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორს არ მიუთითებია პრო- ცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა, დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარე- მოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამარ- თლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.2.1. მოსარჩელემ მრიცხველი დაიდგა 2001 წლის 10 მაისს, შე- მონწივებისთვის კი, მოიხსნა 2013 წლის 29 ოქტომბერს და გაიგზავ- ნა მეტროლოგიის ლაბორატორიაში;

1.2.2. ლაბორატორიული შემონმების შედეგად №239057 მრიც- ხველი, მექანიკური დაზიანების გამო, აღმოჩნდა გაუმართავი (და- საშვები ნორმის ფარგლებში), კერძოდ, მრიცხველი ელექტროენერ- გიას აღრიცხავს 5,78%-იანი ცდომილებით მომხმარებლის საზიან- ნოდ;

1.2.3. მრიცხველის დაზიანების ზუსტი დროს დადგენა შეუძ- ლებელია.

1.3. საკასაციო სასამართლოს შეფასებები და სამართლებ- რივი დასკვნები:

1.3.1. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოებე- ბის, საქმის მასალებისა და მხარის შედავებათა გათვალისწინებით, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მატერიალური ზიანის ანაზღაუ- რებაზე უარის თქმის ნაწილში სახეზეა გასაჩივრებული განჩინე- ბის გაუქმების სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით გათვალისწინებული წინაპირობები (სა- მართლის ნორმები დარღვევულად ითვლება, თუ სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა; არასწორად გან- მარტა კანონი. დავის ფაქტობრივი გარემოებები დადგენილია საპ- როცესო ნესების დარღვევით და საჭიროა მტკიცებულებათა და- მატებით გამოკვლევა).

1.3.2. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო სასამართლო ყურადღე- ბას გამახვილებს მხარეთა შორის ვალდებულების წარმოშობის სა- ფუძველზე. უდავოა, რომ მოსარჩელე წარმოადგენს აბონენტს, ხო- ლო, მოპასუხე – განაწილების ლიცენზიატს, რომელიც აბონენტს ანვდის ელექტრო ენერგიას, შესაბამისად, მხარეთა შორის არსე-

ბოზს ნასყიდობის სამართალურთიერთობა (იხ. სემექ-ის 2008 წლის 18 სექტემბრის №20 დადგენილების („ელექტროენერჯის (სიმ-დლავრის) მიწოდებისა და მოხმარების წესები, შემდგომში – წესე-ბი) მე-3 მუხლი, ასევე, სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლი), რო-მელიც, სამოქალაქო კოდექსის 477-ე და შემდგომ ნორმებთან ერ-თად, რეგულირდება აბონენტთან გაფორმებული ხელშეკრულები-თა და სემექის დადგენილებით დამტკიცებული წესებით, რომლე-ბიც წარმოადგენს ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს (დადგე-ნილების მუხლი 3.3.: ამ წესებში მოცემული პირობები წარმოად-გენს ელექტროენერჯის ნასყიდობისა და მომსახურების შესახებ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს). სასარჩელო მოთხოვნის სა-განს წარმოადგენს მიმწოდებლის (გამყიდველი) მხრიდან ნაკლია-ნი შესრულებით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება, კერძოდ, მო-სარჩელე აღნიშნავს, რომ ელექტროენერჯის მრიცხველი აღრიც-ხავს მოხმარებულზე მეტი ოდენობით ელექტროენერჯიას და მას უწევს ზედმეტი გადასახადის გადახდა, ასეთ ვითარებაში მოთხოვ-ნის წინაპირობა მოცემულია სამოქალაქო კოდექსის 488-ე მუხლის მე-2 ნაწილში, რომლის თანახმადაც, ნივთობრივ ნაკლს უთანაბ-რდება, თუ გამყიდველი გადასცემს ნივთს მცირე რაოდენობით. რაც შეეხება მოთხოვნის დამფუძნებელ ნორმას, მას სამოქალაქო კოდექსის 493-ე მუხლის პირველი ნაწილის ბოლო წინადადება (თუ მყიდველი მიიღებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულზე ნაკ-ლები რაოდენობის საქონელს, მაშინ ფასს გადაიხდის სახელშეკ-რულებო ფასის პროპორციულად) და „წესების“ მე-11 მუხლის მე-10 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტი (საცალო მომხმარებლის მიერ მოხმა-რებული ელექტროენერჯის აღრიცხვასთან დაკავშირებული და-ვა გადაწყდება შემდეგი წესით იმ შემთხვევაში, თუ დადასტურდა, რომ ელექტროენერჯის მრიცხველის ცდომილება აღემატება მის დაშვებულ საპასპორტო ცდომილებას მომხმარებლის საზიანოდ, განაწილების ლიცენზიატი ვალდებულია, დადგენილი ცდომილე-ბის შესაბამისად ჩაასწოროს მონაცემები, ელექტროენერჯის მრიცხველის ცდომილებით აღრიცხვის დაწყების თარიღიდან მოთ-ხოვნილ შემოსემების თარიღამდე. მომხმარებლის მიერ ზედმეტად გადახდილი თანხა უნდა დაუბრუნდეს მომხმარებელს ელექტრო-ენერჯის მრიცხველის ცდომილების ჩასწორებისთანავე ან/და მოხ-დეს მისი მომდევნო ანგარიშსწორებისას გაქვითვა (მომხმარებლის სურვილისამებრ)) წარმოადგენს.

1.3.3. მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმებიდან გამომდინარე, მითითების ფარგლებში მოსარჩელის ვალდებულებას წარმოად-გენს, სარჩელში აღნიშნოს:

ა) მხარეთა სახელშეკრულებო ურთიერთობის არსებობა;

ბ) მოპასუხის მხრიდან ნაკლიანი შესრულების განხორციელება მომხმარებლის საზიანოდ;

გ) ვალდებულების დარღვევის პერიოდი და ამ დარღვევით გამოწვეული ზიანის ოდენობა.

რაც შეეხება შესაგებელს, იმის გათვალისწინებით, თუ რომელ ზემოხსენებულ ფაქტს შეედავება მოპასუხე და რამდენად არსებითი ხასიათის შედავებას წარადგენს იგი, განისაზღვრება მტკიცების საგანი და სადავო გარემოებების დადასტურების ვალდებულება დაეკისრება მოსარჩელეს (სსსკ-ის 102-ე მუხლი).

1.3.4. საქმეში წარმოდგენილი შესაგებელი, რომელიც, მართალია, არსებითი ხასიათისაა და მოპასუხე მოთხოვნის წარმოშობის დროს ხდის სადავოდ, პროცესუალური თვალსაზრით, საინტერესოა რამდენიმე მიმართულებით: მოპასუხე სადავოდ არ ხდის იმ ფაქტს, რომ შემონმების შედეგად დადგენილია მრიცხველის ცდომილების ფაქტი, ამასთანავე, გამოთქვამს მზაობას წესების მე-10 მუხლის მე-10 და მე-11 პუნქტების შესაბამისად, აუნაზღაუროს აბონენტს ბოლო სამი თვის ზედმეტად გადახდილი თანხა. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოებმა ეს გარემოება შეაფასეს იმგვარად, რომ არ შეუმონმებიათ, სახეზე ხომ არ არის სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 131-ე მუხლით გათვალისწინებული ფაქტის აღიარების წინაპირობები (ერთი მხარის მიერ ისეთი გარემოების არსებობის ან არარსებობის დადასტურება (აღიარება), რომელზედაც მეორე მხარე ამყარებს თავის მოთხოვნებსა თუ შესაგებელს, სასამართლომ შეიძლება, საკმარის მტკიცებულებად ჩათვალოს და საფუძვლად დაუდოს სასამართლო გადაწყვეტილებას).

1.3.5. საკასაციო სასამართლო, რასაკვირველია, სრულად იზიარებს ქვემდგომი სასამართლოების დასკვნას იმის თაობაზე, რომ ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის წარმოშობის დროის მითითება/დამტკიცება დაზარალებულის ტვირთს წარმოადგენს, ასევე, საქმის მასალებით დადგენილია, რომ მოსარჩელემ ვერ დაადასტურა მრიცხველის დაზიანების კონკრეტული პერიოდი, ამ მხრივ, არც საკასაციო საჩივარი შეიცავს დასაბუთებულ პრეტენზიას, თუმცა, მატერიალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის სრულად უარყოფის საფუძველი ეს გარემოება არ შეიძლება გახდეს. „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის თანახმად, დაკანონებული გაზომვის საშუალებების სავალდებულო დამონმებისათვის ელექტროენერჯის მრიცხველებისათვის ვადა განისაზღვრება 12 წლით. „წესების“ მე-11 მუხლის მე-3, მე-7, მე-8¹ პუნქტების ანალიზით ცალსახად დგინდება, რომ როგორც გეგმიური, ისე – საცალო მომხმარებლის მოთხოვნიდან გამომდინარე, არაგეგმიური შემონ-

მებისათვის მრიცხველის წარდგენა განაწილების ლიცენზიატის ვალდებულებას წარმოადგენს. საკასაციო საჩივარი არ შეიცავს დასაბუთებას და საკუთარი ინიციატივით ვერც პალატა შეამონმებს საქმეში წარმოდგენილ მტკიცებულებებს, რომლებიც შესაძლოა, ადასტურებდეს აბონენტის მიმართვას განაწილების ლიცენზიატისათვის არაგეგმიური შემონმების ჩატარების თაობაზე, თუმცა, „პროდუქტის უსაფრთხოებისა და თავისუფალი მიმოქცევის“ კოდექსის მე-80 მუხლის მე-2 პუნქტის „ლ“ ქვეპუნქტის სწორი განმარტებისათვის, მნიშვნელოვანია, განისაზღვროს გეგმიური 12-წლიანი შემონმების პერიოდის საკითხი: სამოქალაქო კოდექსის 121-ე და 122-ე მუხლების თანახმად, კანონებში, სასამართლო გადაწყვეტილებებსა და გარიგებებში მითითებული ვადების მიმართ გამოიყენება ამ თავში გათვალისწინებული წესები. თუ ვადის დასაწყისად აღებულია ესა თუ ის მოვლენა ან დღის რომელიმე მონაკვეთი, მაშინ ვადის გამოთვლისას არ მიეთვლება ის დღე, რომელშიც დგება ეს მოვლენა ან დღის ზემოაღნიშნული დრო. მოცემულ შემთხვევაში, დადგენილია, რომ აბონენტს მრიცხველი დაუმონტაჟდა 2001 წლის 10 მაისს, შემონმებისთვის კი, მოიხსნა 2013 წლის 29 ოქტომბერს (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.2.1.). სამოქალაქო კოდექსის 126-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ დრო განსაზღვრულია თვეების ან წლების მიხედვით იმგვარად, რომ არ არის საჭირო მათი ერთად გასვლა, მაშინ თვე გამოითვლება ოცდაათი დღით, ხოლო წელი – სამას სამოცდახუთით. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა ისე დაადგინეს მრიცხველის კანონით დადგენილ ვადაში გეგმიურად შემონმების ფაქტი, რომ არ გამოუკვლევით, ზემოხსენებული თარიღების გათვალისწინებით, განაწილების ლიცენზიატმა დაიცვა თუ არა შემონმების ჩატარების ვადები და ამ გზით ხომ არ დაარღვია ხელშეკრულება. ამასთანავე, შესაფასებელია გადამონმების 12-წლიანი პერიოდის გადაცილების თვითა რაოდენობა ხომ არ წარმოშობს მატერიალური ზიანის ანაზღაურების ოდენობის განსაზღვრის წინაპირობას.

1.3.6. მართალია, საკასაციო საჩივრით შედავებული არ არის ის ფაქტი, რომ აბონენტის საწინააღმდეგოდ, მრიცხველის ცდომილება დადგენილია დასაშვებ ფარგლებში, თუმცა, მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმების წინაპირობებისა (იხ. სამოტივაციო ნაწილის პ.პ. 1.3.2.) და მოპასუხის მიერ შესაგებელში გადმოცემული 3 თვის კომპენსაციის გათვალისწინებით, ეს გარემოება სარჩელის წარმატების გამომრიცხველი არ შეიძლება გახდეს.

1.3.7. საკასაციო სასამართლო სრულად უარყოფს კასატორის შედავებას მორალური ზიანის ანაზღაურების საფუძვლიანობასთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის

413-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, არაქონებრივი ზიანი-სათვის ფულადი ანაზღაურება შეიძლება მოთხოვილ იქნეს მხოლოდ კანონით ზუსტად განსაზღვრულ შემთხვევებში გონივრული და სამართლიანი ანაზღაურების სახით. მოცემულ შემთხვევაში, ქვემდგომმა სასამართლოებმა სწორად განმარტეს ხსენებული ნორმა და მართებულად დაუკავშირეს იგი მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეულ დაზარალებულის სულიერ განცდებს, მის ფსიქოლოგიურ მდგომარეობას და სხვა. თუმცა, გაუმართლებელია ელექტროენერჯის მრიცხველის აღრიცხვიანობის ცდომილების დადასტურების შემთხვევაშიც კი, ეს გარემოება დაუკავშირდეს მოსარჩელის მეუღლის გარდაცვალებას და ამ ფაქტის თანმდევ შედეგებს, ამასთანავე, გასათვალისწინებელია, რომ საკასაციო საჩივრით დასაბუთებული, ლოგიკური არგუმენტაცია მორალური ზიანის ანაზღაურების წინაპირობებთან დაკავშირებით მხარეს არ შემოუთავაზებია სასამართლოსათვის, რაც თავისთავად საჩივრის წარუმატებლობაზე მეტყველებს.

1.4. საქმის იმავე სასამართლოსათვის ხელახლა განსახილველად დაბრუნების/გასაჩივრებული განჩინების უცვლელად დატოვების პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისად, აუქმებს გასაჩივრებულ განჩინებას და ამავე კოდექსის 412-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე (საკასაციო სასამართლო აუქმებს გადაწყვეტილებას და საქმეს ხელახლა განსახილველად აბრუნებს სააპელაციო სასამართლოში, თუ საქმის გარემოებები საპროცესო ნორმების ისეთი დარღვევითაა დადგენილი, რომ ამ დარღვევების შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი და საჭიროა მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა), საქმეს ხელახლა განსახილველად უბრუნებს იმავე სასამართლოს, რომელმაც საქმეში არსებული მტკიცებულებების ყოველმხრივი კვლევის შედეგად უნდა დაადგინოს დავის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე ფაქტობრივი გარემოებები და განსაზღვროს უფლების საკითხი. რაც შეეხება მორალური ზიანის ანაზღაურების მოთხოვნას, პალატა მიიჩნევს, რომ ამ მოთხოვნის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება კანონიერია, რის გამოც, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად (საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძველად არ უდევს კანონის დარღვევა; სააპელაციო სასამარ-

თლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას), უცვლელად უნდა იქნას დატოვებული.

2. კასატორის შუამდგომლობები:

2.1. განსახილველ შემთხვევაში, კასატორი მოითხოვს საქმისათვის მტკიცებულებების დართვას, ასევე, შუამდგომლობს საგამოძიებო ორგანოებისათვის საქმის მასალების გადაცემის თაობაზე.

2.2. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლოთა გადაწყვეტილებებში ან სხდომათა ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები), ვინაიდან საკასაციო სასამართლო არ წარმოადგენს ფაქტების დამდგენს, ამ ინსტანციაში ახალი მტკიცებულებების წარდგენას თავად საპროცესო წესები გამოიცხავს, ამავე კოდექსის 104-ე მუხლის პირველი ნაწილიდან გამომდინარე (სასამართლო არ მიიღებს, არ გამოითხოვს ან საქმიდან ამოიღებს მტკიცებულებებს, რომლებსაც საქმისათვის მნიშვნელობა არა აქვთ), ვინაიდან არ არსებობს მტკიცებულებათა საქმისათვის დართვის საფუძველი, პალატა მათ უბრუნებს კასატორს.

2.3. რაც შეეხება საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვას, პალატა ამ შუამდგომლობასაც უარყოფს და განმარტავს, რომ სამოქალაქო საქმის განხილვისას საგამოძიებო ორგანოებისათვის მიმართვის შესაძლებლობას სამოქალაქო საპროცესო კოდექსს 137-ე მუხლი განსაზღვრავს, რომლის პირველი ნაწილის თანახმადაც, მხარეს უფლება აქვს, საქმის წინასწარი სასამართლო განხილვისათვის მომზადების სტადიაზე განაცხადოს, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია. ასეთი განცხადება მას შეუძლია გააკეთოს აგრეთვე საქმის სასამართლო სხდომაზე განხილვის დროსაც, თუ ეს საბუთი წარდგენილ იქნა ამ სასამართლო სხდომაზე, ან ადრე წარდგენილი საბუთის სიყალბე მისთვის ცნობილი გახდა სასამართლო სხდომაზე. ამავე ნორმის მე-3 და მე-4 ნაწილებიდან გამომდინარე კი, თუ სასამართლო მივა იმ დასკვნამდე, რომ წარდგენილი საბუთი ყალბია, მას მტკიცებულებიდან გამორიცხავს. წარდგენილ წერილობით მტკიცებულებათა ნამდვილობის შემოწმება შეიძლება სასამართლოს ინიციატივით. ამგვარი წინაპირობების არსებობა საქმის მასალებით არ დგინდება და არც მხარის შუამდგომლობა შეიცავს დასაბუთებულ მსჯელობას დოკუმენტის სიყალბის, მისი შემდგომი გამოვლინებისა და სხვა წინაპირობების თაობაზე, რაც მოთხოვნის უარყოფის საფუძველია.

3. პროცესის ხარჯები:

„სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ“ ქვეპუნქტის თანახმად, კასატორი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულია, რაიმე შუამდგომლობა პროცესის ხარჯების მხარეთა შორის განაწილების თაობაზე წარმოდგენილი არ არის, შესაბამისად, პალატა მოკლებულია შესაძლებლობას, იხელმძღვანელოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლით. ამავე კოდექსის 55-ე მუხლის თანახმად, მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში სარჩელის უარყოფის გამო, სასამართლო ხარჯს გაიღებს სახელმწიფო, ხოლო, მატერიალური ზიანიდან გამომდინარე მოთხოვნის ნაწილში სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარისწორების საკითხი, ამავე ნორმიდან გამომდინარე, უნდა განსაზღვროს საქმის ხელახლა განმხილველმა სასამართლომ.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 104-ე, 137-ე, 407-ე, 410-ე, 412-ე მუხლებით და

და ა დ ბ ი ნ ა:

1. გ. შ-ის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივლისის განჩინება მატერიალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის შესახებ პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვების ნაწილში და საქმე ხელახლა განსახილველად დაუბრუნდეს იმავე სასამართლოს.
3. მორალური ზიანის ანაზღაურებაზე უარის თქმის ნაწილში გასაჩივრებული განჩინება დარჩეს უცვლელად.
4. გ. შ-ის შუამდგომლობა საქმის საგამოძიებო ორგანოებისათვის გადაცემის თაობაზე არ დაკმაყოფილდეს.
5. კასატორს დაუბრუნდეს 22.11.2017წ. №4885-17 განცხადებაზე დართული კომუნალური გადასახადის ქვითრებისა და შემოსავლის ორდერის ასლი 3 (სამი) ფურცლად, ასევე, 26.12.2018წ. №ა-915-18 განცხადებაზე დართული კომუნალური გადასახადის ქვითრების ასლები 4 (ოთხი) ფურცლად.
6. საკასაციო სასამართლოს განჩინება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

ნაკლის მქონე ნივთის მიღება მყიდველის მიერ

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-486-467-2016

8 ივნისი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ნ. ბაქაქუერი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ზ. ძლიერიშვილი,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე თანხის დაკისრება (სარჩელში), ხელშეკრულებიდან გასვლა და პირ-ვანდელი მდგომარეობის აღდგენა (შეგებებულ სარჩელში)

აღწერილობითი ნაწილი:

1. მ. ტ-ემ (შემდგომში – „მოსარჩელე“, „გამყიდველი“, „კასატორი“ ან „საკასაციო საჩივრის ავტორი“) სარჩელი აღძრა სასამართლოში შ. შ. რ-ის (შემდგომში – „მოპასუხე“, „მყიდველი“ ან „მონინალმდეგე მხარე“) მიმართ და მოითხოვა მოპასუხისთვის 950 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრება.

2. მოსარჩელემ სარჩელში მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

2.1. 2013 წლის 31 მაისს მხარეებს შორის დაიდო უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულება;

2.2. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა სოფელ ...-ში მდებარე 373601 მ² მიწის ნაკვეთი;

2.3. ნასყიდობის საგნის ღირებულება შეადგენდა 1 000 000 (ერთი მილიონი) აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს. მხარეები შეთანხმდნენ თანხის გადახდის შემდეგ წესზე: ერთი ნაწილი, 50 000 აშშ დოლარი, უნდა გადახდილიყო ნასყიდობის საგნის მყიდველზე რეგისტრაციიდან 5 საბანკო დღის ვადაში, ხოლო მეორე ნაწილი, 950 000 აშშ დოლარი, – ნასყიდობის საგნის მყიდველზე რეგისტრაციიდან ერთი წლისა და ერთი დღის გასვლის შემდეგ 5 საბანკო დღის ვადაში;

2.4. ნასყიდობის საგანი მყიდველის საკუთრებად აღირიცხა 2013 წლის 3 ივნისს;

2.5. ნასყიდობის ფასის პირველი ნაწილი მოპასუხემ გადაიხადა, ხოლო თანხის მეორე ნაწილის გადახდის ვალდებულება, რომლის ვადა იყო 2014 წლის 11 ივნისი, არ შეასრულა.

3. მოპასუხემ სარჩელი არ ცნო, აღძრა შეგებებული სარჩელი

და მოითხოვა 2013 წლის 31 მაისს დადებული უძრავი ნივთის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენა და მოსარჩელისთვის 50 000 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარის გადახდის დაკისრება.

4. მოპასუხემ (შეგებებული სარჩელის მოსარჩელემ) მიუთითა შემდეგ გარემოებებზე:

4.1. ნასყიდობის ხელშეკრულების თანახმად, მყიდველს უნდა გადასცემოდა უფლებრივად და ნივთობრივად უნაკლო ნივთი, მაგრამ ხელშეკრულების დადებიდან გარკვეული პერიოდის გასვლის შემდეგ აღმოჩნდა, რომ ნასყიდობის საგანზე მესამე პირის სასარგებლოდ არსებობდა სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვების შესახებ ლიცენზია. შესაბამისად, სახეზეა უფლებრივად ნაკლიანი ნივთი;

4.2. მიწის ნაკვეთის შეძენის საფუძველს წარმოადგენდა მიწიდან სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვება კლინკერის სახით, რომელიც გამოიყენება ცემენტის წარმოებისთვის, სხვა დანიშნულება ამ მიწის ნაკვეთს არ გააჩნია;

4.3. მყიდველმა ზემოაღნიშნული გარემოების შესახებ არ იცოდა, წინააღმდეგ შემთხვევაში, ხელშეკრულებას არ გააფორმებდა ან გააფორმებდა სხვა დამატებითი პირობებით.

5. მოსარჩელემ (შეგებებული სარჩელის მოპასუხემ) სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ, თუ მიწის ნაკვეთის შეძენის ინტერესს წარმოადგენდა სასარგებლო ნიაღისეულის მოპოვება, მაშინ ეს გარემოება უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების არსებითი პირობა, თუმცა, ხელშეკრულებაში არ არის მითითებული ამის შესახებ, უფრო მეტიც, ამ საკითხით შეგებებული სარჩელის მოსარჩელე არ დაინტერესებულა და ამის შესახებ არც შეგებებული სარჩელის მოპასუხისთვის იყო ცნობილი.

6. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილებით მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდა; მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისრა 950 000 აშშ დოლარის გადახდა. მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

7. საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ.

8. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილებით მოპასუხის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა; გაუქმდა თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 24 მარტის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; მოსარჩელის სარჩელი არ დაკმაყოფილდა; მოპასუხის შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდა; 2013 წლის 31 მაისის ნასყიდო-

ბის ხელშეკრულებიდან გასვლით მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ დაეკისრა 50 000 აშშ დოლარის გადახდა.

9. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია საქმის გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

9.1. 2013 წლის 31 მაისს მოსარჩელეს (გამყიდველი) და მოპასუხეს (მყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ გაყიდა, ხოლო მოპასუხემ იყიდა მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე 373 601,00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...);

9.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ნასყიდობის საგნის ფასი შეადგენდა 1 000 000 აშშ დოლარს. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად: 50 000 აშშ დოლარი გადახდილი უნდა ყოფილიყო ნასყიდობის საგნის მყიდველზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციიდან 5 საბანკო დღის ვადაში, ხოლო 950 000 აშშ დოლარი – ნასყიდობის საგნის მყიდველზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციიდან ერთი წლისა და 1 დღის გასვლის შემდეგ 5 საბანკო დღეში;

9.3. 2013 წლის 31 მაისს დადებული ხელშეკრულების მე-2 მუხლით მხარეებმა განსაზღვრეს გამყიდველის მიერ მყიდველისათვის ნივთობრივად და უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულება. ხელშეკრულებით გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლიანი ქონების გადაცემის შემთხვევაში შეზღუდული ან გამორიცხული არ არის. ხელშეკრულების 2.1.3 პუნქტის თანახმად, თუ ნასყიდობის საგანი აღმოჩნდა დაფარული ნაკლის მქონე, გამყიდველი ვალდებულია საკუთარი ხარჯით გამოასწოროს ეს ნაკლი. „გამყიდველი“ უფლებამოსილია უარი თქვას ნაკლის გამოსწორებაზე, თუ ეს მოითხოვს შეუსაბამოდ დიდ ხარჯებს. ამ შემთხვევაში „მყიდველი“ უფლებამოსილია მოითხოვოს ხელშეკრულების შეწყვეტა;

9.4. მოპასუხემ გადაიხადა ნასყიდობის საგნის ღირებულების ნაწილი – 50 000 აშშ დოლარი;

9.5. 2013 წლის 31 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ქონება უფლებრივი ნაკლის მქონეა. კერძოდ, სააპელაციო პალატამ მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 31 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შეძენილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...) შპს „ს-ის“ სასარგებლოდ 2000 წლის 13 ოქტომბერს 20 წლის ვადით გაცემულია წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზია. სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ აღნიშნული ლიცენზიის არსებობა, ზღუდავს რა მიწის ნაკვეთის

მესაკუთრის უფლებას, თავისუფლად ისარგებლოს საკუთრებით, წარმოადგენს ნასყიდობის საგნის უფლებრივ ნაკლს;

9.6. სააპელაციო სასამართლომ თავად მხარის ახსნა-განმარტებებით დაადგინა, რომ მოსარჩელემ იცოდა მიწის ნაკვეთზე 20 წლის ვადით გაცემული წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზიის არსებობისა და, ამდენად, ნასყიდობის საგნის უფლებრივი ნაკლის შესახებ. თუმცა, მოსარჩელეს მყიდველისთვის აღნიშნული ინფორმაცია არ მიუწოდებია. სააპელაციო სასამართლომ მიუთითა მოპასუხის (შეგებებული სარჩელის მოსარჩელის) შეგებებული სარჩელისაგან თავის დასაცავად წარდგენილ შესაგებელზე, რომელშიც მოსარჩელე არ ეთანხმება მოპასუხის მსჯელობას მასზე, რომ მიწის ნაკვეთზე ლიცენზიის არსებობა წარმოადგენს ნასყიდობის საგნის უფლებრივ ნაკლს, ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ, იმ შემთხვევაში, თუ მიწის ნაკვეთის შექმნის ინტერესს წარმოადგენდა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, ეს გარემოება უნდა ყოფილიყო ხელშეკრულების არსებითი პირობა, წარმოდგენილ ხელშეკრულებაში კი არსად არის მითითებული ამის თაობაზე და, უფრო მეტიც, „მოსარჩელე არ დაინტერესებულა და ამის შესახებ მოპასუხისთვის ცნობილი არ იყო“.

10. სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ უფლებრივი ნაკლის გამო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 491-ე და 352-ე მუხლებით გათვალისწინებული ნასყიდობის ხელშეკრულების მომლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენისათვის აუცილებელია შემდეგი პირობების არსებობა: ა. ნასყიდობის საგანი უფლებრივად ნაკლიანი უნდა იყოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის კონტექსტში; ბ. უფლებრივი ნაკლი ხელშეკრულების დადების ეტაპზე უნდა არსებობდეს; გ. სახეზე უნდა იყოს გამოუსწორებადი ნაკლი ან მყიდველს უნდა ჰქონდეს ნაკლის გამოსწორების ნაცვლად ხელშეკრულების მოშლის დასაბუთებული ინტერესი; დ. უფლებრივი ნაკლის თაობაზე მყიდველი ინფორმირებული არ უნდა იყოს და არ უნდა არსებობდეს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობა; ე. ხელშეკრულებით არ უნდა იყოს გამორიცხული გამყიდველის პასუხისმგებლობა ნივთის ნაკლის გამო საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 497-ე მუხლის შესაბამისად; ვ. ნაკლიანი ნივთის გადაცემის შემთხვევაში, პირვანდელი მდგომარეობა უნდა აღდგეს, მიუხედავად გამყიდველის ბრალისა.

11. სააპელაციო პალატამ მიუთითა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ 2013 წლის 31 მაისს მოპასუხეს გადაეცა უფლებრივად ნაკლიანი ქონება და ეს უფლებრივი ნაკლი ხელშეკრულების დადების დროს არსებობდა. ამასთან, სააპელაციო სასამარ-

თლოს მოსაზრებით, სადავო ტერიტორიაზე გაცემული 20-წლიანი წიაღით სარგებლობის ლიცენზიის სპეციფიკა შეუძლებელს ხდება განჭვრეტილი ყოფილიყო აღნიშნული მიწის ნაკვეთის მდგომარეობა და მისი ამა თუ იმ ფუნქციური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა ლიცენზიის ვადის ამოწურვის შემდეგ, რაც, თავის მხრივ, შემძენს ნივთზე უფლების შენარჩუნების ინტერესს უკარგავდა. გამომდინარე აქედან, სააპელაციო სასამართლომ მართლზომიერად მიიჩნია მოპასუხის მოთხოვნა ხელშეკრულების მოშლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის თაობაზე.

12. სააპელაციო პალატამ მიუთითა დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებზე, რომ შემძენი უძრავი ქონების უფლებრივი ნაკლის თაობაზე ინფორმირებული არ იყო და იგი აღნიშნული ფაქტის მიმართ კეთილსინდისიერია, ამასთან, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულებით არ იყო შეზღუდული და, მით უმეტეს, გამოირიცხული გამყიდველის პასუხისმგებლობა ნაკლის მქონე ნივთის გაყიდვისას. აქედან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ განმარტა, რომ მხარეებს წარმოეშობათ ხელშეკრულების საფუძველზე მიღებული შესრულებისა და სარგებლის უკან დაბრუნების ვალდებულება მოვალის ბრალის მიუხედავად ანუ იმის მიუხედავად, გამყიდველმა ნაკლიანი ქონების გაყიდვის ეტაპზე იცოდა თუ არა ნივთის ნაკლის შესახებ ან მიუძღვის თუ არა მას ბრალი ნივთზე ნაკლის წარმოშობაში. სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ, მართალია, მოცემულ შემთხვევაში გამყიდველმა ნასყიდობის საგნის უფლებრივი ნაკლი იცოდა, თუმცა ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნაკლიანი შესრულება ხელშეკრულების მოშლის პირობებში პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას ითვალისწინებს მიუხედავად მოვალის ბრალისა. პირვანდელი მდგომარეობის აღდგენას გამორიცხავს მყიდველის არაკეთილსინდისიერება და არა – გამყიდველის კეთილსინდისიერება. თუ მყიდველმა არ იცოდა და ისე მიიღო ნაკლიანი შესრულება, იგი უფლებამოსილია დააბრუნოს ნაკლიანი ნივთი. ამდენად, ნაკლიანი შესრულების მიმღებს ყოველთვის აქვს ხელშეკრულების მოშლის უფლება და აღნიშნული უფლების შეზღუდვა დაუშვებელია ნაკლიანი შესრულების ავტორის ბრალეულობის გამომრიცხველ გარემოებებზე აპელირებით.

13. სააპელაციო პალატამ არ გაიზიარა გასაჩივრებულ გადანყვეტილებაში მოცემული მსჯელობა, რომ მყიდველმა, რომელმაც სამენარმეო მიზნით შეიძინა უძრავი ნივთი, სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის საფუძველზე, დაკარგა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება, რადგან მის მოქმედებას გამორიცხავდა ამავე მუხლის მეორე ნაწილი. კერძოდ, სააპელაციო სასამართლომ მიიჩნია, რომ ხელშეკრულების დადებისას გამ-

ყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე. სააპელაციო პალატის მითითებით, გამყიდველი (მოსარჩელე) ადასტურებდა იმ გარემოებას, რომ მისთვის, რა თქმა უნდა, ცნობილი იყო მიწის ნაკვეთზე წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზიის არსებობის შესახებ, რომლის თაობაზეც მყიდველისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვინაიდან მყიდველი მოცემული საკითხით არ დაინტერესებულა.

14. სააპელაციო პალატის მოსაზრებით, იმ პირობებში, როდესაც ნასყიდობის საგნის გამოყენება შესაძლებელია ისეთი სპეციფიკური ფუნქციური დანიშნულებით, როგორიცაა მიწიდან წიაღისეულის მოპოვება, რის თაობაზეც გაცემულია გრძელვადიანი ლიცენზია, გამყიდველი მოვალე იყო აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია მიეწოდებინა მყიდველისთვის იმისდა მიუხედავად, თუ რა დანიშნულებით და რა მიზნით ყიდულობდა მყიდველი უძრავ ქონებას. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ, მოსარჩელის მსჯელობის გაზიარების შემთხვევაშიც კი, რომლის მიხედვით, მყიდველს ხელშეკრულების დადებისას არ განუცხადებია ნივთის შეძენის მიზნების თაობაზე, უძრავ ნივთზე გაცემული ლიცენზიის სპეციფიკისა და ხანგრძლივობის გათვალისწინებით, გამყიდველი ვალდებული იყო შესაბამისი ცნობები მიეწოდებინა მყიდველისათვის, წინააღმდეგ შემთხვევაში ივარაუდებოდა, რომ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, რაც გამორიცხავდა დავის მიმართ საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას.

15. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო პალატამ მიიჩნია, რომ მყიდველს არ დაუკარგავს სამოქალაქო კოდექსის 352-ე მუხლის მიხედვით, ხელშეკრულებიდან გასვლისა და პირვანდელი მდგომარეობის აღდგენის მოთხოვნის უფლება და, ამდენად, საფუძვლიანი იყო მოპასუხის (შეგებებული სარჩელის მოსარჩელის) მოთხოვნა 2013 წლის 31 მაისის ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლით მოსარჩელისთვის მოპასუხის სასარგებლოდ გადახდილი ნასყიდობის ფასის – 50 000 აშშ დოლარის დაკისრების თაობაზე.

16. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებაზე მოსარჩელემ შეიტანა საკასაციო საჩივარი და მოითხოვა თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით თბილისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილების უცვლელად დატოვება.

17. კასატორმა საკასაციო საჩივარში მიუთითა სააპელაციო სასამართლოს განჩინების გაუქმების შემდეგ საფუძვლებზე:

17.1. სააპელაციო სასამართლომ არასწორად განმარტა და გა-

მოიყენა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლი. მყიდველისთვის ხელშეკრულების გაფორმების მომენტისთვის ცნობილი იყო მიწის ნაკვეთთან დაკავშირებული დავების თაობაზე. აღნიშნული გარემოება დასტურდება საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მოწინააღმდეგე მხარის მიერ მიცემული ჩვენებებით და სისხლის სამართლის წარმოების შეწყვეტის დადგენილებით, სადაც ცალსახად არის დადგენილი, რომ მოპასუხეს ჯერ კიდევ ხელშეკრულების დადებამდე გადაეცა მიწის ნაკვეთთან დაკავშირებით მიმდინარე ყველა სასამართლო დავის შესახებ არსებული გადანყვეტილებები;

17.2. სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ მოსარჩელე შეგნებულად დუმდა ნაკლის თაობაზე და არ უცნობებია ამის თაობაზე მყიდველისთვის. მოსარჩელისთვის მოპასუხის მიერ შეტანილი განცხადების საფუძველზე დაწყებული ძიების ფარგლებში ცნობილი გახდა ის გარემოება, რომ მყიდველს მიეწოდა ინფორმაცია მიწის ნაკვეთის სამართლებრივი მდგომარეობის თაობაზე, რის შესახებაც შესაბამისი სისხლისსამართლებრივი დოკუმენტაცია წარდგენილი იყო სააპელაციო სასამართლოში;

17.3. საქმეში მოიპოვება მოწინააღმდეგე მხარის მიერ წარმოდგენილი დაუყოვნებლივი აღსრულების შეჩერების თაობაზე დოკუმენტაცია, თუმცა არ არის მიცემული შეფასება ამ მტკიცებულებისთვის, ასევე არ არის გამოკვლეული 2015 წლის 25 მაისის სხდომაზე წარდგენილი მტკიცებულება – აღსრულების ეროვნული ბიუროს 2015 წლის 22 მაისის №... ბრძანება, ასევე სხდომაზე დაფიქსირებული მხარეთა ახსნა-განმარტებები, რაც აუცილებელი იყო გამყიდველის კეთილსინდისიერების ფაქტის დასადაგენად. კერძოდ, 2015 წლის 25 მაისის სხდომაზე მოწინააღმდეგე მხარის წარმომადგენელმა ცალსახად დააფიქსირა, რომ ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურში მიმდინარეობდა ძიება შესაძლო თაღლითობის ფაქტზე, რის გამოც შეჩერდა აღსრულება და ითხოვდა აღსრულების გაუქმებას მთლიანად, შესაბამისად, სასამართლოსთვის ცნობილი იყო, რომ მიმდინარეობდა ძიება შესაძლო თაღლითობის ფაქტზე, რომელიც სავარაუდოდ განხორციელდა მოპასუხის მიმართ. ამ სისხლის სამართლის გამოძიების ფარგლებში უდავოდ იქნა დადგენილი, რომ მყიდველს ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე გადაეცა ყველა შესაძლო დოკუმენტაცია ნასყიდობის საგნის თაობაზე;

17.4. სააპელაციო სასამართლოს გადანყვეტილებაში საერთოდ არ არის მსჯელობა უმნიშვნელოვანეს მტკიცებულებაზე, კერძოდ, თბილისის სააპელაციო სასამართლოში კასატორის წარმომადგე-

ნელმა წარადგინა ახსნა-განმარტება, სადაც მსჯელობა იყო 2015 წლის 29 ივნისის დადგენილებაზე სისხლის სამართლის (№...) საქმეზე გამოძიების შეწყვეტის შესახებ. მოცემულ დოკუმენტთან დაკავშირებით დეტალური მსჯელობა მიმდინარეობდა 2016 წლის 30 მარტის ზეპირ სხდომაზე (დისკზე ფაილი 16 – დრო 34.10-დან 35.05-მდე), სადაც ცალსახად არის დაფიქსირებული პოზიცია, რომ საგამოძიებო ორგანოებმა დეტალურად გამოიძიეს მხარეების კეთილსინდისიერების ფაქტი დადებულ გარიგებასთან დაკავშირებით და დაადგინეს, რომ მოტყუებას ან იძულებას გამყიდველის მხრიდან ადგილი არ ჰქონია, მყიდველმა იცოდა მიწის ნაკვეთის უფლებრივი მდგომარეობის შესახებ, რის გამოც სისხლის სამართლის საქმეზე შეწყდა გამოძიება, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო, რაც არ გასაჩივრებულა კანონით დადგენილი წესით და ვადებში. იმ პირობებში, როდესაც ამ კონკრეტულ მტკიცებულებაზე იყო მსჯელობა ზემოაღნიშნულ სხდომაზე და სასამართლოს მიერ არ გამოთქმულა პროტესტი ამ გარემოებასთან დაკავშირებით, უდავოა, რომ სასამართლოსათვის ცნობილი იყო ასეთი ფაქტის არსებობის თაობაზე და არც მონინალმდევე მხარის მხრიდან ყოფილა გამოთქმული პროტესტი ან საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი წესით წარმოდგენილი საპირისპირო მოსაზრება ან მტკიცებულება, რაც ერთმნიშვნელოვნად ადასტურებს იმ ფაქტს, რომ სასამართლოს მიერ არ ყოფილა გამოკვლეული და დადგენილი ფაქტობრივი გარემოება სწორად;

17.5. ის გარემოება, რომ მონინალმდევე მხარემ იცოდა იმ სასამართლო გადაწყვეტილებების და სხვა მასალების შესახებ, რომლებიც წინ უსწრებდა მიწის ნაკვეთის შეძენას და დაკავშირებული იყო მიწის ნაკვეთის უფლებრივ მდგომარეობასთან, ასევე დასტურდება მონინალმდევე მხარის მიერვე წარდგენილ შეგნებულ სარჩელზე თანდართული მტკიცებულებებითა და ნახაზებით (სადაც ერთ-ერთ მტკიცებულებაზე შეგნებულად არის გადახაზული მოსარჩელის სახელი და გვარი ანუ მას ეს დოკუმენტაცია გადაცემული ჰქონდა ჯერ კიდევ მაშინ, როცა მიწის ნაკვეთი მოსარჩელის საკუთრებაში იყო). საყურადღებოა, რომ მოცემული მტკიცებულებები სასამართლომ არ შეაფასა;

17.6. კასატორის წარმომადგენელმა 2016 წლის 4 თებერვლის ზეპირ განხილვაზე მისცა ახსნა-განმარტება იმის თაობაზე, რომ ის ადრე იცავდა მოსარჩელის ინტერესებს შპს „ს-თან“ არსებულ დავებში და ეს საბუთები გადაცემული ჰქონდა მყიდველს. ამ გარემოებას, ასევე, ადასტურებს მონინალმდევე მხარის წარმომადგენლის, კ. ბ-ის, მიერ მცხეთის პოლიციაში 2014 წლის 24 ოქტომბერს მიცემული ახსნა-განმარტება, სადაც ცალსახად არის დად-

გენილი ის გარემოება, რომ მყიდველმა იცოდა ლიცენზიის არსებობის თაობაზე ჯერ კიდევ ხელშეკრულების გაფორმების მომენტში;

17.7. მტკიცების ტვირთი იმის შესახებ, რომ მყიდველმა მიწის ნაკვეთი შეიძინა მხოლოდ იმ მიზნით, რომ მოეპოვებინა ე.წ. „კლინკერი“, ეკისრება მყიდველს. საქმეში არ მოიპოვება ამის დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება. მხარეთა შორის დადებულ ნასყიდობის ხელშეკრულებაში არსად წერია, რომ მყიდველს მიწის ნაკვეთი უნდა შეეძინა კონკრეტული მიზნის მისაღწევად;

17.8. სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა, რომ მიწის ნაკვეთის შექმნის ერთადერთ მიზანს წარმოადგენდა სასარგებლო წილისეულის მოპოვება და მას სხვა დანიშნულება არ გააჩნდა, ეწინააღმდეგება საქმეში არსებულ გარემოებებს და მტკიცებულებებს, რადგან ნასყიდობის ხელშეკრულებიდან ნათლად ჩანს, რომ საუბარია სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე;

17.9. მყიდველი გარიგების დადებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეგნებულად დუმდა ლიცენზიის საკითხთან დაკავშირებით, არასდროს გამოუთქვამს პრეტენზია ამ საკითხზე და ელოდებოდა ხელსაყრელ მომენტს, რათა ლიცენზიის საკითხი მოეგვარებინა. კასატორმა აღნიშნა, რომ, თუ თავად არ დააყენებდა ფასის გადახდის მოთხოვნას, არც ნაკლზე აქცენტირებას ექნებოდა ადგილი და სავარაუდოდ განუსაზღვრელი ვადით გადაინევდა ვალდებულების შესრულებაზე. ყოველივე ეს ნათლად ადასტურებს მყიდველის არაკეთილსინდისიერებას;

17.10. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი გარემოება იმის შესახებ, რომ ნასყიდობის საგნის მიმართ შპს „ს-ის“ სასარგებლოდ გაცემულია 20-წლიანი ლიცენზია. სისხლის სამართლის საქმეზე გამოძიების შეწყვეტის დადგენილებაში მითითებულია ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით განხილულ საქმეებზე მიღებული კანონიერ ძალაში შესული სასამართლო გადაწყვეტილებები, რომლებიც სააპელაციო სასამართლომ ყოველგვარი შეფასების გარეშე დატოვა და, რომლებითაც გამოირიცხება შპს „ს-ის“ რაიმე უფლებები ნასყიდობის საგანზე;

17.11. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 494-ე მუხლის მეორე ნაწილის შესაბამისად, მყიდველს არ წარმოეშობა უფლებები ნივთის ნაკლის გამო, თუ ხელშეკრულების დადების მომენტში მან იცოდა ამის შესახებ. წინამდებარე შემთხვევაში დასტურდება, რომ მყიდველმა იცოდა არსებული ლიცენზიის შესახებ, თუმცა მან ნივთი მიიღო იმ სამართლებრივი მდგომარეობით, რომელიც არსებობდა ხელშეკრულების გაფორმების მომენტისათვის;

17.12. არასწორია სააპელაციო სასამართლოს მსჯელობა იმის

თაობაზე, რომ მყიდველს ყოველთვის შეუძლია მოშალოს ხელშეკრულება ნივთის ნაკლის გამო მიუხედავად გამყიდველის კეთილსინდისიერებისა, აღნიშნული მსჯელობა ეწინააღმდეგება სამოქალაქო კოდექსის 494-ე და 495-ე მუხლებს.

18. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 6 ივნისის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი მიღებულ იქნა წარმოებაში, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მიხედვით, დასაშვებობის შესამოწმებლად.

19. საქართველოს უზენაესი სასამართლოს 2016 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ცნობილ იქნა დასაშვებად საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის საფუძველზე.

სამოტივაციო ნაწილი:

20. საკასაციო სასამართლო საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლისა და გასაჩივრებული გადაწყვეტილების იურიდიული დასაბუთების შემოწმების შედეგად მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება, მოსარჩელის სარჩელი დაკმაყოფილდეს, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 950 000 აშშ დოლარის გადახდა, მოპასუხის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს.

21. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამოწმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში. ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესულურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და, რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

22. საკასაციო პალატა საკასაციო საჩივრის საფუძვლების შესწავლის შედეგად მიიჩნევს, რომ კასატორმა, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებთან მიმართებით წარმოადგინა დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია.

23. კასატორის პრეტენზიის თანახმად, სააპელაციო სასამართლომ არასწორად დაადგინა ფაქტობრივი გარემოება იმის თაობაზე, რომ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე.

24. საკასაციო სასამართლო ზემოაღნიშნული პრეტენზიის შემომწებამდე განმარტავს, რომ მხარეთა შორის დავის განხილვისას სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რა ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს მოსარჩელე თავის მოთხოვნას. სასამართლომ მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს სამართლებრივი ნორმა, რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რომლის მიღწევაც მხარეს სურს. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემომწებაც სასამართლოს ვალდებულებაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენებით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს ამა თუ იმ ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გეთავაზობს (იხ. სუსგ №ას-848-814-2016, 2016 წლის 28 დეკემბერი).

25. განსახილველ შემთხვევაში მხარეთა შორის წარმოშობილი დავა გამომდინარეობს ნასყიდობის ხელშეკრულების მომწესრიგებელი ნორმებიდან.

26. სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილია, რომ:

26.1. 2013 წლის 31 მაისს მოსარჩელეს (გამყიდველი) და მოპასუხეს (მყიდველი) შორის გაფორმდა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად, მოსარჩელემ გაყიდა, ხოლო მოპასუხემ იყიდა მცხეთის რაიონის სოფელ ...-ში მდებარე 373 601,00 კვ.მ. ფართობის მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი №...);

26.2. ხელშეკრულების მე-4 მუხლის თანახმად, ნასყიდობის საგნის ფასი შეადგენდა 1 000 000 აშშ დოლარს. ანგარიშსწორება უნდა განხორციელებულიყო ეტაპობრივად: 50 000 აშშ დოლარი გადახდილი უნდა ყოფილიყო ნასყიდობის საგნის მყიდველზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაციიდან 5 საბანკო დღის ვადაში, ხოლო 950 000 აშშ დოლარი – ნასყიდობის საგნის მყიდველზე საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში რეგისტრაცი-

ციიდან ერთი წლისა და 1 დღის გასვლის შემდეგ 5 საბანკო დღეში.

27. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 477-ე მუხლის თანახმად, ნასყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი. მყიდველი მოვალეა გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ნაყიდი ქონება. ნასყიდობის ხელშეკრულება არის კონსენსუალური და სასყიდლიანი ხელშეკრულება. იგი ორმხრივ მავალდებულებელი გარიგებაა, რაც გამოიხატება, ერთი მხრივ, გამყიდველის ვალდებულებაში – გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიაწოდოს საქონელი, ხოლო, მეორე მხრივ, მყიდველის ვალდებულებაში – გადაუხადოს გამყიდველს შეთანხმებული ფასი და მიიღოს ქონება.

28. საკასაციო სასამართლო უთითებს სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ მყიდველმა გადაიხადა ნასყიდობის საგნის ღირებულების მხოლოდ ნაწილი – 50 000 აშშ დოლარი, დარჩენილი 950 000 აშშ დოლარი მას არ გადაუხდია. გამყიდველმა მყიდველის სარჩელისგან თავის დასაცავად აღძრა შეგებებული სარჩელი, რომლის დაკმაყოფილება მთლიანად გამოირიცხავს პირვანდელი სარჩელის დაკმაყოფილების შესაძლებლობას. კერძოდ, მყიდველმა მიუთითა უძრავი ქონების უფლებრივ ნაკლზე.

29. მაშასადამე, საქმეში წარმოდგენილია ორი სარჩელი: უძრავი ქონების გამყიდველის პირვანდელი სარჩელი, რომლითაც იგი ითხოვს ნასყიდობის საგნის ღირებულების მეორე ნაწილის – 950 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას მყიდველისთვის და მყიდველის შეგებებული სარჩელი, რომლითაც იგი, უთითებს რა უფლებრივ ნაკლზე, ითხოვს ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გასვლით, პირვანდელი მდგომარეობის აღდგენასა და მოსარჩელისთვის 50 000 აშშ დოლარის გადახდის დაკისრებას.

30. დადგენილია, რომ 2013 წლის 31 მაისს დადებული ნასყიდობის ხელშეკრულებით შექმნილ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი №...) შპს „ს-ის“ სასარგებლოდ 2000 წლის 13 ოქტომბერს 20 წლის ვადით გაცემულია წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზია.

31. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 487-ე მუხლის თანახმად, გამყიდველმა მყიდველს უნდა გადასცეს ნივთობრივი და უფლებრივი ნაკლისაგან თავისუფალი ნივთი. ამავე კოდექსის 489-ე მუხლის თანახმად, ნივთი უფლებრივად უნაკლოა, თუ მესამე პირს არ შეუძლია განუცხადოს მყიდველს პრეტენზია თავისი უფლებების გამო. მოცემული ნორმის ანალიზიდან გამომდინარე, კანონმდებელი ნივთის უფლებრივი ნაკლის არსებობას უკავშირებს ისეთ

გარემოებას, როდესაც მესამე პირს გასასხვისებელი ნივთის მიმართ თავისი სანივით ან ვალდებულებითი სახის უფლება გააჩნია. შესაბამისად, მესამე პირის უფლების რეალიზაცია იწვევს შემძენის უფლებათა შეზღუდვას, თავისუფლად ფლობდეს, სარგებლობდეს და განკარგავდეს შეძენილ ნივთს და იმავდროულად წარმოშობს გამყიდველის პასუხისმგებლობის საფუძვლებს (იხ. სუსგ №ას-24-22-2013, 12 დეკემბერი, 2013წ.).

32. უფლებრივად უნაკლო ნივთის გადაცემის ვალდებულების დარღვევა მყიდველს წარმოუშობს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 490-ე-492-ე მუხლებით გათვალისწინებულ ნაკლის გამოსწორების, ფასის შემცირების ან ხელშეკრულების მოშლის უფლებას.

33. საქართველოს სამოქალაქო კოდექსი განსხვავებულ მოწესრიგებას გვთავაზობს მენარმე სუბიექტებთან მიმართებით. კერძოდ, 495-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მყიდველი მენარმეა, ის ვალდებულია დაუყოვნებლივ შეამომოს ნივთი; თუკი იგი ნაკლის აღმოჩენიდან შესაბამის ვადაში ან იმ ვადაში, რომლის განმავლობაშიც ცნობილი უნდა ყოფილიყო მისთვის ნაკლის არსებობა, არ წარუდგენს გამყიდველს პრეტენზიას, მას ერთმევა ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლება.

34. საკასაციო პალატა იზიარებს პირველი ინსტანციის სასამართლოს განმარტებას, რომ კანონმდებლის მიერ საკითხის მსგავსი მოწესრიგება განპირობებულია იმით, რომ მენარმე კერძო-სამართლებრივი ურთიერთობებისათვის დამახასიათებელ რისკებს უკეთ ალიქვამს. ის ფაქტი, რომ სამოქალაქო ბრუნვაში მენარმის მიერ განხორციელებული ქმედება გონივრული და კონსტრუქციული უნდა იყოს, წარმოადგენს პრეზუმფციას, რომელიც თავისი ბუნებით იურიდიული ფიქციაა და ამ ვარაუდს არ აუქმებს შემდგომში მენარმე პირის მიერ გამოჩენილი წინდაუხედაობა.

35. საკასაციო სასამართლო ეთანხმება ქვედა ინსტანციის სასამართლოების მსჯელობას, რომ ზემოაღნიშნული მუხლი მისი გამოყენების წინაპირობად ერთმნიშვნელოვნად მყიდველის მენარმეობას ადგენს. თუმცა, მისი გამოყენება შესაძლებელია არამხოლოდ მაშინ, როდესაც გარიგების ერთ-ერთი ან ორივე მხარე „მენარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული სუბიექტია, არამედ – მაშინაც, როდესაც ნივთის შეძენას სამენარმეო მიზანი გააჩნია. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის განმარტებისას მხარის სტატუსს განსაზღვრავს სწორედ მის მიერ დადებული ხელშეკრულების მიზანი.

36. საკასაციო სასამართლო უთითებს მყიდველის მიერ წარდგე-

ნილ შეგებებულ სარჩელზე, რომლის თანახმად, მიწის შეძენის საფუძველს წარმოადგენდა მხოლოდ და მხოლოდ მიწიდან სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება კლინკერის სახით, რომელიც გამოიყენება ცემენტის წარმოებისათვის და იზიარებს ქვედა ინსტანციის სასამართლოების შეფასებას, რომ მყიდველს მიწის ნაკვეთის შეძენასთან მიმართებით გააჩნდა სწორედ სამენარმეო მიზანი.

37. საკასაციო პალატა უთითებს ასევე სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილ ფაქტობრივ გარემოებაზე, რომ გამყიდველი ხელშეკრულების დადებისას შეგნებულად დუმდა ნივთის ნაკლზე, რაც გამორიცხავს სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის გამოყენების შესაძლებლობას და, რასთან დაკავშირებითაც კასატორს (მოსარჩელეს) წარმოდგენილი აქვს დასაბუთებული შედაგება.

38. სააპელაციო სასამართლომ სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა თავად მოსარჩელის ახსნა-განმარტებით, რომ მოპასუხე (შეგებებული სარჩელის მოსარჩელე) არ დაინტერესებულა და ამის შესახებ მოსარჩელისთვის (შეგებებული სარჩელის მოპასუხისთვის) ცნობილი არ იყო. სააპელაციო პალატა მოცემულ ახსნა-განმარტებაზე დაყრდნობით მივიდა იმ დასკვნამდე, რომ მოსარჩელისთვის ცნობილი იყო მიწის ნაკვეთზე წიაღით სარგებლობის შესახებ ლიცენზიის არსებობის თაობაზე, თუმცა, მას აღნიშნული ფაქტის შესახებ მყიდველისთვის ინფორმაცია არ მიუწოდებია, ვინაიდან მყიდველი მოცემული საკითხით არ დაინტერესებულა.

39. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 52-ე მუხლის თანახმად, ნების გამოვლენის განმარტებისას ნება უნდა დადგინდეს გონივრული განსჯის შედეგად, და არა მარტოდენ გამოთქმის სიტყვასიტყვითი აზრიდან.

40. საკასაციო სასამართლოს მოსაზრებით, მოსარჩელის ზემოაღნიშნული ახსნა-განმარტება არ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ იგი შეგნებულად დუმდა ლიცენზიის არსებობის თაობაზე, ზემოაღნიშნული განმარტება მიუთითებს მხოლოდ იმაზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო მოპასუხის სამენარმეო მიზნების თაობაზე, რადგან თავად მყიდველი არ დაინტერესებულა აღნიშნული საკითხით.

41. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს სააპელაციო სასამართლოს მეორე არგუმენტზეც. სახელდობრ, სააპელაციო პალატა უთითებს, რომ, რადგან ნასყიდობის საგნის გამოყენება შესაძლებელია სპეფიციკური ფუნქციური დანიშნულებით, როგორცაა მიწიდან წიაღისეულის მოპოვება და

რის თაობაზეც გაცემულია გრძელვადიანი ლიცენზია, გამყიდველი მოვალეა აღნიშნული გარემოების შესახებ ინფორმაცია მიაწოდოს მყიდველს იმისდა მიუხედავად, თუ რა დანიშნულებით და რა მიზნით ყიდულობს მყიდველი უძრავ ქონებას. მოცემულ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო დაეყრდნო მხოლოდ მყიდველის შეგებებულ სარჩელს, რომელშიც იგი აღნიშნავს, რომ მიწის ნაკვეთს სხვა დანიშნულება არ გააჩნია და მისი შექმნის ერთადერთი საფუძველი იყო სასარგებლო წიაღისეულის მოპოვება, რასაც საკასაციო პალატა ვერ გაიზიარებს. საკასაციო სასამართლო ეთანხმება კასატორის პოზიციას, რომ მიწის ნაკვეთის მხოლოდ სპეციფიკური დანიშნულებით გამოყენების შესაძლებლობა საქმის მასალებით არ დასტურდება, პირიქით, საჯარო რეესტრის ამონაწერით დგინდება, რომ მიწის ნაკვეთი არის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მქონე.

42. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქმეში არ მოიპოვება სხვა რაიმე მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა იმ ფაქტს, რომ გამყიდველი შეგნებულად დუმდა ნივთის უფლებრივ ნაკლზე. ამასთან, სადავო ფაქტობრივი გარემოების მტკიცების ტვირთი იყო მოპასუხის მხარეზე, რომლის რეალიზება მან ვერ განახორციელა შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენის გზით.

43. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლით გათვალისწინებულია სასამართლოს მიერ მტკიცებულებების შეფასების წესი. კერძოდ, მოცემული მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების თანახმად, სასამართლოსათვის არავითარ მტკიცებულებას არა აქვს წინასწარ დადგენილი ძალა. სასამართლო აფასებს მტკიცებულებებს თავისი შინაგანი რწმენით, რომელიც უნდა ემყარებოდეს მათ ყოველმხრივ, სრულ და ობიექტურ განხილვას, რის შედეგადაც მას გამოაქვს დასკვნა საქმისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების არსებობის ან არარსებობის შესახებ.

44. სააპელაციო პალატამ სადავო ფაქტობრივი გარემოება დაადგინა იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ამ ფაქტის დამადასტურებელი სათანადო მტკიცებულებები.

45. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს მიუთითოს მოსარჩელის წარმომადგენლის ახსნა-განმარტებაზე, რომელიც მან მისცა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის ზეპირ სხდომაზე (იხ. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 30 მარტის სასამართლოს სხდომის ოქმი CD დისკი: 12:48:03-12:54:40) და მოსარჩელე მხარის კეთილსინდისიერების დასადასტურებლად სასამართლოს მიაწოდა ინფორმაცია მოპასუხის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტის თაობაზე სისხლის სამართლის კანონით გათვა-

ლისწინებული ქმედების არარსებობის გამო.

46. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ სააპელაციო წარმოების საქმის მასალებში მოიპოვება აღსრულების ეროვნული ბიუროს თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებლის მიერ გაცემული №... ბრძანება საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი საჯარო სამართლის იურიდიული პირის – აღსრულების ეროვნული ბიუროს წარმოებაში არსებული სააღსრულებო საქმის აღსრულების შეჩერების შესახებ. ბრძანებიდან ირკვევა, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურის საგამოძიებო დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს წარმოებაშია სისხლის სამართლის №... საქმე, მოპასუხის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე, დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 180-ე მუხლის პირველი ნაწილით. პროკურორის მომართვის თანახმად, მოპასუხის საკუთრებაში არსებული ქონების (მდებარე: მცხეთის რაიონი, სოფელი ..., საკადასტრო კოდი: ...) მიმართ სავარაუდოდ ჩადენილია დანაშაულებრივი ქმედება.

47. სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების არარსებობის გამო მოპასუხის მიმართ განხორციელებული თაღლითობის ფაქტზე აღძრული სისხლის სამართლის საქმის შეწყვეტა ადასტურებს იმას, რომ არასწორია სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი სადავო ფაქტობრივი გარემოება გამყიდველის შეგნებულ დუმილთან დაკავშირებით.

48. საკასაციო სასამართლო მიუთითებს, რომ სააპელაციო სასამართლომ საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 105-ე მუხლის დარღვევით სრულყოფილად არ შეაფასა საქმეში არსებული მტკიცებულებები, მათ შორის, მოსარჩელის ახსნა-განმარტება სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების შეწყვეტის თაობაზე.

49. საკასაციო სასამართლო მნიშვნელოვნად მიიჩნევს ყურადღება გაამახვილოს კასატორის მიერ მითითებულ იმ გარემოებაზეც, რომ მყიდველი გარიგების დადებიდან ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში შეგნებულად დუმდა ლიცენზიის საკითხთან დაკავშირებით, არ გამოუთქვამს პრეტენზია. მოსარჩელე თუ არ დააყენებდა ფასის გადახდის მოთხოვნას, მოპასუხე არ მიუთითებდა უფლებრივ ნაკლზე და სავარაუდოდ განუსაზღვრელი ვადით გადაინვედა ვალდებულების შესრულება, რაც დამატებით ამყარებს იმ მოსაზრებას, რომ მან დაარღვია სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა ნივთის დაუყოვნებლივ შემოწმებისა და შესაბამის ვადაში გამყიდველისთვის პრეტენზიის წარდგენის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულების დარღვევა

კი მყიდველს ნივთის ნაკლის გამო მოთხოვნის უფლებას უკარგავს.

50. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმე განხილულია საპროცესო სამართლის ნორმების მნიშვნელოვანი დარღვევით. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, საპროცესო სამართლის ნორმების დარღვევა მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველი, თუ ამ დარღვევის შედეგად საქმეზე არასწორი გადაწყვეტილება იქნა გამოტანილი.

51. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში სააპელაციო სასამართლო მტკიცებულებების არასათანადო შეფასების შედეგად მივიდა საქმის არასწორ გადაწყვეტამდე, რაც გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების საფუძველია.

52. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად, საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქმეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწინებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სასამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველები. ვინაიდან, მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს ამგვარი საფუძველები და არ არის საჭირო მტკიცებულებათა დამატებითი გამოკვლევა, საკასაციო პალატა უფლებამოსილია თვითონ მიიღოს გადაწყვეტილება

53. მოცემულ შემთხვევაში კასატორის მიერ წარმოდგენილი დასაბუთებული პრეტენზიის განხილვის შედეგად არ დადასტურდა სამოქალაქო კოდექსის 495-ე მუხლის პირველი ნაწილის გამომრიცხველი მე-2 ნაწილის შემადგენლობის არსებობა, რაც მოსარჩელის სარჩელის დაკმაყოფილების საფუძველია.

54. დადგენილია, რომ მყიდველს არ გადაუხდია ნასყიდობის საგნის ღირებულების მეორე ნაწილი – 950 000 აშშ დოლარი.

55. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 316-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ვალდებულების ძალით კრედიტორი უფლებამოსილია მოსთხოვოს მოვალეს რაიმე მოქმედების შესრულება. ამავე კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ვალდებულება უნდა შესრულდეს ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას.

56. ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ კასატორის საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელი დაკმაყოფილდეს, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ დაეკისროს 950 000 აშშ დოლარის გადახდა.

57. საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე განთავისუფლებული იყოს სახელმწიფოს ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების თანახმად, აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას. თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, იგი შესაბამისად შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც.

58. განსახილველ შემთხვევაში, ვინაიდან სარჩელი დაკმაყოფილდა, მოპასუხეს მოსარჩელის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის, 9 000 (ცხრა ათასი) ლარის გადახდა.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. მ. ტ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 12 აპრილის გადაწყვეტილება;
3. მ. ტ-ის სარჩელი დაკმაყოფილდეს;
4. შ. შ. რ-ს მ. ტ-ის სასარგებლოდ დაეკისროს 950 000 აშშ დოლარის გადახდა;
5. შ. შ. რ-ის შეგებებული სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
6. შ. შ. რ-ს (პ/ნ: ...) მ. ტ-ის (პ/ნ: ...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ პირველი ინსტანციისა და საკასაციო ინსტანციის სასამართლოებში გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 9000 (ცხრა ათასი) ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

2. ქირავნობა

გამქირავებლის თანხმობა ქვექირავნობაზე

გადანყვიტილება საქართველოს სახელით

№ას-549-549-2018

30 მაისი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ს.ა.ბ.ე.ა.ც.ს-ასა“ (შემდეგში: მოსარჩელე, აპელანტი, კა-სატორი, უფლების დამთმობი) და შპს „ე-ოს“ (შემდეგში: მოპასუ-ხე, შეგებებული სარჩელით მოსარჩელე ან უფლების მიმღები) შო-რის 2015 წლის 2 მარტს დაიდო პირობითი ხელშეკრულება, რომ-ლის თანახმად, უფლების დამთმობმა უფლების მიმღებს დაუთმო საიჯარო უფლებები უძრავ ქონებაზე, მდებარე ქ. თბილისში, ..., საკადასტრო კოდი: .., მიმღებმა იკისრა ვალდებულება, დამთმობს გადაუხადოს ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათ-ვალისწინებული პირობებით.

2. პირობითი ხელშეკრულების მე-2 პუნქტით განისაზღვრა ანაზღაურების პირობები, კერძოდ:

2.1 უფლების მიმღები მის დამთმობს გადაუხდის 100 000,00 აშშ დოლარს მიმღების სახელზე უძრავ ნივთზე, მდებარე ქ. თბილისი, ..., საკადასტრო კოდი: ..., საკუთრების უფლების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან ორი კვირის ვადაში;

2.2 დარჩენილ 100 000,00 აშშ დოლარს უფლების მიმღები უფ-ლების დამთმობს გადაუხდის მშენებლობის ნებართვის მიღები-დან ორი კვირის ვადაში, არაუგვიანეს 2015 წლის 1 ივლისისა;

2.3 ხელშეკრულების მიხედვით, მშენებლობის განხორციელე-ბის და შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღების შემდეგ უფ-ლების მიმღები უფლების დამთმობს გადასცემს 300 კვ.მ საცხოვ-რებელ ფართს, ამ უკანასკნელის არჩევით, თეთრი კარკასის სა-ხით, რაზედაც მშენებლობის ნებართვის მიღების შემდეგ, უფლე-

ბის მიმღები გააფორმებს უფლების დამთმობთან ინდივიდუალურ ხელშეკრულებას ფართის გადაცემის შესახებ, რაც რეგისტრირდება საჯარო რეგისტრში.

3. მხარეებს შორის, 2015 წლის 2 მარტსვე დაიდო შეთანხმება რომლის პირველი პუნქტის თანახმად, მოპასუხე საჯარო რეგისტრში უძრავი ქონების (იხ. პირველი პუნქტი) მესაკუთრედ რეგისტრაციის მომენტიდან თანახმა იყო, მის საკუთრებაში არსებულ უძრავ ქონებაში განთავსებულ კომერციულ საბავშვო ბაღს (მოსარჩელე) ფუნქციონირება გაეგრძელებინა 2015 წლის 1 ივლისამდე.

4. იმავე შეთანხმების მე-2 პუნქტის მიხედვით მოსარჩელე თანახმა იყო, მისი განთავსების იმდროინდელი ადგილიდან (ქ. თბილისი, ...), 2015 წლის პირველ ივლისს დაეცალა დაკავებული შენობა-ნაგებობანი და გადასულიყო იმ მისამართზე, რომელიც კომერციული საბავშვო ბაღის ფუნქციონირებისათვის მის მიერვე იქნებოდა შერჩეული, იმ პირობით, რომ მოპასუხე შეასრულებდა მხარეებს შორის გაფორმებული 02.03.2015წ. პირობითი ხელშეკრულების პირობებს.

5. შეთანხმების მე-3 პუნქტის მიხედვით, მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება მოპასუხის მიერ სამშენებლო სამუშაოების დასრულებამდე და ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებამდე, საბავშვო ბაღს ფუნქციონირება გაეგრძელებინა იმ მისამართზე, რომელშიც იგი გადავიდოდა 2015 წლის 1 ივლისიდან.

6. შეთანხმების მე-4 პუნქტის მიხედვით მოპასუხემ, იკისრა ვალდებულება, მის მიერ ქ. თბილისში, ... მდებარე მიწის ნაკვეთზე (ს/კ ...) მის მიერ აშენებული შენობა-ნაგებობის ექსპლუატაციაში მიღებიდან 3 წლის განმავლობაში, მასში განთავსებინა კომერციული საბავშვო ბაღი.

7. მოპასუხემ 2015 წლის 24 მარტს მოსარჩელეს გადაურიცხა 221 944,00 ლარი, დანიშნულებით: „2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულების 2.1 პუნქტის ვალდებულების შესრულება“ (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 2.1 ქვეპუნქტი).

8. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 3 სექტემბრის №2172394 ბრძანებით, (ნაკვეთი ...), გაიცა მშენებლობის ნებართვა და მოპასუხეზე გაცემულად ჩაითვალა მშენებლობის სასაბარტო მონაშობა.

9. სახელმწიფო ქონების მართვის სამმართველოსა და მოსარჩელეს შორის 1999 წლის 14 იანვარს გაფორმდა საიჯარო ხელშეკრულება, რომლის მიხედვითაც, მეიჯარემ გასცა, ხოლო მოიჯარემ (მოსარჩელემ) აიღო, ქ. თბილისის №... ბაგა-ბაღის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონება, 987 კვ.მ არასაცხოვრებელი ფართი.

ხელშეკრულების 1.5 ქვეპუნქტით, იჯარის ხანგრძლივობა განისაზღვრა ხელშეკრულების ხელმოწერის დღიდან 10 წლის ვადით (საიჯარო ხელშეკრულება სახელმწიფოსთან).

9.1 მოსარჩელე სახელმწიფო ხაზინაში საიჯარო ქირის გადასახადს იხდიდა 2015 წლის 12 იანვრის ჩათვლით.

10. საჯარო რეესტრის 2015 წლის 10 მარტის ამონაწერით, უძრავი ქონება (მისამართი იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) ეკუთვნის მოპასუხეს ქონების ურთიერთგადაცემის ხელშეკრულების საფუძველზე.

11. სსიპ ქონების მართვის სააგენტოსა და მოპასუხეს შორის, 2015 წლის 30 ნოემბერს გაფორმდა უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულება, რის საფუძველზეც სააგენტომ საკუთრებაში გადასცა მოპასუხეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ქონება, ქ. თბილისში, ... მდებარე 7793 კვ.მ მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობა №1-ს (საკადასტრო კოდი: ...), სანაცვლოდ ამ ხელშეკრულებით მოპასუხემ საკუთრებაში გადასცა ქ. თბილისის მუნიციპალიტეტს ქ. თბილისში, ... მდებარე 3461 კვ.მ მიწის ნაკვეთი მასზე განთავსებული შენობა-ნაგებობებით: №1 – საერთო ფართობით 1131,78 კვ.მ (მ/შ: პირველი სართული 561,75 კვ.მ, მეორე სართული 570,03 კვ.მ. ნაგებობები: №2 და №3 /საკადასტრო კოდი: .../.

12. საჯარო რეესტრის 2015 წლის 2 დეკემბრის ამონაწერით ირკვევა, რომ ქ. თბილისში, ... (ს/კ ...) რეგისტრირებული უძრავი ქონების მესაკუთრედ ირიცხება სსიპ თვითმმართველი ქალაქი – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტი, უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების საფუძველზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-11 პუნქტი).

13. იმავე წლის 1 დეკემბრის ამონაწერის მიხედვით ირკვევა, რომ ... საკადასტრო კოდით რეგისტრირებული უძრავი ქონების, მდებარე ქ. თბილისი, ..., მესაკუთრედ ირიცხება მოპასუხე უძრავი ქონების გაცვლის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულების (დამონშების თარიღი: 30/11/2015, საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო) საფუძველზე, უფლების რეგისტრაციის თარიღია 2015 წლის 1 დეკემბერი.

14. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2016 წლის 8 თებერვლის №2414387 ბრძანებით, ...ქ. №63-ე მდებარე ობიექტზე (იხ. მე-13 პუნქტი), გაიცა მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, კომერციული – სავაჭრო ობიექტები, ოფისები) მშენებლობის ნებართვა, დამკვეთი – მოპასუხე.

15. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 14 ივლისს

№2055908 გადანყვეტილებით, ობიექტზე, მდებარე ქ. თბილისი, ..., მიმდინარე მშენებლობასთან დაკავშირებით მეზობლებმა წარადგინეს საჩივრები, რის საფუძველზეც ჩატარდა ადმინისტრაციული წარმოება.

16. სასარჩელო მოთხოვნა

16.1 მოსარჩელემ სარჩელით მიმართა სასამართლოს, მოითხოვა მოპასუხისათვის ხელშეკრულების დარღვევით მიყენებული ზიანის 282 100 აშშ დოლარის ანაზღაურება (მოსარჩელე თავდაპირველად ითხოვდა მოპასუხისათვის 400 000 აშშ დოლარის დაკისრებას, თუმცა, 2017 წლის 6 იანვრის მოსამზადებელ სხდომაზე შეამცირა მოთხოვნა).

16.2. მოსარჩელე მოთხოვნას აფუძნებდა იმ გარემოებაზე, რომ მან მთლიანად შეასრულა 02.03.2015 წ. პირობითი ხელშეკრულებითა და შეთანხმებით ნაკისრი ვალდებულებები, დაცალა მის მიერ დაკავებული შენობა-ნაგებობები და ბალის ფუნქციონირება სხვა მისამართზე გააგრძელა. მიუხედავად მოპასუხის არაერთი გაფრთხილებისა და დამატებითი ვადის მრავალჯერ მიცემისა, ეს უკანასკნელი უარს აცხადებს დარჩენილი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულებაზე.

17. მოპასუხის შესაგებელი თავდაპირველ სარჩელზე

17.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო.

18. შეგებებული სარჩელის მოთხოვნა

18.1 თავის მხრივ, შეგებებული სარჩელი წარადგინა მოპასუხემ და მოითხოვა:

18.1.1 მხარეთა შორის 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულებისა და შეთანხმების შეწყვეტილად ცნობა;

18.1.2 მოსარჩელის დავალდებულება, პირობითი ხელშეკრულების 2.1 პუნქტის მიხედვით გადახდილი 100 000 აშშ დოლარის ეკვივალენტის – 221 944 ლარის მოპასუხისათვის დაბრუნება (იხ. წინამდებარე გადანყვეტილების 2.1 ქვეპუნქტი და მე-7 პუნქტი).

19. მოსარჩელის შესაგებელი შეგებებულ სარჩელზე

19.1. მოსარჩელემ მის წინააღმდეგ აღძრული შეგებებული სარჩელი არ ცნო.

20. თბილისის საქალაქო სასამართლოს გადანყვეტილება

20.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 აპრილის გადანყვეტილებით უფლების დამთმობის სარჩელი უფლების მიმღების წინააღმდეგ ამ უკანასკნელისათვის 282 100 აშშ დოლარის დაკისრების შესახებ არ დაკმაყოფილდა;

20.2 ამავე გადანყვეტილებით მოპასუხის შეგებებული სარჩე-

ლი ძირითადი მოსარჩელის მიმართ დაკმაყოფილდა:

20.2.1 შეწყვეტილად იქნა აღიარებული მხარეთა შორის დადებული 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულება და იმავე თარიღის შეთანხმება;

20.2.2 მოსარჩელეს მოპასუხის სასარგებლოდ 221 944,00 ლარის გადახდა დაეკისრა.

20.3 თბილისის საქალაქო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 352-ე და 405-ე მუხლებით.

20.4 საქალაქო სასამართლომ წინამდებარე გადაწყვეტილების მე-9 პუნქტში ასახულ გარემოებაზე მიუთითა და განმარტა, რომ დასახელებული ხელშეკრულების მოქმედების ვადა 2009 წლის 14 იანვარს ამოიწურა, მოსარჩელე კი აღნიშნული თარიღის შემდეგაც იხდიდა საიჯარო ქირას ისე, რომ შესაბამისი ხელშეკრულება სასამართლოსათვის არ წარუდგენია. შესაბამისად, სასამართლოს შეფასებით, დასახელებული თარიღის შემდეგ ქონების ფლობა და საიჯარო თანხის გადახდა სამართლებრივი საფუძვლის გარეშე, გულისხმობს არარსებული ვალდებულების შესრულებას.

20.5 ზემოხსენებულიდან გამომდინარე, სასამართლომ განმარტა, რომ, მართალია, სსკ-ის იჯარის ხელშეკრულების მომწესრიგებელი სპეციალური თავით წერილობითი ფორმა არ არის განსაზღვრული, მაგრამ სსკ-ის 581-ე მუხლის მეორე ნაწილის საფუძველზე გამოსაყენებელია ქირავნობის ხელშეკრულების წესები. სსკ-ს 569-ე მუხლის თანახმად მიწის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. სასამართლოს შეფასებით, ამგვარი ფორმის დაცვით შედგენილი ხელშეკრულება არ იყო წარდგენილი საქმის მასალებში, შესაბამისად ფორმადაუცველი სამართლებრივი ურთიერთობა ბათილია. სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, ბათილია კანონით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებული აუცილებელი ფორმის დაუცველად დადებული გარიგება, ასევე ნებართვის გარეშე დადებული გარიგება, თუ ამ გარიგებისთვის საჭიროა ნებართვა. სასამართლომ განმარტა, რომ თავისთავად იჯარის ხელშეკრულების არარსებობის ფაქტი არ ნიშნავს იმას, რომ მოსარჩელეს არ ჰქონდა უფლება, მოპასუხესთან პირობითი ხელშეკრულება გაეფორმებინა, რადგან მოსარჩელეს შეეძლო მოეპოვებინა იჯარის უფლება სახელმწიფოსაგან და შემდეგ დაეთმო იგი მოპასუხისათვის; 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულების შინაარსი იმაში მდგომარეობდა, რომ მოსარჩელე, როგორც უფლების დამთმობი კისრულობდა ვალდე-

ბულებას, გადაეცა სარგებლობის უფლება საიჯარო ქონებაზე და ამის სანაცვლოდ მოპასუხისაგან მიეღო 200 000 აშშ დოლარი. ხელშეკრულებიდან ირკვევა, რომ მოსარჩელის საბოლოო მიზანი ის იყო, რომ მოპასუხისაგან მოეპოვებინა საკუთრების უფლება უძრავ ქონებაზე (300 კვ.მ) მას შემდეგ, რაც მოპასუხე, თავის მხრივ, მოიპოვებდა საკუთრების უფლებას სახელმწიფოსგან, ააშენებდა უძრავ ქონებას და მასში გადასცემდა 300 კვ.მეტრს.

20.6 სასამართლომ აღნიშნა, რომ მოპასუხის მხრიდან უძრავ ნივთზე საკუთრების მოპოვების მომენტისათვის, მოსარჩელემ ვერ მოახერხა სახელმწიფოსაგან იჯარის უფლების მოპოვება და ცხადია, რომ მოპასუხის მიერ უძრავ ქონებაზე (...) საკუთრების უფლების შექმნის მომენტიდან, მოსარჩელე ამას ველარ განახორციელებდა. სასამართლომ განმარტა: იმ დაშვებითაც, რომ მოსარჩელის მიერ ქირის გადახდა საკმარისი იყო იმისათვის, რომ გაგრძელებულიყო მანამდე არსებული საიჯარო ურთიერთობები, ამას სასამართლებრივი მნიშვნელობა არ ექნებოდა და მოსარჩელეზე არ გადავიდოდა უძრავი ქონებით სარგებლობის უფლება, რადგან ამისთვის აუცილებელი იყო პროცედურების შესრულება და წერილობითი გარიგების გაფორმება.

20.7 სასამართლომ იმსჯელა მოსარჩელის მოთხოვნაზე, რომელიც 02.03.2015წ. ხელშეკრულების საფუძველზე მეორე 100 000,00 აშშ დოლარიანი (რაც 221 944,00 ლარის ეკვივალენტია) ტრანშის გადახდას ეხება და განმარტა, რომ მოპასუხის (უფლების მიმღების მიერ) მიერ მშენებლობის ნებართვის მოპოვების მომენტისათვის (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-8 პუნქტი – 2015 წლის 3 სექტემბერი) სადავო ქონება უკვე მოპასუხის საკუთრებაში იყო (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-10 და მე-11 პუნქტები) და ამას წინ არ უძღვოდა მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნის დათმობა. ეს ვითარება განაპირობებდა იმას, რომ ამ მომენტისათვის მოსარჩელისათვის გამოკვეთილი იყო ძირითადი სახელშეკრულებო ვალდებულების შესრულების ობიექტური შეუძლებლობა, რაც სასამართლოს შეფასებით, საკმარისი საფუძველი იყო იმისთვის, რომ მოპასუხეს (უფლების მიმღებს) არ გადაეხადა მეორე ტრანში.

20.8 მოპასუხის შეგებებული სარჩელის მოთხოვნასთან დაკავშირებით, სასამართლომ აღნიშნა, რომ 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულება, თავისი იურიდიული ბუნებით, არის მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულება, რომლის თანახმად ძირითადი მოსარჩელე კისრულობდა ვალდებულებას, რომ მოეპოვებინა უძრავი ნივთით სარგებლობის უფლება და შემდგომ გადაეცა იგი მოპასუხისათვის და ეს სხვა არაფერია თუ არა ნასყიდობის ხელშეკრულება, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 477-ე მუხლით /ნას-

ყიდობის ხელშეკრულებით გამყიდველი მოვალეა გადასცეს მყიდველს საკუთრების უფლება ქონებაზე, მასთან დაკავშირებული საბუთები და მიანოდოს საქონელი/. ქონება ამ კოდექსის 147-ე მუხლის მიხედვით არის ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელთა ფლობა, სარგებლობა და განკარგვა შეუძლიათ ფიზიკურ და იურიდიულ პირებს და რომელთა შეძენაც შეიძლება შეუზღუდავად, თუკი ეს აკრძალული არ არის კანონით ან არ ეწინააღმდეგება ზნეობრივ ნორმებს. ამ შემთხვევაში სარგებლობის უფლება არის არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, რომელიც შესაძლოა გადაცემული იქნეს სხვისთვის. ამასთან, თუკი გათვალისწინებული იქნება ის, რომ გადასაცემი იყო იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული სარგებლობის უფლება, ეს უფლების მიმღებისათვის (მოპასუხისა და იმავდროულად შეგებებული სარჩელის ავტორისათვის) გულისხმობს არა მარტო უფლების, არამედ კონტრაჰენტთან (სახელმწიფოსთან) მიმართებით არსებული ვალდებულებებისა და მოთხოვნების გადაცემასაც და ამ თვალსაზრისით ის შეიძლება მოთხოვნის დათმობის ხელშეკრულებად დაკვალიფიცირდეს (სსკ-ის 199-ე მუხლით გათვალისწინებული მოთხოვნის დათმობა არის სანივთო გარიგება, რაც, თავის მხრივ, არის განკარგვითი გარიგება, ხოლო განკარგვაში ამ შემთხვევაში მოიაზრება მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის უფლების რეალური გადაცემა, რომელსაც მოსარჩელე თავის დროზე ზემოაღნიშნული გარემოებებიდან გამომდინარე ველარ შეასრულებდა).

20.9 სასამართლომ დაასკვნა, რომ დაირღვა 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ძირითადი ვალდებულება, შესაბამისად, სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს (უფლების მიმღებს) დავის განხილვის დროისთვისაც ჰქონდა უფლება გასულიყო „პირობითი ხელშეკრულებიდან“, იმავე კოდექსის 405-ე მუხლის დანაწესის დაუცველად, ვინაიდან ის მიზანი, რაც მოპასუხეს (უფლების მიმღებს) ჰქონდა, უკვე მიღწეული იყო სახელმწიფოსთან დადებული გაცვლის ხელშეკრულების შედეგად. დასახელებული მსჯელობიდან გამომდინარე საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ მოპასუხე სანარმო უფლებამოსილია მოითხოვოს „პირობითი ხელშეკრულების“ და „შეთანხმების“ შეწყვეტა 405-ე მუხლის მეორე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის (განსაკუთრებული საფუძვლებიდან გამომდინარე, ორმხრივი ინტერესების გათვალისწინებით, გამართლებულია ხელშეკრულების დაუყოვნებლივ მოშლა) საფუძველზე და არა „ფორსმაჟორულ“ გარემოებებზე მითითებით პირობითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების შესრულების შეუძლებლობის გამო, როგორც თავის შეგებებულ

სარჩელში აღნიშნავდა მხარე.

20.10 ზემოაღნიშნული მსჯელობის ფარგლებში, საქალაქო სასამართლომ განმარტა, რომ გასათვალისწინებელია სსკ-ის 352-ე მუხლის პირველი ნაწილის მოხმობა, რომლის მიხედვითაც, თუ ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარე 405-ე მუხლით გათვალისწინებული პირობების არსებობისას უარს იტყვის ხელშეკრულებაზე, მაშინ მიღებული შესრულება და სარგებელი მხარეებს უბრუნდებათ (ნაქტურით დაბრუნება). აღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლომ დაასკვნა, რომ დასაბუთებულია შეგებებულ სარჩელში მოსარჩელის (უფლების მიმღების) მოთხოვნა უფლების დამთმობისათვის გადახდილი თანხის 100 000,00 აშშ დოლარის ეკვივალენტის 221 944,00 ლარის დაბრუნების შესახებ.

21. სააპელაციო საჩივრის საფუძვლები

21.1 თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 5 აპრილის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოსარჩელემ (უფლების დამთმობმა), გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, მისი შეცვლით, ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებულ სარჩელზე უარის თქმა მოითხოვა.

21.2 აპელანტის განმარტებით სასამართლომ არასწორად შეაფასა გარემოებები, რომლებიც წინამდებარე გადაწყვეტილების 20.5-20.7 ქვეპუნქტებშია ასახული და მხედველობაში არ მიიღო ის გარემოება, რომ იჯარის ხელშეკრულების ვადის ამოწურვის შემდეგ, მხარეთა (უფლების დამთმობსა და სახელმწიფოს) შორის გრძელდებოდა საიჯარო ურთიერთობა, რასაც ადასტურებს საიჯარო ქირის გადახდები, ასევე ის, რომ სახელმწიფო უარს აცხადებდა უფლების მიმღებთან (თავდაპირველი სარჩელის მოპასუხესთან) ურთიერთობაზე აპელანტის (უფლების დამთმობის) მხრიდან საიჯარო უფლების დათმობამდე.

21.3 სასამართლომ არასწორად დაადგინა, რომ უძრავი ქონების მოპასუხისათვის საკუთრებაში გადაცემას წინ არ უძლოდა მოსარჩელის მხრიდან მოთხოვნის დათმობა. დადგენილია, რომ მშენებლობის ნებართვა გაიცა 2015 წლის 3 სექტემბერს, ხოლო საიჯარო უფლებების დათმობის შესახებ ხელშეკრულება დაიდო 2015 წლის 2 მარტს. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო საჩივრის ავტორის მტკიცებით, არასწორია სასამართლოს დასკვნა, რომ უძრავი ქონების მოპასუხის (უფლების მიმღების) საკუთრებაში აღრიცხვა გამოირიცხავდა მოსარჩელის (უფლების დამთმობის) მხრიდან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების შესაძლებლობას. აპელანტი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მისი მხრიდან საიჯარო უფლებების მოპასუხისათვის გადაცემამდე, ეს უკა-

ნასკნელი ვერ მიიღებდა საკუთრების უფლებას უძრავ ქონებაზე.

21.4 სასამართლომ არასწორად შეაფასა, რომ იჯარის ხელშეკრულება მოსარჩელესა და სახელმწიფოს შორის შეწყდა, რადგან 2009 წლის 14 იანვრიდან ხელშეკრულება წერილობით აღარ გაფორმებულა.

21.5 სასამართლომ არასწორად დაადგინა მოსარჩელის მხრიდან 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულების დარღვევის ფაქტი მაშინ, როდესაც ამ უკანასკნელმა, შეთანხმებისამებრ, მოპასუხეს საიჯარო უფლებები გადასცა და გამოათავისუფლა შენობა, რაც მოპასუხისათვის ამავე უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების გადაცემის საფუძველი გახდა.

21.6 აპელანტის განმარტებით საიჯარო ურთიერთობების წერილობითი ფორმის გარეშე დადება ავტომატურად არ იწვევს მათ ბათილობას. სსკ-ის 569-ე მუხლის თანახმად, ასეთი ურთიერთობები განუსაზღვრელი ვადით დადებულად მიიჩნევა. შესაბამისად, აპელანტის მტკიცებით, მას გააჩნდა ნამდვილი საიჯარო უფლება, რაც მართლზომიერად გადასცა მოწინააღმდეგე მხარეს (უფლებების მიმღებს). მისი მხრიდან ხელშეკრულების შეუსრულებლობას ადგილი არ ჰქონია და მართებულად მოითხოვდა ზიანის სახით, მოპასუხისათვის სულ 282 000 აშშ დოლარის დაკისრებას, საიდანაც სასამართლომ იმსჯელა მხოლოდ 100 000 აშშ დოლარზე, ხოლო დანარჩენ ნაწილზე არც კი უმსჯელია და ისე ეთქვა უარი თავდაპირველი მოსარჩელის მოთხოვნას დაკმაყოფილებაზე.

21.7 სასამართლომ მხარეთა დისპოზიციურობისა და შეჯიბრებითობის პრინციპები დაარღვია, ვინაიდან შეგებებული სარჩელის მოთხოვნას წარმოადგენდა ხელშეკრულების შეწყვეტილად ცნობა იმ საფუძველით, რომ არ არსებობდა დათქმული პირობების შესრულების საფუძველები. გასაჩივრებული გადაწყვეტილებით კი ხელშეკრულება შეწყვეტილად იქნა ცნობილი აპელანტის (უფლებების დამთმობის) მიერ მისი შეუსრულებლობის მოტივით.

22. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

22.1 თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინებით თავდაპირველი მოსარჩელის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

22.2 სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტები და მათი სამართლებრივი შეფასება და მიუთითა მათზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსი, შემდეგში: სსსკ 390.3 მუხლის „გ“ ქვეუბნეტი).

22.3 სააპელაციო სასამართლოს შეფასების საგანს წარმოადგენდა ის გარემოება, შეასრულა თუ არა აპელანტმა საიჯარო უფ-

ლების დათმობის შესახებ ხელშეკრულების პირობები და გადასცა თუ არა საიჯარო უფლება მონინალმდევე მხარეს. ამისათვის, უპირველესად, უნდა შეფასდეს, გააჩნდა თუ არა ეს უფლება აპელანტს და შეეძლო თუ არა მისი დათმობა სხვისთვის.

22.4 სააპელაციო სასამართლომ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებზე (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 1, 9 პუნქტები და 19.5-19.7 ქვეპუნქტები) გაამახვილა ყურადღება და გარიგების ნამდვილობისათვის მისი ფორმის დაცვის აუცილებლობაზე მიუთითა.

22.5 სააპელაციო სასამართლომ განმარტა, რომ საიჯარო ხელშეკრულება წარმოადგენს ძირითად ხელშეკრულებას, ხოლო იჯარის უფლების დათმობის შესახებ გარიგება – იმავე ქონებასთან დაკავშირებით დადებულ დამატებით შეთანხმებას. ძირითად ხელშეკრულებასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, სსკ-სთან ერთად, ანესრიგებდა 1997 წლის 30 მაისის საქართველოს კანონი „სახელმწიფო ქონების პრივატიზების, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების პრივატიზებისა და სარგებლობის უფლებით გადაცემის შესახებ“. აღნიშნული კანონის მე-11¹ მუხლის მე-2 პუნქტის მიხედვით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემა შესაძლებელია საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული ფორმებით: ა) აღნაგობა; ბ) უზუფრუქტი; გ) ქირავნობა; დ) იჯარა; ე) თხოვება; ვ) საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებული სარგებლობის სხვა ფორმები. ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემასთან დაკავშირებული საკითხები რეგულირდება ამ კანონითა და საქართველოს სამოქალაქო კოდექსით. ამავე მუხლის მე-5 პუნქტით, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ქონება სარგებლობის უფლებით გადაცემა აუქციონის ან პირდაპირი განკარგვის წესით. ამდენად, როგორც აუქციონის, ისე პირდაპირი განკარგვის გზით სახელმწიფო ქონების სარგებლობაში გადაცემა, შესაბამისი პროცედურების დაცვით, დასაშვებია მხოლოდ წერილობით ხელშეკრულების ფორმით. აღნიშნულს ასევე ადასტურებს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი, რომლის თანახმად (იმის გათვალისწინებით, რომ ქონება წარმოადგენს სახელმწიფო საკუთრებას და მის განკარგვაზე უფლებამოსილია შესაბამისი ადმინისტრაციული ორგანო) სახელმწიფო საკუთრების რაიმე ფორმით გაცემის შესახებ ადმინისტრაციული ორგანოს გადაწყვეტილების ნამდვილობა მოითხოვს წერილობით ფორმას; იჯარის ხელშეკრულების წერილობითი ფორმის სავალდებულოობაზე მიუთითებს „საჯარო რეესტრის შესახებ“ სა-

ქართველოს კანონის მე-11 მუხლის პირველი და მეხუთე პუნქტები, რომლითაც კერძო სამართლის იურიდიული პირის მონაწილეობით 1 წელზე მეტი ვადით დადებული იჯარის ხელშეკრულებით გათვალისწინებული უფლებების წარმოშობისათვის აუცილებელია მათი საჯარო რეესტრში რეგისტრაცია.

22.6 სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, უსაფუძვლოა აპელანტის პოზიცია, რომ „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლში განხორციელებული ცვლილების მიზნებიდან გამომდინარე (საჯაროობა, მესამე პირთა ინტერესების დაცვა), საჯარო რეესტრში რეგისტრაციის არარსებობა ხელშეკრულებას ავტომატურად იურიდიულ ძალას არ უკარგავს. იგი მოქმედებს ხელშეკრულების მხარეებს შორის, მაგრამ ძალა ვერ ექნება მესამე პირებთან ურთიერთობაში, თუ მათთვის ცნობილი არ არის ხელშეკრულების არსებობის თაობაზე. ხოლო, ვინაიდან მონინააღმდეგე მხარისათვის ცნობილი იყო ხელშეკრულების არსებობის შესახებ, საჯარო რეესტრში ამ უფლების აღურიცხაობა მას იურიდიულ ძალას არ უკარგავს.

22.7 სააპელაციო სასამართლოს შეფასებით განსახილველ შემთხვევაში პრობლემა იყო არა მხოლოდ მესამე პირთან მიმართებით, არამედ – საჯარო რეესტრში საიჯარო ხელშეკრულების რეგისტრაციის არარსებობაც, 2009 წლის შემდეგ, რადგან 10-წლიანი საიჯარო ვადის ამონურვის შემდეგ, უფლებამოსილმა ადმინისტრაციულმა ორგანომ აპელანტთან საიჯარო ხელშეკრულება არ გააფორმა, შესაბამისად, იჯარის ხელშეკრულების წერილობითი ფორმა არ არის დაცული. ამასთან, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლში განხორციელებული ცვლილებებით, მიუხედავად ცვლილების მიზნებისა, პირდაპირ მიეთითა საიჯარო უფლების წარმოშობისთვის ხელშეკრულების საჯარო რეესტრში რეგისტრაციის სავალდებულობის შესახებ. აღნიშნულიდან გამომდინარე, არსებითი ვერ იქნება თუ რა იცოდა მესამე პირმა მეიჯარესა და მოიჯარეს შორის არსებული ურთიერთობის შესახებ, თუ საიჯარო უფლება საჯარო რეესტრში რეგისტრირებული არ იყო. მოცემულ შემთხვევაში, „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლი ადგენს სსკ-ის კოდექსის 569-ე მუხლისგან (მინის ნაკვეთის ქირავნობის ხელშეკრულება ერთ წელზე მეტი ვადით უნდა გაფორმდეს წერილობით. ფორმის დაუცველობის შემთხვევაში ივარაუდება, რომ ხელშეკრულება განუსაზღვრელი ვადით არის დადებული. ხელშეკრულების შეწყვეტა დასაშვებია მხოლოდ ქირავნობის პირველი წლის დამთავრების შემდეგ) განსხვავებულ და სპეციალურ წესს, რომლის თანახმადაც საიჯარო ხელშეკრულების ნამდვილობისათვის საჭიროა წერილო-

ბითი ფორმით ხელშეკრულების დადება და უფლების რეგისტრაცია საჯარო რეესტრში. შესაბამისად, ამ ნორმებს შორის წინააღმდეგობის გამო უპირატესობა უნდა მიენიჭოს „საჯარო რეესტრის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-11 მუხლს, როგორც უფრო გვიან მიღებულ ნორმატიულ აქტს.

22.8 აღნიშნულიდან გამომდინარე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ აპელანტს სადავო უძრავ ქონებაზე არ გააჩნდა ნამდვილი საიჯარო უფლება და, შესაბამისად, მას ვერც მონინააღმდეგე მხარეს ვერ გადასცემდა.

22.9. სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა გასაჩივრებული გადანყვეტილების მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ნამდვილი საიჯარო ხელშეკრულების არარსებობის პირობებშიც აპელანტი (უფლების დამთმობი) არ იყო შეზღუდული მეიჯარესთან (სახელმწიფოსთან) გაეფორმებინა და საჯარო რეესტრში აღერიცხა საიჯარო უფლება, რაც ნამდვილს გახდიდა ამ უფლების დათმობას მონინააღმდეგე მხარისათვის (უფლების მიმღებისათვის), თუმცა მონინააღმდეგე მხარის მიერ სადავო უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების მოპოვებამდე აპელანტს ეს არ განუხორციელებია. ხოლო მას შემდეგ, რაც სადავო უძრავი ქონება სახელმწიფოსგან შეიძინა მონინააღმდეგე მხარემ (უფლების მიმღებმა, იგივე შეგებებულ სარჩელის ავტორმა სანარმომ), აპელანტი (უფლების დამთმობი, იგივე ძირითადი მოსარჩელე) საიჯარო უფლებას ვერ შეიძენდა და ვერც მონინააღმდეგე მხარეს დაუთმობდა, რადგან ქონების შექენის მიზანი (არსებული ნაგებობის დანგრევა და ახალი შენობის აშენება) გამორიცხავდა მის იჯარით გაცემას.

22.10. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ აპელანტის მიზანი იყო საიჯარო უფლების დათმობის სანაცვლოდ მიეღო შესაბამისი კომპენსაცია, როგორც ფულადი, ისე – უძრავი ქონების სახით. იმის გათვალისწინებით, რომ აპელანტს არ გააჩნდა და არც მოიპოვა საიჯარო უფლება სადავო უძრავ ქონებაზე, მონინააღმდეგე მხარის მიერ ამ ქონებაზე საკუთრების უფლების შექენის შემდეგ 2015 წლის 2 მარტს მხარეთა შორის დადებულმა პირობითმა ხელშეკრულებამ მოპასუხისათვის (უფლების მიმღებისათვის) დაკარგა ინტერესი, რაც ხელშეკრულებაზე უარის თქმის საფუძველია, ამასთან არ არსებობს დამატებითი ვადის დაწესების საფუძველი. შესაბამისად, პირველი ინსტანციის სასამართლომ მართებულად ჩათვალა, რომ გამოვლენილი იყო პირობითი ხელშეკრულებაზე უარის თქმის სსკ-ის 352-ე და 405-ე მუხლებით გათვალისწინებული საფუძველი, რა დროსაც მხარეებს მიღებული შესრულება და სარგებელი უბრუნდებათ ნატურით. აღნიშნულიდან გამომდინარე, სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მართე-

ბულად იქნა უარყოფილი ე.წ. უფლების დამთმობი სანარმოს (თავდაპირველი მოსარჩელის) სასარჩელო მოთხოვნა და სწორად დაკმაყოფილდა სრულად ე.წ. უფლების მიმღები სანარმოს (მოპასუხის) შეგებებული სარჩელი.

22. საკასაციო სამართალწარმოების ეტაპი

22.1. მოსარჩელემ საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სამართლოს განჩინება, მისი გაუქმება, სარჩელის დაკმაყოფილება და შეგებებული სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

22.2. საკასაციო პრეტენზიები სააპელაციო საჩივარში გამოთქმული პრეტენზიების იდენტურია (იხ. ამ გადაწყვეტილების 21.2-21.7 ქვეპუნქტები).

22.3. საკასაციო სასამართლომ ზეპირი მოსმენით, მხარეთა მონაწილეობით განიხილა მოსარჩელის საკასაციო საჩივარი არსებითად. საქმის ზეპირ განხილვაზე მხარეებმა თავიანთი პოზიციები დააფიქსირეს.

22.3.1. კასატორმა საქმის ზეპირ განხილვაზე განმარტა, რომ საქმის გადასაწყვეტად არსებითი მნიშვნელობისაა გაირკვეს საკითხი – შესაძლებელია თუ არა არსებობდეს საიჯარო უფლება, რომელიც არ არის რეგისტრირებული. კასატორის განმარტებით, არც ერთი სამართლის ნორმა არ უნდა იქნეს გაგებული ფორმალურად. კასატორმა აღნიშნა, რომ საბავშვო ბაღი ფუნქციონირებდა 1999 წელს სახელმწიფოსგან მიღებული საიჯარო უფლების საფუძველზე. 2015 წელს მოლაპარაკებები დაიწყო სახელმწიფოსა და მოპასუხე სანარმოს შორის, ამ უკანასკნელს მიწის ნაკვეთის საკუთრებაში მიღება და მასზე მშენებლობის წარმოება სურდა. სახელმწიფო თანახმა იყო მიწის ნაკვეთზე საკუთრების უფლება გადაეცა მოპასუხისათვის, იმ პირობით თუ მოპასუხე მოიჯარესთან (მოსარჩელესთან) მიაღწევდა შეთანხმებას. მოსარჩელე საიჯარო უფლების დათმობაზე გარკვეული კომპენსაციის სანაცვლოდ დათანხმდა. მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის გაცვლის ხელშეკრულება დაიდო (2 მარტი, 2015 წ.), რის შემდეგაც მოპასუხეს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშვა. მოსარჩელემ სახელშეკრულებო პირობის თანახმად, მოპასუხისაგან პირველი ტრანში – 100 000 აშშ დოლარი მიიღო, ხოლო მეორე ტრანში მოსარჩელეს მას შემდეგ უნდა მიეღო, რაც მოპასუხე მშენებლობის ნებართვას მოიპოვებდა. მოპასუხემ გადაწყვიტა, რომ აღნიშნულ მიწის ნაკვეთზე მშენებლობა არ ეწარმოებინა (მოსახლეობის მიერ გამოთქმული პროტესტის გამო). კასატორის განმარტებით, სარჩელი ემყარება სახელშეკრულებო მოთხოვნას და მოპასუხეს უნდა დაჰკისრებოდა იმ ზიანის ანაზღაურება, რაც მოპასუხის ქმედებების გამო მოსარჩელემ განიცადა. კასატორი მიიჩნევს, რომ მას, რო-

გორც უფლების დამთმობს ჰქონდა საიჯარო უფლება მიწის ნაკვეთზე, ხელშეკრულების ნამდვილობა არაა შედავებული მხარეთა მიერ.

22.3.2. მოპასუხემ (შეგებებული სარჩელით მოსარჩელემ) განმარტა, რომ ხელშეკრულება შეწყვეტილად უნდა იქნეს აღიარებული და მოპასუხეს პირველ ტრანშად გადახდილი თანხა უკან უნდა დაუბრუნდეს. მოპასუხის განმარტებით საიჯარო უფლება არ არსებობდა და თანხა უფლების დამთმობს არარსებული უფლების საფუძველზე გადაეცა.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზების, მხარეთა ახსნა-განმარტებების მოსმენისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოსარჩელის საკასაციო განაცხადი ნაწილობრივ დასაბუთებულია და იგი ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

23. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონმებს საკასაციო საჩივრის ფარგლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოსარჩელეს ნაწილობრივ დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

24. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

25. უპირველეს ყოვლისა, იმისათვის, რომ განისაზღვროს მოსარჩელისა და შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნების სამარ-

თლებრივი საფუძველი, მხარეთა მიერ მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე, საკასაციო სასამართლო მხარეთა შორის 2015 წლის 2 მარტის პირობით ხელშეკრულებას აფასებს არა საიჯარო უფლება-მოვალეობების დათმობად უფლების მიმღებისათვის, არამედ – ქირავნობის ურთიერთობაში შესვლად უფლების დათმობის პირობითი ხელშეკრულების საფუძველზე.

26. საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ კასატორსა და სახელმწიფო ქონების სამმართველოს შორის 1999 წლის 14 იანვარს გაფორმებულია იჯარის ხელშეკრულება 10 წლის ვადით. აღნიშნული ხელშეკრულების შინაარსით, მხარეთა უფლება-მოვალეობების შესწავლის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მოსარჩელემ სახელმწიფოსთან ქირავნობის ხელშეკრულება გააფორმა, რომლის საგანი იყო ქ. თბილისში, ... მდებარე ქ. თბილისი ... ბაგა-ბაღის ბალანსზე რიცხული სახელმწიფო ქონება 987 კვმ არასაცხოვრებელი ფართი. ხელშეკრულების მიხედვით მხარეთა შორის დაიდო არა იჯარის, არამედ ქირავნობის ხელშეკრულება 10 წლის ვადით (იჯარისა და ქირავნობის ხელშეკრულებებს შორის გამიჯვნაზე იხ. სუსგ №ას-294-294-2018, 08.05.2018წ.). „საკასაციო პალატა განმარტავს, რომ იჯარა ორმხრივმავალდებულებული, სასყიდლიანი და კონსესუალური ტიპის ხელშეკრულებაა. მეიჯარის ვალდებულებაა, დროებით სარგებლობაში გადასცეს მოიჯარეს იჯარის საგანი (ქონება) ისე, რომ შესაძლებელი იყოს მისგან სწორი სამეურნეო გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით ნაყოფის მიღება, ხოლო მოიჯარის ვალდებულება კი, შეთანხმებული საზღაურის გადახდაა. შესაბამისად, საიჯარო სამართლებრივი ურთიერთობის მიზანი არის არა მხოლოდ იჯარის საგნის სარგებლობა, არამედ იჯარის საგნის სარგებლობის გამო მიღებული შემოსავალი. იჯარა ქირავნობის სამართლებრივი ურთიერთობის ნაირსახეობაა (საიჯარო ურთიერთობების დარეგულირებისთვის ქირავნობის ნორმები ბლანკეტურია), მაგრამ ქირავნობისგან მას სწორედ იჯარის საგნის სარგებლობით შემოსავლის მიღების აუცილებლობა მიჯნავს. შემოსავლის მიღების შესაძლებლობის აუცილებლობის უზრუნველყოფა კი, მეიჯარის ვალდებულების ჯეროვნად შესრულების გამოკვეთილი პასუხისმგებლობაა, რასაც ეფუძნება მოიჯარის ვალდებულება საიჯარო ქირის გადახდის შესახებ. ამდენად, საიჯარო ქირის თუ მისი გადაუხდელობით შეთანხმებული პირგასამტეხლოს შესახებ მეიჯარის მოთხოვნის პერსპექტიულობა დამოკიდებულია მეიჯარის მტკიცებაზე, საიჯარო ქონების ისეთ მდგომარეობაში გადაცემის შესახებ, რითაც ქონების სარგებლობით გარანტირებულია შემოსავლის მიღების შესაძ-

ლებლობა“ (შრდ. სუსგ №ას-823-823-2018, 06.11.2018წ.). „საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მიუხედავად იჯარისა და ქირავნობის (სსკ-ის 531-ე მუხლი) ხელშეკრულებების მსგავსებისა, მათ შორის არსებობს განსხვავება, რაც საიჯარო ურთიერთობის ზოგიერთ ასპექტში განსხვავებულად, სსკ-ის 581-ე-606-ე მუხლებით მოწესრიგების აუცილებლობას განაპირობებს. ქირავნობის ხელშეკრულებით გამქირავებელი მოვალეა, დამქირავებელს სარგებლობაში ნივთი განსაზღვრული ვადით გადასცეს. დამქირავებელი მოვალეა გამქირავებელს დათქმული ქირა გადაუხადოს. იჯარის ხელშეკრულებით კი, მეიჯარე მოვალეა მოიჯარეს განსაზღვრული ქონება დროებით სარგებლობაში გადასცეს და საიჯარო დროის განმავლობაში, ნაყოფის მიღების შესაძლებლობა უზრუნველყოს, თუ იგი მიღებულია მეურნეობის სწორი გაძღოლის შედეგად შემოსავლის სახით. ანუ, იჯარის შემთხვევაში, მოიჯარეს გადაეცემა ქონება, რომელიც არა მარტო ნივთებს, არამედ არამატერიალურ ქონებრივ სიკეთესაც აერთიანებს (სსკ-ის 147-ე მუხლი), და მოიჯარეს აძლევს შესაძლებლობას, მიიღოს ნაყოფი (მატერიალური სარგებელი). ნაყოფია ის შემოსავლები, რაც მეურნეობის სწორი გაძღოლის გზით მიიღება“ (შრდ. სუსგ №ას-738-700-2015, 18 დეკემბერი, 2015 წელი).

27. ზემოხსენებული ქირავნობის ხელშეკრულება, როგორც აღინიშნა, 10 წლის ვადით იყო გაფორმებული, თუმცა, სააპელაციო სასამართლოს დადგენილი აქვს, რომ მოიჯარე მეიჯარეს ქირის გადასახადს უხდიდა 2015 წლის 2 იანვრის ჩათვლით, რაც იმას ნიშნავს, რომ ქირავნობის ხელშეკრულება (სსკ-ის 531-ე მუხლი) გაგრძელდა განუსაზღვრელი ვადით. სსკ-ის 559-ე მუხლის თანახმად, 1. ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ. 2. თუ დამქირავებელი სარგებლობს ნივთით ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგაც და გამქირავებელი ამაზე არ ედავება, მაშინ ხელშეკრულება განახლდება განუსაზღვრელი ვადით. 3. თუ ქირავნობის ხელშეკრულების ვადა არ არის განსაზღვრული, ქირავნობის ურთიერთობა შეწყდება ხელშეკრულების მოშლის შესახებ განცხადების გაკეთებით).

28. იმის გათვალისწინებით, რომ ქირავნობითი ურთიერთობის გაგრძელებას არ შედავებია გამქირავებელი (სახელმწიფო), იგი განუსაზღვრელი ვადით გაგრძელდა, ხოლო 2015 წლის 2 მარტს დამქირავებელმა (კასატორმა) პირობითი ხელშეკრულება გააფორმა მოპასუხესთან, სადაც მხარეები, მოიხსენებია, როგორც ქირავნობის უფლების დამთმობი და ამ უფლების მიმღები, რაც ქირავნობის ვალდებულებით-სამართლებრივ ურთიერთობაში დამქირავებლის (მოსარჩელის) უფლების დათმობას წარმოადგენს მოპასუ-

ხისათვის (სსკ-ის 198-ე, 199-ე მუხლები). სსკ-ის 199.2 მუხლის საფუძველზე, მოცემულ შემთხვევაში მოთხოვნის დათმობა მოხდა მოთხოვნის მფლობელსა (აპელანტს) და მესამე პირს შორის დადებული ხელშეკრულებით. ასეთ შემთხვევაში თავდაპირველი მფლობელის ადგილი დაიკავა „მესამე პირმა“ – უფლების მიმღებმა.

29. საკასაციო სასამართლომ მოსარჩელისა და შეგებებული მოსარჩელის მოთხოვნების ფაქტობრივი საფუძველები შეაფასა მხარეთა შორის 2015 წლის 2 მარტის ხელშეკრულების მიხედვით, მათ მიერ სარჩელებში მითითებული და სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით და იმის გათვალისწინებით, რომ სსკ-ის 198-ე მუხლის საფუძველზე შესაძლებელია მოთხოვნის ან უფლების დათმობა და დაგირავება, ხოლო ქირავნობა (იჯარა) არადათმობადი უფლებაა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულება არანამდვილი, ბათილი ხელშეკრულებაა და მხარეებისათვის არავითარ უფლება-მოვალეობებს არ წარმოშობს.

30. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ 2015 წლის 2 მარტის ე.წ. პირობითი ხელშეკრულება ვერც ქვექირავნობის ხელშეკრულებად შეფასდება, რადგან არ აკმაყოფილებს სსკ-ის 549-ე მუხლის წინაპირობებს, კერძოდ, ქვექირავნობად შესაფასებლად, 02.03.2015წ. ხელშეკრულება საჭიროებდა სახელმწიფოს, როგორც გამქირავებლის თანხმობას, რომელიც უნდა მიეღო ე.წ. უფლების დამთმობ სანარმოს და შემდეგ ქვექირავნობის ხელშეკრულება გაეფორმებინა ე.წ. უფლების მიმღებთან.

31. ხელშეკრულების პირველ მუხლში მითითებულია ხელშეკრულების საგანი – „დამთმობი“ უთმობს რა უფლებებს „მიმღებს“ საიჯარო უფლებებს შემდეგ უძრავ ქონებაზე მდებარე თბილისი ... საკადასტრო კოდი ..., „მიმღები“ იღებს ვალდებულებას საიჯარო უფლების დათმობისა და განეული ხარჯების სანაცვლოდ „დამთმობს“ გადაუხადოს ანაზღაურება წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობებით – სსკ-ის 53-ე მუხლის საფუძველზე, ეს დებულებაც ბათილია მისი შინაარსის ბუნდოვანების გამო.

32. არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე ცალმხრივი კონდიქციური მოთხოვნის უფლება სსკ-ის 976.1 „ა“ და 979.1 მუხლების საფუძველზე მოპასუხეს (შეგებებული სარჩელით მოსარჩელეს) აქვს მის მიერ ე.წ. უფლების დამთმობისათვის უსაფუძვლოდ, არანამდვილი ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი 100 000 აშშ დოლარის – 229 000 ლარის დაბრუნების ნაწილში, რაც დააკმაყოფილა საკასაციო სასამართლომ.

33. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ შეგებებული სარ-

ჩელის მოთხოვნა 2015 წლის 2 მარტის პირობითი ხელშეკრულების შეწყვეტილად აღიარების შესახებ არ არის დამოუკიდებელი მოთხოვნა, შესაბამისად, საკასაციო სასამართლოს შემაჯამებელი გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილში მასზე, როგორც მოთხოვნაზე არ იქნება მითითებული; განსახილველ შემთხვევაში, იმ პირობებში, როდესაც 02.03.2015წ. ხელშეკრულება ბათილად მიიჩნია სასამართლომ, ცხადია, რომ არანამდვილი ხელშეკრულებიდან უფლება-მოვალეობებიც არ წარმოშობიან მხარეებს.

34. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. კასატორს შეგებებული სარჩელით მოსარჩელის სასარგებლოდ ამ უკანასკნელის მიერ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ანაზღაურება უნდა დაეკისროს. ასევე, კასატორს დაეკისრება საკასაციო საჩივარზე, საქმეზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე, გადავადებული სახელმწიფო ბაჟის სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ ანაზღაურება (იხ. სარეზოლუციო ნაწილის 6-7 პუნქტები).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მე-8, 399-ე მუხლებით, 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტით, 372-ე მუხლით, 264-ე მუხლის მესამე ნაწილით, 411-ე მუხლით და

გ ა ღ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1 შპს „ს.ა.ბ.ე.ა.ც.ს-ას“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს ნაწილობრივ;

2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 28 თებერვლის განჩინება და მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;

3. შპს „ს.ა.ბ.ე.ა.ც.ს-ას“ სარჩელი შპს „ე-ოს“ მიმართ არ დაკმა-

ყოფილდეს;

4. შპს „ე-ოს“ შეგებებული სარჩელი დაკმაყოფილდეს და მის სასარგებლოდ შპს „ს.ა.ბ.ე.ა.ც.ს-ას“ 221 944, 00 (ორას ოცდაერთი ათას ცხრაას ორმოცდაოთხი) ლარის გადახდა დაეკისროს;

5. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2016 წლის 14 აპრილის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ე-ოს“ (ს/კ ...) აეკრძალა მის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ს/კ ..., გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა და 2016 წლის 30 დეკემბრის ყადაღადადებული ქონების გამიჯვნაზე (ნატურით გაყოფაზე) თანხმობის გაცემის შესახებ განჩინება, რომლითაც მოპასუხე შპს „ე-ოს“ (ს/კ ...) მიეცა მის კუთვნილ მიწის ნაკვეთზე, მდებარე: ქ. თბილისი, ..., ს/კ ..., განთავსებული შენობა №1-ის მე-2 სართულიდან (ანტრესოლის სართული) კომერციული ფართის 863.6 კვ.მ. ნატურით გაყოფის თანხმობა;

6. შპს „ს.ა.ბ.ე.ა.ც.ს-ას“ შპს „ე-ოს“ სასარგებლოდ შეგებებულ სარჩელზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 5 000 ლარის ანაზღაურება დაეკისროს;

7. შპს „ს.ა.ბ.ე.ა.ც.ს-ას“ სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ, საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 4 ივნისის განჩინებით, გადავადებული სახელმწიფო ბაჟის – 8 000 ლარის გადახდა დაეკისროს;

8. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

3. ნარდობა

ნარდობის ხელშეკრულების სამართლებრივი გუნება

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-304-287-2017

13 ოქტომბერი, 2017 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე),
ე. გასიტაშვილი (მომხსენებელი),
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. ს. ფ-სა (შემდეგში მოხსენიებული როგორც: შუამავალი, შემსრულებელი, მოსარჩელე ან აპელანტი) და შპს „ს-ს“ (შემდეგში მოხსენიებული როგორც: შემკვეთი, მოპასუხე, საწარმო ან კასატორი) შორის, 2005 წლის 1 დეკემბერს, გაფორმდა საშუამავლო ხელშეკრულებად წოდებული გარიგება (შემდეგში – საშუამავლო ხელშეკრულება), რომლითაც მოსარჩელემ იკისრა ვალდებულება საშუამავლო მომსახურება გაენია მოპასუხისათვის [საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგში – სსკ, 744-ე მუხლი]. შუამავლის (შემსრულებლის) ვალდებულებას წარმოადგენდა: ა) მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოება (საშუამავლო საქმიანობა), რათა მათ დაეთმობთ მათ საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემკვეთის სასარგებლოდ შესაბამისი საზღაურის ფასად; ბ) სხვა მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოება, რომელთაც ჰქონდათ გარკვეული უფლებები სამშენებლო ტერიტორიაზე; გ) მშენებლობის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა; დ) სამშენებლო ტერიტორიის მესაკუთრეებისთვის ან/და მასზე რაიმე იურიდიული უფლების მქონე პირებისათვის სწორი ინფორმაციის მიწოდება.

2. საშუამავლო ხელშეკრულების 3.2. ქვეპუნქტით, შუამავალს (შემსრულებელს) უფლება ჰქონდა, დროულად და სრულად მიეღო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება, მოეხდინა იმ ფართობის რეალიზაცია ან/და მესამე პირებისათვის გაცემა, რომელიც მას, როგორც შუამავალს, ხელშეკრულების მე-5 მუხლის საფუძველზე ერგებოდა. მითითებული მუხლის თანახმად, მოსარ-

ჩელეს მოპასუხისაგან უნდა მიეღო სამშენებლო ტერიტორიაზე აშენებული მთლიანი ფართის 3%, საცხოვრებელი, კომერციული და ავტოსადგომების პროპორციულად, მისი გაყიდვის, გასხვისების ან/და გაჩუქების უფლებით.

3. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურმა 2007 წლის 14 დეკემბერს გასცა №03/1497 ბრძანება და მოპასუხეს ნებართვა მისცა, ქ. თბილისში, გლდანი-ნაძალადევის რაიონში, სანზონის დასახლებაში, მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარედ, ამხანაგობა „ა. ლ-ის“ (შემდეგში – ამხანაგობა) კუთვნილი მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობა ეწარმოებინა. ამავე ბრძანების თანახმად, ასაშენებელი კომპლექსის მოცულობა იყო 122655.00 კვ.მ., საიდანაც საცხოვრებელი ოთახების ფართი 11337.00 კვ.მ.-ს, ოფისების ფართი 3328 კვ.მ.-ს, სავაჭრო კომერციული ფართი 2561.40 კვ.მ.-ს და ავტოსადგომების ფართი 4041.70 კვ.მ.-ს შეადგენდა, რაც მთლიანობაში 21268.81 კვ.მ იყო. შუამავალს 708.94 კვ.მ ფართი უნდა მიეღო.

4. შემკვეთმა დადგენილ ვადაში ვერ შეძლო მშენებლობის დასრულება, რის გამოც, ქ. თბილისის ურბანული დაგეგმარების სამსახურის 2011 წლის 13 მაისის №1784 ბრძანებით, მას გაუგრძელდა მშენებლობის ნებართვის ვადა. მითითებული ვადის დარღვევამ, შემსრულებლის განმარტებით, მას ზიანი მიაყენა.

5. შუამავალს (შემსრულებელს) მიაჩნია, რომ 2008 წლის 16 მაისისა და 16 ივნისის, ასევე, 2009 წლის 25 ნოემბრის უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებით, მან ჯეროვნად და კეთილსინდისიერად შეასრულა საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება, რის სანაცვლოდაც, შემკვეთის თანხმობით, შუამავალმა გაასხვისა ამხანაგობის საკუთრებად რიცხული ფართის ის ნაწილი, რაც, საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულების მე-5 პუნქტით, მას ერგებოდა (იხ. წინამდებარე განწყვეტილების მე-2 პუნქტი). ზემოხსენებულ ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებში, შუამავლთან, როგორც გამყიდველთან ერთად, შემკვეთიც არის ხელშეკრულების მხარე, რომელიც ამავე გარიგების შესრულებაზე არის გარანტი და კისრულობს ვალდებულებას, დაასრულოს მშენებლობა ხელშეკრულებებში მითითებულ ვადებში და პირობებში (იხ. 2008 წლის 16 მაისის და 16 ივნისის ხელშეკრულებები).

6. სასამართლოს 2011 წლის 23 მაისის საოქმო განჩინებით, შუამავალს, ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე, ც.ტ-ის სასარგებლოდ, დაეკისრა 17 500 ევრო. ეს ის თანხაა, რომელიც შემკვეთის, როგორც გარანტორის, თანხმობით იყო გადახდილი უძრავი ქონების შესაძენად და, აქედან 7500 ევრო, უშუალოდ

შემკვეთის ანგარიშზე ჩაირიცხა. შუამავლის მოსაზრებით, მითითებული განჩინება, უდავოდ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ მასთან შემკვეთმა უსაფუძვლოდ შეწყვიტა საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულება.

7. შუამავალმა 2013 წლის 26 ნოემბერს სარჩელით მიმართა სასამართლოს შემკვეთის წინააღმდეგ და, ზიანის სახით, მოპასუხისათვის 389 400 აშშ დოლარის დაკისრება მოითხოვა.

8. თბილისის საქალაქო სასამართლომ 2014 წლის 10 იანვრის გადაწყვეტილებით სარჩელი არ დაკმაყოფილდა. სასამართლომ გადაწყვეტილების დასაბუთებისას მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 183-ე, 394-ე, მე-400 მუხლებზე.

9. შუამავალმა სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლო გადაწყვეტილება.

10. თბილისის სააპელაციო სასამართლო სამოქალაქო საქმეთა პალატის 2014 წლის 28 მარტის განჩინებით შუამავლის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა. გაუქმდა საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და საქმე ხელახლა განსახილველად, დაუსრულებელი გადაწყვეტილების მსჯელობის ეტაპზე, დაუბრუნდა იმავე სასამართლოს. აღნიშნულ განჩინებაზე, შემკვეთის საკასაციო საჩივარი, სახელმწიფო ბაჟის გადაუხდელობის გამო, განუხილველად დარჩა.

11. საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილებით შუამავლის სარჩელი არ დაკმაყოფილდა.

12. საქალაქო სასამართლომ მიიჩნია, რომ მხარეთა შორის 2005 წლის 1 დეკემბრის გარიგებით წარმოშობილი სამართალურთიერთობა, ერთი მხრივ, იყო სსკ-ის 744-ე მუხლის დანაწესით გათვალისწინებული გარიგება, შუამავლობის განევის შესახებ, ხოლო, მეორე მხრივ, ამავე გარიგებით, მხარეებმა იკისრეს სსკ-ის 629-ე მუხლით გათვალისწინებული ნარდობის ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი ურთიერთვალდებულებანი.

13. სასამართლომ დაადგინა, რომ შუამავალს არ უნარმოებია მოლაპარაკებები მის სასარგებლოდ, საკუთრების უფლების დათმობის შესახებ, შემკვეთის ინტერესის სფეროში შემავალი მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებთან. შუამავალს, ასევე არ შეუსრულებია გარიგების მეორე პირობა, შემკვეთის მშენებლობის ზედამხედველობის შესახებ. სასამართლომ მიიჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული გასამრჯელოს მიღების უფლება, შუამავალს წარმოექმნებოდა მხოლოდ კონკრეტული პირობების შესრულების შემდეგ.

14. სასამართლომ მიიჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულებით

ნაკისრი ვალდებულების შესრულება შუამავალმა (შემსრულებელმა) ვერ შეძლო და არ იყო უფლებამოსილი, შემკვეთისაგან მოეთხოვა უძრავი ქონება ან თანხა.

15. მოსარჩელემ სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მოითხოვა მისი გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილება.

16. შუამავლის მოსაზრებით, უსაფუძვლო იყო სასამართლოს განმარტება, რომ მოპასუხეს არ უნარმოებია მშენებლობა. ამხანაგობის დაფუძნების ხელშეკრულებიდან იკვეთება, რომ შემკვეთმა აიღო ვალდებულება, საკუთარი სახსრებით მოემზადებინა დოკუმენტაცია და გაენია სამშენებლო სამუშაოები.

17. შუამავლის განმარტებით, უშუალოდ მის მიერ ნარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, 2006 წლის 10 იანვარს, შემკვეთთან ერთად, შპს „გ-მ“ და შპს „ს-მა“ დააფუძნეს ამხანაგობა. ამ ორმა საწარმომ ამხანაგობაში შეიტანა სანზონის დასახლებაში, მშენებარე სავაჭრო ცენტრის მიმდებარე 5 816 კვ.მ მიწის ნაკვეთი (საკადასტრო კოდი ...), ხოლო შემკვეთის შენატანს წარმოადგენდა საკუთარი სახსრებით საპროექტო-სამშენებლო დოკუმენტაციის მომზადება, საჭირო ნებართვების მიღება და შენობა-ნაგებობის აშენება.

18. შუამავალი აღნიშნავდა, რომ საქალაქო სასამართლომ არ გამოიკვლია უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, გაფორმებული: 1. შუამავალს, შემკვეთსა და ც. ტ-ს შორის; 2. შუამავალს, შემკვეთსა და ნ. ჩ-ას შორის; 3. შუამავალს, შემკვეთსა და მ. ჟ-ას შორის. ამ ხელშეკრულებებით დასტურდება შუამავლის მიერ ვალდებულებების კეთილსინდისიერი შესრულება. თუკი შუამავალი არ შეასრულებდა შემკვეთის წინაშე ნაკისრ ვალდებულებებს, ეს უკანასკნელი არ დაუდგებოდა მას გარანტიად, მესამე პირებთან გარიგებებში.

19. სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2015 წლის 4 ივნისის განჩინებით, შუამავლის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა, შესაბამისად, უცვლელად დარჩა საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გასაჩივრებული გადაწყვეტილება.

20. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა: საშუამავლო ხელშეკრულების დადების მიზანს წარმოადგენდა შემკვეთის მიერ, თბილისში, მეტრო ღრმალელის მიმდებარე ტერიტორიაზე, მრავალსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენება. ხელშეკრულების 3.1 ქვეპუნქტით განისაზღვრა შუამავლის ვალდებულება, შესრულებული სამუშაოს სანაცვლოდ, შუამავალს გადასცემოდა საკუთრების უფლება შემკვეთის მიერ აშენებული მთლიანი ფართის 3%-

ზე, საცხოვრებელი, კომერციული და ავტოსადგომების პროპორციულად (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების პირველი და მეორე პუნქტები).

21. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-17 პუნქტში მითითებული ამხანაგობის შექმნის მიზანი იყო კომერციული/საცხოვრებელი დანიშნულების შენობა-ნაგებობების აშენება. ამხანაგობაში შენატანიც განისაზღვრა და მის თავმჯდომარედ აირჩიეს შემკვეთი.

22. ამხანაგობის 2013 წლის 15 მაისის კრების №01-2013 ოქმის თანახმად, შემკვეთი, როგორც ხელშეკრულების დამრღვევი, გაირიცხა ამხანაგობიდან, გარიცხული წევრის ნაცვლად, ამხანაგობაში შევიდა შპს „ჯ.პ.პ.“ და მთლიანად მას გადაეცა გარიცხული წევრის წილი (იხ. კრების ოქმები).

23. ერთი მხრივ, შუამავალს (გამყიდველს), მეორე მხრივ, შემკვეთს (გარანტს) და მესამე მხრივ, ნ. ჩ-ას (მყიდველს) შორის, 2008 წლის 16 მაისს, დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით, გამყიდველმა და მყიდველმა იკისრეს ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ხოლო გარანტმა – საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა (51,1 კვ.მ) მდებარე ქ. თბილისი, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი ...).

24. შუამავალს (გამყიდველს), შემკვეთს (გარანტს) და ც. ტ-ს (მყიდველს) შორის, 2008 წლის 16 ივნისს, დაიდო უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულება, რომლის თანახმადაც, გამყიდველმა და მყიდველმა იკისრეს ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ხოლო გარანტმა იკისრა საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა (104,7 კვ.მ) მდებარე ქ. თბილისი, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი ...).

25. შუამავალს (გამყიდველს), შემკვეთს (გარანტს) და მ. ყ-ას (მყიდველს) შორის, 2009 წლის 25 ნოემბერს, დადებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით, გამყიდველმა და მყიდველმა იკისრეს ნასყიდობის ძირითადი ხელშეკრულების დადების ვალდებულება, ხოლო გარანტმა – საცხოვრებელი სახლის მშენებლობის დასრულება. ნასყიდობის საგანს წარმოადგენდა საცხოვრებელი ბინა (104,3 კვ.მ) მდებარე ქ. თბილისი, მეტრო ღრმაღელის მიმდებარე ტერიტორიაზე (საკადასტრო კოდი ...). სასამართლომ აღნიშნა, რომ ამ ხელშეკრულებას ხელს არ აწერს შემკვეთის წარმომადგენელი, ხელშეკრულების ბოლო გვერდზე მხოლოდ მისი ბეჭედი იყო მოთავსებული.

26. სასამართლომ აღნიშნა, რომ შუამავალს არ წარუდგენია მტკიცებულებები, საშუამავლო ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების შესახებ. ამასთან, ვინაიდან, შუამავლის სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა მის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტს, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი სწორედ მას ეკისრებოდა.

27. სასამართლომ მიიჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მოითხოვდა: სხვადასხვა პირთან ურთიერთობას, მოლაპარაკებების წარმოებას, შეხვედრების ორგანიზებას, რაც გარკვეული მატერიალური მტკიცებულებების შექმნასთან იყო დაკავშირებული, განსაკუთრებით კი იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ საკითხი ეხებოდა უძრავ ქონებას. შუამავალს სასამართლოსთვის არ წარუდგენია რაიმე დოკუმენტი, ან მოწმის ჩვენება, ან კანონით გათვალისწინებული სხვა მტკიცებულება იმის დასადასტურებლად, რომ ხელშეკრულებით ნაკისრი მოქმედებები განახორციელა.

28. სასამართლომ არ გაიზიარა შუამავლის მტკიცება, რომ ამხანაგობა დაფუძნდა მის მიერ უშუალოდ წარმოებული მოლაპარაკებების შედეგად, ვინაიდან არც ამ გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულება არ იყო საქმეში წარმოდგენილი.

29. სასამართლომ აღნიშნა, რომ, არც წინამდებარე გადაწყვეტილების 23-25 პუნქტებში მითითებული ხელშეკრულებებით დასტურდებოდა შუამავლის მიერ თავისი ვალდებულებების შესრულება. სასამართლომ არ გაიზიარა შუამავლის პოზიცია, რომ თუკი იგი არ ასრულებდა თავის ვალდებულებებს, მაშინ შემკვეთი მას გარანტიად არ დაუდგებოდა.

30. სასამართლომ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (შემდგომში – სსსკ) 102-ე და 104-ე მუხლებზე და აღნიშნა, რომ მხარემ თავისი მოთხოვნის დასადასტურებლად, შესაძლოა წარმოადგინოს, როგორც პირდაპირი, ისე არაპირდაპირი მტკიცებულება. შესაბამისად, გადაწყვეტილების დასაბუთების დროსაც არის შესაძლებელი ორივე სახის მტკიცებულებაზე მითითება, თუმცა, გადაწყვეტილება მხოლოდ არაპირდაპირ მტკიცებულებას არ უნდა ემყარებოდეს. სასამართლოს განმარტებით, მტკიცებულებები, რომლებიც კონკრეტულ ფაქტობრივ გარემოებაზე არაპირდაპირი ვარაუდისა თუ დასკვნის შესაძლებლობას იძლევა, შესაძლებელია, მხედველობაში იქნეს მიღებული, მხოლოდ პირდაპირ მტკიცებულებასთან ერთად და მისი კიდევ უფრო სარწმუნოობის განსამტკიცებლად, ან პირიქით, მტკიცებულების სარწმუნოობაში ეჭვის შესატანად. არაპირდაპირი მტკიცებულება, მნიშვნელოვანია მაშინაც, როდესაც სახეზეა პირდაპირ მტკიცე-

ბულებათა არასაკმარისობა და, გარკვეულწილად, არაპირდაპირი მტკიცებულებით ხდება ამ ხარვეზის შევსება.

31. მოცემულ საქმეში, იმ პირობებში, როდესაც არ არსებობდა ვალდებულების შესრულების დამადასტურებელი პირდაპირი მტკიცებულება, მხოლოდ მითითებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, სასამართლოს მოსაზრებით, არ იძლეოდა შუამავლის მიერ ნაკისრი ვალდებულების ფაქტის დადასტურების შესაძლებლობას.

32. სასამართლომ სამართლებრივი დასაბუთებისას იხელმძღვანელა სსკ-ის 317-ე, 629-ე და 744-ე მუხლებით და განმარტა, რომ გასამრჯელოს/საზღაურის გადახდა დამოკიდებულია შუამავლობის შედეგად ხელშეკრულების დადებაზე ან გარკვეული სამუშაოს შესრულებაზე. თუ ეს გარემოებები სახეზე არ არის, მაშინ არც თანხის გადახდის ვალდებულება არ წარმოიშობა. ვინაიდან, საქმის მასალებით არ დასტურდებოდა შუამავლის მიერ არც საშუამავლო და არც სახედამხედველო ვალდებულებების შესრულება, შესაბამისად, არ არსებობოდა საზღაურის ანაზღაურების ვალდებულება.

33. შუამავალმა საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2015 წლის 4 ივნისის განჩინება, მოითხოვა მისი გაუქმება და სარჩელის დაკმაყოფილება.

34. საკასაციო განაცხადი შემდეგ საფუძვლებს მოიცავდა:

34.1. სააპელაციო სასამართლომ, 2014 წლის 28 მარტის განჩინებით, საქალაქო სასამართლოს განუსაზღვრა საქმის განხილვის გაგრძელება დაუსწრებელი გადაწყვეტილების და არა მოსამზადებელი ეტაპიდან. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლო ვალდებული იყო, შეესრულებინა ზემდგომი სასამართლოს მითითებები იმ გარემოებების გამოსაკვლევად, რომლებიც არ იქნა გამოკვლეული და სამართლებრივად შეფასებული დაუსწრებელი გადაწყვეტილების მიღებისას. კასატორის განმარტებით, სასამართლომ ისე გამოიკვლია საქმეში არსებული მტკიცებულებები და მიიღო გადაწყვეტილება, რომ არ უმსჯელია სარჩელში მითითებული ფაქტები, ამართლებდნენ თუ არა, კანონის თანახმად, მოსარჩელის მოთხოვნას, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების დარღვევის გამო, მიყენებული ზიანის ანაზღაურების თაობაზე. სასამართლომ სამართლებრივად არ შეაფასა ქვემდგომი სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომ დაუსწრებელი გადაწყვეტილების მსჯელობის ეტაპიდან უნდა განეხილა თუ არა საქალაქო სასამართლოს სარჩელი. კასატორის განმარტებით, მისი სააპელაციო საჩივრის პირველი ნაწილი სწორედ, რომ საქალაქო სასამართლოს მიერ საქმის დაუსწრებლად განხილვის უარის თქმაზე იყო აგებული.

ლი;

34.2. სასამართლომ არამართლობიერად შეაფასა საქმეში არსებული უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები. კასატორის მოსაზრებით, აღნიშნული ხელშეკრულებებით დადასტურებულია, რომ შუამავალი პირნათლად ასრულებდა საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებებს, წინააღმდეგ შემთხვევაში, მას შემკვეთი საცხოვრებელი ფართების კონკრეტულ ვადებში დასრულების გარანტიად არ დაუდგებოდა. სასამართლოს შეფასება, რომ ეს მტკიცებულებები არაპირდაპირია, უსაფუძვლოა. კასატორის განმარტებით, სამივე წინარე ხელშეკრულებით შემკვეთმა იკისრა ვალდებულება, განსაზღვრულ დროში აეშენებინა შუამავლის მიერ გასხვისებული საცხოვრებელი ბინები. აღნიშნული გარიგებებით შემკვეთმა ხაზგასმით დაადასტურა, რომ მასსა და შუამავალს შორის ჯანსაღი ურთიერთობა იყო, შემკვეთი გარანტიად დაუდგა შუამავალს;

34.3. შემკვეთის მიერ საშუამავლო ხელშეკრულებით აღებული ვალდებულების შეუსრულებლობა გამოწვეული იყო მისი ამხანაგობიდან გარიცხვის გამო, რასთანაც კასატორს რაიმე კავშირი არ გააჩნია;

34.4. შუამავლის მიერ საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მონინააღმდეგე მხარეს სადავოდ არ გაუხდია;

34.5. უსაფუძვლოა სასამართლოს მსჯელობა, რომ თითქოს, შუამავალს არ წარუდგენია საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების დამადასტურებელი მტკიცებულებები. კასატორს მიაჩნია, რომ საშუამავლო ხელშეკრულება არ ავალდებულებდა მას, გზადაგზა ეგროვებინა მტკიცებულებები შესრულებული სამუშაოს დასადასტურებლად;

34.6. მონინააღმდეგის მითითება იმ გარემოებაზე, რომ მხოლოდ მშენებლობის დასრულების შემთხვევაში უნდა შეესრულებინა შემკვეთს შუამავლის წინაშე ნაკისრი ვალდებულება, დაუსაბუთებელია, ვინაიდან მშენებლობის დაუსრულებლობა გამოწვეული იყო შემკვეთის უმოქმედებით, რის გამოც, იგი ამხანაგობიდან გარიცხეს კიდევ.

35. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2015 წლის 6 აგვისტოს განჩინებით შუამავლის საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის შესამოწმებლად, ხოლო იმავე წლის 29 ოქტომბრის განჩინებით დასაშვებად ცნო იმავე ნორმის მე-5 ნაწილის „ა“ და „გ“ ქვეპუნქტებით. საკასაციო სასამართლომ 15 დეკემბრის განჩინებით საკასაციო საჩივრის არსებითი განხილვა დანიშ-

ნა ზეპირი მოსმენით და მოიწვია მხარეები.

**36. საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 15 იანვრის სსდო-
მაზე გამოცხადებულმა მხარეებმა შემდეგნაირად წარმოაჩინ-
ეს საკუთარი არგუმენტები:**

36.1. საკასაციო საჩივრის ავტორი დაეთანხმა წარმოდგენილ სა-
ჩივარს და დამატებით განმარტა, რომ არასწორად შეაფასა სასა-
მართლომ ფაქტები, კასატორმა სრულფასოვნად შეასრულა საშუ-
ამავლო ხელშეკრულების 3.1. ქვეპუნქტი. თუ მოწინააღმდეგე
თვლიდა, რომ შუამავალს არ შეუსრულებია საკუთარი ვალდებუ-
ლება, მაშინ შემკვეთს ჰქონდა უფლება, შეენწყვიტა კასატორთან
ხელშეკრულება 6.3 ქვეპუნქტით, რაც არ გაუკეთებია. კასატორს
მიაჩნია, რომ მხარეთა შორის წარმოშობილი ხელშეკრულება არის
შუამავლობაც, ნარდობის ურთიერთობაც და მოიცავს შრომითი
ხელშეკრულებისთვის დამახასიათებელ ელემენტებსაც, თუმცა,
ყველაზე მეტად ნარდობაა გამომხატული.

36.2. მოწინააღმდეგე მხარემ (საწარმომ) მხარი დაუჭირა წარ-
მოდგენილ საკასაციო შესაგებელს, მოითხოვა საკასაციო საჩივ-
რის უარყოფა, ასევე, განმარტა, რომ მართალია, შემკვეთმა შუა-
მავალთან არ შეწყვიტა ურთიერთობა, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს,
რომ კასატორმა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეას-
რულა. დღეის მდგომარეობით, საწარმო პრაქტიკულად გაკოტრე-
ბულია.

37. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2016 წლის 21 იანვრის განჩინებით, საკასაციო საჩივარ-
ი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული განჩი-
ნება და საქმე იმავე სასამართლოს დაუბრუნდა, სააპელაციო სა-
ჩივრის ხელახლა განსახილველად.

38. საქმის ხელახლა განსახილველად დაბრუნების შესახებ გან-
ჩინებით საკასაციო სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს მი-
უთითა დამატებით გამოეკვლია და ემსჯელა მხარეთა შორის არ-
სებული ურთიერთობის ხასიათზე (შუამავლობა თუ ერთობლივი
საქმიანობა), ხოლო ამის შემდეგ შეეფასებინა, თუ რა ურთიერ-
თვალდებულებები შესრულდა და როგორი მოცულობით.

39. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმე-
თა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილებით, სააპელა-
ციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შეიცვალა თბილისის
საქალაქო სასამართლოს 2014 წლის 7 ოქტომბრის გადაწყვეტილე-
ბა და სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, შემკვეთს შუამავ-
ლის სასარგებლოდ 30 660 აშშ დოლარისა და 57 585 ევროს გადახ-
და დაეკისრა.

40. სააპელაციო სასამართლომ დადგენილად მიიჩნია, რომ შუა-

მავლის მიერ მოდავე მხარეთა შორის გაფორმებული საშუამავლო ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შესრულებულ იქნა ნა-ნილობრივ.

41. სააპელაციო სასამართლომ იხელმძღვანელა სსსკ-ის 4.1, 102-ე, 103.1, 105-ე მუხლებით და დაადგინა, იმის გათვალისწინებით, რომ შუამავლის სასარჩელო მოთხოვნა ემყარებოდა მის მიერ ვალდებულების შესრულების ფაქტს, ამ გარემოების მტკიცების ტვირთი მასვე ეკისრებოდა. სასამართლომ დაასკვნა, რომ 2008 წლის 16 მაისის და 16 ივნისის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებით დასტურდებოდა ის გარემოება, რომ შუამავალმა გაასხვისა ამხანაგობის საკუთრებად რიცხული ფართის ის ნაწილი, რომლის გასხვისების უფლებაც მას გააჩნდა საშუამავლო მომსახურების ხელშეკრულებით, კერძოდ კი, მე-5 პუნქტით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი).

42. სასამართლომ დადგენილად მიიჩნია შუამავლის მიერ შუამავლობის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულების ნაწილობრივ შესრულების ფაქტი, ამასთან 2008 წლის წლის 16 მაისისა და 16 ივნისის ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებებით, შემკვეთმა გარანტის ფუნქციის თავის თავზე აღებით, აღიარა ვალდებულება შუამავლის მიმართ, ერთი მხრივ, 30 660 აშშ დოლარის ოდენობით, ხოლო, მეორე მხრივ, 57 585 ევროს ოდენობით.

43. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, შუამავალი სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ვერ ადასტურებს დანარჩენ ნაწილში ვალდებულების შესრულების ფაქტს. სასამართლომ განმარტა, რომ 2009 წლის 25 ნოემბერს, შუამავალს, შემკვეთსა და მ. ყ-ას შორის დადებულ უძრავი ქონების ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებას საქმისათვის მნიშვნელოვანი რაიმე გარემოების დამადასტურებელ მტკიცებულებად ვერ განიხილავდა, რადგან მას ხელს არ აწერდა შემკვეთის წარმომადგენელი, ხოლო ხელშეკრულების ბოლო გვერდზე საწარმოს ბეჭედის არსებობა არ გულისხმობდა მის ნებას ხელშეკრულების დადებაზე.

44. სასამართლომ დაასკვნა, რომ წინამდებარე დავით განსაზღვრული მხარეთა ურთიერთვალდებულებები არ განეკუთვნებოდა სსკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებულ ერთობლივ საქმიანობას, რადგან საშუამავლო ხელშეკრულებით არ იკვეთებოდა მხარეთა სურვილი, საკუთარი ქონების, გამოცდილებისა თუ პროფესიული უნარ-ჩვევების გაერთიანებით, ერთობლივად ემოქმედათ გარკვეული მიზნების მისაღწევად.

45. საშუამავლო ხელშეკრულების მე-3 და მე-5 პუნქტები მიუთითებენ იმ გარემოებაზე, რომ მხარეთა შორის არსებობდა დავალების ხელშეკრულება, რაც მონესრიგებულია სსკ-ის 709-ე მუხ-

ლით.

46. სასამართლომ იხელმძღვანელა სსკ-ის 394.1, 414-ე, 316.1 მუხლებით და მიიჩნია, რომ შემკვეთს შუამავლის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს 30 660 აშშ დოლარი და 57 585 ევროს გადახდა, იმის გათვალისწინებით, რომ საწარმომ 2008 წლის 16 მაისისა და 16 ივნისის ხელშეკრულებებით (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების 23-24-ე პუნქტები) გარანტიის ფუნქციის თავის თავზე აღებით, აღიარა ვალდებულება შუამავლის მიმართ.

47. შემკვეთმა საკასაციო წესით ნაწილობრივ გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება, შუამავლის მოთხოვნის დაკმაყოფილების ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა მოითხოვა.

48. კასატორის განმარტებით, სასამართლომ დაარღვია მტკიცების ტვირთის გადანაწილება, თუმცა, გადაწყვეტილებაში ფორმალურად მიუთითა, რომ სწორედ მოსარჩელეს ეკუთვნის მტკიცების ტვირთი ვალდებულების შესრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნა, რომ გარანტიის ნება საწარმოს არ გამოუხატავს.

49. სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა და აღნიშნა, რომ დავის არსი და საფუძველი საშუამავლო ხელშეკრულება იყო, რომლის ვალდებულების შესრულება მხარემ ვერ დაასაბუთა.

50. კასატორის მტკიცებით, სააპელაციო სასამართლომ არ გამოიკვლია ის გარემოება, რომ შუამავალმა წინარე ხელშეკრულება, როგორც უკანონო, გააუქმა და თანხის დაბრუნების ვალდებულება აიღო.

51. სასამართლომ მხარეთა შორის არსებული ურთიერთობა არ შეაფასა სსკ-ის 930-ე მუხლით გათვალისწინებული ერთობლივი საქმიანობის ურთიერთობად, რაც მას საქართველოს უზენაესი სასამართლოსგან ჰქონდა დავალებული და მიიჩნია, რომ მოსარჩელე სსკ-ის 709-ე მუხლით გათვალისწინებული დავალების ხელშეკრულების ფარგლებში მოქმედებდა, თუმცა, ამ უკანასკნელის მოთხოვნა ნაწილობრივ მაინც დააკმაყოფილა, შესაბამისად, სასამართლომ მიიღო უკანონო გადაწყვეტილება და ფორმალურად დაასაბუთა იგი, რადგან საქმის მასალებში არ მოიძებნება მტკიცებულება, გარემოება ან იმის დამადასტურებელი ფაქტობრივი გარემოება, რომ შუამავალი საწარმოს სახელით მოქმედებდა ან მინიჭებული ჰქონდა წარმომადგენლობა, რაც უმთავრესია დავალებითი წარმომადგენლობისთვის. სასამართლომ არ შეაფასა, რომ მოსარჩელეს მომსახურება უნდა გაენია, რაც მოიცავს როგორც შუამავლობას, ასევე – ნარდობას.

52. შემკვეთის (კასატორის) მტკიცებით, სასამართლომ არ უნდა დაუშვას უსაფუძვლო გამდიდრება, მაშინ როდესაც ვალდებულება არ შესრულდა და ვერც შესრულებოდა, მით უმეტეს, როცა ე.წ. წინარე ხელშეკრულებები (იხ. 23-ე-25-ე პუნქტები) უკანონოდ დაიდო, ისინი გაუქმებულია.

53. სასამართლომ უდავოდ დადგენილად მიიჩნია ამხანაგობის „ა.ღ-ის“ დაფუძნება, როდესაც საქმეში ასეთი მტკიცებულება არ მოიპოვება, ასევე ის გარემოება, რომ შუამავალმა ვალდებულება თითქოს ნაწილობრივ შეასრულა, მით უმეტეს ეს არ მტკიცდება წინარე ხელშეკრულებებით. სასამართლომ გვერდი აუარა იმ ფაქტობრივ გარემოებას, რომ საშუამავლო ხელშეკრულებიდან გამომდინარე გასამრჯელო უნდა ყოფილიყო სამშენებლო საქმიანობის ადექვატური.

54. შემკვეთის განმარტებით, წინარე ხელშეკრულებები საშუამავლო ხელშეკრულებისგან დამოუკიდებელი ხელშეკრულებაა, რადგან საშუამავლო ხელშეკრულებით იმ ფუნქციის განხორციელება, რაც ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებით იკისრა შუამავალმა, ამ უკანასკნელს არ ევალებოდა და გარანტიაც არ გულისხმობს რაიმეს აღიარებას.

55. კასატორს მიაჩნია, რომ რადგან ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებაში არ იყო მითითებული ვალდებულების შეუსრულებლობისათვის შემკვეთის პასუხისმგებლობის თაობაზე, ზიანის ანაზღაურების შესახებ მოთხოვნაც არ არსებობს.

56. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატამ 2017 წლის 13 მარტის განჩინებით შემკვეთის საკასაციო საჩივარი მიიღო წარმოებაში, სსსკ-ის 391-ე მუხლის საფუძველზე, დასაშვებობის წინაპირობების შესამოწმებლად.

57. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 2 მაისის განჩინებით საკასაციო საჩივარი დასაშვებად იქნა ცნობილი სსსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ა“ და „ე“ ქვეპუნქტების საფუძველზე და მიღებულ იქნა არსებითად განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის შესწავლის, მტკიცებულებათა გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის სამართლებრივი დასაბუთებულობის შემოწმების შედეგად, მიიჩნევს, რომ მოპასუხის საკასაციო განაცხადი დასაბუთებულია და უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

58. სსსკ-ის 404-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო გადაწყვეტილებას ამონიშნებს საკასაციო საჩივრის ფარ-

გლებში, ამავე კოდექსის 407-ე მუხლის პირველი ნაწილით, საკასაციო სასამართლო იმსჯელებს მხარის მხოლოდ იმ ახსნა-განმარტებაზე, რომელიც ასახულია სასამართლო გადაწყვეტილებებში და სხდომის ოქმებში. გარდა ამისა, შეიძლება მხედველობაში იქნეს მიღებული ამ კოდექსის 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტები; ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). საკასაციო სასამართლოს შეფასებით, მოპასუხეს დასაბუთებული საკასაციო შედავება აქვს წარმოდგენილი.

59. საკასაციო სასამართლო, უპირველეს ყოვლისა, ყურადღებას გაამახვილებს იმაზე, თუ რა სახის სამართლებრივი ურთიერთობა არსებობს მხარეთა შორის და რომელი ნორმის საფუძველზე არის შესაძლებელი მოსარჩელისათვის სასურველი იურიდიული შედეგის მიღწევა. განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელემ, სარჩელი აღძრა შემკვეთის წინააღმდეგ და ამ უკანასკნელისაგან მოითხოვა ხელშეკრულების მოშლით მიყენებული ზიანის – 389 400 აშშ დოლარის ანაზღაურება. მოსარჩელის მტკიცებით, მას საშუამიავლო ხელშეკრულებიდან (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი) გამომდინარე შესრულებული სამუშაოს ანაზღაურების მოთხოვნის უფლება აქვს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი). მოსარჩელე უთითებს მასსა და მოპასუხეს შორის შუამავლობის სამართლებრივ ურთიერთობაზე (სსკ-ის 744-ე მუხლი). ამდენად, საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს სწორედ სადავო შეთანხმების შინაარსზე, რომელიც განსხვავებულად განმარტეს პირველი და მეორე ინსტანციების სასამართლოებმა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-12, 44-ე, 45-ე პუნქტები).

60. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ განსახილველ შემთხვევაში უპირველესად მხარეთა შორის არსებული ურთიერთობის სამართლებრივი სახე უნდა განისაზღვროს და ამის შემდეგ შეფასდეს მხარეთა უფლება-მოვალეობები. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსის მართებულ განმარტებაზე დამოკიდებული, თუ რა მოთხოვნები და უფლებები აქვს მოსარჩელეს, რათა ამ უკანასკნელის სარჩელის საფუძვლიანობა შეფასდეს.

61. საკასაციო სასამართლომ არაერთ საქმეში განმარტა: „სასამართლოს უპირველესი ამოცანაა, დაადგინოს, თუ რას ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისაგან და რის საფუძველზე, ანუ რომელ ფაქტობრივ გარემოებებზე ამყარებს თავის მოთხოვნას. სასამართლომ

მხარის მიერ მითითებული მოთხოვნის ფარგლებში უნდა მოძებნოს ის სამართლებრივი ნორმა (ნორმები), რომელიც იმ შედეგს ითვალისწინებს, რისი მიღწევაც მხარეს სურს. ამასთან, მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად განხილული ნორმა (ან ნორმები) შეიცავს იმ აღწერილობას (ფაქტობრივ შემადგენლობას), რომლის შემონიშნავაც სასამართლოს პრეროგატივაა და რომელიც უნდა განხორციელდეს ლოგიკური მეთოდების გამოყენების გზით, ანუ სასამართლომ უნდა დაადგინოს, ნორმაში მოყვანილი აბსტრაქტული აღწერილობა რამდენად შეესაბამება კონკრეტულ ცხოვრებისეულ სიტუაციას და გამოიტანოს შესაბამისი დასკვნები. ის მხარე, რომელსაც აქვს მოთხოვნა მეორე მხარისადმი, სულ მცირე, უნდა უთითებდეს იმ ფაქტობრივ შემადგენლობაზე, რომელსაც სამართლის ნორმა გვთავაზობს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოთხოვნის სამართლებრივი საფუძვლის რომელიმე ფაქტობრივი წინამძღვრის (სამართლებრივი წინაპირობის) არარსებობა გამორიცხავს მხარისათვის სასურველი სამართლებრივი შედეგის დადგომას“ (იხ. სუსგ ას 15-29-1443-2012, №ას-973-1208-04; №ას-664-635-2016).

62. საკასაციო სასამართლო ცალ-ცალკე შეაფასებს შუამავლობის, დავალების, წარდობისა და ერთობლივი საქმიანობის სამართლებრივ ბუნებას, რაც შესაძლებელს გახდის მართებულად დაკვალიფიცირდეს მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულების შინაარსი და სწორი სამართლებრივი შეფასება მიეცეს მას.

62.1. სსკ-ის 744-ე მუხლის თანახმად პირი, რომელიც სხვას ჰპირდება გასამრჯელოს ხელშეკრულების დასადებად განეული შუამავლობისათვის, ვალდებულია გადაიხადოს ეს გასამრჯელო მხოლოდ მაშინ, თუ ხელშეკრულება ამ შუამავლობის შედეგად დაიდო. თუ ხელშეკრულება იდება გადადების პირობით, გასამრჯელო შეიძლება მოთხოვნილ იქნეს მხოლოდ ამ პირობის დადგომის შემდეგ. თუ გასამრჯელოს ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად ითვლება ჩვეულებრივი მოქმედი გასამრჯელო. შემკვეთის საზიანოდ ამ მუხლის პირველი და მეორე წინადადებებისაგან განსხვავებულად დადებული შეთანხმება ბათილია. საშუამავლო საქმიანობად შეიძლება მიჩნეულ იქნეს მხოლოდ ისეთი სახის საქმიანობა, რომლის მიზანიც შემკვეთსა და მესამე პირს შორის ძირითადი ხელშეკრულების დადებაა. იმ შემთხვევაში, თუ შუამავალი მესამე პირს ვერ მოიძიებს, მას პასუხისმგებლობა არ დაეკისრება, ხოლო შემკვეთს – ანგარიშსწორების ვალდებულება (მდრ. სსკ-ის 744-ე მუხლის კომენტარი, www.gccc.ge, ბოლო დამუშავება: 07.03.2016წ.). საშუამავლო ხელშეკრულებით განსაზღვრული გასამრჯელოს ანაზღაურების დაკისრებისათვის უნდა არსებობდეს

შემდეგი წინაპირობები: მხარეთა შეთანხმება შუამავლობის გზით ხელშეკრულების დადებაზე; ძირითადი ხელშეკრულება, რომლის დადების მიზნითაც თანხმდებიან მხარეები შუამავლობაზე; ეს ხელშეკრულება სწორედ შუამავლობის შედეგად უნდა იყოს დადებული (იხ. სუსგ №ას-522-495-2014, 05.06.2015წ.). იქიდან გამომდინარე, რომ მხარეები ხელშეკრულებით შეთანხმდნენ შუამავლის ვალდებულებებზე, რაც წინამდებარე გადაწყვეტილების 62.1 ქვეპუნქტში განმარტებული საშუამავლო ხელშეკრულების, კანონით დადგენილ, ფარგლებს სცილდება (იხ. ამ გადაწყვეტილების პირველი პუნქტი), იგი საშუამავლო ხელშეკრულებად არ მიიჩნევა, შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნის 744-ე მუხლზე დაფუძნება უსაფუძვლოა. ამასთან, აღსანიშნავია ისიც, რომ შუამავლობის დროს, შუამავალს ეკუთვნის გასამრჯელო, რომელიც შესაძლებელია მხარეებმა შეათანხმონ, ან თუ მისი ოდენობა განსაზღვრული არ არის, შეთანხმებულად მიიჩნევა ჩვეულებრივ მოქმედი გასამრჯელო. განსახილველ შემთხვევაში, მხარეების შეთანხმება ე.წ. შუამავლის (მოსარჩელის) ანაზღაურებაზე, განისაზღვრა ე.წ. ნატურით, მოსარჩელეს მის მიერ შემკვეთის სასარგებლოდ გაწეული მომსახურებისათვის უნდა მიეღო უკვე ამენებული მთლიანი ფართობის 3% (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-3 პუნქტი). დასახელებული სახელშეკრულებო პირობა კი გამორიცხავს სსკ-ის 744-ე მუხლის საფუძველზე განსაზღვრული შუამავლობის წინაპირობას.

62.2. სსკ-ის 709-ე მუხლის თანახმად დავალების ხელშეკრულებით რწმუნებული ვალდებულია შეასრულოს მისთვის დავალეხული (მინდობილი) ერთი ან რამდენიმე მოქმედება მარწმუნებლის სახელითა და ხარჯზე. შუამავალი თავისი ვალდებულების შესრულებისას არ მოქმედებს შემკვეთის სახელით, მისი მთავარი დანიშნულება მესამე პირამდე იმ ძირითადი ინფორმაციის მიტანაა, რომლის საფუძველზეც შემკვეთსა და მესამე პირს შორის ძირითადი ხელშეკრულება უნდა დაიდოს (შდრ. სსკ-ის 744-ე მუხლის კომენტარი, www.gccc.ge, ბოლო დამუშავება: 07.03.2016წ.). განსახილველ შემთხვევაში, მოსარჩელე შემკვეთის სახელით და ხარჯზე არ მოქმედებდა, ამიტომ დავალების ხელშეკრულებისათვის არსებითი დამახასიათებელი ნიშანი ამ გადაწყვეტილების პირველ პუნქტში დასახელებულ გარიგებას არ გააჩნია, შესაბამისად, მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება დავალებად არ მიიჩნევა.

62.3. სსკ-ის 930-ე მუხლის თანახმად ერთობლივი საქმიანობის (ამხანაგობის) ხელშეკრულებით ორი ან რამდენიმე პირი კისრულობს ერთობლივად იმოქმედოს საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად ხელშეკრულებით განსაზღვრული საშუალებებით, იურიდიული პირის შეუქმნელად. ამხანაგობის ხელშეკრულებით

ბა აუცილებლად უნდა შეიცავდეს მონაცემებს საერთო მიზნისა და იმ მოქმედებების შესახებ, რომლებსაც ამხანაგობის წევრები კისრულობენ ამხანაგობის საერთო მიზნის მისაღწევად (მდრ. სსკ-ის 930-ე მუხლის კომენტარი, www.gccc.ge, ბოლო დამუშავება: 02.08.2016წ.). ამ კონტექსტში საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების მიხედვით, იმის გათვალისწინებით, რომ მხარეთა შორის ხელშეკრულება წერილობითაა გაფორმებული, ერთობლივ საქმიანობად (ამხანაგობა) მის მისაჩვენებლად არ არის საკმარისი არსებული სახელშეკრულებო პირობები, რადგან ვერ აკმაყოფილებს სსკ-ის 930-ე მუხლის მე-2 ნაწილის დანაწესს წერილობით დადებული ხელშეკრულების სავალდებულო პირობებზე. აღსანიშნავია ისიც, რომ ხელშეკრულებაში მხარეთათვის განსაზღვრული უფლება-მოვალეობების შეფასების თვალსაზრისითაც, არ ვლინდება ამხანაგობისათვის დამახასიათებელი არსებითი პირობა – მხარეებმა ერთობლივად იმოქმედონ საერთო სამეურნეო ან სხვა მიზნების მისაღწევად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ვალდებულებით-სამართლებრივი სხვა ურთიერთობისაგან განსხვავებით, როდესაც მხარეთა უფლება-მოვალეობები ორმხრივად მავალდებულებელია (სინალაგმატური), ერთობლივი საქმიანობის მონაწილე ორი ან რამდენიმე პირი საერთო მიზნებისათვის იღწვის და თითოეული მათგანის როლი და ფუნქცია ამხანაგობაში შესაძლოა სხვადასხვა შესატანის შეტანას – განსხვავებული მოცულობის სამუშაოს (მომსახურებას) მოიცავდეს (მდრ. სსკ-ის 930-ე მუხლის კომენტარი, 27-ე ველი, www.gccc.ge, ბოლო დამუშავება: 02.08.2016წ.)

62.4. უზენაეს სასამართლოში 2016 წლის 15 იანვარს გამართულ სხდომაზე მოსარჩელემ მასსა და მოპასუხეს შორის გაფორმებული ხელშეკრულება შრომით ხელშეკრულებასაც შეადარა, რასაც საკასაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს, რადგან საქართველოს შრომის კოდექსის მე-2 მუხლის პირველი ნაწილის თანახმად შრომითი ურთიერთობა არის შრომის ორგანიზაციული მონესრიგების პირობებში დასაქმებულის მიერ დამსაქმებლისათვის სამუშაოს შესრულება ანაზღაურების სანაცვლოდ. მოცემულ შემთხვევაში არ არის გამოკვეთილი მხარეთა შორის შრომითი ხელშეკრულებისათვის დამახასიათებელი სამართალურთიერთობა (იხ. საკასაციო სასამართლოს 15.01.16წ. სხდომის ოქმი).

62.5. სსკ-ის 629.1 მუხლის თანახმად ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე (შემსრულებელი) კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური. ამ გადანყვეტილების პირველ, მეორე, 62.1-62.4 ქვეპუნქტებში განვი-

თარებულ ფაქტობრივ-სამართლებრივი მსჯელობის საფუძველზე, საკასაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ მხარეთა შორის გაფორმებულ ხელშეკრულებას ყველაზე მეტად ნარდობის ურთიერთობისათვის დამახასიათებელი ბუნება აქვს და მოიცავს მომსახურების განევას შემკვეთის მითითებების ფარგლებში, სადაც ანაზღაურება შეთანხმდა შემსრულებლისათვის სამშენებლო ფართის 3%-ის გადაცემის სახით. ნარდობის სამართლებრივ ურთიერთობაშიც მენარდეს (შემსრულებელს) შემკვეთის მითითებების საფუძველზე ეკისრება გარკვეული მომსახურების (სამუშაოს განევა, ნაკეთობის დამზადება) განევა, რისთვისაც მიიღებს გასამრჯელოს, კონკრეტულ შემთხვევაში გარემოებების, ანუ ხელშეკრულების პირობების მიხედვით, მხარეები მე-5 მუხლით შეთანხმდნენ ანაზღაურებაზე.

63. საარჩელის საფუძვლიანობის შეფასების შემდეგი საფეხური მოსარჩელის (შემსრულებლის) მიერ ვალდებულების შესრულების, ხოლო შემკვეთის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის ფაქტების დადგენაა (სსკ-ის 317.1, 361.2, 394.1 მუხლი). შემსრულებელი სასარჩელო მოთხოვნის საფუძველად წინარე ხელშეკრულებებს უთითებს (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-18 პუნქტი; წინარე ხელშეკრულებებში გამყიდველად მითითებულია მოსარჩელი, გარანტად – მოპასუხე და მყიდველად – მესამე პირი) და განმარტავს, რომ მან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება სრულად შეასრულა, თუმცა, შემკვეთმა არ შეასრულა ამავე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება და სამშენებლო ტერიტორიაზე „აშენებული“ ფართის 3% მოსარჩელისათვის (შემსრულებლისათვის, მომსახურების გამწვანისათვის) არ გადაუცია (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-2 პუნქტი). უფრო მეტიც, დადგენილია და საკასაციო სასამართლოს 2016 წლის 15 იანვრის სხდომაზე მხარეთა განმარტებებითაც არაა სადავო, რომ შენობა არ აშენებულა. მოპასუხე (შემკვეთი) არ ეთანხმება მოსარჩელის (შემსრულებლის) მტკიცებას, ამ უკანასკნელის მიერ ნაკისრი ვალდებულების (მესამე პირებთან მოლაპარაკებების წარმოება საკუთრებაში არსებული ქონების შემკვეთის სასარგებლოდ დათმობის მიზნით, მშენებლობის მიმდინარეობაზე ზედამხედველობა) სრულყოფილად შესრულებასთან დაკავშირებით და აღნიშნავს, რომ საქმეში არ არის წარმოდგენილი იმის დამადასტურებელი მტკიცებულებები, რომ შემსრულებლის მიერ წანარმოები მოლაპარაკებების შედეგად მესამე პირებმა საწარმოს (შემკვეთს) უძრავი ქონება საკუთრებაში გადასცეს; იმის გათვალისწინებით, რომ საწარმოს მშენებლობა არ უწარმოებია, შესაბამისად, შემსრულებელი ზედამხედველობასაც ვერ გაუწევდა მას, ამასთან, არც მესამე პირთან – ც. ტ-თან გაფორმებული

მორიგების მონაწილე ყოფილა სანარმო (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-6 პუნქტი).

64. წინამდებარე გადაწყვეტილების 63-ე პუნქტში მითითებული შემკვეთი სანარმოს პრეტენზიების საპირისპიროდ, შემსრულებელმა განმარტა, რომ მას „საშუამავლო ხელშეკრულება“ მიერ შესრულებული სამუშაოების დამადასტურებელი მტკიცებულებების შეგროვებას არ ავალდებულებდა. ამასთან, მოსარჩელე აღნიშნავს, რომ მხარეთა ურთიერთობა ნდობაზე იყო დაფუძნებული. მოსარჩელემ თავისი მოთხოვნა იმ გარემოებასაც დააფუძნა, რომ მასთან სანარმომ ხელშეკრულება არ შეწყვიტა, რაც მოსარჩელის მიერ ვალდებულების შესრულებად უნდა შეფასდეს.

65. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 102-ე მუხლის დანაწესს მოიხმობს და აღნიშნავს, რომ ყველა ფაქტობრივი გარემოება (გარდა საყოველთაოდ ცნობილი ფაქტებისა – სსსკ-ის 106-ე მუხლი) მტკიცებას საჭიროებს, მტკიცებულებათა სახეები კი სსსკ-ის მე-15-მე-20 თავებშია ჩამოთვლილი. მოსარჩელემ თავისი სასარჩელო მოთხოვნის მართებულობის მტკიცება ძირითადად საკუთარ ახსნა-განმარტებას დააფუძნა (ვინაიდან, საქმეში წარმოდგენილი სამი წინარე ხელშეკრულებიდან ერთს სანარმოს უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელმოწერა არ აქვს, დანარჩენი ორი კი შემსრულებლის მიერ „საშუამავლო“ ხელშეკრულებით ნაკისრი მთელი რიგი ვალდებულებების შესრულების ფაქტი არ დასტურდება; დადგენილია, რომ მოსარჩელემ გაასხვისა „ა. ღ-ის“ საკუთრებაში რიცხული ფართის ის ნაწილი, რომელიც მას მოპასუხესთან გაფორმებული მომსახურების ხელშეკრულების მე-5 პუნქტით ერგებოდა – იხ. სარჩელის მე-4 ფაქტობრივი გარემოება და წინამდებარე გადაწყვეტილების მე-2 და მე-5 პუნქტები) რაც თავისთავად ცხადია, შინაგან რწმენასაც ვერ განუმტკიცებს სასამართლოს, რომ სარჩელი საფუძვლიანად მიიჩნის. მოსარჩელის პრეტენზიას უნდა ადასტურებდეს მის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები, სწორედ მოსარჩელის მიერ მითითებული ფაქტობრივი გარემოებებისა და წარდგენილი მტკიცებულებების დამატებითი შეფასების მიზნით დაუბრუნდა სააპელაციო სასამართლოს განსახილველი საქმე. სასამართლო მტკიცება წარმოადგენს მტკიცებულებათა შეგროვების, შემოწმებისა და შეფასებისათვის სასამართლოსა და მხარეების სამართლით მონესრიგებულ საქმიანობას, რომლის მიზანია საქმის სწორად გადაწყვეტისათვის მნიშვნელობის მქონე გარემოებების (ფაქტების) დადგენა. პირველი, რაც უნდა გააკეთოს მხარემ დამტკიცების მოვალეობის შესასრულებლად – ესაა მტკიცებულებათა წარმოდგენა სასამართლოში იმ ფაქტის დადგენის მიზნით, რომლის დამტკიცების მოვალეობაც მას ეკისრება. წარ-

მოდგენილი მტკიცებულება ისეთ კავშირში უნდა იყოს დასადგენ გარემოებასთან, რომ შეიძლებოდეს ამ გარემოების არსებობა-არარსებობის შესახებ უტყუარი დასკვნის გაკეთება. მხარე საქმის შედეგით დაინტერესებული პირია, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს მისი ახსნა-განმარტების სისწორესა და უტყუარობაზე. მხარის ყოველი განმარტება ფაქტების შესახებ, რომელიც გაკეთებულია მის სასარგებლოდ, მართალია მტკიცებულებაა, მაგრამ არასაკმარისია, რომელიც მოითხოვს დადასტურებას სხვა მტკიცებულების მეშვეობით (მდრ. ლილუაშვილი თ., ლილუაშვილი გ., ხრუსტალი ვ., ძლიერიშვილი ზ., სამოქალაქო საპროცესო სამართალი, 1-ლი ნაწილი, თბილისი, 2014, გამომცემლობა „სამართალი“, გვ: 259, 284, 308).

66. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელემ სათანადო მტკიცებულებებით ვერ შეძლო საკუთარი მოთხოვნის საფუძვლიანობის დამტკიცება (იხ. ამ გადაწყვეტილების მე-13, 25-29 პუნქტები) და არ ეთანხმება სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას სარჩელის ნაწილობრივ დასაბუთებულად მიჩნევასთან დაკავშირებით (იხ. ამ გადაწყვეტილების 40-42 პუნქტები). საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის არ ყოფილა საშუამავლო სახელშეკრულებო ურთიერთობა, რადგან სსკ-ის 744-ე მუხლის თანახმად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, არ დასტურდება, რომ შუამავლობის საგანი იყო ის, რასაც სარჩელი ეყრდნობა, თუმცა, შუამავლობის შემთხვევაშიც, წარმოდგენილი სარჩელი დაუსაბუთებელია, რადგან მოსარჩელემ მისი წილი მტკიცების ტვირთი ვერ დაძლია. დადგენილია, რომ მომსახურების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შემსრულებელმა (მოსარჩელემ) ვერ შეასრულა. სსკ-ის 629.1 მუხლის წინაპირობებიდან გამომდინარე, წარმოდგენილი სარჩელი უსაფუძვლოა, რადგან შემსრულებლის მიერ გაწეული მომსახურების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმეში არ მოიპოვება და ასეთად ვერ იქნება მიჩნეული მესამე პირებთან გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულებები, რომელთა საფუძველზე შემსრულებელმა სხვისი (მოპასუხის) ქონების განკარგვის ხელშეკრულებებს მოაწერა ხელი, რაზედაც მას არც სამშენებლო კომპანიის (მოპასუხის) თანხმობა ჰქონია, არც ამ უკანასკნელისაგან მიუღია საკუთრებად ქონება (იხ. მოპასუხის შესაგებელი სარჩელის მე-4 ფაქტობრივი გარემოების პასუხად). მოცემულ შემთხვევაში მოსარჩელის სასარგებლო არგუმენტად არც ის გამოდგება, რომ მესამე პირთან გაფორმებული ნასყიდობის წინარე ხელშეკრულების საფუძველზე გადახდილი 7500 ევრო მოპასუხის ანგარიშზე ჩაირიცხა (იხ. წინამდებარე გადაწყვეტილების მე-6

პუნქტი), რადგან, ჯერ ერთი, სასამართლოს საოქმო განჩინების საფუძველზე მხარეთა შუამდგომლობით დამტკიცდა მორიგება, ხოლო მეორე – იმ დავაში მესამე პირის – ც. ტ-ის სასარგებლოდ მოპასუხედ დასახელებულ შემსრულებელს (ს. ფ-ას) დაეკისრა ფულადი ვალდებულების შესრულება, რაც, ცხადია, ამ უკანასკნელის მიერ შემკვეთის სასარგებლოდ განხორციელებულ ქმედებაზე არ მიუთითებს და აღნიშნულს არ ადასტურებს.

67. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. *ჯლარკავა საქართველოს წინააღმდეგ*, № 7932/03; *Van de Hurk v. Netherlands*, par.61, *Garcia Ruiz v. Spain* [GC] par.26; *Jahnke and Lenoble v France* (dec.); *Perez v France* [GC], par. 81).

68. ზემოხსენებული მოტივაციით, საწარმოს საკასაციო საჩივარი უნდა დაკმაყოფილდეს, გაუქმდეს გასაჩივრებული გადაწყვეტილება და, ახალი გადაწყვეტილების მიღებით უარი უნდა ეთქვას მოსარჩელეს მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე (სსსკ-ის 410-ე მუხლი).

69. სსსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც განიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. იმის გათვალისწინებით, რომ კასატორს საქმის განხილვის განმავლობაში სახელმწიფო ბაჟის გადახდა სამჯერ (2 000 ლარი; 4 000 ლარი და 6 000 ლარი) გადაუვადდა და საწარმომ საკასაციო საჩივრისათვის 8 000 ლარი (ფიზიკური პირისათვის არაუმეტეს 6 000 ლარი) გადაიხადა, მოსარჩელეს სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ 18 000 (თვრამეტი ატასი) ლარის გადახდა უნდა დაეკისროს.

70. საკასაციო სასამართლო სსსკ-ის 199-ე მუხლზე დაყრდნობით გააუქმებს საქალაქო და სააპელაციო სასამართლოებს მიერ გამოყენებულ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიებებს, სარჩე-

ლის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის გამო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე და 199¹-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე შ ი ტ ა:

1. შპს „ს-ს“ საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს;
2. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2016 წლის 8 დეკემბრის გადაწყვეტილება და მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება;
3. ს. ფ-ას სარჩელი არ დაკმაყოფილდეს;
4. ს. ფ-ას (პ/ნ ...) სახელმწიფო ბიუჯეტის სასარგებლოდ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 18 000 (თვრამეტი ათასი) ლარის გადახდა;
5. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 24 იანვრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც შპს „ს-ს“ (ს/ნ ...) აეკრძალა მის სახელზე რეგისტრირებული უძრავი ქონებების, მდებარე: ქ. თბილისი, ... ს/კ ...; ქ. თბილისი, ..., ს/კ ..., გასხვისება და იპოთეკით დატვირთვა;
6. გაუქმდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2013 წლის 2 დეკემბრის განჩინებით გამოყენებული სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიება, რომლითაც ყადაღა დაედო შპს „ს-ს“ (ს/ნ ...) კუთვნილ 100%-იან წილს შპს „დ-სი“ (ს/ნ ...) და შპს „ს-ს“ წილს ამხანაგობა „ს. ა-სი“;
7. გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

შემკვეთის მიერ საზღაურის გადახდა

გადაწყვეტილება საქართველოს სახელმწიფო

№ას-115-2019

17 ივლისი, 2019 წ., თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: მ. თოდუა (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ე. გასიტაშვილი

დავის საგანი: თანხის დაკისრება, ზიანის ანაზღაურება

აღწერილობითი ნაწილი:

1. შპს „ი.ს.კ-ასა“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოსარჩელე, პირველი კასატორი, მენარდე ან შემსრულებელი) და შპს „ო. ქ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე, აპელანტი, მეორე კასატორი ან შემკვეთი) შორის 2015 წლის 21 იანვარს გაფორმდა ნარდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც, მენარდემ იკისრა ვალდებულება ქ. თბილისში მდებარე მიწის ნაკვეთზე (... (ნაკვეთი ...)/ ... მიმდებარედ, ნაკვეთი .../... ქუჩა №12./... ქუჩა, №7/..., .../ ..., (ნაკვეთი ...) / ..., (ნაკვეთი №...)/, ... ქუჩა №10) ს/კ-ით ... (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც უძრავი ნივთი/ქონება ან მიწის ნაკვეთი) მრავალფუნქციური კომპლექსის (+0.00 დონიდან) კონსტრუქციული კარკასის სართულშუა გადახურვის ფილების, სვეტების, რიგელების, კედლებისა და კიბეების სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შეესრულებინა. ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების სრული ღირებულება 6 867 756.85 აშშ დოლარით (დღგ-ს ჩათვლით) განისაზღვრა (შესასრულებელი სამუშაოს ღირებულება გამოანგარიშებულია შემდეგი პრინციპით: მენარდის მიერ შესასრულებელი სამუშაოების შედეგად შექმნილი სართულშუა გადახურვის ფილის ყოველი კვადრატული მეტრის ღირებულება + 0,00 ნიშნულიდან +16,45 ნიშნულის ჩათვლით – 181,2 აშშ დოლარი. +16,45 ნიშნულიდან – 188 აშშ დოლარი. სამუშაოს მოცულობა განისაზღვრება მენარდის მიერ ფაქტობრივად შესრულებული სამუშაოების შესაბამისად შედგენილი, შუალედური მიღება-ჩაბარების აქტებით). სამუშაოები 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით უნდა შესრულებულიყო (მხარეებმა ხელშეკრულებაში გააკეთეს დათქმა, რომ ზემო-

აღნიშნული სამუშაოს შესრულების ვადები შეიძლება შეცვლილიყო მაგ: შემკვეთის მიერ ანგარიშსწორების ვადების დარღვევის შემთხვევაში).

2. აღნიშნული ხელშეკრულების თანახმად, შემკვეთი ვალდებული იყო, მენარდის მიერ სამუშაოთა ნაწილის ჯეროვნად შესრულებისა და მხარეთა მიერ შესაბამისი შუალედური მიღება-ჩაბარების აქტის ხელმოწერიდან არაუგვიანეს ხუთი საბანკო დღისა, მენარდისათვის შესაბამისი ეტაპისათვის შესრულებული სამუშაოების ღირებულება აენაზღაურებინა.

3. ხელშეკრულების 8.3. პუნქტის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ მენარდე სრულად და ჯეროვნად შეასრულებდა ნარდობის ხელშეკრულებით ნაკისრ ვალდებულებას, ხოლო შემკვეთი არ აუნაზღაურებდა მას სამუშაოს ან/და სამუშაოთა ნაწილს ხელშეკრულებით დადგენილი პირობებით, მაშინ მას მენარდისათვის დაგვიანებული ანგარიშსწორებისათვის პირგასამტეხლო უნდა გადაეხადა, ვადადამდგარი და აუნაზღაურებელი თანხის – 0.1%, ყოველ ვადადაცილებულ დღეზე.

4. ხელშეკრულების 5.5. პუნქტით მხარეები შეთანხმდნენ, რომ ანგარიშსწორების ვადების დარღვევის გამო, სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შემთხვევაში, შემკვეთი მენარდეს შეჩერების მთელი პერიოდის განმავლობაში აუნაზღაურებდა ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასს, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის შენახვის ხარჯს. ყოველთვიური ხელფასის ოდენობა განისაზღვრებოდა წინა თვეში მუშა-მოსამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების პროპორციულად.

5. შემკვეთის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობის გამო სამშენებლო სამუშაოები ათი თვით შეჩერდა.

6. შემკვეთი კომპანიის დირექტორმა მ. ბ-მა (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც მოპასუხე კომპანიის დირექტორი) 2015 წლის 11 ნოემბრის წერილით აღიარა მოსარჩელის წინაშე წარმომობილი დავალიანება 1 895375.32 აშშ დოლარის ოდენობით და ასევე, სამშენებლო სამუშაოების მათი მიზეზით 2 თვით შეჩერების გამო, 118 000 ლარის გადახდის ვალდებულება.

7. 2015 წლის 26 სექტემბერს მხარეებმა შეადგინეს მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის თანახმად, მოპასუხე კომპანიის დირექტორმა დაადასტურა, რომ ჩაიბარა ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში ქ. თბილისში, ... სამშენებლო მოედანზე მდებარე მრავალფუნქციური შენობის რკინაბეტონის მოწყობა +22.95, +26.2, +29.45 ნიშნულზე, ფართობი – 4 713.9 კვ.მ. მიღება-ჩაბარების აქტით განისაზღვრა სამუშაოების საერთო ღირებულება, რამაც ჯა-

მურად 886 231.2 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარი შეადგინა.

8. 2015 წლის 30 დეკემბერს მხარეებს შორის შედგა მიღება-ჩაბარების აქტი, რომლის მიხედვით, შემკვეთი კომპანიის დირექტორმა დაადასტურა, რომ ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში ჩაიბარა ქ. თბილისში, ... სამშენებლო მოედანზე მდებარე მრავალფუნქციური შენობის რკინაბეტონის მოწყობა +32.7, +35.95, +39.2, +42.45, +45.7, +48.95 ნიშნულზე, ფართობი – 9432.1 კვ.მ. აღნიშნული მიღება-ჩაბარების აქტით სამუშაოების საერთო ღირებულება 1 773 234.8 აშშ დოლარის ეკვივალენტი ლარით განისაზღვრა.

9. 2015 წლის 26 სექტემბრისა და იმავე წლის 30 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტებით მენარდის მიერ შესრულებულმა სამუშაოების ღირებულებამ ჯამურად 2 659 466 აშშ დოლარი (1 773 234.8+886 231.2) შეადგინა.

10. საბანკო ამონაწერების თანახმად, შემკვეთს მენარდისათვის 2 659 466 აშშ დოლარიდან მხოლოდ 935 063.66 აშშ დოლარი აქვს გადახდილი, სახელდობრ: 2015 წლის 30 ივლისს – 50 000 ლარი, 2015 წლის 14 აგვისტოს – 232 380 ლარი, 2015 წლის 15 სექტემბერს – 130 000 ლარი, 2015 წლის 2 ოქტომბერს – 234 000 ლარი, 2015 წლის 8 დეკემბერს – 180 000 ლარი, 2015 წლის 11 დეკემბერს – 380 328 ლარი, 2015 წლის 16 დეკემბერს – 136 218,97 ლარი, რაც ჯამურად 1 342 926,97 ლარი, გადახდის დღისათვის არსებული კურსის გათვალისწინებით კი, 564 868,66 აშშ დოლარია; ასევე, 2016 წლის 11 აპრილს – 303 918 აშშ დოლარი, ხოლო იმავე წლის 18 მაისს – 66 277 აშშ დოლარი (მთლიანად 370 195 აშშ დოლარი).

11. 2016 წლის 3 თებერვალს მოსარჩელემ სარჩელი აღძრა მოპასუხის წინააღმდეგ და მოითხოვა:

11.1. ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 2 094 579.34 აშშ დოლარის მოპასუხეზე დაკისრება;

11.2. სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, პირგასამტეხლოს სახით 2015 წლის 2 ოქტომბერს გადასახდელი თანხისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 886.21 აშშ დოლარის მოპასუხეზე დაკისრება, ვალდებულების სრულად შესრულებამდე;

11.3. სახელშეკრულებო ვალდებულების არაჯეროვანი შესრულების გამო, ჯარიმის სახით 2016 წლის 6 იანვარს გადასახდელი თანხისათვის ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 1773.22 აშშ დოლარის მოპასუხეზე დაკისრება, ვალდებულების სრულად შესრულებამდე;

11.4. სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასისა და

სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების – 590 000 ლარის მოპასუხეზე დაკისრება.

11.5. მოსარჩელე წინამდებარე გადაწყვეტილების 1-9 პუნქტებში აღწერილ გარემოებებზე მითითებით ამტკიცებდა, რომ მხარეებს შორის არსებული ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მენარდემ სულ 2 659 448 აშშ დოლარის სამუშაოები შეასრულა, რაც დადასტურებულია მხარეთა შორის გაფორმებული 2015 წლის 25 სექტემბრისა და იმავე წლის 30 დეკემბრის მიღება-ჩაბარების აქტებით, სახელდობრ: პირველი მიღება-ჩაბარების აქტით დადასტურებულია 886 213.2 აშშ დოლარის, ხოლო მეორე მიღება-ჩაბარების აქტით – 1 773 234.8 აშშ დოლარის სამუშაოთა შესრულება. შემკვეთი ვალდებული იყო, 886 213.2 აშშ დოლარი მენარდისათვის ხუთი საბანკო დღის განმავლობაში – არაუგვიანეს 2015 წლის 2 ოქტომბერს, ხოლო 1 773 234.8 აშშ დოლარი ასევე არაუგვიანეს ხუთი საბანკო დღის განმავლობაში – 2016 წლის 6 იანვარს გადაეხადა. საბანკო ამონაწერით დადასტურებულია, რომ შემკვეთმა შესრულებული სამუშაოების ღირებულებიდან – 2 659 448 აშშ დოლარიდან, მენარდეს მხოლოდ 564 868.66 აშშ დოლარი ჩაურიცხა, შესაბამისად, მოპასუხის დავალიანება 2 094 579.34 აშშ დოლარი იყო, რაც მას არ აუნაზღაურებია.

გარდა ამისა, შემკვეთის მიერ ვალდებულების შეუსრულებლობის გამო, სამშენებლო ობიექტზე სამუშაოები შეჩერდა. შესაბამისად, შემკვეთი, ნარდობის ხელშეკრულების 5.5 პუნქტის საფუძველზე, ვალდებული იყო, შემსრულებლისათვის სამშენებლო სამუშაოების შეჩერების მთელი პერიოდის – 10 თვის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეების მიუღებელი ხელფასი, ასევე, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის შენახვის ხარჯები აენაზღაურებინა (იხ. დაზუსტებული სარჩელი).

ამასთან, მოპასუხეს, ვალდებულების დარღვევის გამო, მოსარჩელისათვის უნდა გადაეხადა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირგასამტეხლოც, აუნაზღაურებელი თანხის – 0.1%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე.

12. მოპასუხემ თავდაპირველად წარდგინილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო. მან მხოლოდ იმ გარემოებაზე მიუთითა, რომ მოპასუხეს, მოსარჩელის მიმართ, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანება არ გააჩნდა და შესაბამისად, სასარჩელო მოთხოვნა უსაფუძვლო იყო.

მოგვიანებით, მან სასამართლოში დაზუსტებული შესაგებელი წარადგინა, რომლითაც სარჩელი ნაწილობრივ ცნო, სახელდობრ, იგი ნაწილობრივ აღიარებდა ძირითადი თანხის დავალიანების არსებობას, გადახდილი თანხის გათვალისწინებით, თუმცა არ მიუ-

თითები კონკრეტულად რა რაოდენობის თანხა დარჩა გადასახდელი.

პირგასამტეხლოს მოთხოვნისა და მშენებლობის შეჩერების მთელი პერიოდის განმავლობაში მუშა-მოსამსახურეების მიუღებელი ხელფასის, ასევე, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის შენახვის ხარჯების ნაწილში მოპასუხემ სასარჩელო მოთხოვნა არ ცნო და განმარტა, რომ მოსარჩელესა და შპს „ჰ-ს“ (შემდეგში ტექსტში მოხსენიებული, როგორც ქვემენარდე) შორის 2014 წლის 25 დეკემბერს დადებული ხელშეკრულება ადასტურებდა, რომ ის სამუშაოები, რომლის შესრულების სანაცვლოდაც, მოსარჩელე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას მოითხოვდა, რეალურად ქვემენარდეს ჰქონდა შესრულებული. იმის მტკიცებულება, რომ მოსარჩელეს მუშები ჰყავდა დაქირავებული, ასევე, რა რაოდენობის ხელფასი გადაუხადა მათ, მენარდეს სასამართლოსთვის არ წარუდგენია ვინაიდან, სამშენებლო სამუშაოები უშუალოდ მოსარჩელეს არ შეუსრულებია. საქმეში არც ტექნიკის შენახვის ხარჯებთან დაკავშირებით მოიპოვებოდა რაიმე მტკიცებულება. შესაბამისად, მოთხოვნა 590 000 ლარის დაკისრების თაობაზე, უსაფუძვლო და დაუსაბუთებელი იყო.

მოპასუხემ წარდგინა ხელშეკრულებიდან გამომდინარე შესრულებული სამუშაოების ღირებულებასთან დაკავშირებით მიუთითა, რომ შემკვეთი კომპანიის ღირებულების 2015 წლის 11 ნოემბრის წერილის შედგენის დროისათვის მენარდის წინაშე არსებული დავალიანება 1 895 375.32 აშშ დოლარს შეადგენდა. აღნიშნული თარიღის შემდეგ მოპასუხემ მოსარჩელეს ანგარიშზე ჩაურიცხა 696546.97 ლარი, ანუ გადარიცხვის დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის კურსის შესაბამისად – 293723 აშშ დოლარი, რაც დასტურდება მოსარჩელის მიერ წარდგენილი საბანკო ამონაწერიდან. გარდა ამისა, 2016 წლის 11 აპრილსა და იმავე წლის 18 მაისს მოსარჩელეს გადაერიცხა 695000 ლარი და 145000 ლარი, ჯამურად 840000 ლარი, გადარიცხვის დროისათვის ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი ვალუტის კურსის შესაბამისად – 370195 აშშ დოლარი.

13. თბილისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 7 ნოემბრის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, 2015 წლის 21 იანვრის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დავალიანების – 2 094 579.34 აშშ დოლარის ანაზღაურება დაეკისრა; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით დაეკისრა: 2015 წლის 2 ოქტომბრიდან 2015 წლის 8 დეკემბრამდე, გადასახდელი თანხის – 612 285.97 აშშ დოლარის 0.01%-ის გადახდა, ყოველი ვა-

დადაცვილებული დღისათვის, რაც ყოველდღიურად 61.22 აშშ დოლარს შეადგენს; 2015 წლის 17 დეკემბრიდან ვალდებულების შესრულებამდე, გადასახდელი თანხის – 321 362.54 აშშ დოლარის 0.01%-ის გადახდა, ყოველი ვადაგადაცვილებული დღისათვის, რაც ყოველდღიურად 32.13 აშშ დოლარია; 2016 წლის 6 იანვრიდან ვალდებულების შესრულებამდე, გადასახდელი თანხის – 1 773 234.8 აშშ დოლარის 0.01%-ის გადახდა, ყოველი ვადაგადაცვილებული დღისათვის, რაც ყოველდღიურად 177.32 აშშ დოლარს შეადგენს; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე დაეკისრა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების – 590 000 ლარის გადახდა. სასამართლომ დავის მოსაწესრიგებლად საქართველოს სამოქალაქო კოდექსის, შემდეგი სსკ-ის, 316-ე, 317-ე, 361-ე, 417-ე, 418-ე, 427-ე, 429-ე და 629-ე მუხლები გამოიყენა.

14. აღნიშნული გადაწყვეტილება 2017 წლის 8 მაისისა და 25 ოქტომბრის საოქმო განჩინებებთან (რომლითაც მოპასუხის შუამდგომლობა მტკიცებულებათა მიღების თაობაზე არ დაკმაყოფილდა) ერთად სააპელაციო წესით გაასაჩივრა მოპასუხემ, გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ გაუქმების, ახალი გადაწყვეტილების მიღებისა და სარჩელის უარყოფის მოთხოვნით.

15. თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილებით სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა; გასაჩივრებული გადაწყვეტილების შეცვლით მიღებულ იქნა ახალი გადაწყვეტილება; სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა და მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე დავალიანების – 1 724 384 აშშ დოლარის გადახდა დაეკისრა; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით შემდეგი თანხები დაეკისრა: 2015 წლის 2 ოქტომბრიდან 2015 წლის 8 დეკემბრამდე, გადასახდელი თანხის – 612 286 აშშ დოლარის 0.01%, ყოველი ვადაგადაცვილებული დღისათვის, რაც ყოველდღიურად 61.2 აშშ დოლარს შეადგენს; 2015 წლის 17 დეკემბრიდან ვალდებულების შესრულებამდე, გადასახდელი თანხის – 321 362.5 აშშ დოლარის 0.01%, ყოველი ვადაგადაცვილებული დღისათვის, რაც ყოველდღიურად 32.1 აშშ დოლარია; 2016 წლის 6 იანვრიდან 2016 წლის 11 აპრილამდე გადასახდელი თანხის – 1 773 234.8 აშშ დოლარის 0.01%, რაც ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე 177.3 აშშ დოლარს შეადგენს; 2016 წლის 11 აპრილიდან 2016 წლის 18 მაისამდე გადასახდელი თანხის – 1 469 316.8 (1 773 234.8 – 303 918) აშშ დოლარის 0.01%, ყოველ ვადაგადაცვილებულ დღეზე – 146.9 აშშ დოლარი; 2016 წლის 18 მაისიდან

ვალდებულების შესრულებამდე გადასახდელი თანხის – 1 403 039.8 (1 469 316.8 – 66 277) აშშ დოლარის 0.01%, 140.3 აშშ დოლარი, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე; მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, ასევე დაეკისრა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასის, სამშენებლო მასალისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების – 118 000 ლარის გადახდა.

15.1. სააპელაციო სასამართლომ აღნიშნა, რომ მისი განხილვის საგანს წარმოადგენდა 2 094 579.34 აშშ დოლარის ფარგლებში, 2015 წლის 21 იანვრის ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, დამატებით რა თანხა გადაუხადა მოპასუხემ მოსარჩელეს.

15.2. სააპელაციო პალატის დასკვნით, საბანკო ამონაწერებით დასტურდებოდა, რომ ნარდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, მოპასუხეს 2 659 466 აშშ დოლარიდან უკვე გადახდილი 564 868.66 აშშ დოლარის გარდა, დამატებით ანაზღაურებული ჰქონდა 370 195 აშშ დოლარიც, კერძოდ, 2016 წლის 11 აპრილს – 303 918 აშშ დოლარი, ხოლო 2016 წლის 18 მაისს – 66 277 აშშ დოლარი. ამდენად, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოპასუხეს მოსარჩელისათვის გასაჩივრებული გადაწყვეტილებით დაკისრებული 2 094 579.34 აშშ დოლარიდან, ვალდებულება დამატებით შესრულებული ჰქონდა 370 195 აშშ დოლარის ნაწილშიც. შესაბამისად, საქმეში წარმოდგენილი წერილობითი მტკიცებულებებისა და მხარეთა ახსნა-განმარტებების ურთიერთშეჯერებისა და გამოკვლევის საფუძველზე, პალატამ დადგენილად მიიჩნია, რომ მოსარჩელის წინაშე მოპასუხის დავალიანება 1724384 (2094579.34 – 370195) აშშ დოლარს შეადგენდა.

15.3. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა აპელანტის პრეტენზიები იმ გარემოებასთან დაკავშირებით, რომ შემკვეთს ბანკის მეშვეობით გადარიცხული ჰქონდა 1 353 173.04 ლარი, რაც, გადარიცხვის დღეს არსებული ეროვნული ბანკის კურსის გათვალისწინებით, 584 897 აშშ დოლარი იყო.

15.4. სააპელაციო სასამართლომ ნაწილობრივ გაიზიარა აპელანტის პრეტენზია, გასაჩივრებული გადაწყვეტილებით სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასის, სამშენებლო მასალისა და ტექნიკის შენახვის ხარჯების – 590 000 ლარის დაკისრების უსაფუძვლობასთან დაკავშირებით. პალატის დასკვნით, სადავო არ იყო ის გარემოება, რომ ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაოების შეფერხებით შესრულებაში ბრალი შემკვეთს მიუძღოდა. საქმეში მუშა-მოსამსახურეების ხელფასის, სამშენებლო მასალისა და ტექნიკის შენახვის ხარჯების ღირებულების დასადგენად

წარმოდგენილი იყო 2015 წლის 11 ნოემბრის შემკვეთი კომპანიის დირექტორის წერილი, რომლის თანახმადაც, მოპასუხემ შექმნილი ვითარების გაცნობიერებით გამოთქვა მზადყოფნა, გაეზიარებინა პასუხისმგებლობა არსებული პრობლემების მოგვარებაში. კერძოდ, დირექტორი აღიარებდა მოსარჩელის წინაშე წარმოშობილ დავალიანებას – 1 895 375.32 აშშ დოლარს და სამშენებლო სამუშაოების მათი მიზეზით 2 თვით შეჩერების გამო, 118 000 ლარის გადახდის ვალდებულებას.

პალატამ მიიჩნია, რომ მოპასუხემ 2015 წლის 11 ნოემბრის წერილით აღიარა მენარდის მიმართ ვალდებულების არსებობა – 118 000 ლარის ოდენობით, სამშენებლო სამუშაოების 2 თვით შეჩერების გამო, რადგან აღნიშნული მათი მიზეზით იყო განპირობებული, თუმცა ამ აღიარებას საფუძვლად არ დაუდო რაიმე გაანგარიშება ხელფასის სახით გასაცემი თუ გაცემული თანხების შესახებ. აღიარება დაკავშირებული იყო წერილის ავტორის პირობასთან/თხოვნასთან სამშენებლო სამუშაოების განახლებასთან დაკავშირებით და რომ წარმოშობილი დავალიანება დაიფარებოდა უმოკლეს ვადაში. ამრიგად, პალატამ მიიჩნია, რომ აღიარებული ოდენობის თანხა უნდა გავრცელებულიყო კონკრეტულ ორ თვეზე და არა – შესაბამისი პროპორციით მომდევნო 10 თვეზე.

რაც შეეხება მომდევნო თვეების მუშა-მოსამსახურების ყოველთვიური ხელფასის, სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის შენახვის ხარჯების ოდენობას, აღნიშნული გარემოების დამადასტურებელი მტკიცებულებები საქმის მასალებში წარმოდგენილი არ ყოფილა. შესაბამისად, ბუნდოვანი იყო, თუ რა მტკიცებულებებზე დაყრდნობით მიიჩნია პირველი ინსტანციის სასამართლომ, რომ ყოველთვიური ხარჯი 59000 ლარს შეადგენდა.

15.5. სააპელაციო პალატამ გაიზიარა პირველი ინსტანციის სასამართლოს დასკვნა, რომ მოთხოვნილი პირგასამტეხლოს ოდენობა – 0.1%, არაგონივრული და შეუსაბამოდ მაღალი იყო, შესაბამისად, ის 0.01%-მდე მართებულად შემცირდა.

სააპელაციო სასამართლოს განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება უნდა შეცვლილიყო იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, პირგასამტეხლოს სახით, 2016 წლის 6 იანვრიდან ვალდებულების შესრულებამდე, გადასახდელი თანხის – 1 773 234.8 აშშ დოლარის 0.01%-ის გადახდა დაეკისრა, ყოველი ვადაგადაცილებული დღისთვის, რაც ყოველდღიურად 177.32 აშშ დოლარს შეადგენდა.

გამომდინარე იქიდან, რომ ნარდობის ხელშეკრულების ფარგლებში, მოპასუხეს 2 094 579.34 აშშ დოლარიდან ასევე გადახდილი ჰქონდა 370 195 აშშ დოლარი, შემკვეთს მენარდის სასარგებ-

ლოდ, ჯარიმის სახით უნდა დაჰკისრებოდა: 2016 წლის 6 იანვრიდან 2016 წლის 11 აპრილამდე გადასახდელი თანხის – 1 773 234,8 აშშ დოლარის 0.01%-ის – 177.3 აშშ დოლარის გადახდა, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. 2016 წლის 11 აპრილიდან 2016 წლის 18 მაისამდე გადასახდელი თანხის – 1 469 316.8 (1 773 234.8-303 918) აშშ დოლარის 0.01% ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 146.9 აშშ დოლარი; 2016 წლის 18 მაისიდან ვალდებულების შესრულებამდე გადასახდელი თანხის – 1 403 039.8 (1 469 316.8 – 66 277) აშშ დოლარის 0.01%, ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე – 140.3 აშშ დოლარი.

16. აღნიშნული გადანყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. მოსარჩელემ გასაჩივრებული გადანყვეტილების ნაწილობრივ გაუქმება (სააპელაციო საჩივრის დაკმაყოფილების ნაწილში), ახალი გადანყვეტილების მიღება და პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილების ძალაში დატოვება, ხოლო მოპასუხემ გასაჩივრებული გადანყვეტილების გაუქმება და ახალი გადანყვეტილების მიღებით, სარჩელის უარყოფა მოითხოვა.

16.1. მოსარჩელის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

16.1.1. სააპელაციო სასამართლომ უსაფუძვლოდ დაასკვნა, რომ მხარეს ფულადი ვალდებულება შესრულებული აქვს 370 195 აშშ დოლარის ნაწილში. მოპასუხის მიერ წარდგენილი 2016 წლის აპრილისა და მაისის გადახდები წარმოადგენდა სამშენებლო ობიექტზე მომდევნო შესრულებების, კერძოდ, +52.10 და +55.35 ნიშნულების სამუშაოების ავანსს, რომლის ჯამური ღირებულება 592 670 აშშ დოლარის ეკვივალენტ ლარს შეადგენდა. სააპელაციო სასამართლომ დავის საგანს არასწორად მიაკუთვნა მითითებულ ნიშნულებთან დაკავშირებით ავანსად ჩარიცხული 370 195 აშშ დოლარი, რადგან განსახილველი დავა შეეხება +48.75 ნიშნულის ჩათვლით შესრულებულ სამუშაოებს;

16.1.2. ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადანყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასის, სამშენებლო მასალისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯი – 590 000 ლარი დაეკისრა.

სააპელაციო პალატამ უგულებელყო საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში სსსკ-ის, 201-ე მუხლის მე-4 ნაწილი, ვინაიდან საქმის მასალებით ცალსახად დასტურდება, რომ მოპასუხეს მუშახელის ხელფასის, ტექნიკის მობილიზაციისა და სხვა ხარჯების გაანგარიშების ნაწილი არც დაზუსტებულ სარჩელსა

(სადაც პირველად მიეთითა აღნიშნული მოთხოვნა) და არც მოსამზადებელ სხდომებზე სადავოდ არ გაუხდია. მან მხოლოდ მთავარ სხდომაზე, ზეპირსიტყვიერად, მტკიცებულებების გარეშე უარყო აღნიშნული. მიუხედავად იმისა, რომ სასამართლო თავადვე მიუთითებს, რომ მშენებლობა 10 თვით შეჩერდა, გაურკვეველია, რატომ დააკისრა მოპასუხეს ხარჯების ანაზღაურება მხოლოდ 2 თვეზე.

ამასთან, სწორედ იმ ფაქტიდან გამომდინარე, რომ დაზუსტებული სარჩელის წარდგენის ეტაპზე მოპასუხემ აღნიშნული ციფრები სადავოდ არ გახადა, მოსარჩელეს აღარ წარუდგენია სასამართლოსთვის დეტალური დოკუმენტაცია მუშახელის ხელფასების, ტექნიკის მობილიზაციისა და სხვა ხარჯების შესახებ. კასატორისთვის გაურკვეველია, თუ რა საფუძვლით გაიზიარა სააპელაციო პალატამ მხარის მხოლოდ ზეპირსიტყვიერი უარყოფა.

16.1.3. სააპელაციო სასამართლომ, სსსკ-ის 201-ე მუხლის მე-4 და მე-5 ნაწილების მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ, საქმეზე დაუშვა მოპასუხის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები – საბანკო ამონაწერები, რაზე დაყრდნობითაც უსაფუძვლოდ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება.

16.2. მოპასუხის საკასაციო საჩივრის საფუძვლები:

16.2.1. სააპელაციო სასამართლომ ისე შეამცირა გასაჩივრებული გადაწყვეტილებით მენარდის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის მოპასუხისათვის დაკისრებული თანხა მხოლოდ 370 195 აშშ დოლარით, რომ არ გაითვალისწინა სხვადასხვა ბანკის საშუალებით განხორციელებული გადარიცხვების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლითაც ერთმნიშვნელოვნად დასტურდება, რომ ერთ-ერთი ბანკის მეშვეობით მოსარჩელისათვის გადარიცხულმა თანხამ 2 090 355 აშშ დოლარი, ხოლო სხვა ბანკის საშუალებით გადარიცხულმა თანხამ – 1 068 303 აშშ დოლარი შეადგინა;

16.2.2. მოპასუხეს არასწორად დაეკისრა სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეთა ხელფასისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების ანაზღაურება. მოსარჩელეს, მტკიცებულება იმისა, რომ მუშები ჰყავდა დაქირავებული, რამდენი ხნით ჰქონდა შეჩერებული სამუშაოები და რა რაოდენობის ხელფასი გადაუხადა მათ, ასევე, ტექნიკის შენახვის ხარჯები რას შეადგენდა და ა.შ. სასამართლოსთვის არ წარუდგენია. აღნიშნული გარემოების მტკიცების ტვირთი, სსსკ-ის 102-ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, მოსარჩელეს ეკისრებოდა. სამუშაოები, რომლის შესრულების სანაცვლოდაც ითხოვს მოსარჩელე მოპასუხისათვის თანხის დაკისრებას, რეალურად ქვემენარდემ შეასრულა. შესაბამისად, ცალსახად დასტურდება, რომ მოსარჩელეს მუ-

შები და ტექნიკა არ დაუქირავებია. ამდენად, 118 000 ლარის ოდენობის ზიანი, რომლის ანაზღაურების ვალდებულებაც იკისრა მოპასუხის ყოფილმა დირექტორმა, არ არსებობს;

17. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2019 წლის 6 მაისის განჩინებით, სსკ-ის 391-ე მუხლის მე-5 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტით, საკასაციო საჩივრები ცნობილ იქნა დასაშვებად და მიღებულ იქნა განსახილველად.

სამოტივაციო ნაწილი:

მოპასუხის საკასაციო საჩივარი დაუსაბუთებელი, ხოლო მოსარჩელის საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დასაბუთებულია. შესაბამისად, გასაჩივრებული გადაწყვეტილება ნაწილობრივ უნდა გაუქმდეს და ახალი გადაწყვეტილების მიღებით, სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს.

18. სსკ-ის 407-ე მუხლის მეორე ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). განსახილველ შემთხვევაში მოპასუხის საკასაციო საჩივარი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის უარყოფის თაობაზე უსაფუძვლოა, ხოლო მოსარჩელის ნაწილობრივ საფუძვლიანია, სახელდობრ, მოსარჩელემ, მოპასუხის მიმართ, სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების (590 000 ლარის) დაკისრების მოთხოვნის ნაწილობრივ უარყოფის ნაწილში დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია წარმოადგინა. აღნიშნულ ნაწილში კასატორის პრეტენზიები, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად შეაფასა საქმეზე დადგენილი ფაქტები და მხარეთა შორის არასწორად გაანაწილა მტკიცების ტვირთი, რასაც შედეგად სამართლებრივად დაუსაბუთებელი დასკვნები მოჰყვა, საფუძვლიანია.

19. საკასაციო სასამართლო თვლის, რომ იმ სამართლებრივი შედეგის გათვალისწინებით, რისი მიღწევაც მოსარჩელეს სურს, კერძოდ, შესრულებული სამუშაოთა საზღაურის, სამშენებლო სამუშაოების შეჩერებით გამოწვეული ზიანისა და პირგასამტეხლოს ანაზღაურების მოთხოვნა, სსკ-ის 629.1 (ნარდობის ხელშეკრულებით მენარდე კისრულობს შეასრულოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული სამუშაო, ხოლო შემკვეთი ვალდებულია გადაუხადოს მენარდეს შეთანხმებული საზღაური), 648-ე (შემკვეთი მოვალეა მენარდეს გადაუხადოს საზღაური სამუშაოს შესრულების

შემდეგ, თუ ხელშეკრულება არ ითვალისწინებს ნაწილ-ნაწილ გადახდას), 633.1 (შემკვეთი ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი მაშინაც, როცა იგი არ შეასრულებს სამუშაოს შესრულებისათვის აუცილებელ მოქმედებას), 394.1 (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია, მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის), 408.1 (იმ პირობა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და 417-ე-418-ე (პირგასამტეხლო – მხარეთა შეთანხმებით განსაზღვრული ფულადი თანხა – მოვალემ უნდა გადაიხადოს ვალდებულების შეუსრულებლობის ან არაჯეროვნად შესრულებისათვის. ხელშეკრულების მხარეებს შეუძლიათ თავისუფლად განსაზღვრონ პირგასამტეხლო, რომელიც შეიძლება აღემატებოდეს შესაძლო ზიანს, გარდა ამ კოდექსის 625-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული შემთხვევებისა. შეთანხმება პირგასამტეხლოს შესახებ მოითხოვს წერილობით ფორმას) მუხლებიდან გამომდინარეობს.

20. მოცემულ შემთხვევაში საკასაციო პალატა ეთანხმება ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს მიერ საბანკო ანგარიშის ამონაწერებზე დაყრდნობით დადგენილ ფაქტობრივ გარემოებას, რომ მოპასუხეს 564868.66 აშშ დოლარის გარდა, მოსარჩელისთვის დამატებით გადახდილი აქვს ჯამურად 370 195 აშშ დოლარი, საიდანაც 303.918 აშშ დოლარი გადაიხადა 11.04.2016 წელს, ხოლო 66 277 აშშ დოლარი – 18.05.2016 წელს.

საკასაციო სასამართლო არ იზიარებს მოსარჩელის მტკიცებას, რომ მოპასუხის მხრიდან 2016 წლის 11 აპრილსა და 18 მაისს განხორციელებული გადარიცხვები სხვა ვალდებულების ფარგლებში გადახდილ ავანსს წარმოადგენდა, გამომდინარე იქიდან, რომ მხარემ სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით ხსენებული გარემოების დადასტურება ვერ შეძლო, საქმის მასალებში წარმოდგენილ საბანკო ამონაწერებში კი თანხის გადახდის კონკრეტული დანიშნულება მითითებული არ არის.

ამდენად, საკასაციო პალატა იზიარებს ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს დასკვნას, რომ მოპასუხეს მოსარჩელის მიმართ გააჩნია შესრულებულ სამუშაოთა საზღაურის ანაზღაურების ვალდებულება 1724384 (2 094 579 – 370 195) აშშ დოლარის ოდენობით.

21. საკასაციო პალატა არ იზიარებს მოსარჩელის საკასაციო პრეტენზიას იმასთან დაკავშირებით, რომ სააპელაციო სასამართლომ არასწორად დააკმაყოფილა მოპასუხის შუამდგომლობა და საქმეს მტკიცებულების სახით არამართლობიერად დაურთო ამ

უკანასკნელის მიერ წარდგენილი საბანკო ამონაწერები.

საკასაციო სასამართლო თვლის, რომ სააპელაციო სასამართლომ ხსენებული მტკიცებულებები 2018 წლის 7 ნოემბრის საოქმომო განჩინებით კანონის სრული დაცვით მიიღო და დაურთო საქმეს, შესაბამისად, მართებულად დააფუძნა მათზე მიღებული გადაწყვეტილება.

საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ სადავო მტკიცებულებების საქმეზე დართვის შესახებ მოპასუხემ თავდაპირველად პირველი ინსტანციის სასამართლოში გამართულ მოსამზადებელ სხდომაზე იშუამდგომლა, თუმცა სასამართლოს საოქმო განჩინებით. აღნიშნული შუამდგომლობა უარყოფილ იქნა იმ საფუძვლით, რომ მოპასუხეს შესაგებელში მათ შესახებ მითითებული არ ჰქონდა (იხ. 25.10.2017 წლის სხდომის ოქმი, 14:04:15 სთ).

გარდა ამისა, სარჩელზე წარდგენილ შესაგებელში მოპასუხეს კონკრეტული მტკიცებულება არ მიუთითებია, თუმცა აღნიშნავდა, რომ მას ესაჭიროებოდა დრო მტკიცებულებათა (ზოგადად) წარსადგენად და შუამდგომლობდა, მისცემოდა ამის შესაძლებლობა სასამართლო განხილვაზე.

სსსკ-ის 103-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, საქმის მოსამზადებელი ეტაპის დასრულებამდე წარდგენილი მტკიცებულებები საქმეს დაერთვება და მათ განიხილავს და შეამოწმებს სასამართლო ამ კოდექსის 225-ე მუხლით დადგენილი წესით.

საკასაციო პალატა აღნიშნავს, რომ მითითებული სამართლებრივი ნორმა ამოქმედდა 2018 წლის 28 მარტიდან, შესაბამისად, მოცემული დავის სააპელაციო სასამართლოში განხილვის დროს სააპელაციო პალატას, სსსკ-ის 1.2 (სამოქალაქო საქმეების წარმოება ხორციელდება საპროცესო კანონმდებლობით, რომლებიც მოქმედებს საქმის განხილვის, ცალკეული საპროცესო მოქმედების შესრულების ან სასამართლო გადაწყვეტილების აღსრულების დროს) მუხლის საფუძველზე, სრული უფლებამოსილება გააჩნდა, ეხელმძღვანელა აღნიშნული ნორმის დებულებით.

გარდა ამისა, სსსკ-ის 215-ე მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისად, მხარეთა და მათ წარმომადგენელთა შუამდგომლობები და განცხადებები ახალ მტკიცებულებათა წარმოდგენის ან გამოთხოვის შესახებ სასამართლომ შეიძლება განიხილოს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საქმის მოსამზადებელ სტადიაზე მხარეს არ შეეძლო მათი წარმოდგენა, აგრეთვე, თუ მათ შესახებ მისთვის ობიექტური მიზეზებით ვერ იქნებოდა ცნობილი და მათი წარმოდგენის საფუძველი წარმოიშვა მთავარ სხდომაზე, ან თუ მხარემ საპატიო მიზეზით ვერ უზრუნველყო შესაბამისი შუამდგომლობებისა და გან-

ცხადებების წარმოდგენა საქმის მოსამზადებელ სტადიაზე.

იმავე კოდექსის 219-ე მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, მხარეები შეზღუდული არიან, ახსნა-განმარტების მოსმენისას წარადგინონ ახალი მტკიცებულებები ან მიუთითონ ახალ გარემოებებზე, რომელთა შესახებაც არ ყოფილა მითითებული სარჩელსა თუ შესაგებელში ან საქმის მომზადების სტადიაზე, გარდა იმ შემთხვევისა, როცა მათ შესახებ თავის დროზე საპატიო მიზეზით არ იყო განცხადებული.

მითითებული სამართლებრივი ნორმების საფუძველზე, საკასაციო პალატა განმარტავს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის მომზადების სტადიაზე (მათ შორის მოსამზადებელ სასამართლო სხდომაზე) მხარის მიერ წარდგენილი მტკიცებულება ავტომატურად დაერთვის საქმეს იმ შემთხვევაში, თუ ის უკავშირდება კონკრეტულ დავას.

აღნიშნულიდან გამომდინარე, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ მოპასუხეს პირველი ინსტანციის სასამართლოში უსაფუძვლოდ ეთქვა უარი საქმის მომზადების სტადიაზე წარდგენილი მტკიცებულებების საქმეზე დართვასთან დაკავშირებით, ვინაიდან საბანკო ამონაწერები უკავშირდებოდა სადავო ვალდებულების შესრულებას და მათ მიღებაზე უარის თქმის კანონიერი საფუძველი არ არსებობდა.

იმ პირობებში, როდესაც მოპასუხეს საბანკო ამონაწერების საქმეზე დართვაზე უარის თქმის შესახებ თბილისის საქალაქო სასამართლოს საოქმო განჩინება შემაჯამებელ გადაწყვეტილებასთან ერთად გასაჩივრებული ჰქონდა სააპელაციო საჩივრით, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ სააპელაციო სასამართლომ მართებულად მიიღო და იხელმძღვანელა ხსენებული მტკიცებულებებით.

22. საკასაციო სასამართლო ეთანხმება მოსარჩელის საკასაციო პრეტენზიას, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლომ უსაფუძვლოდ შეცვალა პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯი – 590 000 ლარი დაეკისრა.

22.1. უპირველეს ყოვლისა, საკასაციო პალატა ყურადღებას ამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ მოსარჩელემ დაზუსტებული სარჩელით გაზარდა თავდაპირველი სასარჩელო მოთხოვნა და გარდა სამუშაოთა შესრულების საზღაურისა, დამატებით, პირგასამტეხლო და სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო, სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების – 590 000 ლარის

დაკისრება მოითხოვა. მოპასუხეს კი დაზუსტებულ სარჩელზე სასამართლოში შესაგებელი არ წარუდგენია.

22.2. ნარდობის ხელშეკრულების 5.5. პუნქტის საფუძველზე, მხარეები შეთანხმდნენ, რომ ანგარიშსწორების ვადების დარღვევის გამო სამშენებლო სამუშაოების შეჩერების შემთხვევაში, დამკვეთი მენარდეს შეჩერების მთელი პერიოდის განმავლობაში აუნაზღაურებდა ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასს (ყოველთვიური ხელფასის ოდენობა განისაზღვრება წინა თვეში მუშა-მოსამსახურის მიერ შესრულებული სამუშაოებისათვის განსაზღვრული შრომის ანაზღაურების პროპორციულად), ასევე სამშენებლო მასალებისა და ტექნიკის შენახვის ხარჯებს.

განსახილველ შემთხვევაში უდავოა, რომ მოპასუხის მხრიდან ვალდებულების შეუსრულებლობამ 10 თვით სამშენებლო სამუშაოების შეჩერება გამოიწვია. ასევე უდავოა, რომ მოპასუხემ აღიარა სამშენებლო სამუშაოების მისი მიზეზით, 2 თვით შეჩერების გამო, 118 000 ლარის გადახდის ვალდებულება.

საკასაციო პალატის შეფასებით, მოცემულ შემთხვევაში, სსკ-ის 394.1 მუხლის მე-2 წინადადების თანახმად, მოპასუხის მტკიცების ტვირთს წარმოადგენდა იმ გარემოების დამტკიცება, რომ მას სამშენებლო სამუშაოების შეჩერებაში ბრალი არ მიუძღოდა, რაც მას სათანადო მტკიცებულებებზე მითითებით არ შეუსრულებია.

გამომდინარე იქიდან, რომ მოპასუხემ აღიარა მისი ბრალით სამშენებლო სამუშაოების 2 თვით მოცდენის გამო 118000 აშშ დოლარის გადახდის ვალდებულება, საკასაციო პალატას პრეზუმირებულად მიაჩნია ფაქტი, რომ ყოველთვიურად მოცდენით გამოწვეული ზიანი 59000 ლარს ($118000 : 2$) შეადგენდა, შესაბამისად, მოცდენის სრულ პერიოდზე – 10 თვეზე მოსარჩელემ 590 000 ლარის ზიანი განიცადა. პრეზუმირებული ფაქტის იურიდიული ბუნებიდან გამომდინარე, მისი უარყოფა იმ მხარეს ეკისრება, რომლის წინააღმდეგაც ეს ვარაუდი მოქმედებს, თუმცა მოპასუხეს არათუ პრეზუმირებული ფაქტის უარყოფა, შესაგებელიც კი არ წარუდგენია დაზუსტებულ სარჩელზე.

ამდენად, საკასაციო პალატას მიაჩნია, რომ მოპასუხეს, მისი მიზეზით სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო, მოსარჩელის სასარგებლოდ ეკისრება სახელშეკრულებო ზიანის – 590 000 ლარის ანაზღაურების ვალდებულება და ამ ნაწილში მოსარჩელის საკასაციო პრეტენზია გასაზიარებელია.

23. სსკ-ის 53-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმ მხარის მიერ გაღებული ხარჯების გადახდა, რომლის სასარგებლოდაც იქნა გამოტანილი გადაწყვეტილება, ეკისრება მეორე მხარეს, თუნდაც ეს მხარე გათავისუფლებული იყოს სახელმწიფო ბიუჯეტში

სასამართლო ხარჯების გადახდისაგან. ამავე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, ამ მუხლში აღნიშნული წესები შეეხება, აგრეთვე, სასამართლო ხარჯების განაწილებას, რომლებიც გასწიეს მხარეებმა საქმის სააპელაციო და საკასაციო ინსტანციებში წარმოებისას, ხოლო, ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, თუ სააპელაციო ან საკასაციო სასამართლო შეცვლის გადაწყვეტილებას ან გამოიტანს ახალ გადაწყვეტილებას, შესაბამისად, შეცვლის სასამართლო ხარჯების განაწილებასაც. ამდენად, მოპასუხეს, მოსარჩელის სასარგებლოდ, უნდა დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის – 2 667 ლარის ოდენობით ანაზღაურება.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო პალატამ იხელმძღვანელა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 399-ე, 372-ე, მე-8, 264.3, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა დ ა ნ ყ ვ ი ტ ა :

1. შპს „ო. ქ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. შპს „ო.ს.კ-ის“ საკასაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს;
3. გაუქმდეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება იმ ნაწილში, რომლითაც შპს „ო. ქ-ს“ შპს „გ.კ-ი.ს.ს.კ-ის“ სასარგებლოდ დაეკისრა სამშენებლო სამუშაოების შეჩერების გამო სამშენებლო ობიექტზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების ხელფასის, სამშენებლო მასალისა და სამშენებლო ტექნიკის შენახვის ხარჯების – 118 000 (ას თვრამეტი ათასი) ლარის გადახდა და ამ ნაწილში მიღებულ იქნეს ახალი გადაწყვეტილება;
4. შპს „ო.ს.კ-ის“ სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდეს და მის სასარგებლოდ შპს „ო. ქ-ს“ დაეკისროს 590 000 (ხუთას ოთხმოცდაათი ათასი) ლარის გადახდა;
5. დანარჩენ ნაწილში უცვლელად დარჩეს თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 5 დეკემბრის გადაწყვეტილება;
6. შპს „ო.ს.კ-ის“ სასარგებლოდ შპს „ო. ქ-ს“ დაეკისროს სახელმწიფო ბაჟის – 2 667 (ორი ათას ექვსას სამოცდაშვიდი) ლარის გადახდა;
7. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ საჩივრდება.

4. საბანკო მომსახურება

ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონება

ბანკინება

საქართველოს სახელმწიფო

№ას-679-679-2018

23 აპრილი, 2019 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა
შემადგენლობა: ე. გასიტაშვილი (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
პ. ქათამაძე,
ბ. ალავეიძე

დავის საგანი: ზიანის ანაზღაურება, ხელშეკრულების შეწყვეტა

აღწერილობითი ნაწილი:

1. სს „ლ. ბ-სა“ (შემდეგში: მოპასუხე, აპელანტი, ბანკი, გამსესხებელი, კრედიტორი ან კასატორი) და ნ. გ-ზეს (შემდეგში: მოსარჩელე, სოლიდარული თავდები ან მსესხებელი) შორის, 2014 წლის 26 აგვისტოს, გაფორმდა საბანკო კრედიტის ხელშეკრულება, რომლითაც ბანკმა 9100 ლარის სესხი გასცა მსესხებელზე, 36 თვის ვადით, წლიური 24%-ის დარიცხვით. ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%.

2. ბანკსა და ლ. მ-ს (შემდეგში: მეორე მსესხებელი ან ძირითადი მოვალე) შორის, 2015 წლის 3 ივნისს, გაფორმდა საბანკო კრედიტის №... ხელშეკრულება, რომლითაც გამსესხებელმა 9 500 ლარის სესხი გასცა მეორე მსესხებელზე, 36 თვის ვადით, წლიური 30%-ის დარიცხვით. ამავე ხელშეკრულებით გათვალისწინებულ იქნა პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე 1%.

3. სოლიდარული თავდებობის შესახებ წერილობითი განცხადებით მოსარჩელე ძირითად მოვალეს სოლიდარულ თავდებად დაუდგა. აღნიშნულით მოსარჩელემ აიღო ვალდებულება ბანკის წინაშე 2015 წლის 3 ივნისის №... საბანკო კრედიტის ხელშეკრულებიდან გამომდინარე, უზრუნველყო ბანკის სასარგებლოდ არსებული სამომავლო ან/და პირობითი მოთხოვნები არსებული ან/და სამომავლო მსესხებლის მიმართ (მათ შორის ერთმნიშვნელოვნად: ნებისმიერი სახის დავალიანება, საკომისიო, პირგასამტეხლო/ჯარიმა და ბანკისათვის მიყენებული ზიანი/ზარალი), ასევე სასამართლოს (მათ შორის საარბიტრაჟო სასამართლოს), აღსრულების, და

ამგვარი მოთხოვნებიდან გამომდინარე ნებისმიერი სხვა ხარჯი.

4. გამსესხებლის მიერ 2016 წლის 30 დეკემბერს გაცემული №360 ცნობის თანახმად, 2016 წლის 29 დეკემბრის მდგომარეობით, მოსარჩელის დავალიანება ბანკის მიმართ შეადგენდა: სესხის ძირითად თანხას – 2660,25 ლარს; პროცენტს – 61,06 ლარს; ჯარიმას – 10,75 ლარს; სალომბარდო სესხს; მიმდინარე კრედიტს – 410 ლარს და 206 ლარს.

5. ბანკის მიერ გაცემული ამონაწერით მ. წ-ის (შემდეგში: თავ-დები) ანგარიშების შესახებ, დადგენილია, რომ მისი ანგარიშიდან ხდებოდა მოსარჩელის სესხის დაფარვა. კერძოდ: 2016 წლის 25 იანვარს – 324 ლარია გადახდილი; 2016 წლის 25 თებერვალს – 324 ლარი; 2016 წლის 25 მარტს – 324 ლარი; 2016 წლის 25 აპრილს – 325 ლარი; 2016 წლის 25 მაისს – 325 ლარი.

6. მოსარჩელემ 2016 წლის 24 ნოემბერს განცხადებით მიმართა ბანკს და აცნობა, რომ წინსწრებით 3 076 ლარს გადაიხდიდა.

7. საქმის მასალებშია 2016 წლის 24 ნოემბრის №... შემოსავლის ორდერი, რომლის მიხედვით დასტურდება, რომ მოსარჩელემ საკუთარ ანგარიშზე 3 068.05 ლარი შეიტანა.

8. სარჩელის საფუძვლები

8.1. მსესხებელმა 2017 წლის 27 იანვარს სარჩელით მიმართა სასამართლოს გამსესხებლის წინააღმდეგ და ბანკისათვის, მოსარჩელის სასარგებლოდ, ზიანის ანაზღაურების დაკისრება მოითხოვა, კერძოდ მოთხოვნა შემდეგნაირად ჩამოაყალიბა: მსესხებლის მიერ 24.11.2016 წელს შეტანილი თანხიდან არასწორად ტრანზაქციონებული 2753.03 ლარი 24.11.2016 წლიდან კრედიტორმა მიიღოს კრედიტის ვადაზე ადრე ძირითადი თანხისა და 2%-იანი პირგასამტეხლოს დასაფარად ისე, როგორც ეს კლიენტმა მიუთითა ბანკს მიმდინარე ანგარიშიდან გადარიცხვის დანიშნულებაში; გაუქმდეს პროცენტისა და ჯარიმის დარიცხვა, რაც განხორციელდა 24.11.2016 წლიდან სასამართლოს მიერ გადანყვეტილების გამოტანამდე (აღდგეს პირვანდელი მდგომარეობა იმ ფორმით, რაც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებული გარემოება) და შესაბამისად, მსესხებლის მიერ ვალის დაფარვის საფუძვლით, შეწყვეტილ იქნას მასსა და ბანკს შორის 2014 წლის 26 აგვისტოს დადებული საკრედიტო ხელშეკრულება №... .

8.2. მოსარჩელე (მსესხებელი) მისი პირადი მიმდინარე საბანკო ანგარიშიდან აწარმოებდა ამ განჩინების პირველ პუნქტში დასახელებულ სესხზე გადახდებს.

8.3. ბანკის თანამშრომელმა 2016 წლის იანვარში მსესხებელს აცნობა, რომ მისი ანგარიში იყო დაბლოკილი იმ საფუძვლით, რომ ძირითადი მოვალე (იხ. ამ განჩინების მეორე პუნქტში დასახელებული

ბული სესხის ხელშეკრულება) ვერ აწარმოებდა გადახდას, რადგან მეორე მსესხებელი 2015 წლის 30 დეკემბერს გარდაიცვალა.

8.4. ვალდებულების ჯეროვნად შესრულების მიზნით, მოსარჩელე პირადი სესხის დაფარვას აწარმოებდა თავდების (იხ. წინამდებარე განჩინების მე-5 პუნქტი) მიმდინარე ანგარიშის მეშვეობით.

8.5. ბანკმა 2016 წლის 5 მაისს სარჩელით მიმართა ქუთაისის საქალაქო სასამართლოს, ან გარდაცვლილი ძირითადი მოვალის თავდებების, მათ შორის განსახილველი დავის მოსარჩელის, როგორც სოლიდარული თავდების წინააღმდეგ, რის შემდეგაც დავის სასამართლოში გადანაცვლების შემდეგ ბლოკი მოეხსნა სოლიდარული თავდების (მოსარჩელის, მსესხებლის) მიმდინარე ანგარიშს.

8.6. მოსარჩელის განმარტებით, სასამართლოს კანონიერ ძალაში შესულ გადაწყვეტილებამდე, დავის განმავლობაში ბანკი იძულებით აღსრულებას ვერ აწარმოებდა, რის შესახებაც სესხის ოფიცერმა აცნობა მოსარჩელეს (მსესხებელს) და განუმარტა იმის თაობაზე, რომ მას შეეძლო პირადი სესხის დაფარვა ეწარმოებინა საკუთარი მიმდინარე ანგარიშიდან, რადგან მისი ანგარიში აღარ იყო დაბლოკილი.

8.7. მსესხებელმა საკუთარი ანგარიშიდან უზრუნველყო პირადი სესხის დაფარვა 2016 წლის 25 ივნისიდან – 2016 წლის 25 ოქტომბრამდე და განიზრახა ვალდებულების ვადამდე სრულად შესრულება.

8.8. ბანკის კრედიტ-ოფიცრის მიერ მიწოდებული ინფორმაციის თანახმად, მსესხებლის განმარტებით, ამ უკანასკნელის მიერ შესასრულებელი ვალდებულება, ვადაზე ადრე დაფარვის 2%-თან ერთად, სულ 3068.05 ლარს შეადგენდა. მოსარჩელემ 2016 წლის 24 ნოემბერს წერილობით მიმართა გამსესხებელს (ბანკს) პირად სესხზე ვალდებულების ვადამდე შესრულებისა და კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულებით ვალდებულებითი ურთიერთობის შეწყვეტის მოთხოვნით და სესხის სრულად ვადამდე დასაფარად მიმდინარე ანგარიშზე შეიტანა 3068.05 ლარი, საიდანაც, როგორც მისი მიმდინარე ანგარიშიდან გადარიცხვებით, ირკვევა, 2016 წლის 25 ნოემბერს 264,22 ლარი მოხმარდა კრედიტის დაფარვას – ძირითად თანხას, ხოლო 59,45 ლარი – კრედიტის დაფარვას – პროცენტს, დარჩენილი 2753.03 ლარიდან კი 2016 წლის 30 ნოემბერს – 1300.00 ლარი, ხოლო 2016 წლის 2 დეკემბერს – 1453.03 ლარი, როგორც ამავე წლის 25 დეკემბერს კრედიტ-ოფიცრისაგან მოწოდებული ინფორმაციით გახდა ცნობილი, გარდაცვლილი მეორე მსესხებლის სესხის ძირითადი თანხის დაფარვას მოხ-

მარდა.

8.9. ბანკმა გასცა ცნობა, რომლის მიხედვით, 2016 წლის 30 დეკემბრის მდგომარეობით, მსესხებელს გამსესხებლის მიმართ ერიცხება დავალიანება პირად სესხზე 2660,25 ლარის ოდენობით (პროცენტი – 61,06 ლარი, ჯარიმა – 10.75 ლარი), ხოლო პროცენტი და ჯარიმა ყოველდღიურად ერიცხება.

8.10. მოსარჩელის განმარტებით, ბანკი არაკეთილსინდისიერად მოიქცა, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც კრედიტორი, შეუთანხმდა მას, როგორც კლიენტს, პირადი სესხის ვადაზე ადრე გადახდის თაობაზე, ასევე გადაახდევინა სესხის ვადაზე ადრე დაფარვის პირგასამტეხლო 2 % და შეგნებულად არ მიიღო შესრულება დროულად. მოგვიანებით კი, ბანკმა საკუთარი შეხედულებისამებრ განკარგა თანხა და მიმართა სხვა სესხის დასაფარად, რომლის თაობაზეც სასამართლოში მიმდინარეობს მხარეებს შორის დავა, რითაც ზიანი მიაყენა მსესხებელს..

8.11. მოთხოვნის სამართლებრივ საფუძვლად მოსარჩელემ მიუთითა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის (შემდეგში: სსკ) 364-ე, 387-ე, 427-ე, 390-ე, 391-ე, 392-ე, 408-ე მუხლებზე.

9. მოპასუხის შესაგებელი

9.1. მოპასუხემ წერილობით წარდგენილი შესაგებლით სარჩელი არ ცნო და განმარტა, რომ მსესხებელმა, როგორც სოლიდარულმა თავდებმა იკისრა მეორე მსესხებლის, ან გარდაცვლილი ძირითადი მოვალის ვალდებულების შესრულება. კლიენტის ანგარიშიდან ჩამოჭრილი თანხა სრულად შეესაბამებოდა მოსარჩელის მიერ სოლიდარული თავდებობის ფარგლებში ნაკისრი ვალდებულების მოცულობას.

10. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება

10.1. ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2017 წლის 20 დეკემბრის გადაწყვეტილებით მსესხებლის სარჩელი დაკმაყოფილდა; ბანკს დაეკისრა ზიანის ანაზღაურება მოსარჩელის სასარგებლოდ, სახელდობრ განისაზღვრა, რომ მსესხებლის მიერ 24.11.2016 წელს შეტანილი თანხიდან კრედიტორის მიერ არასწორად ტრანზაქცირებული 2753.03 ლარი 24.11.2016 წლიდან ბანკმა მიიღოს კრედიტის ვადაზე ადრე დაფარვის ანგარიშში, ძირითადი თანხისა და პირგასამტეხლოს 2%-ის სახით, როგორც ეს მითითებულია მოსარჩელის, როგორც ბანკის კლიენტის, მიმდინარე ანგარიშიდან გადაერიცხვის დანიშნულებაში, ასევე გაუქმდა პროცენტისა და ჯარიმის დარიცხვა, რაც განხორციელდა 24.11.2016 წლიდან გადაწყვეტილების გამოტანამდე (აღდგა პირვანდელი მდგომარეობა იმ ფორმით, რაც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულებელი გარემოება) და შეწყდა მოსარჩელესა (მსესხებელ-

სა) და მოპასუხეს (ბანკს) შორის 2014 წლის 26 აგვისტოს დადებული საქრედიტო ხელშეკრულება №... ვალის დაფარვის საფუძვლით.

10.2. საქალაქო სასამართლომ გადაწყვეტილების მიღებისას საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლითა და სსკ-ის 317-ე, 387-ე, 390-ე, 391-ე, 393-ე, 867-ე, 361-ე, 427-ე მუხლებითი იხელმძღვანელა.

11. ბანკის სააპელაციო საჩივარი

11.1. ბანკმა (გამსესხებელმა) სააპელაციო წესით გაასაჩივრა საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება, მისი გაუქმებისა და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

12. სააპელაციო სასამართლოს განჩინება და დასკვნები

12.1. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინებით ბანკის სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა და უცვლელად დარჩა გასაჩივრებულ გადაწყვეტილება.

12.2. სააპელაციო სასამართლომ სრულად გაიზიარა საქალაქო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივ-სამართლებრივი დასაბუთება და მიუთითა მასზე (საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის, შემდეგში: სსსკ, 390-ე მუხლის მესამე ნაწილის „გ“ ქვეპუნქტი).

12.3. სააპელაციო სასამართლომ სსკ-ის 387-ე მუხლზე მითითებით აღნიშნა, რომ მოვალეს ეკისრება კრედიტორისათვის სხვადასხვა ვალდებულებებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი რამდენიმე შესრულება და ის, რაც შესრულდა, თუ არ არის საკმარისი ყველა ვალის დასაფარად, მაშინ დაიფარება ის ვალდებულება, რომელსაც მოვალე შესრულების დროს ამოირჩევს. სააპელაციო სასამართლომ მოცემული ნორმის შინაარსის განმარტებისას მიზანშეწონილად მიიჩნია ხაზგასმით აღინიშნულიყო, რომ შესრულების ერთგვაროვნება გულისხმობს შესრულების საგნის ერთგვაროვნებას. ამდენად, სსკ-ი შესრულების არჩევანის პრიორიტეტს მოვალეს ანიჭებს. ამ პრიორიტეტის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საეჭვო გარემოებებისას უპირატესობა ენიჭება სამართლებრივი ტვირთის მატარებელ მხარეს. ამიტომაცაა, რომ მოვალეს ეძლევა შესაძლებლობა, თვითონ გადაწყვიტოს ჯერ რომელი ტვირთი მოიხსნას, იმისდა მიუხედავად, შედის თუ არა ეს კრედიტორის ინტერესებში, რომლის მოთხოვნის უფლების დაყენება მოვალის არჩევანის უფლებაზე წინ, მოხმობილი ნორმის თანახმად, შეუძლებელია. ამასთან უნდა განიმარტოს, რომ აღნიშნული ნორმა გავრცელებას ჰპოვებს ნებისმიერ შემთხვევაში, დასაფარი ვალდებულების რიგითობის მიუხედავად, ამდენად, არ აქვს მნიშვნელობა იმას, ვადაგადაცილებული ვალდებულების, თუ ვალდებულების ვადამ-

დე შესრულება სურს მოვალეს. ამდენად, როდესაც შესრულება არაა საკმარისი ყველა ვალის დასაფარად, დაიფარება ის ვალდებულება, რომელზედაც მოვალე შეაჩერებს არჩევანს.

12.4. სააპელაციო სასამართლომ არ გაიზიარა მოპასუხის სამართლებრივი შეფასება იმის თაობაზე, რომ განსახილველი სამართალურთიერთობა უნდა მონერიგდეს სსკ-ის 374-ე მუხლის საფუძველზე, რომლის თანახმადაც თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუკი ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, რადგან განსახილველი შემთხვევა არ წესრიგდება მითითებული ნორმით. სახელდობრ, ალტერნატიული ვალდებულება, როგორც თავად მისი სახელწოდება და სიტყვასიტყვითი განმარტება გულისხმობს, მაშინაა სახეზე, როდესაც ერთი შესრულების გვერდით არსებობს მისი ალტერნატიული შესრულება, რომელთაგანაც რეალურად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთ-ერთი. სხვა სიტყვებით რომ ითქვას, თუ რომელი საგნით შესრულდება ვალდებულება ეს დამოკიდებულია იმაზე, თუ ხელშეკრულების მხარე რომელ მათგანს აირჩევს. ამდენად, მოცემული ნორმა აწესრიგებს ერთი ხელშეკრულებიდან გამომდინარე ვალდებულების ალტერნატიულად შესრულებისა და არა სხვადასხვა ხელშეკრულებიდან გამომდინარე ერთმანეთის მსგავსი ვალდებულებების შესრულების საკითხს.

12.5. სააპელაციო სასამართლოს შეფასებით, პირველი ინსტანციის სასამართლომ საქმეში არსებულ ფაქტობრივ გარემოებებსა და შესაბამის მტკიცებულებებს სწორი სამართლებრივი შეფასება მისცა, გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 364-ე, 391-ე, 393-ე, 427-ე მუხლები) და სწორად განმარტა, რომ მსესხებლის მიერ პირნათლად შესრულდა ბანკის მიმართ ნაკისრი ვალდებულება, რაც კრედიტორის (მოპასუხე) მხრიდან არ იქნა შესრულებული, ასევე, სასამართლომ მართებულად დაასკვნა, რომ მოსარჩელეს უნდა ანაზღაურებოდა ის ზიანი, რაც მიადგა ბანკის ბრალეული გადაცდომის გამო, კერძოდ, აღდგენილ უნდა ყოფილიყო პირვანდელი მდგომარეობა და მოსარჩელეს უნდა გაუქმებოდა პროცენტისა და ჯარიმის დარიცხვა, ვინაიდან მას ბანკის მიმართ დავალიანება აღარ ჰქონდა 2016 წლის 24 ნოემბრიდან და, შესაბამისად, ბანკს უფლება არ ჰქონდა, მისგან პროცენტი მიეღო. ზემოხსენებულიდან გამომდინარე სასამართლომ დასაბუთებულად მიიჩნია მოსარჩელის მოთხოვნა, კრედიტორის სასარგებლოდ ვალდებულების შესრულების გამო, შემწყდარიყო მასსა და ბანკს შორის 2014 წლის 26 აგვისტოს დადებული საკრედიტო ხელშეკ-

რულება.

13. ბანკის საკასაციო საჩივრის საფუძვლები

13.1. ბანკმა (გამსესხებელმა) საკასაციო წესით გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოს განჩინება, მისი გაუქმებისა და მსესხებლის სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის მოთხოვნით.

13.2. კასატორის განმარტებით მსესხებლის ანგარიშიდან თანხის ჩამოჭრა განხორციელდა კანონით დადგენილი წესით და მხარეთა შორის ხელშეკრულებებით შეთანხმებული პირობების შესაბამისად.

13.3. კასატორი აღნიშნავს, რომ მსჯელობისას სასამართლომ გამოიყენა ის კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა (სსკ-ის 387-ე, სსკ-ის 427-ე, სსსკ-ის 390-ე, 391-ე, 393-ე, 427-ე, 37-ე, 53-ე მუხლი), რის გამოც ვერ მოხდა არსებითად სწორი გადაწყვეტილების მიღება და ასევე არ გამოიყენა ის კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა ამ საქმეზე სწორი სამართლებრივი შეფასებების გასაკეთებლად (სსკ-ის 316-ე, 317-ე, 417-ე; 418-ე, 625-ე, 868-ე, 895-ე, მე-400, 374-ე მუხლები), წინააღმდეგ შემთხვევაში, საქმეზე მიღებულ იქნებოდა არსებითად სხვა გადაწყვეტილება. აღნიშნული კი გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმების აბსოლუტური საფუძველია.

13.4. სსკ-ის 895-ე მუხლისა და ბანკსა და მოსარჩელეს შორის გაფორმებული სოლიდარული თავდებობის შესახებ №... ხელშეკრულების 3.3, 3.4, 3.5 პუნქტების მიხედვით, ბანკი უფლებამოსილია, დაიკმაყოფილოს მოთხოვნა უშუალოდ თავდებისგან მსესხებლის მიმართ იძულებითი აღსრულების მცდელობის გარეშე და იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა მსესხებლის მიერ გადახდის ვადის გადაცილება, მისი (თავდების) დამატებითი აქციუპტის გარეშე, ჩამოჭრას ხელშეკრულებით გათვალისწინებული ყველა გადასახდელი და ბანკის მიერ განეული ყველა ხარჯი. სწორედ მხარეთა შორის, შეთანხმებული ეს პირობა გახდა საფუძველი იმისა, რომ ბანკმა, განახორციელა მოსარჩელის პირად ანგარიშზე არსებული თანხის ჩამოჭრა და თავდებობიდან გამომდინარე ვალდებულების ნაწილის დაფარვა (2753.03 ლარის ფარგლებში).

13.5. რაც შეეხება სასამართლოს მითითებას სსკ-ის 387-ე მუხლზე, რომლითაც მოვალეს უფლება აქვს, თვითონ განსაზღვროს ვალდებულების დაფარვის რიგითობა, კასატორი აღნიშნავს, რომ ამ ნორმის მიხედვით, მოვალეს შეუძლია გადაწყვიტოს დასაფარ ვალდებულების რიგითობა, თუ თანხის შეტანის მომენტში, ყველა მათგანის სამართლებრივი სტატუსი იდენტურია, ანუ არც ერთი არაა ვადაგადაცილებაში და თანხის მოთხოვნაზე/მათ შორის უაქციუპტოდ ჩამოჭრაზე ბანკის უფლებამოსილება არაა ამოქმედებუ-

ლი. სწორედ მაშინ ენიჭება მოვალის ნებას უპირატესობა, გაარკვიოს, რომელი ვალი დაფაროს, როდესაც სხვა პირის უფლებამოსილება და უფრო მეტი გადამეტებული ინტერესი არაა სახეზე.

13.6. მოცემულ შემთხვევაში კი ფაქტია, მოვალემ აირჩია იმ ვალის დაფარვა, რაც პირადად მისი პრობლემა იყო და ამით ეცადა, თავი აერიდებინა იმ სესხის დაფარვისათვის, რაზეც ვადაგადაცინებაში მყოფი სესხის სოლიდარულად ვალდებული პირი იყო. ასეთ დროს კი ცალსახად შემოდის კრედიტორის უფლებამოსილების მომნიჭებელი მუხლების რეგულაციები (საკრედიტოს სპეციფიკური მუხლები), რაც მოვალისა და კრედიტორის უფლებათა/ინტერესთა კოლიზიისას, აშკარად კრედიტორის სასარგებლოდ უნდა გადაწყდეს, რადგან სხვანაირად გამოვა, რომ კანონმდებლობა და ასევე სასამართლოც ხელს უწყობს ვალდებულების დარღვევის ხელშეწყობას და კრედიტორს ართმევს უფლებას, მისთვის ხელშეკრულებითა და კანონით მინიჭებული უფლებამოსილებები დაკმაყოფილოს მაშინ, როდესაც ამის პირობა არსებობს.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლო საქმის მასალების გაცნობის, მტკიცებულებათა ერთობლივად გაანალიზებისა და საკასაციო საჩივრის იურიდიული დასაბუთებულობის არსებითად განხილვის შედეგად მიიჩნევს, რომ მოპასუხის (ბანკის) საკასაციო განაცხადი არ უნდა დაკმაყოფილდეს შემდეგი არგუმენტაციით:

14. სსსკ-ის 410-ე მუხლის შესაბამისად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ: ა) კანონის მითითებულ დარღვევას არა აქვს ადგილი; ბ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას საფუძვლად არ უდევს კანონის დარღვევა ან გ) სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

15. სსსკ-ის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება). დასაბუთებულ პრეტენზიაში იგულისხმება მითითება იმ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც დაშვებული იყო სააპელაციო სასამართლოს მიერ საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება.

16. საკასაციო სასამართლო აღნიშნავს, რომ ადამიანის უფლე-

ბათა ევროპული კონვენციის მე-6 მუხლის პირველი პარაგრაფი ავალდებულებს სასამართლოს, დაასაბუთოს თავისი გადაწყვეტილება, რაც არ უნდა იქნეს გაგებული თითოეულ არგუმენტზე დეტალური პასუხის გაცემად (იხ. ჯღარკავა საქართველოს წინააღმდეგ, № 7932/03; Van de Hurk v. Netherlands, par.61, Garcia Ruiz v. Spain [GC] par.26; Jahnke and Lenoble v France (dec.); Perez v France [GC], par. 81).

17. საკასაციო სასამართლოს მიაჩნია, რომ კასატორს არ აქვს წარმოდგენილი დასაბუთებული საკასაციო პრეტენზია, რომელიც სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინების გაუქმებას გამოიწვევდა.

18. საკასაციო სასამართლო ხელმძღვანელობს სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებებით (სსსკ-ის 407-ე მუხლი), რაც ავალდებულო საკასაციო სასამართლოსათვის და, უწინარესად, იმას აღნიშნავს, რომ ქვემდგომი ინსტანციის სასამართლოს განსახილველ საქმეზე შემაჯამებელი გადაწყვეტილების მისაღებად საჭირო ყველა ფაქტობრივი გარემოება სწორად და დასაბუთებულად აქვს გამოკვლეული და დადგენილი. საკასაციო სასამართლო განმარტავს, რომ მოსარჩელის მოთხოვნის სამართლებრივი საფუძველია 861-ე მუხლი, რომლის თანახმად: „საკრედიტო დანესებულება ვალდებული ანგარიშიდან ფულადი სახსრების ჩამონერა ანარმოს მისი მფლობელის ნებართვის ან მითითების საფუძველზე წინააღმდეგ შემთხვევაში იგი ვალდებული მიყენებული ზიანი და არასწორად გადარიცხული თანხა კვლავ შეიტანოს ანგარიშის მფლობელის აქტივში“.

19. საქმის მასალებით და იმ მოვლენების ქრონოლოგიით, რაც წინამდებარე განჩინების 8.7-8.9 ქვეპუნქტებშია მითითებული, დასტურდება, რომ მსესხებელმა საკრედიტო დავალიანების წინსწრებით დაფარვის ნება გამოავლინა, განცხადებით მიმართა ბანკს და წინსწრებით გადახდის საკომისიო 2%-იც გაითვალისწინა იმ თანხაში, რაც საკუთარ ანგარიშზე განათავსა და მისი პირადი დავალიანების დაფარვისაკენ მიმართა (სსკ-ის 861-ე მუხლი), რითაც (ვალდებულების წინსწრებით დაფარვით) ხელშეკრულების შეწყვეტის ნება გამოხატა (სსკ-ის 427-ე, 631.2 მუხლები). საქმის მასალებით დადგენილია, რომ სხვა ხელშეკრულებით მოპასუხე ბანკის წინაშე ნაკისრი ვალდებულების შესრულების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი სოლიდარული თავდები იყო (იხ. ამ განჩინების მე-სამე პუნქტი), თუმცა, ამ ვალდებულებიდან გამომდინარე, სოლიდარულ თავდებს რაიმე შეტყობინება არ მიუღია. სწორედ ამიტომ, დაუსაბუთებელია კასატორის არგუმენტი, რომ სოლიდარული თავდები ვალდებულების შესრულებისაგან თავის არიდებას ცდილობ-

და (შდრ. სუსგ №ას-357-333-2017, 14.07.2017წ.).

20. უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეში განმარტა: „სსკ-ის მე-8 მუხლის მესამე ნაწილის დანაწესით – სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილენი ვალდებული არიან, კეთილსინდისიერად განახორციელონ თავიანთი უფლებები და მოვალეობები. ეს დანაწესი მოიცავს მთელ კერძო სამართალს, რომელსაც ავსებს სსკ-ის 361-ე მუხლის მეორე ნაწილი. სამოქალაქო კოდექსის მე-8 მუხლის მესამე ნაწილი განსაზღვრავს კეთილსინდისიერებას, როგორც ვალდებულების ძირითად და იმანენტურ კომპონენტს და მხოლოდ ვალდებულებათა შესრულებით არ შემოიფარგლება, ხოლო 361-ე მუხლის მეორე ნაწილის დანაწესი იმის შესახებ, რომ ვალდებულება უნდა შესრულდეს კეთილსინდისიერად, წარმოადგენს კანონისმიერ მოთხოვნას და გულისხმობს ზოგადად სამოქალაქო-სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილეთა მიერ ურთიერთობის სხვა მონაწილის ინტერესების პატივისცემას, საკუთარი როლისა და პასუხისმგებლობის გათავისებას თუნდაც იმ შემთხვევაში, როდესაც მას კონკრეტული პირდაპირი ვალდებულება არ ეკისრება. კეთილსინდისიერების პრინციპიდან გამომდინარე, ვალდებულებით სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე მხარეთა თანამშრომლობა, მეორე მხარის ინტერესების გათვალისწინება საჭიროა ამ ურთიერთობის ნორმალურად განვითარებისათვის. ასეთ შემთხვევაში, ორივე მხარე იქნება კმაყოფილი: კრედიტორი – ვალდებულების შესრულების მიღებით, ხოლო მოვალე – ვალდებულებისაგან გათავისუფლებით. კეთილსინდისიერების პრინციპის ძირითადი ფუნქცია ურთიერთობის მონაწილეთა ინტერესების არა დაპირისპირება, არამედ მათი სოლიდარობაა, რაც ნორმალური სამოქალაქო ბრუნვის საფუძველია. კეთილსინდისიერება არა მარტო უფლების არსებობის, არამედ მოვალეობის შესრულების ვარაუდიცაა (სამართლის სუბიექტთა ქცევის წესს კეთილსინდისიერების პრინციპის განმარტება იხ., სუსგ საქმე №ას-264-250-2015, 18 მაისი, 2016 წელი №ას-570-541-2015, 11 ნოემბერი, 2015 წელი)“.

20. საკასაციო სასამართლო არ იზიარებს კასატორის შეფასებებს სსკ-ის 374-ე და 387-ე მუხლებთან დაკავშირებით და განმარტავს, რომ სსკ-ის 374-ე მუხლის მიხედვით, თუ რამდენიმე ვალდებულებიდან უნდა შესრულდეს ერთ-ერთი (ალტერნატიული ვალდებულებანი), არჩევის უფლება აქვს მოვალეს, თუკი ხელშეკრულებიდან, კანონიდან ან ვალდებულების არსიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს. ამ ნორმის შინაარსიდან გამომდინარე, ალტერნატიულ ვალდებულებებში ერთი შესრულების გვერდით არსებობს მეორე ალტერნატიული შესრულება, რომელთაგან რეალურად შეიძლება განხორციელდეს მხოლოდ ერთ-ერთი. ის თუ, რომელი საგ-

ნით შესრულება ვალდებულება, დამოკიდებულია ხელშეკრულების მხარის (მოვალის ან კრედიტორის) არჩევანზე.

21. საკასაციო სასამართლო სსკ-ის 859-ე მუხლს მოიხმობს, რომლის თანახმად: „1. ანგარიშსწორების ხელშეკრულებით საკრედიტო დაწესებულება ვალდებულია თავისი კლიენტის საანგარიშსწორებო ანგარიშიდან აწარმოოს გადახდები ანგარიშზე არსებული თანხების ფარგლებში და შემოსული თანხები ჩარიცხოს ანგარიშში. 2. შესაძლებელია ანგარიშის მფლობელის მითითების საფუძველზე იგივე ოპერაციები განხორციელდეს ნაღდი ფულით. 3. მხარეთა შეთანხმებით ანგარიშის მფლობელს შეიძლება დაეკისროს მომსახურების ხარჯების გადახდა“. საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ერთ-ერთ საქმეზე განმარტა, რომ სსკ-ის 859-ე და 861-ე მუხლების საფუძველზე მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად განხორციელებული უნდა იყოს შემდეგი წინაპირობები: ა) მოსარჩელესა და მოპასუხეს შორის საბანკო მომსახურების (ანგარიშის გახსნის) შესახებ შეთანხმების არსებობა; ბ) ბანკის მიერ მოსარჩელისათვის ფულადი სახსრების აღრიცხვის მიზნით მიმდინარე ანგარიშის გახსნა; გ) მოპასუხის მიერ მოსარჩელის კუთვნილი ანგარიშიდან №... ლარის მოსარჩელის თანხმობის გარეშე ჩამონერა (იხ. სუსგ №ას-963-921-2013, 15.07.2016წ; შდრ. №ას-74-72-2014, 05.05.2014წ.). საბანკო დაწესებულება ანგარიშის გახსნასა და მომსახურებას ორმხრივი ნების გამოვლენის, ანუ ხელშეკრულების, საფუძველზე ახორციელებს. განსახილველ შემთხვევაში სადავო არაა და დადგენილია, რომ მოსარჩელესა და ბანკს შორის საბანკო მომსახურების (ანგარიშის გახსნის) შესახებ შეთანხმების არსებობის დამადასტურებელი დასაშვები მტკიცებულება საქმეში წარდგენილია, მსესხებელმა ბანკისაგან მოითხოვა ინფორმაცია მის მიერ შესასრულებელი ვალდებულების მოცულობის შესახებ, გამოავლინა ამ ვალდებულების წინსწრებით შესრულების (თანხის სრულად გადახდის) ნება, კონკრეტული თანხა შეიტანა საკუთარ ანგარიშზე და საკრედიტო დაწესებულებას მიუთითა, თუ რა სახის ვალდებულების შესასრულებლად უნდა განხორციელებულიყო ანგარიშის მფლობელის კუთვნილი საბანკო ანგარიშიდან თანხის გადარიცხვა, რისთვისაც საკრედიტო დაწესებულებასთან ხელმოწერილი სახელშეკრულებო პირობის თანახმად, ვალდებულების წინსწრებით შესრულების საკომისიოც 2% გადაიხადა. მიუხედავად ანგარიშის მფლობელის მიერ მკაფიოდ გამოვლენილი ნებისა და მითითებისა საბანკო დაწესებულებისადმი, ამ უკანასკნელმა არასწორი ტრანზაქციით, ანგარიშის მფლობელის მიერ საკუთარ ანგარიშზე შეტანილი თანხა თვითნებურად მიმართა სხვა ვალდებულების დასაფარად, რითაც დაარღვია სსკ-ის 861-ე მუხლის მოთ-

ხოვნა (იხ. ამ განჩინების 12.5 ქვეპუნქტი).

22. საკასაციო სასამართლო მოიხმობს სსსკ-ის 410-ე მუხლის „გ“ ქვეპუნქტს, რომლის თანახმად, საკასაციო სასამართლო არ დააკმაყოფილებს საკასაციო საჩივარს, თუ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არსებითად სწორია, მიუხედავად იმისა, რომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილი არ შეიცავს შესაბამის დასაბუთებას.

23. საკასაციო სასამართლოს მიერ მოცემული საქმის არსებითად განხილვის ეტაპზეც, სააპელაციო სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტების საფუძველზე, კასატორს არ მიუთითებია ისეთ გარემოებაზე, რაც საკასაციო სასამართლოს მისცემდა შესაძლებლობას, საკასაციო საჩივარი დასაბუთებულად მიეჩნია, აღნიშნული კი საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმისა და სააპელაციო სასამართლოს გასაჩივრებელი განჩინების უცვლელად დატოვების საფუძველია.

24. კასატორის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟი დარჩება სახელმწიფო ბიუჯეტში (სსსკ-ის 55.2 მუხლი).

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სა-
მოქალაქო საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლით და

და ა დ ბ ი ნ ა :

1. სს „ლ. ბ-ის“ საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს;
2. უცვლელად დარჩეს ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს სა-
მოქალაქო საქმეთა პალატის 2018 წლის 19 მარტის განჩინება;
3. განჩინება საბოლოოა და არ საჩივრდება.

5. ერთობლივი საქმიანობა (ამხანაგობა)

ხელმძღვანელი პირის უფლება-მოვალეობები

გადანყვეტილება საქართველოს სახელით

№ას-1040-960-2017

5 ივლისი, 2018 წ., ქ. თბილისი

საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა
პალატა

შემადგენლობა: ბ. ალავეიძე (თავმჯდომარე, მომხსენებელი),
ე. გასიტაშვილი,
პ. ქათამაძე

დავის საგანი: თანხის დაკისრება

აღწერილობითი ნაწილი:

1. მოსარჩელის მოთხოვნა და სარჩელის ფაქტობრივი საფუძ- ვლები:

1.1. ნ. დ-ამ (შემდგომში – მოსარჩელე, მესამე აპელანტი ან მეორე კასატორი) სარჩელი აღძრა სასამართლოში გ. ტ-ის (შემდგომში – ამხანაგობის თავმჯდომარე), ქ. კ-ის (შემდგომში – ამხანაგობის თანათავმჯდომარე), შპს „ა-ას“ (შემდგომში – კომპანია, კრედიტორი ან პირველი აპელანტი), რ. კ-ის (შემდგომში – კომპანიის დირექტორი), ლ. ა-ის (შემდგომში – შემძენი), ნ. მ-ის (შემდგომში – ნოტარიუსი, მეორე აპელანტი ან პირველი კასატორი, ასევე ერთად მოხსენიებული, როგორც მოპასუხეები) მიმართ და მოითხოვა 2011 წლის 13 აპრილს დადებული იპოთეკის ხელშეკრულების, მასში ცვლილებების შეტანის შესახებ შეთანხმების ბათილად ცნობა და მოპასუხეებისათვის ზიანის – 624 800 აშშ დოლარის დაკისრება.

1.2. სარჩელი ემყარება შემდეგ ფაქტობრივ გარემოებებს: 2007 წლის 30 ნოემბერს დაფუძნდა ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნი 2008“ (შემდგომში – ამხანაგობა), სადაც მოსარჩელის შესატანს წარმოადგენდა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი, მასზე განთავსებული 105,04 კვ.მ შენობა-ნაგებობით, მდებარე ქ. თბილისში, ზ-ის ქ. №18-ში. შესატანის სანაცვლოდ მოსარჩელეს საკუთრებაში უნდა მიეღო 900 კვ.მ ფართი (700 კვ.მ საცხოვრებელი და 200 კვ.მ კომერციული), ასევე, 4 ავტოსადგომი. 2008 წლის აგვისტოში საქართველოში განვითარებული მოვლენების გამო შეფერხდა მშენებლობა, გ. ტ-ე არწმუნებდა მოსარჩელეს, რომ შეძლებდა შენებლობის დას-

რულებას, რა მიზნითაც 2010 წლის 11 ივნისს ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრების გადაწყვეტილებით გადარჩეულ იქნა ძველი თავმჯდომარე, მის ნაცვლად კრებამ აირჩია გ. ტ-ე, ხოლო, თანათავმჯდომარედ – მისი მეუღლე, ქ. კ-ი. სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში ასევე შეტანილ იქნა ცვლილება და განისაზღვრა, რომ „ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე უფლებამოსილი არიან აიღონ კრედიტი და იპოთეკით დატვირთონ ამხანაგობის კუთვნილი უძრავი ქონება, მხოლოდ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა წერილობითი თანხმობით“. მოსარჩელისა და სხვა დამფუძნებელი წევრების თანხმობის გარეშე, ამხანაგობის თანათავმჯდომარემ, რომელიც ამავდროულად წარმოადგენდა თავმჯდომარეს, შპს „ა-ასთან“ გააფორმა ხელშეკრულება და იპოთეკით დატვირთა ამხანაგობის ქონება, რისი უფლებამოსილებაც მას არ გააჩნდა. ეს გარიგება დამონმდა სანოტარო წესით, თუმცა, არც ნოტარიუსს ჰქონდა თანხმობის გარეშე დადებული გარიგების დადასტურების უფლება. ამ გარემოების თაობაზე იცოდნენ ამხანაგობის თავმჯდომარემ, თანათავმჯდომარემ, ნოტარიუსმა, კომპანიის დირექტორმა – რ. კ-მა და კომპანიის იურისტმა – ლ. ა-ემ, რომელიც ამავდროულად წარმოადგენდა კომპანიას გარიგების დადებისას და სწორედ ამ პირთა ერთობლივი ქმედების შედეგად გავიდა ქონება ამხანაგობის მფლობელობიდან. იპოთეკის ხელშეკრულებაში 2012 წლის 22 მაისს შეტანილ იქნა ცვლილება, რომლის შედეგადაც გაიზარდა ამხანაგობის დავალიანება კომპანიის მიმართ, რის თაობაზეც ასევე არ იყო ინფორმირებული მოსარჩელე. ამდენად, თავმჯდომარემ მოახერხა რა ამხანაგობის ქონების იპოთეკით მართლსაწინააღმდეგოდ დატვირთვა, მას არაფერი შეუძლებია ამხანაგობის მიზნის მისაღწევად, ამხანაგობა ხელოვნურად აქცია ვალაუფალ სუბიექტად, რის გამოც, მისი ქონება გატანილ იქნა აუქციონზე (კომპანიის დირექტორის მოთხოვნის საფუძველზე ნოტარიუსმა გასცა სააღსრულებო ფურცელი, სწორედ ამ სააღსრულებო ფურცლის საფუძველზე გაცემულ იქნა აღსრულების ეროვნული ბიუროს მიერ განკარგულება – შემძენის უფლების დამდგენი დოკუმენტი) და გასხვისდა ლ. ა-ის სახელზე, რომელიც დოკუმენტაციაში კომპანიის წარმომადგენლადაა დაფიქსირებული. გასხვისებული ქონების უდიდესი ნაწილი ეკუთვნოდა მოსარჩელეს. გასათვალისწინებელია, რომ შემძენმა, რომელიც კომპანიის დირექტორთან დაახლოებული პირი და მისი ბიზნესპარტნიორია, ამხანაგობის მილიონიანი ქონება მიზეზურულ ფასად ჩაიგდო ხელში. მოპასუხეთა ერთობლივი ქმედებით მოსარჩელეს მიადგა ზიანი, ის ვეღარ მიიღებს ქონებას ამხანაგობისგან, რომლის ღირებულებაც 624 800 აშშ დოლარს შეადგენს.

2. მოპასუხეების პოზიცია:

2.1. შემქმნმა სარჩელი არ ცნო და მის წინააღმდეგ მოთხოვნის გამომრიცხველი შესაგებელი წარადგინა, კერძოდ, მოპასუხემ განმარტა, რომ ქონება შეიძინა აუქციონზე და წარმოადგენს კეთილსინდისიერ შემქმნს;

2.2. ნოტარიუსმა არ ცნო სარჩელი იმ დასაბუთებით, რომ ამხანაგობის დამფუძნებელი ხელშეკრულებით ნევრთა წერილობითი თანხმობა ესაჭიროებოდა სესხის უზრუნველსაყოფად ამხანაგობის ქონების იპოთეკით დატვირთვას და არა სხვა ვალდებულების გამო სანივთო-სამართლებრივი უზრუნველყოფის საშუალების გამოყენებას, გარდა ამისა, უდავოა, რომ ამხანაგობას კომპანიის მიმართ გააჩნდა დავალიანება, რომლის შესრულებაც ვერ იქნა უზრუნველყოფილი (მოსარჩელეს სადავოდ არ გაუხდია ამხანაგობასა და კომპანიას შორის დადებული არმატურის ნასყიდობის ხელშეკრულების ნამდვილობა) და ამ საფუძვლით სავსებით კანონიერად იქნა აუქციონზე სარეალიზაციოდ გატანილი იპოთეკის საგანი, რომელიც შეიძინა ლ. ა-ემ და წარმოადგენს ქონების ნამდვილ მესაკუთრეს;

2.3. კომპანიის მიერ წარდგენილი შესაგებელი ეფუძნება იმ გარემოებას, რომ ამხანაგობასა და მოპასუხეს (კომპანია) შორის დადებული იყო ნასყიდობის ხელშეკრულება, საიდან გამომდინარე დავალიანებაც გააჩნდა ამხანაგობას, ამ ვალდებულების იპოთეკით უზრუნველყოფა არ საჭიროებდა დამფუძნებელთა წერილობით თანხმობას, არამედ, დამფუძნებელი ხელშეკრულების 6.5., 6.6. და 6.7. პუნქტებით საკმარისი იყო თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის ხელმოწერა. იპოთეკის საგნის რეალიზაციით ვერ იქნა დაფარული დავალიანება, რის გამოც ზიანი თავად კომპანიას მიადგა. რაც შეეხება ზიანის მიყენებასა და მოსარჩელის მიერ ქონების დაკარგვას, იგი ამხანაგობის თავმჯდომარის ქმედების შედეგია და სწორედ მან უნდა აგოს პასუხი მოსარჩელის წინაშე. რაც შეეხება შემქმნს, ის წარმოადგენს კეთილსინდისიერს, რომელიც ერთადერთი პრეტენდენტი იყო აუქციონზე და გადაიხადა ნასყიდობის საფასური. საგულისხმოა, რომ აუქციონის წინ ქონება შეფასებულ იქნა 230 000 ლარად, ამ მხრივ მოსარჩელის მიერ მოთხოვნილი თანხის ოდენობაც დაუსაბუთებელია;

2.4. ამავე საფუძვლებზე მითითებით სარჩელი არ ცნო არც კომპანიის დირექტორმა, დამატებით აღნიშნა, რომ ის სამართლებრივ ურთიერთობაში მონაწილეობდა იურიდიული პირის წარმომადგენლის სახით და როგორც ფიზიკური პირი, არ არის სარჩელზე სათანადო მოპასუხე;

2.5. თავმჯდომარემ და თანათავმჯდომარემ სარჩელი ცნეს სრუ-

ლად.

3. პირველი ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2015 წლის 11 თებერვლის გადაწყვეტილებით სარჩელი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, ბათილად იქნა ცნობილი კომპანიასა და ამხანაგობას შორის 2011 წლის 13 აპრილს დადებული იპოთეკის ხელშეკრულება (დამონმებული ნოტარიუს ნ. მ-ის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №...) და მასში ცვლილებების და/ან დამატებების შეტანის შესახებ 2012 წლის 22 მაისის ხელშეკრულება (დამონმებული ნოტარიუს ნ. მ-ის მიერ, სანოტარო მოქმედების რეგისტრაციის №...), ამხანაგობის თავმჯდომარეს, თანათავმჯდომარეს, კომპანიასა და ნოტარიუსს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ ზიანის – 326742 აშშ დოლარის ანაზღაურება.

4. აპელანტების მოთხოვნა:

საქალაქო სასამართლოს გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრეს მხარეებმა. პირველმა (კომპანია) და მეორე (ნოტარიუსი) აპელანტმა მოითხოვეს მათ მიმართ სარჩელის დაკმაყოფილების ნაწილში გადაწყვეტილების გაუქმება და ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო, მესამე აპელანტმა (მოსარჩელე) – სარჩელის სრულად დაკმაყოფილება.

5. გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილი:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილებით პირველი აპელანტის სააპელაციო საჩივარი დაკმაყოფილდა, მესამე აპელანტის სააპელაციო საჩივარი ნაწილობრივ დაკმაყოფილდა, გაუქმდა გასაჩივრებული გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის 1.2. და მე-2 პუნქტები და ახალი გადაწყვეტილებით ამხანაგობის თავმჯდომარეს, თანათავმჯდომარესა და ნოტარიუსს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისრათ 568 000 აშშ დოლარის გადახდა, მოსარჩელის მოთხოვნა კომპანიის მიმართ არ დაკმაყოფილდა, ასევე არ დაკმაყოფილდა მეორე აპელანტის მოთხოვნა, დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩა უცვლელად.

6. კასატორის მოთხოვნა:

სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საკასაციო წესით გაასაჩივრეს ნოტარიუსმა და მესამე აპელანტმა, პირველმა კასატორმა მოითხოვა გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და

ახალი გადაწყვეტილებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა, ხოლო, მეორე კასატორმა – ახალი გადაწყვეტილებით მოპასუხეებისათვის 568 000 აშშ დოლარის სოლიდარულად დაკისრება.

სამოტივაციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები, შეისწავლა საქმის მასალები, გასაჩივრებული გადაწყვეტილების დასაბუთებულობა, საკასაციო საჩივრების საფუძვლები და მიიჩნევს, რომ პირველი კასატორის მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს, ხოლო, მეორე კასატორს უარი უნდა ეთქვას საკასაციო საჩივრის დაკმაყოფილებაზე შემდეგ გარემოებათა გამო:

1. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეცვლის ფაქტობრივი და სამართლებრივი დასაბუთება:

განსახილველი დავის ფარგლებში შეფასების საგანს წარმოადგენს ამხანაგობის დამფუძნებელი წევრის მეორადი მოთხოვნის საფუძვლიანობა, რომელიც შეეხება მოპასუხედ დასახელებულ პირთა არამართლზომიერი ქმედების შედეგად მისთვის, როგორც ფიზიკური პირისათვის ინდივიდუალური ზიანის მიყენებას. სარჩელის ძირითადი ფაბულა კი, მდგომარეობს შემდეგში: მოსარჩელემ, როგორც ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობის წევრმა ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულება შეასრულა ჯეროვნად და ამხანაგობაში განახორციელა შესატანის ნატურით შეტანა, ხოლო, ამხანაგობის თავმჯდომარემ, თანათავმჯდომარემ, ნოტარიუსმა და მესამე პირებმა (ამხანაგობის კრედიტორი კომპანია, მისი იმჟამინდელი დირექტორი და ქონების აუქციონზე შემძენი) დელიქტური ქმედებით მას მიაყენეს ზიანი, რომლის კომპენსაციასაც მოსარჩელე უკავშირებს ერთობლივი საქმიანობის მიზნის მიღწევის შემთხვევაში, მისთვის გადასაცემი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულებას. სწორედ ამ ოდენობით თანხის მოპასუხეთათვის სოლიდარულად დაკისრებას მოითხოვს იგი. სარჩელის ფორმალურ-სამართლებრივი გამართულობის შემოწმების შედეგად პალატა ასკვნის, რომ მოთხოვნის დამფუძნებელი ნორმები, როგორც სახელშეკრულებო მოთხოვნის დარღვევის, ისე – დელიქტური ვალდებულების მარეგულირებელ დანაწესებში უნდა იქნეს მოძიებული. ამ თვალსაზრისით მოპასუხედ დასახელებული პირები პირობითად შეიძლება ორ ძირითად ჯგუფად დაიყოს: მოსარჩელესთან სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირები (ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე) და არასახელშეკრულებო ვალდებულებიდან გამომდინარე პასუხისმგებელი პირები (კრედიტორი კომპანია, მისი წარმომადგენლობითი უფლებამოსილებით აღჭურვილი პირი, ნოტარიუსი, ამ-

ხანაგობის ქონების საბოლოო შემძენი, რომელსაც მოსარჩელე მიიჩნევს არაკეთილსინდისიერად), ამასთანავე, პირველ ჯგუფს მიკუთვნებული პირების პასუხისმგებლობა შეიძლება ემყარებოდეს სამოქალაქო კოდექსის 394-ე (1), 934-ე (5) და 719-ე მუხლებს (მოვალის მიერ ვალდებულების დარღვევისას კრედიტორს შეუძლია მოითხოვოს ამით გამოწვეული ზიანის ანაზღაურება. ეს წესი არ მოქმედებს მაშინ, როცა მოვალეს არ ეკისრება პასუხისმგებლობა ვალდებულების დარღვევისათვის; თუ ხელშეკრულებიდან სხვა რამ არ გამომდინარეობს, ხელმძღვანელი პირების უფლება-მოვალეობები განისაზღვრება დავალების წესების შესაბამისად. თუ რწმუნებული უსასყიდლოდ ასრულებს მისთვის დავალებულ მოქმედებებს, იგი პასუხს აგებს მხოლოდ განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით გამოწვეული ზიანისათვის), ხოლო, მეორე ჯგუფს მიკუთვნებული პირებისა – ამავე კოდექსის 992-ე და 408-ე (1) მუხლებს (პირი, რომელიც სხვა პირს მართლსაწინააღმდეგო, განზრახი ან გაუფრთხილებელი მოქმედებით მიაყენებს ზიანს, ვალდებულია აუნაზღაუროს მას ეს ზიანი. იმ პირმა, რომელიც ვალდებულია აანაზღაუროს ზიანი, უნდა აღადგინოს ის მდგომარეობა, რომელიც იარსებებდა, რომ არ დამდგარიყო ანაზღაურების მავალდებულზე გარემოება), შესაბამისი წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში კი, ვალდებულების სოლიდარულად შესრულება სამოქალაქო კოდექსის 463-ე (თუ რამდენიმე პირს ევალება ვალდებულების შესრულება ისე, რომ თითოეულმა უნდა მიიღოს მონაწილეობა მთლიანი ვალდებულების შესრულებაში (სოლიდარული ვალდებულება), ხოლო კრედიტორს აქვს შესრულების მხოლოდ ერთჯერადი მოთხოვნის უფლება, მაშინ ისინი წარმოადგენენ სოლიდარულ მოვალეებს) მუხლის საფუძველზე შესაძლებელია დაეკისროთ მოპასუხეებს (სახელშეკრულებო ურთიერთობაში მყოფი პირების მხრიდან დელიქტური ქმედების დადასტურების შემთხვევაში, შესაძლებელია მათი პასუხისმგებლობის განმსაზღვრელი ასევე სკ-ის 992-ე მუხლი იყოს და ასეთ შემთხვევაში ზიანის სოლიდარულობა ამავე კოდექსის 998-ე მუხლის შესაბამისად განისაზღვროს), თუმცა, სასამართლოს მიერ მოხმობილი სამართლის ნორმების დანაწესების გამოყენება დამოკიდებულია მოთხოვნის განმაპირობებელი შესაბამისი ფაქტობრივი წინაპირობების არსებობაზე (სათანადო სამართალსუბიექტების არსებობა და ქმედების შემაღგენელი ფაქტები).

1.1. ქვემდგომი სასამართლოს მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები და მათი სავალდებულობა წინამდებარე განჩინების მიმართ:

წინამდებარე გადაწყვეტილების მიმართ სამოქალაქო საპრო-

ცესო კოდექსის 407-ე მუხლის მე-2 ნაწილით განსაზღვრული (სააპელაციო სასამართლოს მიერ დამტკიცებულად ცნობილი ფაქტობრივი გარემოებები სავალდებულოა საკასაციო სასამართლოსათვის, თუ წამოყენებული არ არის დასაშვები და დასაბუთებული პრეტენზია (შედავება)) სავალდებულო ძალა გააჩნია სააპელაციო პალატის მიერ დადგენილ იმ ფაქტობრივ გარემოებებს, რომელთა წინააღმდეგაც კასატორებს არ მიუთითებიათ პროცესუალურ დარღვევებზე, რომლებიც შესაძლოა დაშვებული იყო საქმის განხილვის დროს და რამაც განაპირობა ფაქტობრივი გარემოებების არასწორად შეფასება-დადგენა, მატერიალურ-სამართლებრივი ნორმის არასწორად გამოყენება ან/და განმარტება, კერძოდ:

1.1.1. 2007 წლის 30 ნოემბერს დაფუძნდა ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „ნ-ი 2008“. ამხანაგობის დამფუძნებელი წევრები არიან მ. ხ-ე, ნ. დ-ა, თ. ც-ე, რ. მ-ი, შ. მ-ი, ნ. გ-ე და გ. ტ-ე;

1.1.2. ნ. დ-ამ ამხანაგობაში შეიტანა 1000 კვ.მ მიწის ნაკვეთი და 105.04 კვ.მ შენობა-ნაგებობა;

1.1.3. 2010 წლის 11 ივნისს მოწვეულ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა კრებაზე ამხანაგობის თავმჯდომარედ არჩეულ იქნა გ. ტ-ე, ხოლო თანათავმჯდომარედ – ქ. კ-ი;

1.1.4. 2012 წლის 11 ივნისს ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულებაში შეტანილი ცვლილებებითა და დამატებებით, შეთანხმების 6.1 პუნქტის შესაბამისად, ამხანაგობის მმართველ (აღმასრულებელ) თანამდებობის პირს ერთობლივად წარმოადგენდნენ ამხანაგობის თავმჯდომარე და ამხანაგობის თანათავმჯდომარე, ხოლო 6.5 პუნქტით განისაზღვრა, რომ ამხანაგობის თავმჯდომარე და თანათავმჯდომარე ერთობლივად წყვეტდნენ „ამხანაგობის“ ძირითად ორგანიზაციულ-ფინანსურ საკითხებს. ისინი ასევე უფლებამოსილი იყვნენ, აეღოთ კრედიტი და იპოთეკით დაეტვირთათ „ამხანაგობის“ კუთვნილი უძრავი ქონება მხოლოდ ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა წერილობითი თანხმობით;

1.1.5. ამხანაგობას, მრავალსართულიანი სახლის ასაშენებლად, შპს „ა-ასგან“ გადახდის განვადებით შეძენილი აქვს 436 800 აშშ დოლარის ღირებულების არმატურა, ნასყიდობის ხელშეკრულება სადავოდ არ გამხდარა;

1.1.6. 2011 წლის 13 აპრილს შპს „ა-ასა“ და ამხანაგობა „ნ-ი 2008-ს“ შორის გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად, 436 800 აშშ დოლარის გადახდის უზრუნველსაყოფად იპოთეკით დაიტვირთა ქ. თბილისში ჭ-ის ქ. №22-სა და ზ-ის ქ. №18ა-ში მდებარე 1582 კვ.მ მიწის ნაკვეთი. 2012 წლის 22 მაისს ცვლილება შევიდა 2011 წლის 13 აპრილის იპოთეკის ხელშეკრულებაში და უზრუნველყოფილი

მოთხოვნის ოდენობა 436 800 აშშ დოლარიდან გაიზარდა 516 916 აშშ დოლარამდე. იპოთეკის სადავო ხელშეკრულებები დაიდო ამხანაგობის დამფუძნებელ წევრთა წერილობითი თანხმობის გარეშე, ამასთან, ამ ხელშეკრულებას დაერთო ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება და მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ შეთანხმება. აღნიშნულიდან გამომდინარე, იპოთეკის ხელშეკრულების მეორე მხარე ინფორმირებული იყო ამხანაგობის მმართველი (აღმასრულებელი) თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე.

1.1.7. იპოთეკის ხელშეკრულებები დამონმებულია სანოტარო წესით. გარიგების დამონმებისას ნოტარიუსმა დაარღვია საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2010 წლის 31 მარტის №71 ბრძანებით დამტკიცებული „სანოტარო მომედებათა შესრულების წესის შესახებ ინსტრუქციის“ მე-8 მუხლის „გ“ ქვეპუნქტისა და 45-ე მუხლის პირველი პუნქტის მოთხოვნები (რაც გამოიხატა გარიგების იმგვარად დამონმებაში, რომ ნოტარიუსს ამხანაგობის წევრთა თანხმობა ქონების იპოთეკით დატვირთვის თაობაზე არ გამოუთხოვია). ნოტარიუსის მართლსაწინააღმდეგო ქმედება დაადასტურა ასევე დისციპლინურმა კომისიამ, რომლის 2012 წლის 28 ნოემბრის დასკვნით ნოტარიუსის გადაცდომა მიჩნეულ იქნა ნოტარიუსთა დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ დებულების მე-7 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ქმედებად (სანოტარო მოქმედების შესრულება კანონმდებლობით გათვალისწინებული სავალდებულო დოკუმენტების გამოთხოვის გარეშე, რასაც მოჰყვა მძიმე შედეგი), ხოლო, დისციპლინური გადაცდომის ხარისხი შეფასდა როგორც განსაკუთრებით მძიმე დისციპლინური გადაცდომა;

1.1.8. საქართველოს იუსტიციის სამინისტროს აღსრულების ეროვნული ბიუროს 2012 წლის 27 სექტემბრის №... განკარგულებით ამხანაგობა „ნ-ი 2008-ის“ კუთვნილი უძრავი ქონება საკუთრებაში გადაეცა ლ. ა-ეს.

1.2. საკასაციო განაცხადების მოცულობა და კასატორთა პრეტენზიები (საკასაციო განხილვის ფარგლები):

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 404-ე მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიციიდან გამომდინარე (საკასაციო სასამართლო ამონმებს გადაწყვეტილებას საკასაციო საჩივრის ფარგლებში. საკასაციო სასამართლოს არ შეუძლია თავისი ინიციატივით შეამომოს საპროცესო დარღვევები, გარდა 396-ე მუხლის პირველი ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტში მითითებული ფაქტებისა), საკასაციო პალატის შეფასების საგანი იქნება კასატორთა შემდეგი შედავებების საფუძვლიანობა:

ა) პირველი კასატორის პრეტენზიები:

1.2.1. ამხანაგობასა და შპს „ა-ას“ შორის გაფორმებული იპოთეკის ხელშეკრულებები შესრულებულია კანონისა და ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულების მე-6 მუხლის 6.5. პუნქტის მოთხოვნათა დაცვით, რამდენადაც ამ ხელშეკრულების 6.6. მუხლის როგორც ძველი, ისე – ახალი რედაქცია დასაშვებად მიიჩნევს ამხანაგობის თავმჯდომარისა და თანათავმჯდომარის მიერ ნებისმიერი გარიგების ხელმოწერას, ხოლო ხსენებული ნორმების ანალიზი იძლევა დასკვნის საფუძველს, რომ ამხანაგობის თავმჯდომარესა და თანათავმჯდომარეს მხოლოდ სესხის აღებისა და ამ სესხის იპოთეკით უზრუნველსაყოფად ესაჭიროებოდა ამხანაგობის წევრთა თანხმობა. ამ კუთხით გასაჩივრებული გადაწყვეტილების მსჯელობა დაუსაბუთებელია, მას არ უმსჯელია სამოქალაქო კოდექსის 319-ე მუხლით განსაზღვრულ ხელშეკრულების თავისუფლებისა და 338-ე მუხლით რეგულირებულ ურთიერთგამომრიცხავი გამონათქვამების განმარტების საკითხზე. იმ პირობებში, როდესაც იპოთეკით უზრუნველყოფილია არა სესხი, არამედ, ნასყიდობის საზღაური, არ დასტურდება არც მხარის უფლებამოსილების შეზღუდვა და არც თანხმობის აუცილებლობა, შესაბამისად, ნოტარიუსს არ დაურღვევია კანონის მოთხოვნები;

1.2.2. გარდა იმისა, რომ ნოტარიუსის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 992-ე მუხლით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის წინაპირობების არსებობა არ დასტურდება, შეფასებას საჭიროებს დაკისრებული თანხის ოდენობაც. ამ მხრივ სასამართლოს არ შეუფასებია საქმეში წარმოდგენილი მტკიცებულებები, რომლებითაც ერთი მხრივ, ქონების ღირებულებაა შეფასებული, ხოლო, მეორე მხრივ, განსაზღვრულია ის ფასი, რა ფასადაც მოხდა სადავო ქონების რეალიზაცია;

1.2.3. სააპელაციო პალატას არ უმსჯელია იმ გარემოებაზე, რომ ამხანაგობასა და შპს „ა-ას“ შორის დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება ძალაშია, იგი არ გაუქმებულა, რაც დავალიანების არსებობას ადასტურებს, შესაბამისად, იმ პირობებში, როდესაც ვალდებულება შესრულებული არ არის, იარსებებდა თუ არა იპოთეკის ხელშეკრულება მნიშვნელობას კარგავს, რამდენადაც ამხანაგობის ყველა წევრი შპს „ა-ას“ მიმართ სოლიდარულად ვალდებული პირია და არაუზრუნველყოფილი მოთხოვნის პირობებში კრედიტორი მაინც მოახდენდა ქონების რეალიზაციას.

ბ) მეორე კასატორის პრეტენზიები:

1.2.4. სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება არასაკმარისადაა დასაბუთებული და არ შეესაბამება სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 249-ე და 394-ე მუხლების მოთხოვნებს, ასევე,

„ადამიანის უფლებათა ევროკონვენციის“ მე-6 მუხლის წინაპირობებს. პალატამ არასწორად არ იხელმძღვანელა სამოქალაქო კოდექსის 115-ე მუხლით და პასუხისმგებლობა არ დააკისრა პირებს, რომელთა მონაწილეობაც გარიგებაში დასტურდება. ამ გარიგების მიზანი იყო კასატორის ქონების ხელში ჩაგდება და მისთვის ზიანის მიყენების პირდაპირპროპორციულად უსაფუძვლო სარგებლის მიღება, ამ ვითარებაში, როდესაც ობიექტურად დგინდება, რომ თანამოპასუხეებმა მიიღეს სარგებელი, უსამართლოა მთელი პასუხისმგებლობის მხოლოდ ამხანაგობის თავმჯდომარის, თანათავმჯდომარისა და ნოტარიუსისათვის დაკისრება. სასამართლომ სწორად გამოიყენა სამოქალაქო კოდექსის 998-ე მუხლი, თუმცა, არასწორად განმარტა მისი წინაპირობები, რამდენადაც საქმის მასალებით დასტურდება, რომ შპს „ა-ას“ დირექტორმა რ. კ-მა და ლ. ა-ემ უშუალოდ მიიღეს მონაწილეობა ზიანის მიყენებაში და მხოლოდ მათ ნახეს სარგებელი. გასაჩივრებული გადაწყვეტილების უკანონობა მეტად თვალში საცემი ხდება მას შემდეგ, რაც სასამართლომ დაადგინა, რომ სადავო იპოთეკის ხელშეკრულებებს დაერთო ამხანაგობის სადამფუძნებლო ხელშეკრულება და მასში ცვლილების შეტანის შეთანხმება, რაც მოწმობს იმას, რომ გარიგების მეორე მხარე ამხანაგობის მმართველი თანამდებობის პირების უფლებამოსილების შეზღუდვის თაობაზე ინფორმირებული იყო. გასათვალისწინებელია, რომ რ. კ-ი (შპს „ა-ას“ დირექტორი) და ლ. ა-ე (კომპანიის იურისტი) კვალიფიციური სამართალმცოდნეები არიან, რაც მათ შეთანხმებულ მოქმედებაზე მიუთითებს. მხედველობაშია მისაღები ასევე ის, რომ სააპელაციო პალატის მიერ გადაწყვეტილების გამოტანის დროისათვის არსებობდა სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილება და სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის შესაბამისად, დადგენილი იყო შპს „ა-ას“ ბრალეულობა;

1.2.5. სააპელაციო პალატა დადგენილად მიიჩნევს იმ გარემოებას, რომ შპს „ა-ას“ მიმართ ამხანაგობას გააჩნია დავალიანება, რომლის უზრუნველსაყოფადაც იპოთეკით დაიტვირთა სადავო ქონება. სასამართლოს ამგვარი მსჯელობა არ შეესაბამება მტკიცებულებათა კვლევის სტანდარტს, არამედ, მიმართულია რ. კ-ისათვის პასუხისმგებლობისაგან თავის არიდებისკენ. სასამართლოს არ შეუსწავლია გ. ტ-ის არაერთი მითითება, რომ სადავო გარიგების მიზანი არა არმატურის შექმნა, არამედ, შპს „ა-ასთან“ მიმართებით ამხანაგობისათვის დავალიანების ხელოვნურად წარმოქმნა და ქონების ხელში ჩაგდება იყო, რაც განხორციელდა კიდეც. სწორედ გ. ტ-ე ადასტურებს, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში ერთ-ერთი მთავარი პირი იყო რ. კ-ი;

1.2.6. სააპელაციო პალატა გვერდს უვლის ასევე ლ. ა-ის მიმართ გამოთქმულ პრეტენზიებს, რომელიც რ. კ-თან ერთად მოქმედი პირია. დადასტურებული ფაქტია, რომ ლ. ა-ე სადავო პერიოდში შპს „ა-ას“ იურისტი იყო, მისთვის ცნობილი იყო კომპანიის მიერ დადებული ყველა გარიგებისა და იურიდიული დოკუმენტაციის შინაარსი. ამხანაგობის მთელი ქონება საბოლოოდ სწორედ ლ. ა-ეზე გადაფორმდა, ამასთანავე, შეფასების გარეშე დატოვებული ამ უკანასკნელის აღიარება, რომ აუქციონში მონაწილეობა მან სწორედ რ. კ-ის სურვილით მიიღო და ქონების შესაძენი თანხაც ამ უკანასკნელის მიერ იქნა გადახდილი.

1.3. საკასაციო პალატის შეფასებები და სამართლებრივი დასკვნები:

საკასაციო პალატა ზემოხსენებულ შედავებათა სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 393-ე მუხლის კონტექსტში შემოწმებამდე გასაჩივრებული გადანყვეტილების კანონიერებას შეაფასებს ამავე კოდექსის 394-ე მუხლის ფარგლებში, რომელიც იმპერატიული ბუნებისაა და ნორმის დისპოზიციიდან გამომდინარე, სასამართლო, მიუხედავად მხარის მითითებისა, ყოველთვისაა ვალდებული განსაზღვროს სახეზე ხომ არ არის გადანყვეტილების გაუქმების აბსოლუტურ საფუძველთაგან რომელიმე:

1.3.1. როგორც ზემოთ უკვე აღინიშნა, სარჩელის საგანს წარმოადგენს თანხის დაკისრება, ხოლო საფუძველს – მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გამოწვეული ზიანი. ვალდებულების დარღვევიდან გამომდინარე მოთხოვნის (ზიანის ანაზღაურება) კვლევის პროცესუალურ წინაპირობას წარმოადგენს მათ შორის დაზარალებულის (მოთხოვნის სუბიექტი) სწორად განსაზღვრა. ამ კუთხით საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს წინამდებარე გადანყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.1.1.-1.1.2. პუნქტებში მითითებულ ფაქტებზე და განმარტავს, რომ სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის შესაბამისად, ნ. დ-ა გაერთიანდა რა ამხანაგობაში, მის მიზანს ასევე წარმოადგენდა შესატანის სანაცვლოდ გარკვეული მატერიალური სიკეთის მიღება. ამავე კოდექსის 932-ე მუხლის შესაბამისად, მან ერთობლივ საქმიანობაში შესატანი განახორციელა ქონებით, რის გამოც შესატანზე მოსარჩელის ინდივიდუალური საკუთრება შეწყდა და ტრანსფორმირდა ამხანაგობის თანასაკუთრებად.

1.3.2. თანასაკუთრების საკითხზე მსჯელობისას განსაკუთრებული მნიშვნელობისაა ხსენებული ნორმის მე-3 ნაწილით განსაზღვრული რეგულაცია: თუ ხელშეკრულება სხვა რამეს არ ითვალისწინებს, შესატანები წარმოადგენს მონაწილეთა საერთო საკუთრებას. მონაწილეთა საერთო საკუთრებას შეადგენს ისიც, რაც შე-

ქენილია საერთო საკუთრებაში არსებული უფლების საფუძველზე, ანდა მიღებულია ანაზღაურების სახით საერთო ქონების განადგურების, დაზიანების ან ამოღების გამო. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ კანონის მითითებული დანაწესი საზიარო უფლებების მომწესრიგებელ ნორმათა დებულებებისაგან (სკ-ის 953-ე-968-ე მუხლები) განსხვავებულია რამდენიმე მიმართულებით, რომელთაგან ერთ-ერთს სპეციალურობა წარმოადგენს: თუკი საზიარო უფლებები კანონისმიერი ვალდებულების სფეროს მიეკუთვნება, სამოქალაქო კოდექსის 932-ე მუხლის მე-3 ნაწილით განსაზღვრული ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა თანასაკუთრება სახელშეკრულებო ურთიერთობის ნაირსახეობაა და ამ უფლების ადრესატების სამართლებრივი კავშირი თანასაკუთრების ობიექტთან ამავე კოდექსის 930-ე მუხლით გათვალისწინებული ხელშეკრულების მიზნის მიღწევას ემსახურება. ამხანაგობა არ წარმოადგენს რა დამოუკიდებელ ორგანიზაციულ-სამართლებრივ წარმონაქმნს, მას არ გააჩნია იურიდიული პირისათვის დამახასიათებელი იმგვარი თვისებები, როგორცაა სამართლის დამოუკიდებელი სუბიექტუნარიანობა (შეად: სკ-ის 24-ე მუხლი), შესაბამისად, სახელშეკრულებო სამართლის სფეროს მიკუთვნებული ერთობლივი საქმიანობის მონაწილეთა თანასაკუთრება, მათ შორის ამ თანასაკუთრების დაზიანებით, ჩამორთმევითა თუ ამ ქონების განკარგვის შედეგად მიღებული ანაზღაურება კვლავ ამავე რეჟიმში ექცევა და მხარეთა სახელშეკრულებო მიზნის მიღწევისკენაა მიმართული.

1.3.3. საკასაციო პალატა განმარტავს, რომ სახელშეკრულებო თავისუფლების პრინციპიდან (სკ-ის 319-ე მუხლის პირველი ნაწილი) გამომდინარე, ერთობლივი საქმიანობის მონაწილის მიერ შესატანის შეტანა მისი მხრიდან ამ შესატანზე საკუთრების უფლების განკარგვად უნდა იქნეს განხილული და მხარეს, რომელმაც უკვე განკარგა საკუთრება ამხანაგობის სასარგებლოდ აღარ გააჩნია ქონების განკარგვამდე ნივთზე ერთპიროვნული ბატონობის შესაძლებლობა. ანალოგიური პრინციპით უნდა გადაწყდეს საკითხი იმ სამომავლო საკუთრებასთან დაკავშირებით, რომელიც შეიძლება ამხანაგობის წევრს მიზნის მიღწევის შემთხვევაში გააჩნდეს, რამეთუ ხელშეკრულების არსებობის პირობებში მისი სამომავლო საკუთრების ფაქტობრივ ობიექტს წარმოადგენს ამხანაგობაში არსებული წილი და არა უშუალოდ ამ წილის, როგორც უფლების სამომავლო ნაყოფი. შეიძლება ითქვას, რომ სამოქალაქო კოდექსის 930-ე მუხლის დათქმა – ხელშეკრულების მონაწილეებმა ერთობლივად იმოქმედონ საერთო მიზნის მისაღწევად, ნიშნავს არა თანამესაკუთრის სანივთო სამართლებრივი უფლებების ინდივიდუალ-

ლურად განხორციელებას, არამედ, უფლების იმგვარ რეალიზაციას, რომელიც მიმართული იქნება თანასაკუთრების ექსპლუატაციის შედეგად დასახული მიზნის მიღწევისაკენ (შეად: სკ-ის 173-ე მუხლი).

1.3.4. გარდა ხსენებულისა, მნიშვნელოვანია, ყურადღება გამახვილდეს ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტის საკითხზეც. სამოქალაქო კოდექსის 939-ე მუხლი ადგენს შეწყვეტის განმაპირობებელ საფუძვლებს, რომელთაგან პირველი ნაწილი ზოგადი (ერთობლივი საქმიანობის შეთანხმებული ვადის გასვლა; მონაწილეთა გადაწყვეტილება; ერთობლივი საქმიანობის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა; ერთობლივი საქმიანობის მიზნების განხორციელების შეუძლებლობა), ხოლო, მე-2 ნაწილი (ხელშეკრულების ერთ-ერთი მონაწილის გარდაცვალება; ერთ-ერთი მონაწილის ქონებაზე საგაკოტრებო საქმის წარმოების გახსნა; ხელშეკრულების მოშლა) საგამონაკლისოა, გარდა ამისა, ნიშანდობლივია, რომ შეწყვეტის წინაპირობების არსებობა ავტომატურად არ განაპირობებს შედეგის დადგომას, არამედ, იგი ამავე კოდექსის 940-ე მუხლის შესაბამისად უნდა განხორციელდეს (ერთობლივი საქმიანობის შეწყვეტისას უნდა დამთავრდეს ჯერ კიდევ შეუსრულებელი გარიგებები, შედგეს საინვენტარიზაციო ნუსხა, ხოლო დარჩენილი ქონება განაწილდეს მონაწილეებს შორის მათი წილის შესაბამისად. ქონების განაწილებისას უნდა დაიფაროს ერთობლივი საქმიანობის დროს წარმოშობილი ვალეები. თუ ქონება საკმარისი არ არის ვალების დასაფარავად, ხელშეკრულების მონაწილეები ვალდებული არიან გაისტუმრონ ვალეები თავიანთი წილის შესაბამისად). მოცემულ შემთხვევაში, არც მხარეებს მიუთითებიათ და არც ქვემდგომ სასამართლოებს დაუდგენიათ იმგვარი ფაქტობრივი გარემოებები, რომელთა ანალიზი საკასაციო პალატას მიიყვანდა დასკვნამდე, რომ მხარეთა ერთობლივი საქმიანობა შეწყდა. საკასაციო პალატის მოსაზრებით, ის გარემოება, რომ ამხანაგობის ქონება გასხვისებულია და ამ მხრივ დაწყებული საქმიანობის დასრულება შეუძლებელია, არ გამორიცხავს ამხანაგობის არსებობას, რამდენადაც, როგორც მოსარჩელე მიიჩნევს, მოპასუხეთა მართლსაწინააღმდეგო ქმედება მიმართული იყო ამხანაგობის ქონების არამართლზომიერად ხელში ჩაგდებისკენ, შესაბამისად, თეორიული თვალსაზრისით, ივარაუდება, რომ ამხანაგობას, როგორც პირთა გაერთიანებას გააჩნია მოთხოვნა მოპასუხეთა მიმართ და სწორედ ამ მოთხოვნის – მატერიალური აქტივისა თუ ფულადი კომპენსაციის არსებობა განაპირობებს ამხანაგობის არსებობას.

1.3.5. საკასაციო სასამართლო მოხმობილი მსჯელობიდან გამომდინარე, ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ სარჩელით მოთხოვნი-

ლია ამხანაგობის ერთ-ერთი წევრის მიერ ინდივიდუალური ზიანის ანაზღაურება, რომელსაც ის უკავშირებს მოპასუხეთა არამართლობიერი ქმედების შედეგად ამხანაგობის მიზნის მიუღწევლობას და საბოლოოდ მოითხოვს მოპასუხეებისათვის ზიანის სახით იმ თანხის დაკისრებას, რომლის ეკვივალენტური ქონებაც მას ხელშეკრულების დასრულებისას უნდა მიეღო. როგორც ზემოთ განიმარტა, ამხანაგობის წევრს აღარ გააჩნია რა ინდივიდუალური საკუთრება განხორციელებულ შესატანზე, მას ამხანაგობის მიზნის მიღწევამდე არც წილის პროპორციულ ნაყოფზე (მისაღები ქონებრივი სიკეთე) წარმოშობა საკუთრების უფლება, შესაბამისად, მართლსაწინააღმდეგო ქმედების დამტკიცების შემთხვევაში, რესტიტუციის უფლების მქონედ ჯერ კიდევ პირთა გაერთიანება – ამხანაგობა გვევლინება და არა ამხანაგობის კონკრეტული რომელიმე წევრი, თუკი იგი არ მოქმედებს ამხანაგობის ინტერესებში. მართალია, ზოგადი წესის თანახმად, ვალდებულება უნდა შესრულდეს (იხ. სკ-ის 361.2 მუხლი), თუმცა, მოცემულ შემთხვევაში, ვიდრე ჯერ კიდევ არსებობს აქტივი მოთხოვნის სახით, პრეტენზიის მქონე სუბიექტად სწორედ ეს პირთა გაერთიანება ან ამ გაერთიანების ინტერესებში მოქმედი წევრი (წევრები) განიხილება, რომლებიც ზიანის მიმყენებლის მიმართ სამოქალაქო კოდექსის 455-ე მუხლით გათვალისწინებული სოლიდარული კრედიტორები არიან და მათ როგორც ერთობლივად, ისე – ცალ-ცალკე უფლება აქვთ შესრულება მოითხოვონ მხოლოდ მთელი ამხანაგობის სასარგებლოდ. საკასაციო პალატა მიზანშეწონილად მიიჩნევს, ყურადღება გაამახვილოს მოსარჩელის საკუთრების უფლებაზეც. მართალია, იგი მიიჩნევს, რომ მოპასუხეთა ქმედების შედეგს წარმოადგენს მისი სამომავლო საკუთრების დაკარგვა, თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ საკუთრების უფლებაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით გარანტირებული დაცვითი ეფექტი, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის პირველი დამატებითი ოქმის პირველ მუხლთან, გავრცელდება რეალიზებულ საკუთრებაზე. კონვენციის ხსენებული ნორმა შესაძლოა თავის თავში მოიცავდეს მომავალი საკუთრების უფლებასაც, თუმცა, იმ პირობებში, როდესაც სამომავლო უფლების რეალიზაცია დამოკიდებულია ხელშეკრულების მიზნის მიღწევაზე, ამხანაგობის წევრის ინდივიდუალური პრეტენზია ზიანის მიმყენებლის მიმართ არ არის სამართლებრივად გამართლებული, შესაბამისად, საკითხის იმგვარად დასმა, რომ ზიანის მიმყენებელს (შესაბამისი წინაპირობების დადასტურების შემთხვევაში) დააკისრო პასუხისმგებლობა, რომელიც პრაქტიკულად ერთობლივი საქმიანობის ხელშეკრულების მიზნის მიღწევის შემთხვევაში დადგებოდა, ეწინააღმდე-

გება ზიანის ანაზღაურების ფარგლებსაც, რამდენადაც სამოქალაქო კოდექსის 412-ე მუხლის თანახმად, ანაზღაურებას ექვემდებარება მხოლოდ ის ზიანი, რომელიც მოვალისათვის წინასწარ იყო სავარაუდო და წარმოადგენს ზიანის გამომწვევი მოქმედების უშუალო შედეგს. ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანია აღინიშნოს ისიც, რომ თეორიულად, ამხანაგობის ქონების არამართლობიერად გასხვისების შედეგად ქონებრივი დანაკლისის მქონე ერთადერთ სუბიექტად არ შეიძლება იქნას განხილული მხოლოდ ნ. დ-ა, არამედ, მასთან ერთად შესრულება ვერ მიიღო ამხანაგობის ვერც ერთმა წევრმა, წინამდებარე სარჩელის ფარგლებში ინდივიდუალური ზიანის სასამართლო გადაწყვეტილებით დადასტურება განაპირობებს ანალოგიური უფლებებით სხვა წევრთა აღჭურვასაც, შედეგად ზიანის მიმყენებლისათვის სამომავლოდ მისაღები ქონების კომპენსაციის დაკისრებით დადგინდება არა პირთა ქონებრივი რესტიტუცია, არამედ გადაჭარბებული პასუხისმგებლობა, ფაქტიურად ზიანის მიმყენებელს დაეკისრება ამხანაგობის მიზნის მიღწევის ვალდებულება.

1.3.6. საკასაციო სასამართლო ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზეც, რომ თბილისის საქალაქო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 17 აპრილისა და 16 ივნისის განჩინებებით ამხანაგობა „ნი 2008-ს“ უარი ეთქვა ზიანის ანაზღაურების შესახებ სარჩელის მიღებაზე, ეს განჩინებები დადგენილი წესით არ გასაჩივრებულა, გარდა ამისა, არც მოსარჩელეს გამოუთქვამს სურვილი სათანადო მხარით – ამხანაგობით შეცვლის თაობაზე, უფრო მეტიც, მიუხედავად საქმის მომზადების ეტაპზე მოთხოვნის არაერთხელ დაზუსტებისა, მას ზიანის ამხანაგობის სასარგებლოდ ანაზღაურების თაობაზე პრეტენზია არ წარუდგენია. ამ თვალსაზრისით საკასაციო პალატა ყოველგვარი შეფასების გარეშე ტოვებს მეორე კასატორის პრეტენზიებს სასამართლოს კანონიერ ძალაში შესული გადაწყვეტილებით იპოთეკის ხელშეკრულების მართლწინააღმდეგობრიობის ფაქტის დადგენის თაობაზე და განმარტავს, რომ სწორედ იმ გარემოებიდან გამომდინარე, რომ მეორე კასატორი ამხანაგობის ინტერესებში არ მოქმედებს, ამ გადაწყვეტილებით დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები მისი მოთხოვნის მიმართ სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 106-ე მუხლის „ბ“ ქვეპუნქტით დადგენილი ძალის მატარებლად ვერ იქნება განხილული.

1.3.7. ზემოთ ჩამოთვლილი გარემოებებიდან გამომდინარე, საკასაციო პალატა შეფასების გარეშე ტოვებს მეორე კასატორის ყველა იმ პრეტენზიას, რომელიც მოპასუხეთა ერთობლივი მოქმედების შედეგად მისთვის ზიანის მიყენებას შეეხება, ამ ვითარებაში

კი, ყოველგვარ საფუძველს მოკლებულია გასაჩივრებული გადან-
ყვეტილების დასკვნა, რომ სარჩელით მოთხოვნილი თანხის ანაზ-
ღაურებაზე პასუხისმგებელ სუბიექტს წარმოადგენს პირველი კა-
სატორი. მოსარჩელე არ წარმოადგენს რა მოთხოვნის უფლების
მქონე სუბიექტს, მისი სარჩელის ფარგლებში ზიანზე ვალდებულ
პირთა წრის შეფასება-დადგენა იურიდიულად გაუმართლებელია.
ამდენად, საკასაციო სასამართლო მიიჩნევს, რომ ნოტარიუსისათ-
ვის ზიანის სოლიდარულად დაკისრების ნაწილში გასაჩივრებული
განჩინება იურიდიულად არ არის საკმარისად დასაბუთებული
(სსსკ-ის 394-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტი), რაც ამ ნაწილში მისი გაუქ-
მების აბსოლუტური საფუძველია. რაც შეეხება ამხანაგობის თავ-
მჯდომარისა და თანათავმჯდომარის მიმართ მოთხოვნის დაკმა-
ყოფილებას, ამ შემთხვევაში პალატა ხელმძღვანელობს სამოქა-
ლაქო საპროცესო კოდექსის 264-ე მუხლის პირველი ნაწილითა და
409-ე მუხლით და აღნიშნავს, რომ გ. ტ-ისა და ქ. კ-ის მიმართ სარ-
ჩელის დაკმაყოფილების ნაწილში პირველი ინსტანციის სასამარ-
თლოს გადაწყვეტილება არ გასაჩივრებულა, გარდა ამისა, არც სა-
კასაციო პრეტენზიაა წარმოდგენილი მათთვის პასუხისმგებლო-
ბის დაკისრების კანონიერების თაობაზე, შესაბამისად, საკასაციო
სასამართლო არ არის უფლებამოსილი გასცდეს განხილვის ფარ-
გლებს და იმსჯელოს ამ ნაწილზე.

1.4. გასაჩივრებული გადაწყვეტილების ნაწილობრივ შეც- ვლის პროცესუალურ-სამართლებრივი დასაბუთება:

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 411-ე მუხლის თანახმად,
საკასაციო სასამართლო თვითონ მიიღებს გადაწყვეტილებას საქ-
მეზე, თუ არ არსებობს ამ კოდექსის 412-ე მუხლით გათვალისწი-
ებული გადაწყვეტილების გაუქმებისა და საქმის სააპელაციო სა-
სამართლოში ხელახლა განსახილველად დაბრუნების საფუძველ-
ები. წინამდებარე გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 1.3.
პუნქტში ასახული მსჯელობის გათვალისწინებით, პალატა მიიჩ-
ნევს, რომ არ არსებობს საქმის ქვემდგომი სასამართლოსათვის
დაბრუნების წინაპირობები, არამედ, იგი უფლებამოსილია, თავად
გადაწყვიტოს დავა: საკასაციო პალატა ნოტარიუსისათვის პასუ-
ხისმგებლობის დაკისრების ნაწილში აუქმებს გასაჩივრებულ გა-
დაწყვეტილებას და იმ მოტივით, რომ ნ. დ-ას მოთხოვნა მისთვის
ინდივიდუალური ზიანი მიყენების თაობაზე უსაფუძვლოა, ამ ნა-
წილში არ აკმაყოფილებს სარჩელს, სწორედ ამ საფუძველიდან გა-
მომდინარე სასამართლო უარს აცხადებს მეორე კასატორის პრე-
ტენზიათა გაზიარებაზეც და სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის
თქმის ნაწილში, ამავე კოდექსის 410-ე მუხლის თანახმად, უცვლელ-
ად ტოვებს გასაჩივრებულ გადაწყვეტილებას.

2. სასამართლო ხარჯები:

2.1. „სახელმწიფო ბაჟის შესახებ“ საქართველოს კანონის 5.1. მუხლის „მ¹“ ქვეპუნქტის თანახმად, ნ. დ-ა სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორებისაგან გათავისუფლებულია, შესაბამისად, მის სარჩელზე, სააპელაციო თუ საკასაციო საჩივრებზე არ არის გადახდილი სახელმწიფო ბაჟი;

2.2. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 13 ოქტომბრის განჩინებით, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 48-ე მუხლის შესაბამისად, ნოტარიუს ნ. მ-ს გადაუფადა სახელმწიფო ბაჟის – 6 000 ლარის გადახდა, ხოლო მისი სააპელაციო საჩივრის გამო სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ გადახდილი თანხა შეადგენს 2 500 ლარს;

2.3. შპს „ა-ამ“ სააპელაციო საჩივრის გამო ხარჯი განია 4 500 ლარის ოდენობით;

2.4. გ. ტ-ე და ქ. კ-ი სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან გათავისუფლებულები არ არიან, ამასთანავე, მათ მიმართ სარჩელი დაკმაყოფილებულია და გადაწყვეტილება შესულია კანონიერ ძალაში;

2.5. რ. კ-სა და ლ. ა-ეს პროცესის ხარჯები არ გაუწევიათ.

2.6. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე მუხლის შესაბამისად, ვინაიდან წინამდებარე გადაწყვეტილებით დაკმაყოფილდა ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი და იგი გათავისუფლდა პასუხისმგებლობისაგან, ამასთანავე, ვინაიდან შპს „ა-ასათვის“ თანხის სოლიდარულად დაკისრებაზე უარი ეთქვა ნ. დ-ას, საკასაციო პალატა მიიჩნევს, რომ მას ნ. მ-ის სასარგებლოდ უნდა დაეკისროს სააპელაციო საჩივარზე გადახდილი ბაჟის – 2 500 ლარის, ხოლო, შპს „ა-ას“ მიმართ – 4 500 ლარის გადახდა. რაც შეეხება სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ ანგარიშსწორების საკითხს, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 55-ე მუხლის შესაბამისად, სარჩელის დაკმაყოფილების პროპორციულად გ. ტ-ესა და ქ. კ-ს უნდა დაეკისროთ 3 000 ლარის გადახდა (სსსკ-ის 39-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა.ა.“ ქვეპუნქტი), ხოლო სარჩელზე უარის ნაწილში, ვინაიდან მოსარჩელე გათავისუფლებულია სახელმწიფო ბაჟის გადახდისაგან, ამავე ნორმის საფუძველზე, პროცესის ხარჯებს გაიღებს სახელმწიფო.

სარეზოლუციო ნაწილი:

საკასაციო სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 53-ე, 55-ე, 410-ე, 411-ე მუხლებით და

გ ა ლ ა ნ ე ყ ვ ი ტ ა :

1. ნ. მ-ის საკასაციო საჩივარი დაკმაყოფილდეს.
2. ნ. დ-ას საკასაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდეს.
3. თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის 2017 წლის 5 ივლისის გადაწყვეტილების შეცვლით (მე-3, მე-4, მე-6, მე-7 პუნქტები) მიღებულ იქნას ახალი გადაწყვეტილება.
4. ნ. დ-ას სარჩელი ნ. მ-ის მიმართ არ დაკმაყოფილდეს.
5. ნ. დ-ას (პ/№...) ნ. მ-ის (პ/№...) სასარგებლოდ დაეკისროს ამ უკანასკნელის მიერ სააპელაციო საჩივარზე გადახდილი სახელმწიფო ბაჟიდან 2 500 ლარის გადახდა.
6. გ. ტ-ესა (პ/№...) და ქ. კ-ს (პ/№...) სახელმწიფო ბიუჯეტის („სახელმწიფო ხაზინა“ ბანკის კოდი TRESGE22, მიმღების ანგარიშის №..., სახაზინო კოდი ...) სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვისათვის გადასახდელი სახელმწიფო ბაჟი 3 000 ლარის ოდენობით.
7. ნ. დ-ას (პ/№...) შპს „ა-ას“ (ს/კ №...) სასარგებლოდ დაეკისროს სააპელაციო სასამართლოში ამ უკანასკნელის მიერ გადახდილი ბაჟის – 4 500 ლარის ანაზღაურება.
8. დანარჩენ ნაწილში გასაჩივრებული გადაწყვეტილება დარჩეს უცვლელად.
9. საკასაციო სასამართლოს გადაწყვეტილება საბოლოოა და არ გასაჩივრდება.

საქართველოს უზენაესი სასამართლო
თბილისი 0110, ძმები ზუბალაშვილების ქ. №6
ტელ.: (995 32) 299 82 08
www.supremecourt.ge